მთარგმნელი მიხეილ კლიმიაშვილი

# ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

# ბიძია თომას ქოხი

## პირველი თავი

## საუბარი შელბის სასადილოში

თებერვლის ცივი საღამო იყო. ამერიკაში, კენტუკის შტატის ერთ პატარა ქალაქში, მდიდარი მემამულის სახლში სასადილო მაგიდას უჯდა ორი კაცი. სადილი გაეთავებინათ და ახლა ღვინოს მიირთმევდნენ, თანაც საქმეზე ლაპარაკობდნენ. ერთი მათგანი არც მიხრა-მოხრით, არც ჩაცმულობით მებატონეს არ ჰგავდა; ტლანქი ტანი და უხეში სახე ჰქონდა; კოტიტა თითებზე ბეჭდები აეჩონჩხლა. მის ჩაცმულობას გემოვნება არ ეტყობოდა. სახე კმაყოფილებით უღიმოდა, ცდილობდა, დიდკაცურად დაეჭირა თავი, მაგრამ ვერ ახერხებდა და სასაცილო მეტიჩარას უფრო ჰგავდა. მასპინძელი შელბი კი ნამდვილი ბატონი იყო როგორც შესახედაობით, ისე მიხრა-მოხრით.

_ აი ამნაირად გადავიხდი თქვენს ვალს, _ დაამთავრა ბატონმა შელბიმ ლაპარაკი.

_ მე ხელს არ მომცემს ეგ პირობები, _ მიუგო მას უხეში სახის კაცმა.

_ გამიგონეთ, ჰელი, _ შენიშნა შელბიმ, _ თომა  არაჩვეულებრივი ადამიანია, ღირს ამ ფასად. პატიოსანი, შრომისმოყვარე და აზრიანი მუშაა, მთელ ჩემ მეურნეობას  ის უძღვება.

_ მჯერა. იმდენად იქნება პატიოსანი, რამდენადაც მოეხერხება პატიოსნება შავკანიანს, _ თქვა ჰელიმ და ჭიქა ღვინით აივსო.

_ არა, ნამდვილად პატიოსანი, კეთილი და გონიერი ადამიანია. მე თომას ყველაფერში ვენდობი. ბევრჯერ ჰქონია მას ხელში ჩემი ფული, რამდენჯერ დამიტოვებია იმის ამარა სახლი, საქონელი, ცხენები. თუ მოისურვებდა, შეეძლო გაქცევა, მაგრამ  არასოდეს არ უსარგებლია ასეთი შემთხვევით და არ უღალატია ჩემთვის. შარშან ცინცინატში გავგზავნე. იქ ფული მქონდა ასაღები, ხუთასი დოლარი. ვიღაცა გაიძვერები თურმე ცდილობდნენ მის გაბრიყვებას, ურჩევდნენ, ფულები გაეტაცა და კანადაში გაქცეულიყო. მაგრამ თომამ ეს არ იკადრა. გაქნილ მრჩევლებს თურმე ასე უპასუხა: კაცი მენდო და მე კი ვუღა-

ლატო, ეგ როგორი ნამუსი იქნებაო. აი, როგორი კაცია თომა. სწორედ მოგახსენოთ, მე ძალიან მეძნელება მისი მოშორება, მაგრამ რა ვქნა, რომ მეტი გზა არა მაქვს. ამისათვის უნდა მენდოთ და თომა მთელ ვალში აიყვანოთ.

_ სინდისისა რა მოგახსენოთ! _ თქვა ჰელიმ ღრეჭით, _ სინდისი იმდენი მაქვს, რამდენიც საჭიროა ვაჭრისთვის. მზადა ვარ დაგითმოთ რამე, მაგრამ თქვენ ძალიან დიდ ფასს მთხოვთ თომაში.

_ მაშ, თქვენ როგორ გსურთ, ჰელი? _ შეეკითხა შელბი ცოტა უხერხული სიჩუმის შემდეგ.

_ იქნებ პატარა ბიჭი ან გოგო გყავდეთ და თომას დაუმატოთ.

_ მეტი არავინ მყავს. უკიდურესი გაჭირვება რომ არ დამდგომოდა, ვერც მაგას გავიმეტებდი. ძალიან მეძძიმება მონების გაყიდვა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ხუთი წლის შავგვრემანი ქვადრუნი ბავშვი შემოვიდა. შავი კულულები ამშვენებდა იმის მრგვალ პირისახეს. ხშირი წამწამების ქვეშ მკვირცხლი, კუნაპეტივით შავი, მოელვარე, კეთილი თვალები გამოიყურებოდნენ. ბავშვი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ოთახს. იმის შავ, ლამაზ, მხიარულ პირისახეს მეტად შვენოდა კარგად შეკერილი ჭრელზოლიანი ტანისამოსი. ბავშვს თამამად ეჭირა თავი. ეტყობოდა, შეჩვეული იყო ბატონის ალერსს.

_ გამარჯობა, ჰარი! მოდი ჩემთან, _ დაუძახა ბავშვს შელბიმ. ბავშვი მიუახლოვდა. ბატონმა ალერსიანად დაუსვა ხუჭუჭა თმაზე ხელი. _ აბა ერთი ვაჩვენოთ ამ სტუმარს შენი ცეკვა და სიმღერა.

ბავშვმა თხოვნა აღარ გაამეორებინა: სუფთა, წკრიალა ხმით შემოსძახა სიმღერა და თანაც ჩამოუარა.

_ ყოჩაღ, ბიჭო! _ უთხრა ჰელიმ და ფორთოხლის ნაჭერი დაუგდო.

_ აბა ახლა ბიძია ქეჯოს გააჯავრე: როგორ აითრევს ხოლმე წელს, როცა ქარები აეშლება.

ბავშვი სასაცილოდ დაიღრიჯა, თეძო აითრია, ბატონის ყავარჯენს დაეყრდნო და კოჭლობით დაიწყო ოთახში ხანხალი. სახეზე ვითომ ტკივილებისაგან გამოწვეული მწუხარება დაეტყო; წამდაუწუმ აქეთ-იქით იფურთხებოდა მოხუცივით და ტუჩებს სახელოთი იწმენდდა. იმის შემყურე შელბი და ჰელი სიცილს ვერ იკავებდნენ.

_ ყოჩაღ, ბიჭო! _ თქვა ჰელიმ, _ კარგი რამ გაიზრდები. აი, მე რა მოვიაზრე, _ მიუბრუნდა ის შელბის და მხარზე ხელი დაჰკრა: _ ეგ ბავშვი თომას დაამატეთ და ამით გავათავოთ საქმე.

ამ დროს სასადილო ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კვარტერონი ქალი. ყველა შეატყობდა, რომ ქალი ამ ბავშვის დედა იყო. მასაც მშვენიერი, დიდი, შავი თვალები, გრძელი, ხშირი წამწამები და ხუჭუჭა თმა ჰქონდა. კაბაში კოხტად იყო გამონაკვთული. ქალს სახეზე ალმურმა გადაჰკრა, როცა შეამჩნია, რომ უცხო კაცი მას მოურიდებლად უცქეროდა.

_ რა გინდა, ელიზა? _ ჰკითხა შელბიმ, როცა შენიშნა, რომ ქალს რაღაცის თქმა უნდოდა.

_ბატონო, ჰარის წასაყვანად გეახელით.

ბავშვი დედას კალთაზე შემოეხვია და ნაზობები ტკბილეულობა აჩვენა.

_ წაიყვანე, _ დართო ნება შელბიმ.

ქალმა ბავშვს ხელი მოჰკიდა და საჩქაროდ გაიყვანა ოთახიდან.

_ დალახვროს ღმერთმა! _ წამოიძახა ჰელიმ აღტაცებით. _ ძალიან საქონელია! მაგ გოგოში დიდ ფულს მოგცემენ ახალ ორლეანში, თუ გაყიდვას მოისურვებთ. ისეთებში აძლევენ ათას დოლარს, ამის აჩრდილებიც რომ არ არიან.

_ სულაც არ მინდა, ეს ქალი ჩემს გასამდიდრებლად გამოვიყენო, _ მკვახედ უპასუხა შელბიმ, ახალი ბოთლი გახსნა და სტუმარს ღვინო შესთავაზა. ამით სურდა, ლაპარაკის საგანი გამოეცვალა.

_ მშვენიერი ღვინოა, _ თქვა ჰელიმ, როცა გემო ნახა, მერე შელბისაკენ გადაიხარა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: _ ბრძანეთ, როგორ აფასებთ ამ გოგოს?

_ გოგო გასაყიდი არ გახლავს, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი ცოლი მაგ გოგოს არ მოიშორებს, მაგის წონა ოქროც რომ მისცეთ.

_ ქალები ყოველთვის ასე მსჯელობენ, _ თქვა ჰელიმ, _ მათ ფულის ყადრი არ იციან. აუხსენით, რამდენ ძვირფას სამკაულს, ტანსაცმელსა და ქალისათვის საჭირო სხვა ნივთს შეიძენს იმ ფულით და მაშინ აგრე აღარ ილაპარაკებს.

_ ბატონო ჰელი, გიმეორებთ, რომ მაგ გოგოს გაყიდვას გულშიც არ გავივლებ. ვთქვი და გავათავე.

_ მაშ, ბავშვი მომყიდეთ, _ არ ეშვებოდა ვაჭარი, _ ეს ხომ შესაძლებელია?

_ ვერ გამიგია, რად გინდათ ასეთი ბავშვი?

_ ერთი ნაცნობი მყავს, ბავშვებით ვაჭრობს: ყიდულობს და სამხრეთის ბაზრებში ჰყიდის. ბავშვებს მდიდრები ყიდულობენ ხელზე მოსამსახურედ და კარგ ფასსაც იძლევიან, ამ ბიჭმა კი, სხვათა შორის, სიმღერაც იცის და მასხრობაც.

_ მე ამ ბავშვის გაყიდვა არ შემიძლია, _ წარმოთქვა შელბიმ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ. _ მეტისმეტი გულქვაობა იქნება, დედას შვილი მოჰგლიჯო მკერდიდან და გაუყიდო.

_ რას ბრძანებთ, თქვენს დღეგრძელობას! ეგ სადაური მსჯელობაა! მაგრამ, ერთი მხრივ, თქვენ მართალი ბრძანდებით. დედაკაცების ამბავი მეც კარგად ვიცი. საშინლად მეჯავრება, როცა ისინი ზღავილს მოჰყვებიან ხოლმე. ყოველთვის ვცდილობ, თავიდან ავიცდინო ასეთი უსიამოვნო შემთხვევა. მაგრამ ამჯერად შეიძლება საქმე ასე მოეწყოს: ბავშვის დედა ორიოდე დღით ან ერთი კვირით  სადმე გაგზავნეთ და ამასობაში მე ბავშვს უდავიდარაბოდ წავიყვან. დედა რომ დაბრუნდება, ყველაფერი გათავებული იქნება. თქვენი მეუღლე საყურეებს, კაბას ან სხვა რამეს აჩუქებს და ისიც ყველაფერს დაივიწყებს, საჩუქარს გულს გადააყოლებს.

_ არა მგონია.

_ რას ბრძანებთ, ბატონო, ზანგის ქალები ჩვენს ქალებს ხომ არა გვანან! გულახდილად მოგახსენებთ, _ განაგრძო ჰელიმ, _ ზოგიერთები ზანგებით ვაჭ-

რობას ადამიანის პიროვნების დამამცირებელ საქმედ თვლიან, მე კი ამ ხელობაში სასირცხვილოს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, ზოგიერთი გულქვა ვაჭარი მოურიდებლად და ურცხვად აცილებს დედას შვილს და ყურადღებას არ აქცევს იმის წივილ-კივილს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ასეთი საქციელით მხოლოდ საქმეს წავახდენ. გულდაკოდილი დედა აღარაფერში გამოადგება პატრონს: მუშაობას ვეღარ მოახერხებს. ორლეანში ვიცნობდი ერთ ლამაზ დედაკაცს (ვაჭრებმა დაღუპეს საბრალო ქალი იმით, რომ მოურიდებლად მოჰგლიჯეს გულიდან შვილი. ბავშვის მყიდველმა დედის ყიდვა არ ისურვა. მანამ ბავშვი დედას ხელში ეჭირა, გულში ჩაკრული ჰყავდა, დადიოდა და რაღაცას ბუტბუტებდა გადარეულივით. მოგონებაც კი მიმძიმს...). ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, როცა გავიხსენებ ამ ამბავს. ბავშვი წაართვეს და დედა დაამწყვდიეს. ქალი ჭკუაზე შეიშალა. ერთი კვირა იომა, გონს ვეღარ მოვიდა და მოკვდა. დაიკარგა ათასი დოლარი ტყუილ-უბრალოდ. ყოველ საქმეს ცოდნა უნდა. მონებით ვაჭრობასაც ცოდნა უნდა. ვაჭარი ნაყიდ მონებს ფაქიზად უნდა ეპყრობოდეს, ეს უფრო სახეიროა ყოველთვის, გამოცდილებით ვიცი, _ თავისი მჭევრმეტყველებით კმაყოფილი ჰელი სავარძლის ზურგს მიეყუდა. თავისი თავი ამ წამს უთუოდ მართლა კეთილი მოღვაწე ეგონა. კაცს ეგონებოდა, ეს საკითხი მას მართლა აინტერესებსო.

შელბი ჩუმად იჯდა, ფორთოხალს ფცქვნიდა და ფიქრს მისცემოდა.

ჰელი კი განაგრძობდა:

_ მართალია, თავის ქება არ ვარგა, მაგრამ მართალი მაინც უნდა თქვას კაცმა. ყველამ იცის, რომ ბაზარში ჩემისთანა მოვლილი და შენახული საქონელი არავის გაჰყავს გასაყიდად, მაძღრები და ჩასუქებულები არიან. იშვიათად მომკვდომია გზაში კაცი. იცი, რატომ მიდის ასე კარგად ჩემი საქმე? იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ მე კარგად ვეპყრობი მონებს. დიახ, სათნოებაა ჩემი მოღვაწეობის მთავარი საფუძველი.

შელბი უხერხულად გრძნობდა თავს. არ იცოდა, რა ეთქვა ამ ენააქავებული ადამიანისთვის. მან მხოლოდ ანგარიშმიუცემლად წაილუღლუღა:

_ ნუთუ მართლა ეგრე გაქვთ საქმე?

_ სხვა ვაჭრები დამცინიან, _ განაგრძო კვეხნით ჰელიმ, _ ჩემს აზრებს ველურ აზრებს უწოდებენ, არავის მოსწონს, მაგრამ მე ასე მწამს და საქმეც კარგად მიმყავს. დიახ, უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს მინანია.

მოლაპარაკეს თვითონვე მოეწონა თავისი ენაწყლიანობა და კმაყოფილმა ჩაიცინა. ჰელის მსჯელობა სათნოებასა და კაცთმოყვარეობაზე იმდენად შეუსაბამო და სასაცილო იყო, რომ აღელვებულმა შელბიმ თავი ვეღარ შეიკავა და ზიზღის გამოსახატავად გესლიანად გაიცინა. მასპინძლის სიცილმა ჰელი გაამხნევა.

_ მე ყოველთვის ვცდილობ, უსიამოვნება თავიდან ავიცილო. ეჭვს გარეშეა, ძნელია დედა-შვილის დაშორება, მაგრამ ყოველთვის მოხერხებულად ვაწყობ ხოლმე საქმეს. ზანგის ქალი ჩვენი ქალივით სათუთი არ არის; თუკი იგი პატა-

რაობიდანვეა შეჩვეული თავის მდგომარეობას, შვილის მოშორებას ადვილად იტანს, აღარ ეძლევა ოცნებას და ადვილად ურიგდება თავის ბედს.

_ ვეჭვობ, რომ ჩემი მონები ასეთი მორჩილები აღმოჩნდნენ, _ თქვა შელბიმ.

_ შესაძლოა. თქვენ ალბათ მონებს ანებივრებთ. გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ მათთვის ცუდი სამსახური გაგიწევიათ. მონას, რომელიც ნივთივით ერთი პატრონიდან მეორის ხელში გადადის, ცუდი დღე მოელის ცხოვრებაში, თუ განებივრებულია. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ყველას თავისი აზრი შეუმცდარი ჰგონია. მე თვითონაც ეგრე ვარ: მგონია, რომ ჩემს მონებს ძალიან კარგად ვეპყრობი.

_ დიდი ბედნიერებაა, როცა კაცი თავისი თავით კმაყოფილია, _ წარმოთქვა შელბიმ და მხრები აიჩეჩა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

_ მაშ, რას იტყვით ბავშვის შესახებ? _ ჰკითხა კვლავ ჰელიმ.

_ დრო მომეცით, მოვიფიქრო და ჩემს ცოლს მოველაპარაკო. მანამდის კი, თუ გსურთ, რომ საქმე მართლაც ჩუმად გაკეთდეს, კრინტი არ დაძრათ ამ საგანზე ჩემს მონებთან, თორემ უბედურება დატრიალდება.

_ რას ბრძანებთ, განა თვითონ არ ვიცი? მხოლოდ გთხოვთ, საქმე რაც შეიძლება დააჩქაროთ, თორემ წასვლა მიგვიანდება.

_ შემოიარეთ საღამოს ექვსიდან შვიდ საათამდის.

ჰელი გამოეთხოვა მასპინძელს და წავიდა.

_ ოჰ, რა სიამოვნებით გადავუძახებდი კიბიდან ამ არამზადას! _ ჩაილაპარაკა ბრაზმორეულმა შელბიმ, როცა ჰელი კიბეზე ჩადიოდა. _ რა უტიფარია! იცის, რომ მის ხელში ვარ და სარგებლობს ამით! მაგრამ რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი! სხვა დროს რომ თომას შემვაჭრებოდა ვინმე, საკადრის პასუხს გავცემდი, ვაგრძნობინებდი, რომ ჩემი მოსამსახურე პირუტყვი არ არის, რომ გავყიდო! ახლა კი ისეთი გასაჭირი მაქვს, რომ აღარ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი საფრთხეს... მაგრამ ბავშვი?! ჩემი ცოლი ხომ ერთ ამბავს ატეხს! მართალია, თომას გაყიდვაც ძალიან გააბრაზებს, მაგრამ ბავშვის გაყიდვაზე სულ თავს მოიკლავს. ოჰ, ეს წყეული ვალები!

მებატონე შელბი ცუდი კაცი არ იყო, უფრო კეთილ და მოწყალე ადამიანად ჩაითვლებოდა. იმის სახლში მონები თავისუფლად ცხოვრობდნენ. მაგრამ ბოლო დროს საქმეები აეწეწა და ვალის აღება დასჭირდა. ჰელიმ ხელთ იგდო შელბის თამასუქები და ახლა სულს უხუთავდა. ცდილობდა, ისინი კარგად გაენაღდებინა. ჰელის წასვლის შემდეგ შელბის გულზე ნაღველი შემოაწვა. იცოდა, მის მეუღლეს საშინლად ეწყინებოდა მონების გაყიდვა და ეს ამბავი მოსვენებას უკარგავდა.

## მეორე თავი

## ელიზა და ჯორჯი

ელიზა რომ სასადილო ოთახში შედიოდა ბავშვის გამოსაყვანად, ყური მოჰკრა, რომ ვიღაცის გაყიდვაზე იყო ლაპარაკი, მხოლოდ ვერ გაარჩია, ვის შესახებ ლაპარაკობდნენ. როცა ბავშვი ოთახიდან გამოიყვანა, სურდა, ყური დაეგდო ლაპარაკისათვის, მაგრამ ამ დროს ქალბატონმა დაუძახა და იქით გაექანა: «ნუთუ ჩემ ჰარის უპირებენ გაყიდვას?» _ გაუელვა ელიზას აზრმა და მთელი მისი არსება შიშმა შეიპყრო. ისე მაგრად მოჰხვია შვილს ხელები და გულში ჩაიკრა, რომ ბავშვმა გაკვირვებით შეხედა დედას.

_ რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ? _ შეეკითხა ქალბატონი ელიზას, როცა იგი ფერმიხდილი დაინახა. ელიზა გაბრუებულივით ტრიალებდა ოთახში და ვერაფერს ახერხებდა. დაეჯახა პირსაბანს, ხელსაქმის მაგიდა წააქცია, ქალბატონს ფარჩის კაბის მაგიერ საღამური პერანგი მიართვა.

ქალბატონის შეკითხვაზე ელიზას ცრემლი მოერია.

_ ქალბატონო, _ თქვა მან ტირილით, _ სასადილო ოთახში ყური მოვკარი ბატონისა და ვაჭრის ლაპარაკს.

_ მერე რა იყო?

_ ნუთუ ბატონი გაყიდვას უპირებს ჩემს ჰარის? _ თავი ვეღარ შეიკავა, სავარძელში ჩაიკეცა და აქვითინდა.

_ ეგ რამ გაფიქრებინა?! განა შენი ბატონი თავის დღეში რომელიმე მსახურს გაყიდის? მას არაფერი ესაქმება მონებით ვაჭრებთან. კარგი ერთი, ჩემო ელიზა, დამშვიდდი, ნუ ფიქრობ. მოდი, დროზე ტანთ ჩამაცვი და თმა შენებურად გამიკეთე. გირჩევ, ყურს ნუ დაუგდებ სხვის ლაპარაკს.

_ კარგი, ქალბატონო, მაგრამ მაინც მიბრძანეთ: თქვენ ხომ არ დათანხმდებით, რომ ჩემი ჰარი გაყიდონ?

_ რა სისულელეს როშავ! ბარემ მკითხე, თანახმა ვარ თუ არა, გავყიდო ჩემი საკუთარი შვილი? გარწმუნებ, ელიზა, შენ ბევრს ფიქრობ შენ შვილზე და იმიტომ მოგდის თავში ასეთი საშინელი აზრები.

ქალბატონის სიტყვებმა დაამშვიდა ელიზა: მართლა რომ იყოს რამე, ქალბატონი ასე ვერ ილაპარაკებდაო, _ გაიფიქრა მან, გამხიარულდა და სწრაფად მორთო თავისი ქალბატონი.

ქალბატონი შელბი არაჩვეულებრივად გონიერი და მაღალი ზნეობის ადამიანი იყო.

ქმარი ყველაფერში ენდობოდა და დიდ პატივს სცემდა. არასოდეს უშლიდა ცოლს მონების წვრთნასა და აღზრდას. პირიქით, ეს მას სამართლიან საქმედ მიაჩნდა.

ქალბატონმა შელბიმ არ იცოდა, რომ მის ქმარს საქმეები აწეწილი ჰქონდა, და ასე დაიმედებული იმიტომ ელაპარაკებოდა ელიზას. ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ მათ სახლში როდესმე ასეთი რამ მოხდებოდა, ამიტომაც დამშვიდებული წავიდა საღამოთი სტუმრად მეზობლებთან.

ელიზა ბავშვობიდანვე აღიზარდა ქალბატონ შელბის სახლში. ისეთი ლამაზი ქალი, როგორც ელიზა იყო, მონობაში ძნელად შეინახავდა თავს, მაგრამ მას ქალბატონი მფარველობდა. როცა ასაკში შევიდა, შეუყვარდა ლამაზი, ნიჭიერი

კვარტერონი ჯორჯ ჰარისი და მისთხოვდა მას. ჯორჯ ჰარისი მეზობელი ბატონის მონა იყო. იგი ძაფსართავ ქარხანაში მუშაობდა, ქირას კი მისი ბატონი იღებდა. მარდი და ფხიზელი გონების ახალგაზრდა ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. ნიჭიერმა მუშამ სელის საძენძი მანქანაც კი გამოიგონა, რის შემდეგ ქარხნის პატრონმა მეტი ყურადღება მიაქცია. ასე რომ, ჯორჯს ქარხანაში კარგი მომავალი ელოდა, ჯიუტი და ახირებული ბატონი რომ არა ჰყოლოდა.

როცა ბატონმა შეიტყო, რომ მისმა მონამ რაღაც მანქანა გამოიგონა, წავიდა ქარხანაში მანქანის სანახავად. ძალიან გაბრაზდა, როცა ნახა, რომ მის მონას თამამად ეჭირა თავი და ყველას გაბედულად ელაპარაკებოდა. ისიც ეწყინა, რომ ამ გათამამებულ მონას ყველა პატივისცემით ექცეოდა. ბატონმა გადაწყვიტა, იგი ქარხნიდან წაეყვანა და შავ სამუშაოზე დაეყენებინა თავის მამულში.

ეს რომ გაიგო, ქარხნის პატრონი გაოცდა, მან დიდი ჯამაგირი შეაძლია ჯორჯის ბატონს და შეეცადა აეხსნა ჯიუტი ადამიანისათვის, რა სასარგებლო კაცი იყო ჯორჯი ქარხნისათვის. თქვენ, ასეთი მონის პატრონს, თავი უნდა მოგწონდეთო. მაგრამ არაფერმა უშველა: საწყალი ჯორჯი წაიყვანეს ქარხნიდან და სოფელში შავ მუშად დააყენეს.

ქარხნის პატრონმა ჯორჯი ანუგეშა: დაჰპირდა, ჯიუტი მებატონის ხელიდან დაგიხსნიო..

ჯორჯმა ქარხანაში მუშაობის დროს გაიცნო ელიზა და ცოლად შეირთო. ამ ბედნიერ ხანაში მას საკმაო თავისუფალი დრო ჰქონდა და შეეძლო ეფიქრა ოჯახურ ბედნიერებაზე. ქალბატონ შელბის ძალიან მოეწონა ჯორჯი და თვითონ შეუწყო ხელი ელიზას გათხოვებას.

გათხოვების შემდეგ პირველ ხანებში ელიზა ხშირად ნახულობდა თავის ქმარს და სრულიად ბედნიერიც იქნებოდა, რომ ორი უფროსი ვაჟი არ მოჰკვდომოდა. მაგრამ ეს მწუხარება მოინელა, როდესაც მესამე შვილი, პატარა ბიჭუნა ჰარი გაუჩნდა, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. ელიზას მზე და მთვარე ამოსდიოდა ამ ბავშვზე.

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის საქმე კარგად მიდიოდა, სანამ ჯორჯი ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ კი, როცა თვითნება მებატონის ხელში ჩავარდა, ჯორჯის ცხოვრება უკუღმა დატრიალდა.

კეთილი მექარხნე ერთხელ კიდევ შეეცადა ჯორჯის დახსნას ბატონის ხელიდან, მოინდომა მისი ყიდვა და დიდი ფულიც შეაძლია, მაგრამ არაფერმა უშველა.

_ ვიცი, ბატონო ჩემო, ვიცი! _ უპასუხა ჯორჯის ბატონმა ქარხნის პატრონს, როცა მან ჯორჯის გაყიდვაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. _ კარგად დავინახე, რომ თქვენ ჩემს მონას გამოთხოვების დროს რაღაცას ეჩურჩულებოდით. მე მას ვერაფერ შეღავათს ვერ მივცემ. აბა, თუ ბიჭია, აქ იმუშაოს და სხვა მონებივით იბეჯითოს.

ამით გათავდა მოლაპარაკება. ახლა ჯორჯი ისე ხშირად ვეღარ ახერხებდა ცოლ-შვილის ნახვას.

## მესამე თავი

## ჯორჯი გაიქცა

ქალბატონი შელბი სტუმრად წავიდა. ელიზა აივანზე იდგა და გაჰყურებდა მიმავალ ეტლს. ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. ქალი შეკრთა, მიიხედა და სახე სიამოვნებისაგან გაუბრწყინდა.

_ ჯორჯ, შენა ხარ? როგორ შემაშინე! რა კარგია, რომ დღეს მოხვედი. ქალბატონი სხვაგან წავიდა და მე სრულიად თავისუფალი ვარ.

ქალმა ჯორჯი შეიყვანა სუფთა პატარა ოთახში, რომელიც აივანზე გამოდიოდა. ელიზა აქ იყო ხოლმე თავისი ქალბატონის ახლოს. ოთახში ჰარი თამაშობდა.

_ რად ხარ დაღონებული, ჯორჯ? _ ჰკითხა ელიზამ ქმარს. _ აბა შეხედე, რა ლამაზი ბიჭი გვყავს! ხედავ, რამოდენა გაიზარდა! _ჯორჯის დანახვაზე ბავშვი დედის კალთას ამოეფარა და ქვეშ-ქვეშ მორცხვად გაჰყურებდა მამას.

_ ეჰ, ნეტავი სულაც არ დაბადებულიყო! _ თქვა დაღვრემილმა ჯორჯმა. _ უმჯობესი იქნებოდა, მე თვითონაც არ გავჩენოდი დედაჩემს...

ამ სიტყვებით შეშინებული ელიზა ქმარს მხარზე მიეყრდნო და ქვითინი დაიწყო.

_ კმარა, ნუ ტირი, ჩემო კარგო, დავაშავე, რომ ასე უხეიროდ დაგიწყე ლაპარაკი. რა ცუდ იღბალზე გაგიცან! იქნება, მე რომ არ შეგყროდი, ბედნიერი ყოფილიყავი.

_ ჯორჯ, როგორ არა გრცხვენია, რას ამბობ? რა იყო? რა მოხდა? რატომ არ მეტყვი?

ჯორჯმა შვილი კალთაში ჩაისვა, თავზე ხელი გადაუსვა და ლამაზ თვალებში ჩააცქერდა.

_ რა ძალიან გგავს, ელიზა, ჩვენი ჰარი! მე შენზე ლამაზი ქალი არ მინახავს ქვეყანაზე. ოჰ, ღმერთო, რად არის დაწყევლილი ჩემი გზა და კვალი! ნეტა არ გამეცანი მაინც, ახლა ხომ ჩემთან ერთად შენც იღუპები... ოჰ, ნეტავ მომკლა და ასეთ სიცოცხლეს მომაშორა!

_ ჯორჯ, ჩემო ძვირფასო, ეგრე ნუ ლაპარაკობ! ვიცი, გიჭირს ბოროტ ბატონთან გაძლება, მაგრამ ცოტა მოითმინე,შეიძლება რამე ცვლილება მოხდეს და...

_ მოითმინე! _ გააწყვეტინა სიტყვა ჯორჯმა. _ ადვილი სათქმელია! ნეტა იცოდე, როგორა მტანჯავს, როგორ მაწამებს და დამცინის. მერე რით ვარ მე იმაზე ნაკლები? ყველა ბინძურ საქმეს მე მაკეთებინებს. ამით უნდა თავმოყვარეობა შემილახოს. ყველაფერს ვითმენ, ყველა საქმეს ვაკეთებ. ყველაფერს ავიტანდი, ათასში ერთხელ მაინც იმდენ თავისუფალ დროს რომ მომცემდეს, რომ წიგნები ვიკითხო. ამის ნებას არ მაძლევს ჩემი ბატონი. ამაყს და მეამბოხეს მეძახის და ყოველთვის ცდილობს ჩემს დამცირებას. მოთმენა! კარგია მოთმენა,

მაგრამ როდემდის?! ბოლო მოეღო ჩემს მოთმინებას, თავს ვეღარ ვიკავებ! _ ჯორჯს ბრაზით თვალები აემღვრა.

ელიზა შეშინებული შეჰყურებდა ქმარს.

_ ყური მიგდე, ჯორჯ! _ შეეცადა ბოლოს ელიზა ქმრის დამშვიდებას, _ რაც უნდა გიყოს, უნდა მოითმინო. ხომ იცი, რომ ის შენი ბატონია. ჩვენ ხომ პატარაობიდანვე ჩაგვჩიჩინებდნენ, გიყვარდეთ თქვენი ბატონიო.

_ ეჰ, ელიზა, შენ იმთავითვე კეთილი ბატონები გყავდა. კარგ გზაზე დაგაყენეს, ყველაფერში ხელი შეგიწყვეს და იმიტომ გრძნობ მათ სიყვარულს. შენი სიტყვები მართალია ასეთი ბატონების მიმართ, მაგრამ მე ჩემი ბატონისაგან ცემა-ტყეპის მეტი არაფერი მომაგონდება. ასჯერ მაინც გადამიხდია იმისთვის ჩემი ფასი. აღარაფერი ვალი არ მაძევს. არა, აღარ შემიძლია გავუძლო ამ აუტანელ ცხოვრებას! შენ ხომ იცი, ძაღლი მყავდა, კარო, ამას წინათ ბატონმა დამინახა, რომ კაროს პურს ვაჭმევდი. განრისხდა და მიბრძანა, ძაღლი წყალში დამეხრჩო: ხომ ოჯახი დამექცა, ჩემმა მონებმა რომ ძაღლებიც გაიჩინონ და ჩემი პურითა კვებონო.

_ ნუთუ შეასრულე ბატონის ბრძანება?

_ არა. მაგრამ რა გამოვიდა? რამდენიმე დღის შემდეგ საბრალო პირუტყვი ჩემს თვალწინ მოაკვლევინა. და განა მაგას მაკმარებს: ახალი ხერხი მოიგონა, რომ წუთისოფელს გამომასალმოს.

_ რა ხერხი? _ შეეკითხა შეშინებული ელიზა.

_ აი რა: ის ახლა ძალიან ნანობს, რომ ცოლის შერთვის ნება მომცა. სძულს შენი ბატონი და მთელი მისი ოჯახი. მას ჰგონია, აქ გამათამამეს. აქამდის მემუქრებოდა, ცოლ-შვილის ნახვის ნებას არ მოგცემო, გუშინ კი გამომიცხადა, უნდა ცოლად შეირთო მოახლე გოგო მინაო. თუ არ დავთანხმდები, ახალ ორლეანში გაყიდვას მიპირებს.

_ როგორ შეიძლება მეორე ცოლის შერთვა? _ გაიოცა ელიზამ.

_ განა არ იცი, რომ მონებს ქორწინების ნება არა აქვთ? თუ ბატონი მოინდომებს, შეუძლია დაგვაშოროს. აი, ამიტომ ვამბობდი წეღან, ნეტავი თავის დღეში ერთმანეთს არ შევყროდით-მეთქი. უმჯობესი იქნებოდა, არც შვილი გვყოლოდა. ამ ბავშვსაც ჩვენი დღე მოელის, როცა წამოიზრდება.

_ არა, არა, ეგ შეუძლებელია, ეგ არასოდეს მოხდება! _ შესძახა აღელვებულმა ელიზამ. _ ჩვენი ბატონი კეთილი კაცია.

_ მერე, ბატონი შელბი ცას ხომ არ შეაბერდება. იმის სიკვდილის შემდეგ ჰარისაც გაყიდიან და ახლა კიდევ ღმერთმა უწყის, ვის ხელში ჩავარდება. არც ის მიხარია, რომ ჩვენი შვილი ასეთი ლამაზი და ჭკვიანია. აი, გახსოვდეს ჩემი სიტყვები: შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს მაგისი სილამაზე და გონიერება.

ქმრის სიტყვები ტყვიასავით მოხვდა ელიზას გულს: მოაგონდა ის ვაჭარი, ბატონთან რომ ნახა. საშინელი აზრები მოუვიდა თავში და გონება ბავშვისკენ გაუქანდა. ამ დროს ბავშვი ოთახში აღარ იყო, გარეთ გასულიყო, ჯოხზე გადამჯდარიყო და დააჭენებდა. ელიზამ ჯერ დააპირა, გაეზიარებინა ქმრისათვის თავისი ეჭვები, მაგრამ თავი შეიკავა.

«რაღა ეგ უნდა, _ გაიფიქრა ქალმა, _ ისედაც გული ნაღველითა აქვს სავსე. ახლა კიდევ ჩემი ეჭვებით გავუსიო გული? არ ღირს ამაზე ფიქრი. ჯობია, დავიჯერო ქალბატონის სიტყვა. დარწმუნებული ვარ, არ მომატყუებს.

_ ეჰ, ელიზა, ჩემო ძვირფასო, ახლა კი მშვიდობით, _ წარმოთქვა ჯორჯმა ნაღვლიანად. _ წასვლის დროა, მხნედ იყავი, სულით ნუ დაეცემი. გადაწყვეტილი მაქვს, გავიქცე ბატონის სახლიდან.

_ მერე სად უნდა წახვიდე, ჯორჯ?

_ კანადაში, ინგლისელებთან, _ უპასუხა ჯორჯმა და წელში გასწორდა. _ კანადაში თავისუფალი კაცი ვიქნები, მაშინ შენც გამოგისყიდი. სხვა ვეღარაფერი მომიფიქრებია. შენ კეთილი ბატონები გყავს და, იმედია, დამითმობენ ჩემს ცოლ-შვილს. ღმერთი მოწყალეა, როგორმე გამოგისყიდით ორივეს.

_ ღმერთო ჩემო! _ წამოიძახა ელიზამ, _ რაღა მეშველება, რომ დაგიჭირონ?

_ მაგის შიში ნუ გექნება. ცოცხალი არავის ჩავუვარდები ხელში. იმის ნებას კი არ მივცემ ბატონს, რომ პირუტყვივით გამყიდოს სამხრეთის ბაზარში.

_ ჯორჯ, გაიქეცი, თუ ეს შენთვის აუცილებელია, მხოლოდ თავს კი გაუფრთხილდი...

_ ყური მიგდე, ელიზა, ასე ვაპირებ საქმის მოწყობას. არ ვიცი, მოგეწონება თუ არა. მე დღეს ბატონ სიმესთან გამომგზავნეს, რაღაც წერილი გამომატანეს. ამ მხარეზე კარგი მეგობრები მყავს. შემთხვევით ვისარგებლე, ისინიც ვნახე და ჩემს საქმეზე მოველაპარაკე. დღეც დავნიშნეთ, როდის უნდა გავიქცე. ჯერ დამმალავენ და მერე გამაპარებენ ცხენებით. ახლა კი ისევ დავბრუნდები ბატონთან და განვაგრძობ ჩვეულებრივ მუშაობას ერთი კვირის განმავლობაში. შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს გავქრები და ვეღარ მიხილავენ.

ჯორჯი გამოსათხოვებლად მიუახლოვდა ელიზას, ხელები მაგრად დაუჭირა და დიდხანს უსიტყვოდ ჩასცქეროდა თვალებში. მერე გადაეხვივნენ ერთმანეთს და მწარედ აქვითინდნენ.

მძიმეა გამოთხოვება საყვარელ ადამიანთან, როცა არ იცი, გეღირსება კიდევ იმისი ნახვა თუ არა. ნაღველში ნალეს ცრემლებს აფრქვევს ამ დროს ადამიანი. ძნელია ამ წუთების კალმით გადმოცემა.

## მეოთხე თავი

## ბიძია თომას ქოხში

პატარა ფიცრულ ქოხში, ბატონის სასახლის ახლოს, ცხოვრობდა ბიძია თომა თავისი ოჯახით. ის ბატონის მარჯვენა ხელი იყო, თომას ცოლი ხლოა კი საუკეთესო მზარეულად ითვლებოდა. ისეთ ჩინებულ საჭმელებს აკეთებდა, რომ ბადალი არა ჰყავდა. ისეთი შემწვარის, საუცხოო ქადებისა და ტკბილეულობის მომზადება ახლომახლოში არავინ იცოდა.

ბიძია თომას სახლის წინ პატარა ბაღი ჰქონდა. რას არ ნახავდით აქ: ნაირფერ ყვავილებსა თუ ხეხილს. ყველაფერი კოხტად იყო მოვლილი. ბაღჩიდან

მცენარეები ბიძია თომას ქოხზე ადიოდა და ზედ იყო შემოხვეული. ხლოასაც უყვარდა ყვავილები და ამაყობდა თავისი ბაღით.

იმ საღამოს, როცა შელბიმ ჰელისთან მოლაპარაკება გაათავა, ბიძია თომას ქოხში შემდეგი სურათი იყო: ეს არის გაათავეს ვახშამი. მოსამსახურე გოგოები, რომლებიც დღისით ხლოას შველოდნენ სამზარეულოში, ახლა ჭურჭელს რეცხავდნენ. თვითონ ხლოა კი ისევ ღუმელთან ტრიალებდა. იმის შავ, მსუქან და ლაპლაპა პირისახეს დაფიქრება ეტყობოდა. იგი რაღაც საგანგებო ნამცხვარს აცხობდა. ხლოა ვახშამს უმზადებდა თომას და პატარა ბატონიშვილს ჯორჯს, რომელიც იქვე, ქოხში, იჯდა მაგიდასთან და ბიძია თომას შესცქეროდა.

თომაც მაგიდასთან ზის და დაფაზე ვაივაგლახით გამოჰყავს ასოები. ეტყობა, უძნელდება წერა. პატარა ბატონიშვილი ასწავლის.

ოთახი უბრალოდაა მოწყობილი, მხოლოდ ერთი კუთხე არის მორთული, სადაც ზეწარგადაფარებული ლოგინი დგას, მაგრამ აქ არავინ წვება; საწოლი ლოგინი დგას მეორე კუთხეში, აქვე გაშლილია მოზრდილი ხალიჩა. კედელზე კიდია სურათი გენერალ ვაშინგტონისა ოჯახი საპატიო ალაგად მიიჩნევს ამ კუთხეს. იქ ბავშვებს არ უშვებენ.

კედელთან, გრძელ სკამზე, ორი შავი, თმააბურძგნული, შავთვალა ბავშვი ზის. ისინი თვალს ადევნებენ პატარას, რომელიც ფეხზე დადგომას ცდილობს: დადგება, ცოტას გაჩერდება, მერე ისევ დატორტმანდება და დაეცემა. ბავშვები უყურებენ და, როცა პატარა წაიქცევა, აღტაცებულნი იმის ჭკუითა და მოხერხებით, სიცილს ატეხენ ხოლმე.

კერასთან დგას ფეხებდაბრეცილი მაგიდა, ამ მაგიდასთან მეცადინეობს ბიძია თომა. იგი წარმოსადეგი, მძლავრი აგებულების კაცია. სახე და ხუჭუჭი თმა ამტკიცებს, რომ ჩამომავლობით წმინდა ზანგია; მისი კეთილი და ჭკვიანი სახე თომას სხვა ზანგებისაგან გამოარჩევს.

_ ბიძია თომა, ამ ასოს სწორად ვერ წერ. ეს ს არის და შენ ხ დაწერე, _ უთხრა ჯორჯმა.

ხლოა ერბოიან ტაფას ცეცხლზე ატრიალებს და თან პატარა ბატონიშვილს უყურებს.

_ საკვირველი საქმეა, _ გაოცებით თქვა მან, _ თეთრკანიანები ყველაფერს ადვილად ახერხებენ! გეამება, როცა უყურებ, რა მარჯვედა წერს ეს ბავშვი, რა სხაპასხუპით კითხულობს, როცა გაკვეთილებს სწავლობს.

_ მამიდა ხლოა, ამასობაში მომშივდა კიდევაც; ჯერ არ გამომცხვარა ქადა? _ შეეკითხა პატარა ჯორჯი.

_ ცოტაც მოითმინე, ჩემო პატარა ბატონიშვილო! _ უთხრა ხლოამ. _ ქადა იბრაწება და ჩქარა მზად იქნება, ძალიან კარგი გამოცხვა.

ხლოამ ღუმელიდან გამოიღო ქადა, რომელიც მშვენივრად იყო გამომცხვარი, დახელოვნებული მზარეულიც ვერ გამოაცხობდა ამაზე უკეთესს. ქადა სუფრაზე მიიტანა და ახლა ძეხვისა და თაფლის კვერების მზადებას შეუდგა.

_ პიტ, მოსე, თქვე ცელქებო, მაგიდას მოეცალენით! _ უთხრა ხლოამ ბავშვებს. _ შვილო, პოლი, შენც იქით დადექ! ახლავე თქვენც მოგცემთ ქადას. ბა-

ტონიშვილო, წერას თავი დაანებეთ და სუფრასთან მიბრძანდით, ივახშმეთ ჩემ ბერიკაცთან ერთად, ახლავე ცხელ-ცხელ ძეხვებს მოგართმევთ.

_ ვიცოდი, რომ გემრიელ ვახშამს გვაჭმევდი, მამიდა! შინ შემეხვეწნენ, მაგრამ არ ვივახშმე, აქ წამოვედი. მე უკეთ ვიცი, სად ამზადებენ უფრო გემრიელ საჭმელს.

_ მაშ ვიღამ უნდა იცოდეს, თუ არა თქვენ, ჩემო გვრიტო! განა არ ვიცი, რომ გონიერი ბატონი გვყავხართ?

ხლოამ მიუალერსა ბავშვს და ისევ ღუმელს მიუბრუნდა.

ჯორჯი გემრიელად შეექცა ვახშამს, ძეხვს მორჩა და ახლა დანა აიღო ქადის დასაჭრელად.

_ ბატონიშვილო, რას ჩადიხართ? მაგ დანით როგორ იქნება ქადის დაჭრა! _ დაუძახა ხლოამ. _ აი, სამაგისო დანა. _ მაგიდის უჯრიდან ამოიღო გალესილი დანა, _ ეს დანა საგანგებოდ მაქვს შენახული ქადის დასაჭრელად. _ ამ სიტყვებით მან დანა დაუსვა ქადას. _ რა კარგად ჭრის, იჰ, რა გაფუებულია, ბუმბულივით მსუბუქია!

_ ტომ ლინკოლნი მარწმუნებდა იმ დღეს, ჩვენმა მზარეულმა თქვენს ხლოაზე კარგი მზარეულობა იცისო, _ თქვა ჯორჯმა ეშმაკური ღიმილით, თან პირი ქადით გამოიტენა.

იმ დროს, როცა ბიძია თომას ქოხში გულდამშვიდებული ბაასობდნენ, მათი ბატონის სახლში ბიძია თომას ბედი წყდებოდა.

სასადილო ოთახში ისხდნენ შელბი და ჰელი. მემამულემ ვაჭარს ქაღალდები გადასცა:

_ ყველაფერი წესიერად გახლავთ, _ თქვა ჰელიმ, როცა ქაღალდები გადაიკითხა, _ ახლა საჭიროა, ნასყიდობის ქაღალდს ხელი მოვაწეროთ.

შელბის ემძიმებოდა ამ ქაღალდზე ხელის მოწერა. შიგ არ ჩაუხედავს, არ წაუკითხავს, ისე მოაწერა საჩქაროდ თავისი გვარი, სადაც ჰელიმ უჩვენა. ჰელიმ ძველი ტყავის ქისიდან ამოიღო თამასუქი და გადასცა შელბის.

_ აჰა, გათავდა მთელი საქმე! _ თქვა ჰელიმ და ფეხზე წამოდგა.

_ გათავდა, დიახ, გათავდა! _ გაიმეორა ჩაფიქრებულმა შელბიმ ჰელის სიტყვა და ღრმად ამოიოხრა.

_ თქვენ როგორღაც გული გეთანაღრებათ? _ შენიშნა ჰელიმ.

_ გახსოვდეთ, ბატონო ჰელი, თქვენი პატიოსანი სიტყვა, რომ თომას ვინმე უცნობი კაცის ხელში არ ჩააგდებთ.

_ განა თქვენ თვითონ უცნობს არ მომყიდეთ?

_ კარგად იცით, რომ მე სხვა გზა არა მქონდა.

_ ვინ იცის, შეიძლება მეც ამგვარ პირობებში ჩავვარდე. თქვენ, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვეცდები, თომა კარგ კაცს მივყიდო. რაც შემეხება მე, ამის იმედი გქონდეთ, რომ კარგად შევინახავ. ღვთის მადლით, მკაცრი კაცი არა ვარ.

შელბი გრძნობდა, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. მაგრამ რა ექნა? მეტი აღარაფერი უთქვამს, ისე გააცილა ვაჭარი თავისი სახლიდან. შემობრუნდა და დარდის გასაქარვებლად სიგარას მოუკიდა.

## მეხუთე თავი

## ელიზა გარბის შელბის სახლიდან

შელბის სახლში ყველა დასაძინებლად წავიდ-წამოვიდა. თვითონ ბატონი შელბი თავის საწოლ ოთახში იჯდა სავარძელში და საღამოთი მოსულ ფოსტას ათვალიერებდა; მისი მეუღლე კი სარკის წინ თმებს ისწორებდა. ქალბატონმა ადრე დაითხოვა ელიზა, რაკი მოახლეს დაღლილობა შეატყო. იმ წუთშიც ელიზაზე ფიქრობდა. უცბად მოაგონდა მასთან ლაპარაკი.

_ არტურ, შენ გენაცვალე, მითხარი, ვინ არის ეგ ბრიყვი, მოუხეშავი კაცი, დღეს შენთან რომ იყო სადილად?

_ მისი გვარია ჰელი, _ უპასუხა შელბიმ თავაუღებლივ. ვითომ რაღაც წერილს ჩასცქეროდა, ნამდვილად კი რცხვენოდა, თავი მაღლა აეღო.

_ მერე რა საქმე ჰქონდა შენთან?

_ მე მასთან საქმე მქონდა ამას წინათ, ქალაქ ნატჩეზში რომ ვიყავი.

_ მერე იმის შემდეგ მეგობრად გთვლის და სადილად გეწვია?

_ სულაც არა, მე თვითონ მოვიწვიე სადილად. მე მასთან ანგარიშები მაქვს.

_ ეგ კაცი მონებით ვაჭრობს? _ შეეკითხა ქალბატონი შელბი, როცა ქმარს უხერხულობა შეამჩნია.

_ ვინ გითხრა შენ ეგა? _ ჰკითხა შელბიმ თავის მხრივ.

_ ელიზა მოვიდა დღეს ჩემთან ნასადილევს საშინლად აღელვებული. იმას ისე მოსჩვენებია, რომ ეგ კაცი ჰარის გევაჭრებოდა. ღმერთო, რა სულელია ის დედაკაცი, რაებს არ მოჩმახავს!

შელბი დუმდა, თითქოს მთელი მისი ყურადღება წერილისკენ იყო მიმართული.

«როცა იქნება, ხომ დამჭირდება გამომჟღავნება, მოდი, ახლა ვეტყვი ყველაფერს», _ ფიქრობდა ის ამ დროს და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

_ ძლივს დავამშვიდე ელიზა, _ განაგრძო ისევ ქალბატონმა შელბიმ: _ დავარწმუნე, რომ შენ არასოდეს გაყიდი მონას.

_ მართალია, ჩემო ემილია, _ გაბედა, როგორც იყო, ლაპარაკი შელბიმ. _ მე ყოველთვის ვამბობდი და ვგრძნობდი მონების შესახებ იმასვე, რასაც შენ, მაგრამ ახლა საქმეები ისე ამეწეწა, რომ იძულებული ვარ, უკიდურეს საშუალებას მივმართო და გავყიდო რომელიმე მონა.

_ ეგ შეუძლებელია! შენ უთუოდ ხუმრობ, არტურ!

_ სამწუხაროდ, არა ვხუმრობ. მე თომას გაყიდვას ვაპირებ.

_ როგორ! თომას?! ერთგულ, კეთილ და ჩვენს მოამაგე თომას გაყიდი? არა, არტურ, ეგ აუტანელი იქნება! გაიხსენე, რამდენჯერ დაპირდი განთავისუფლებას. ახლა კი გაყიდვას უპირებ! მერე ვის ხელში აგდებ? თუ ეგ მართალია, მაშინ ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა! ისიც აღარ გამიკვირდება, რომ ჰარი მოგლიჯო დედას გულიდან.

ქალბატონ შელბის სიბრაზისა და მწუხარებისაგან ხმა აუკანკალდა.

_ ეჰ, ჯობია ახლავე შეგატყობინო, რაცა მაქვს გადა-წყვეტილი. ისიც მართალია, რომ ჰარის ვუპირებ გაყიდვას. თომასთან ერთად ბავშვიც უნდა გავყიდო. მაგრამ ვერ გამიგია, რად მიყურებ ასეთი თვალებით? მონებს ხომ ყველა მემამულე ყიდის?

_ რად ამოარჩიე მაინცდამაინც თომა და ჰარი გასაყიდად?

_ იმიტომ, რომ დიდი ფასი მომცეს. თუმცა შემეძლო კიდევ მეტი ამეღო: ჰელის ძალიან უნდოდა ელიზას ყიდვა.

_ საზიზღარი! ოჰ, ის საზიზღარი! _ დაიყვირა გაბრაზებულმა ქალბატონმა შელბიმ.

_ რად ჯავრობ, ჩემო კარგო! მე გითხარი, შემომევაჭრა-მეთქი, ხომ არ გამიყიდია. ვიცოდი, რომ შენ ელიზას გაყიდვა გეწყინებოდა და ამიტომ უარი ვუთხარი. მაშ, რა მექნა, ემილია? გაიგე ჩემი მდგომარეობა.

ქალბატონმა შელბიმ თავს ძალა დაატანა და ქმარს ცოტა უფრო ლმობიერად დაელაპარაკა.

_ მაპატიე, არტურ, მკვახედ გელაპარაკები. ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ახლაც გონს ვერ მოვსულვარ. მე მაინც გთხოვ, არ გაყიდო ის უბედურები. აბა იფიქრე, როგორ შეიძლება თომას გაყიდვა, შენი გულისათვის თავსაც კი არ დაზოგავს.

_ მართალს ამბობ, ემილია, მაგრამ რა ვქნა, რომ მეტი ღონე არა მაქვს! ახლა გვიანღა არის ამ საგანზე ლაპარაკი.

_ არ შეიძლება, რაიმე სხვა გზით ვიშოვოთ ფული? დაე, გავღარიბდეთ, ყველაფერი ჯობს ამ საშინელ საქმეს, ადამიანებით ვაჭრობას. რა თვალით შევხედო ამის შემდეგ ჩვენს მონებს? მთელი ჩემი სიცოცხლე იმას შევალიე, რომ მონებისთვის კეთილი გრძნობები ჩამენერგა, მათთვის ოჯახი, ბინადარი ცხოვრება შემეყვარებინა. მუდამ იმას ჩავჩიჩინებდი ელიზას, რომ დედის წმინდა მოვალეობა აესრულებინა და შვილი ნამდვილ ადამიანად აღეზარდა, ბავშვის სულის სისპეტაკეზე ეზრუნა. ყოველთვის ვუქადაგებდი, ადამიანი სულიერ ცხოვრებას ყველაფერზე მაღლა უნდა აყენებდეს-მეთქი, და ახლა კი გაიგებს, რომ ჩვენთვის ფულს ყველაფერზე მეტი ფასი ჰქონია. ნორჩი არსება უნდა გადავუგდოთ ურჯულო, გულქვა ადამიანს, რომელსაც შეუძლია არამცთუ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც დაღუპოს ბავშვი...

_ საშინლად მაწუხებს, რომ ამ საქმეში ასე მხურვალედ მონაწილეობ, ჩემო ძვირფასო ემილია! ვგრძნობ, რომ შენ მართალი ხარ... მაგრამ აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება. აქამდის არ მინდოდა შენთან ასეთ საქმეზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ყველაფერი შეგატყობინო. საქმე ისაა, რომ ამ ვა-

ჭარს ჩემი თამასუქები უჭირავს, ეს თამასუქები რომ არ გამიბათილოს, მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი, მთელი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება და ჩვენს მონებსაც ამ საჯარო ვაჭრობაში შეიძენს ყველა, ვინც მოისურვებს და ფასს მისცემს. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ჰელი მთხოვს მხოლოდ თომას და ჰარის. თუ არ დავთანხმდები, იგი თავისას იზამს.

ქმრის სიტყვების გაგონებაზე ქალბატონმა შელბიმ თვალებზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

_ ოჰ, რა საშინელია მონობა! _ წარმოთქვა მან. _ ნამდვილი წამებაა მონისთვისაც და ბატონისთვისაც. მე სულელს მეგონა, შევძლებდი ამ უკუღმართობის მოსპობას. მონობა ყოველთვის დიდ ცოდვად მიმაჩნდა და იმედი მქონდა, შევძლებდი მონობის მძიმე უღლის შემსუბუქებას სათნოებითა და მზრუნველობით. მონების განთავისუფლების საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდი: ვფიქრობდი, მებატონის სახლშიც კარგად მოეწყობა მონების ცხოვრება, თუ მათ ჯეროვნად აღვზრდით-მეთქი. უჰ, რა სულელი ვიყავი!

ქალბატონი შელბი ყველა საშუალებას ეძებდა, რომ დაეხსნა ისინი, ვისთვისაც ახლა ასე იტანჯებოდა.

_ სხვა ძვირფასი ნივთები არა მაქვს, მაგრამ ჩემი  საათი კი ძვირი ღირს. იქნებ, ჰარი მაინც დავიხსნათ იმისი ფასით.

_ გეუბნები, ახლა აღარაფერი მოხერხდება: ნასყიდობის ქაღალდზე ხელი მოვაწერე და ჰელი არაფრის გულისთვის აღარ დაგვითმობს ბავშვს. შენ არ იცი, რა გულქვა კაცია ჰელი. თუ სარფა დაინახა, არაფერს დათმობს.

_ მერე მაგისთანა კაცს ჩაუგდე ხელში თომა და ჰარი? ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

_ ჩემთვისაც სამძიმოა, ემილია! ამიტომ გადავწყვიტე, ხვალ ადრიან სხვაგან წავიდე, რომ მათი წაყვანის დროს აქ არ ვიყო. გირჩევ, შენც წახვიდე სადმე და ელიზაც თან წაიყვანო.

_ არა, მე ეგრე ვერ მოვიქცევი! არ მსურს, ვმონაწილეობდე ასეთ ცუდ საქმეში. წავალ თომასთან, დაე, იცოდნენ, რომ იმათთან ერთად მეც ვიტანჯები. დაე, ნახონ, რომ გული მტკივა მათთვის, მაგრამ შველა არ შემიძლია. რაც შეეხება ელიზას, ამაზე ფიქრიც კი მაშინებს!

ცოლ-ქმარი ამ ლაპარაკში იყო და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ოთახის კარებთან ელიზა იდგა და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს. უბედურ დედას სიმწრისაგან აცივ-აცხელებდა.

ელიზა ქალბატონის სიტყვებმა სავსებით მაინც ვერ დაამშვიდა. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ დასაძინებლად წასულიყო, გადაწყვიტა, როგორმე ნამდვილი ამბავი გაეგო, და, ქალბატონისა და ბატონის ლაპარაკი რომ შემოესმა, ქალბატონის საწოლი ოთახის გვერდით, პატარა ოთახში დაიმალა და ყველაფერი შეიტყო.

როცა ხმაური მიწყდა, ელიზა ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. კაცი ვეღარ იცნობდა, ისე გამოცვლილიყო ამ რამდენიმე წუთში. იმის ნაზსა და მორცხვ სახეს ახლა რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება ეტყობოდა. პირმოკუმული, ფერმიხ-

დილი ის წამით გაჩერდა ქალბატონის საწოლ ოთახთან, თავის გულში გამოეთხოვა მოამაგე ადამიანს და შემდეგ თავისი ოთახისაკენ გაეშურა.

ოთახს რომ თვალი მოავლო, გაახსენდა მთელი თავისი წარსული ცხოვრება, ამ ჭერქვეშ გატარებული ბედნიერი დღეები და გულმა მწარედ შემოჰკვნესა. გადახედა თავის პატარა ჰარის, რომელსაც ტკბილად ეძინა ლოგინში; ხუჭუჭა თმები ბალიშზე ეყარა: მძინარეს სახეზე ღიმილი უკრთოდა.

ამ სურათის დანახვამ ელიზა გამოაფხიზლა, მსწრაფლ შეიკავა თავისი გრძნობები, გამოეთხოვა მოგონებებს და საჩქაროდ მზადებას შეუდგა.

ჰარის ტანსაცმელი და საცვლები ერთად შეკრა და წელზე დაიკიდა. დედის გულმა თავისი შვილის სათამაშოებიც კი არ დაივიწყა. ბოხჩაში გამოკრა ის სათამაშოები, რომლებიც ჰარის უფრო უყვარდა. ეძნელებოდა ბავშვის გაღვიძება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. როგორც იქნა, გააღვიძა, ხელში სათამაშოდ ჭრელი თუთიყუში მისცა და თვითონაც მარდად ჩაიცვა.

_ დედა, სად მივდივართ? _ შეეკითხა ბავშვი, როცა ელიზამ პალტო მიუტანა.

დედამ მხოლოდ შეხედა შვილს და ამ შეხედვით აგრძნობინა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა მათ ცხოვრებაში.

_ ხმადაბლა ილაპარაკე, შვილო, _ უთხრა ელიზამ ჩურჩულით, _ თორემ ხმაურს ვინმე გაიგებს და საქმეს წავახდენთ. ბოროტ კაცს უნდა მომტაცოს ჩემი ჰარი, მაგრამ მე მას არ დავანებებ ჩემ ბიჭიკოს, ახლავე ჩააცმევს დედა და ისე შორს წაიყვანს, რომ ბოროტმა კაცმა ვერ მიაგნოს.

ელიზამ ბავშვს პალტო ჩააცვა, ხელში აიყვანა, უთხრა, კრინტი არ დაძრაო, და ფეხაკრეფით გასრიალდა აივნის კარში.

მოწმენდილი ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ციოდა კიდეც ცოტათი. ელიზამ ბავშვი თბილ თავშალში გაახვია, მაგრამ ბავშვს მაინც შესცივდა პირველ გამოსვლაზე და დედის მკერდს მიეკრა. ეზოში ბრუნომ დაიყეფა, მაგრამ ჩქარა იცნო ელიზა, გაჩუმდა და მიელაქუცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბიძია თომას ქოხთან მივიდნენ.

თომასა და ხლოას ჯერ კიდევ ეღვიძათ.

ფეხის ხმაზე ხლოა ლოგინიდან წამოვარდა, ფანჯარასთან მიირბინა და ფარდა ასწია.

_ ნეტა რა მოხდა, რომ ელიზა მოდის ჩვენთან ამ დროს? ბრუნოც უკან მოსდევს. ადე, კაცო, ჩქარა ტანთ ჩაიცვი, მე კარს გავუღებ, _ თქვა შეშინებულმა.

თომამ ქონის სანთელი აანთო. ხლოამ კარი გააღო და სანთლის მკრთალ შუქზე გაარჩია ელიზას გაფითრებული სახე და ნაღვლით სავსე თვალები.

_ რა დაგემართა, ადამიანო? რა საშინელი სახე გაქვს, ავად ხომ არა ხარ? ჩქარა მითხარი, რა მოხდა?

_ გაქცევას ვაპირებ, ბიძია და მამიდა! ბატონმა ჩემი შვილი გაყიდა და მინდა გადავარჩინო.

_ რაო?! ბავშვი გაყიდა?! _ შეჰყვირეს ერთად.

_ დიახ, მიჰყიდა ისიცა და თქვენც, ბიძია თომა, ერთ ვაჭარს, ჩემი ყურით გავიგონე ეს ბატონისაგან. ქალბატონს ეუბნებოდა: ხვალ ადრიანად უნდა წავიდე სადმე, რომ მათ წაყვანას არ დავესწროო.

სანამ ელიზა ლაპარაკობდა, თომა ხელებაპყრობილი იდგა გაშეშებულივით. როცა გონს მოვიდა, ღონემიხდილი დაეშვა სკამზე და თავი ჩაკიდა. ელიზას მოტანილმა ამბავმა თავზარი დასცა უბედურს.

_ ნუთუ ეს მართალია! _ წარმოთქვა ხლოამ, _ ნეტა რა დააშავა ამ საცოდავმა, რომ ბატონმა გასაყიდად გაიმეტა?!

_ არაფერი. დანაშაულისათვის კი არა ჰყიდის! _ განაგრძო ელიზამ. _ როგორც ბატონის სიტყვებიდან გავიგე, იმ კაცის ბევრი ფული ჰმართებია და, რომ არ დათანხმებულიყო ამათ გაყიდვას, ბატონის მთელი ქონება მონებიანად თურმე საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდა. ჩემი ჰარი ყველაფერს მირჩევნია ქვეყანაზე, ვინ იცის, რა დაემართება, იმ ბოროტი კაცის ხელში რომ ჩავაგდო.

_ ადამიანო, შენ რაღას გაჩერებულხარ? _ მიუბრუნდა ხლოა ქმარს, _ შენც უნდა გაიქცე, თორემ, მაგათ რომ უყურო, ვინ იცის, სამხრეთის ბაზარზე გიკრან თავი გასაყიდად. იქ თურმე აუტანელი მუშაობით ხოცავენ მონებს. ჯერ კიდევ დრო გაქვს გასაქცევად. მე ერთ წუთში მოგიმზადებ ყველაფერს. შენ და ელიზა ბარემ ერთად წადით.

თომამ მწუხარებით შეხედა ცოლს.

_ არა, გაპარვით არ წავალ ამ სახლიდან, _ წარმოთქვა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ხმით. _ ელიზას გაჩერება შეუძლებელია. ამან ბავშვი უნდა გადაარჩინოს როგორმე. მე რომ წავიდე, ბატონს დავღუპავ. ხომ გაიგე, ბატონს მთელი საცხოვრებელი გამოეცლებოდა ხელიდან, თუ არჩეულ მონებს არ გასცემდაო. მე არა მსურს გავხდე მიზეზი ამ სახლის უბედურებისა, ეგ შეუძლებელია. დაე, ისევ მე გამყიდონ. მე სხვაზე ნაკლებად არ ავიტან გაჭირვებას. _ თომა უფრო ცოლის გასამხნევებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ყელში მომდგარი ცრემლები უშლიდა ლაპარაკს. _ მე ყოველთვის ერთგული ვიყავი ბატონისა და ახლაც ერთგული დავრჩები. ნუ გავამტყუნებთ ჩვენს ბატონს. ალბათ, სხვანაირად საქმე მართლა არ მოხერხდებოდა, რომ მონა გასაყიდად გაიმეტა. იმედი მაქვს, ბატონი უნუგეშოდ არ დაგტოვებთ... შენ და საცოდავ...

თომამ ვეღარ დაამთავრა, რისი თქმაც უნდოდა. შეხედა ბავშვებს, რომლებსაც მშვიდად ეძინათ და ხუჭუჭი თმები სასთუმალზე გადაეშალათ. ახლა კი თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი წასკდა.

_ ახლა კი დროა გამოგეთხოვოთ, _ თქვა ელიზამ. _ დღეს ჩემი ქმარი იყო ჩემთან. იმისთვისაც გაუმწარებიათ სიცოცხლე და ისიც გაქცევას აპირებს. თუ კიდევ მოვიდეს აქ, გადაეცით ჩემი უკანასკნელი სალამი. შეატყობინეთ, რომ მე აქედან გავიტაცე ჩვენი შვილი. იმედი მაქვს, ოდესმე მაინც ვეღირსებით ერთმანეთის ნახვას. ბრუნო შეიტყუეთ და დაამწყვდიეთ, თორემ თან მომყვება და საქმეს წამიხდენს.

ელიზა გამოეთხოვა თომასა და ხლოას, მაგრად ჩაიკრა გულში შვილი და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

## მეექვსე თავი

## მღელვარება შელბის ბინაზე ელიზას გაქცევის შემდეგ

მეორე დღეს შელბიმ და მისმა მეუღლემ გვიან გაიღვიძეს. ქალბატონმა შელბიმ კარგა ხანს უცადა, ან ახლა მოვა ელიზა, ან ახლაო, მაგრამ მოახლე არსად ჩანდა. ბოლოს პატარა ბიჭი ანდი გაგზავნა დასაძახებლად. იგი შეშინებული დაბრუნდა ქალბატონთან.

_ ქალბატონო, _ მოახსენა მან, _ ელიზა ოთახში არ გახლავთ; სკივრები თავღია ყრია. ყველაფერი არეულ-დარეულია: ალბათ, გაიქცა ელიზა!

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა. იმათაც თავში გაურბინა აზრმა: უთუოდ ჩვენს ლაპარაკს მოჰკრა ყური და მოინდომა ბავშვის გადარჩენაო.

_ კარგია, რომ თავს უშველა! _ წამოიძახა გახარებულმა ქალბატონმა შელბიმ და თავისუფლად ამოისუნთქა.

ქმარი კი ამ ამბავმა შეაწუხა.

_ რას ამბობ, ქალო? _ უთხრა მან ცოლს, _ რატომ იმას აღარ ფიქრობ, რომ ჰელის შეუძლია, მე დამაბრალოს ელიზას გაპარვა და პასუხისგებაში მიმცეს?

შელბიმ საჩქაროდ ჩაიცვა და ოთახიდან გამოვიდა. სახლში საშინელი ალიაქოთი ატყდა. ყველგან დარბოდნენ და ეძებდნენ, მაგრამ კვალი ვერ იპოვეს, ელიზას მნახველს ვერავის მიაგნეს. მხოლოდ ხლოამ იცოდა ყველაფერი და იმასაც კრინტი არ დაუძრავს. მუდამ მოცინარე სახე დღეს მას მოღრუბლული ჰქონდა. უხმოდ ტრიალებდა სამზარეულოში, კაცს ეგონებოდა, არც კი ეყურება, თუ რა ხდებოდა მის გარშემო.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონის სახლის აივანთან ბლომად შეიკრიბნენ ზანგი ბავშვები. ისინი ვაჭარს უცდიდნენ. ყველას სურდა, პირველს შეეტყობინებინა მისთვის ეს ახალი ამბავი.

_ უჰ, როგორ გაბრაზდება! _ თქვა ღიმილით ანდიმ.

ამ დროს ჰელიც გამოჩნდა, მას სამგზავრო ტანისამოსი ეცვა. ბავშვები შემოეხვივნენ და ახალი ამბავი ყველამ ერთად მიახალა.

ვაჭარმა ლანძღვა-გინება ატეხა და შოლტი დაუქნია ბავშვებს. ისინი უცნაური ხტუნაობითა და მანჭვა-გრეხით სწრაფად გაიფანტნენ, ჰელიმ საქმის განმარტება შელბის მოსთხოვა.

შელბიმ ბევრი არ ალაპარაკა კადნიერი ვაჭარი.

_ ნუ გავიწყდებათ, რომ საქმე პატიოსან ადამიანთან გაქვთ. ყოველნაირ დახმარებას აღმოგიჩენთ გაქცეული მოახლის მოსაძებნად. სამ, ანდი! _ დაუძახა მან თავის ორ მონას, _ შეკაზმეთ ახლავე ცხენები და ბატონ ჰელის ეახლეთ.

თომას გაყიდვისა და ელიზას გაქცევის ამბავი სწრაფად შეიტყვეს მონებმა. ყველა თანაუგრძნობდა ელიზას, ყველა მოწადინებული იყო, ვაჭრისათვის

გზა-კვალი აერია, რომ გაქცეული ელიზა ვერ ეპოვა. ახლა ისიც შეიტყვეს, ქალბატონს გაუხარდა ელიზას გაქცევაო, და ამან ხომ სულ ფრთები შეასხა ყველას.

ცხენების შეკაზმვა სამის დაავალეს. იგი გამოცდილი ადამიანი იყო და, მდევარი რომ შეეფერხებინა, ჰელის ცხენის უნაგირსა და საოფლეს შუა კაკლის ნაჭუჭი ჩაატანა.

_ ასე კარგად იქნება, _ ჩაილაპარაკა და ეშმაკურად ჩაიცინა: _ შეჯდეს ერთი, ჩვენი მხედარი, სწორედ იქით წაიყვანს, საითაც საჭიროა.

როცა ჰელის ცხენები მორთვეს, ქალბატონმა შელბიმ სამს უთხრა:

_ სამ, შენ ამ ბატონს თან უნდა გაჰყვე, ვინძლო ცხენებს გაუფრთხილდე და არ აჭენოთ, _ უკანასკნელი სიტყვები ქალბატონმა ხმადაბლა და განსაკუთრებულად წარმოთქვა.

_ დარდი ნუ გექნებათ, ქალბატონო, გავუფრთხილდები, _ ღრეჭით მიუგო სამმა.

ცხენები ანდის ეჭირა. სამი მიუახლოვდა და რაღაც უთხრა. ორთავემ სიცილი დაიწყო.

გამოჩნდა თვითონ ჰელიც. გემრიელი ყავის შემდეგ კარგ გუნებაზე მოსულიყო. სამმა და ანდიმ დაინახეს თუ არა, დაფაცურდნენ.

_ აბა, ბიჭებო, მარდად! _ დაუძახა ჰელიმ, _ დრო ძვირად გვიღირს.

ჰელი ცხენზე შეჯდა, მაგრამ უნაგირზე გასწორება ვერ მოასწრო, ცხენი ყალყზე შედგა და ელვის სისწრაფით გახტა გვერდზე. ჰელიმ თავი ვერ შეიკავა უნაგირზე, თავდაყირა გადმოვარდა და ბალახებში დაგორდა.

სამი ცხენისაკენ გაიქცა, თავზე ქუდის მაგიერ ბუერა ბალახის ფოთოლი ეხურა და ეშმაკობით ცხენს თავში მოახვედრა. დამფრთხალ ცხენს მეტი არა უნდოდა რა, მთლად გადაირია, შურდულივით გაირბინა ტრიალი მინდორი და ტყეს ეცა. ანდისაც გამოუსხლტნენ ხელიდან ცხენები, რომლებიც მან განგებ არ შეაჩერა და ფრუტუნით გაცვივდნენ მინდორში.

აირია მონასტერი.

ანდი და სამი გიჟებივით დარბოდნენ და რაღაცას ყვიროდნენ. ბავშვებმა საშინელი ღრიანცელი, სიცილი და ტაშისცემა ატეხეს. ჰელი, როგორც იყო, წამოდგა, ლანძღვა-გინებით და ბოღმით ფეხებს აბაკუნებდა, ბატონი შელბი კი აივნიდან აძლევდა ბიჭებს ბრძანებას, მაგრამ მისი ხმა ღრიანცელში აღარავის ესმოდა. ქალბატონი შელბი გულში იცინოდა, გრძნობდა, რომ ყველაფერი ეს განგებ იყო მოწყობილი.

ბოლოს, საათის თორმეტზე, ჰელის ცხენი დაიჭირეს და მოიყვანეს. სამს თვითონ ეჭირა სადავე და წინ მოუძღოდა. ჰელი მივარდა სამს და ლანძღვა დაუწყო.

სამი თავს იმართლებდა და იფიცებოდა, რომ სულითა და გულით მზად იყო სამსახური გაეწია ვაჭრისათვის.

_ ახლა მოჰყვება ყბედობას! _ შეუტია ბრაზმორეულმა ჰელიმ. _ ჩქარა შესხედით ცხენებზე და გზას გავუდგეთ, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

_ რას ბრძანებთ, ბატონო, ახლა ამ ცხენების გაჭენება როგორ შეიძლება. აბა შეხედეთ, ოფლში ცურავენ. არ ვიცი, ბატონო, თქვენი ცხენების ამბავი, მაგრამ ჩვენი ცხენები ეგრე არ გვყავს ნაჩვევი. ბატონი დაგვხოცავს, ცხენებს რომ დავ-მართოთ რამე. თქვენ ელიზასი ნუ გედარდებათ. იმას რა სიარული შეუძლია?! შუადღე გახლავთ, ბარემ ისადილეთ და ისე გავუდგეთ გზას.

ქალბატონი შელბი სიამოვნებით ისმენდა ამ ლაპარაკს; თავს ძალა დაატა-ნა, ალერსიანად გაუღიმა ჰელის და სთხოვა, სადილად დარჩენილიყო.

სადილი უკვე მზად იყო.

მეტი ჩარა არ იყო. ჰელი თუმცა გულზე სკდებოდა, რომ იგვიანებდა, მაგ-რამ ქალბატონ შელბის უარი ვეღარ გაუბედა და დარჩა სადილად.

## მეშვიდე თავი

## ჰელის უშედეგო დევნა

ელიზამ საშინელი მარტოობა იგრძნო, როცა ნაცნობ ადგილებს მოშორდა და ბავშვით ხელში მარტოდმარტო დარჩა.

წინ გრძელი გზა მოჩანდა. ვინ იცის, რა გაჭირვება და საფრთხე მოელოდა მას ამ გზაზე. ტოვებდა ძვირფას ადგილებს, სადაც ამდენ ხანს ბედნიერად და უდარდელად ცხოვრობდა.

მაგრამ მშობლიური სიყვარული ყოველ შიშსა ძლევს. მან მაგრად ჩაიკრა ჰარი გულში. ბავშვის სიმძიმესაც კი ვეღარ გრძნობდა, ნიავივით მიქროდა წინ. ბავშვს თვითონაც შეეძლო სირბილი, მაგრამ დედა ხელიდან არ უშვებდა; იმის შიში, რომ შეიძლება მდევარი გამომიყენონო, მას სიმხნევეს მატებდა და ფრთებს ასხამდა. როცა ჩირგვებში გაიფაჩუნებდა რამე, ელიზას გული გადაუ-ქანდებოდა და ნაბიჯს უმატებდა.

პირველად ბავშვი შიშითა და ცნობისმოყვარეობით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ფხიზლობდა, ყველაფერს ეკითხებოდა დედას. იგი კი ამშვიდებდა:

_ დაწყნარდი, ჩემო სიცოცხლევ! ჩუმად იყავ, ნუ ილაპარაკებ და დედა და-გიხსნის ბოროტი კაცის ხელიდან.

_ რო დავიძინო, ბოროტი კაცი აღარ მომიტაცებს? მითხარი, ჩემო დედილო, აღარ მომიტაცებს?

_ არა, ჩემო გვრიტო! _ ისე უპასუხებდა დედა, რომ თვითონაც ვეღარ ცნობ-და თავის ხმას.

ბავშვმა მხარზე დაადო დედას თავი და მშვიდი ფშვინვა ამოუშვა, ხელე-ბი დედას ყელზე შემოჰხვია. სასწაულმოქმედ ძალას აძლევდა ეს პატარა ფუნ-ჩულა ხელები ელიზას. სუსტი აგებულების, გრძელ მგზავრობას შეუჩვეველი ელიზა ნიავივით მიაქროლებდა თავის ჰარის.

ელიზამ დიდი ხანია გადაიარა თავისი ბატონის ადგილ-მამული. მზის ამოსვლის ჟამს ის უკვე გავიდა მდინარე ოჰაიოსაკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ამ მდინარისაკენ მიეშურებოდა: იცოდა, რომ მდინარის გაღმა მათ განსაცდელი

აღარ მოელოდათ. როგორ მოეწყობოდა მათი ცხოვრება უცხო მხარეში, ამაზე ის ამჟამად არ ფიქრობდა. ამ მდინარეზე ნამყოფი იყო ელიზა: ერთხელ ქალბატონს ახლდა და გზა იცოდა.

როცა შარაგზაზე გავიდა, ცოტა შეისვენა, კაბა და მოსახვევი გაისწორა, შეეცადა დამშვიდებულიყო, რომ არავის ეჭვი არ აეღო, გამოქცეულიაო. ბავშვი დასვა, ხელი მოჰკიდა და გვერდით გაიდევნა. ელიზას ბავშვისათვის ქადები და ვაშლები წამოეღო. რომ წაეხალისებინა ბავშვი, ვაშლს გაუგორებდა გზაზე, ისიც გამოუდგებოდა დასაჭერად და ასე შეუმჩნევლად მიდიოდნენ წინ.

უცებ გზაზე ღობეს წააწყდნენ. ხმაური ისმოდა. ჰარის პური მოშივდა. ელიზამ ბავშვი ღობეზე გადაიყვანა, მდინარის პირას ქვა იპოვა და იმაზე ჩამოჯდა. გახსნა ბოხჩა და ბავშვს საუზმე ამოუღო. ჰარი მადიანად შეექცეოდა და დედასაც სთავაზობდა. უკვირდა და სწყინდა, რომ დედა არაფერს ჭამდა.

_ არა, არ მინდა, შვილო, არა მშია! _ ეუბნებოდა ელიზა და თან ძლივს იმაგრებდა ყელში მომდგარ ცრემლებს.

_ დედას ახლა არა შია, როცა მდინარესთან მივალთ, მაშინ დედაც შეჭამს, _ ეუბნებოდა ის.

ელიზამ საჩქაროდ შეკრა ბოხჩა და ისევ გზას გაუდგა. შეეცადა მხიარული გამომეტყველება მიეღო. ერთი რამ ანუგეშებდა: თუ ნაცნობები შეხვდებოდნენ, ვინც იცნობდა ბატონ შელბის ოჯახს, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამ სათნო ოჯახიდან მოსამსახურე გაიქცეოდა, უცნობები კი არ ჩათვლიდნენ ელიზას მონად, რადგანაც ისიც და მისი შვილიც თეთრკანიანები იყვნენ.

შუადღისას მიადგა ერთ დუქანს, შევიდა დასასვენებლად და სასადილოდ.

რაც უფრო შორს მიდიოდა ელიზა, მით უფრო უშიშრად გრძნობდა თავს, მშვიდდებოდა და ბოლოს შიმშილიც იგრძნო. დუქანში დედაკაცი ვაჭრობდა. მგზავრის დანახვა გაუხარდა, იფიქრა, ხმის გამცემი ვიშოვეო.

მზის ჩასვლისას ელიზა შევიდა მდინარე ოჰაიოს ნაპირზე მდებარე სოფელში. ამ მდინარის იქით ის თავისუფალ ადამიანად გარდაიქმნებოდა.

გაზაფხული იყო. ადიდებულ მდინარეს დიდრონი ყინულები მოჰქონდა. სოფელთან მდინარე უხვევდა და ნაპირის ერთი მხარე დაბალი იყო. ამ მხარეზე მიეყარა დიდრონი ყინულები და გორები აეშენებინა. აქ წყლის კალაპოტი ვიწრო იყო.

ელიზა კარგა ხანს დასცქეროდა ამ ადგილს.

«ასეთ დროს მდინარეზე ბორანი ვერ იმუშავებს», _ გაიფიქრა მან მწუხარედ და ამბის გასაგებად შევიდა იქვე ახლო დუქანში.

დუქნის სამზარეულოში ვიღაც ქალი გაჩქარებული ამზადებდა ვახშამს. მოიხედა, როცა ელიზას შეწუხებული ხმა გაიგონა.

_ რა გნებავთ? _ ჰკითხა მან.

_ ბორანი დადის მდინარეზე?

_ არა, ახლა ვერც ბორანი და ვერც ნავი ვერ იმუშავებს.

ქალმა შენიშნა, რომ ამ ამბავმა ელიზა მეტად შეაწუხა, და თითქოს სანუგეშოდ დაუმატა: _ რად გნებავთ ბორანი? ძალიან საჭიროა თქვენთვის იქით ნაპირზე გასვლა? ავადმყოფი ხომ არავინ გყავთ?

_ იქ ჩემი მშობლები ცხოვრობენ, ჩემი შვილი იყო იმათთან და ავად გამხდომია. ეს ამბავი მხოლოდ გუშინ საღამოთი შევიტყვე, მაშინვე სახლიდან წამოვედი და დაუსვენებლივ ვიარე აქამდის. ვჩქარობდი, თვალნათლივ მდინარეზე გადავსულიყავ.

ელიზას სიტყვებმა იმოქმედა ქალზე; მასაც ჰყავდა შვილები და ადვილად გაიგო დედის მწუხარება.

_ ძალიან სამწუხაროა. სოლომონ! _ დაუძახა მან ვიღაცას.

სამზარეულოს კარებში გულზე ტყავის ფეშტამალ-აფარებული კაცი შემოვიდა.

_ სოლომონ, ხომ არ იცი, მეურმე დღეს გადაიტანს კასრებს იქით ნაპირზე?

_ ამბობდა, უნდა ვცადო გადატანაო, _ უპასუხა კაცმა.

_ აქ, ჩვენს ბაკში დგას დაბარგული ურემი, _ უთხრა ქალმა ელიზას. _ მეურმე ივახშმებს და მერე შევიტყობთ, შეაბამს თუ არა ურემს წასასვლელად. მანამდის კი შეგიძლიათ აქ მოიცადოთ და დაისვენოთ. რა კარგი ბიჭი გყავთ! _ მიუალერსა ქალმა ჰარის და ქადის ნაჭერი შესთავაზა, მაგრამ ბავშვი ატირდა, საშინლად დაღლილი იყო.

_ ძალიან მოიქანცა, დღეს იმოდენა გზა გამოვიარეთ, _ თქვა ელიზამ.

ქალმა ელიზა მიიწვია მეორე ოთახში, სადაც სუფთა ლოგინი ეგო.

ელიზამ ლოგინზე დააწვინა დაღლილი ბავშვი და თვითონაც გვერდით მიუჯდა. სანამ ბავშვს დაეძინებოდა, მისი ხელი ეჭირა ხელში, მაგრამ მოუსვენრობას გრძნობდა: მდევრის ეშინოდა. დაღონებული ადგა, მივიდა ფანჯარასთან და გახედა მქუხარე მდინარეს, რომელიც ამჟამად მას და მის შვილს თავისუფლების მოპოვებას უძნელებდა.

* * *

დავუბრუნდეთ ახლა მის მდევარს.

თუმცა ჰელის უთხრეს, სადილი მზად გახლავსო, მაგრამ სუფრის გაწყობამ დაიგვიანა რაღაც მოულოდნელი გარემოების გამო. ხლოა არ ჩქარობდა, ის რაღაცას ბუტბუტებდა და ზოზინით ამზადებდა სადილს.

ჰელიმ თავისი ყურით გაიგონა, როცა შელბიმ ფიცხელი განკარგულება მისცა, სადილი დააჩქარეთო, მაგრამ სადილმა მაინც დაიგვიანა.

მოახლეები მიხვდნენ, რომ ქალბატონი ხელს უწყობდა ჰელის დაგვიანებას, და ისინიც ეხმარებოდნენ. ხლოას შემწვრისთვის საწებელი გაუფუჭდა და შემწვარი არ მოიტანა, სანამ ხელახლა არ დაამზადა. რაღაც ნამცხვარიც ძალიან მოხერხებულად დაუვარდა ხელიდან, სამზარეულოდან რომ მოჰქონდა. კარგა დიდი დრო დასჭირდა მის შესწორ-შემოსწორებასა და გასუფთავებას.

_ ვაჭარი გულზე სკდება, რომ იგვიანებს, ქალბატონი ამშვიდებს, მაგრამ ის ცოფიანივით დარბის ოთახში და არ იცის, რა ქნას, _ ლაპარაკობდა ანდი სამზარეულოში და თან გულიანად ხარხარებდა.

როგორც იყო, სადილი მიართვეს ბატონებს და ახლა მოახლეებმა იშოვეს დრო სალაპარაკოდ.

_ რა საზიზღარი კაცი ყოფილა! _ დაიწყო ხლოამ ბრაზმორეული კილოთი: _ აბა დააკვირდი, რამდენ ბოროტებას სჩადის! დედას შვილსა სტაცებს, აშორებს ერთმანეთს საყვარელ ადამიანებს. ყველა ამას მოფიქრებით, დამშვიდებული გულით სჩადის და მაგისთანა საძაგლები, ადამიანის სისხლისმსმელები, ბედნიერად ცხოვრობენ! _ მამიდა ხლოას ცრემლები ახრჩობდა.

ამ დროს გაისმა ზარის ხმა. თომას ეძახდნენ ბატონთან.

_ თომა, _ უთხრა შელბიმ თავის დიდი ხნის ერთგულ მოსამსახურეს, _ აი, რისთვის დაგიბარე: დღეიდან ეს კაცი არის შენი ბატონი და მოვალე ვარ, ათასი დოლარი ჯარიმა გადავიხადო, თუ შენ დანიშნულ დროს აქ არ დახვდები. ახლა ის თავის საქმეზე მიდის და შენ კი თავისუფალი ხარ, შეგიძლია, როგორც გსურს, ისე მოიქცე.

_ გმადლობთ, ბატონო!

_ მაშ, კარგად გახსოვდეს, რაც გაიგონე. ისე არ მოიქცე, როგორც მონებსა სჩვევიათ, თორემ, თუ სიტყვა გამიმტყუნე, იცოდე, შენი ბატონი არის პასუხისმგებელი.

_ ბატონო, _ მიმართა თომამ შელბის. _ რვა წლიდან თქვენს ოჯახში ვარ. ერთი წლისა ბრძანდებოდით, როცა ცხონებულმა დედათქვენმა თქვენი თავი ჩამაბარა და მითხრა: თომა, აბა შენ იცი, როგორ მოუვლი და გაუფრთხილდები შენს მომავალ ბატონსაო. ახლა, ბატონო, თქვენ მიბრძანეთ, გავამართლე ეს სიტყვა თუ არა?

ბატონი შელბი მეტად ააღელვა თომას სიტყვებმა, თვალებზე ცრემლები მოერია, მიუახლოვდა და უთხრა:

_ ჩემო კეთილო თომა! მეძნელება შენი მოშორება, ჩემი ნება რომ იყოს, არავის დავუთმობდი შენს თავს.

_ მე ჩემი მხრივ გაძლევ პირობას, _ ჩაერია ლაპარაკში ქალბატონი შელბიც, _ რომ უეჭველად გამოგისყიდით, როგორც კი მოვაგროვებთ საჭირო ფულს. ბატონი ჰელი პატიოსან სიტყვას მაძლევს, რომ შემატყობინებს, სად გაგყიდის.

როგორც იყო, ნაშუადღევის ორ საათზე ბატონ ჰელის ცხენი მოართვეს. სამი და ანდი ნასიამოვნები იყვნენ, რომ ჰელი დააგვიანეს. ახლა კი ერთობ გულმოდგინედ ემსახურებოდნენ.

_ ძაღლები გყავთ თუ არა? _ იკითხა ჰელიმ.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა სამმა თავმოწონებით. _ ჯერ ერთი, ბრუნო, ძალიან გონიერი ძაღლია, ხმაც ისეთი რიხიანი აქვს. ამას გარდა, ყველა ჩვენგანსაც ჰყავს თითო ძაღლი თავ-თავიანთ ქოხში.

_ მე ეგეთ ძაღლებზე არ გეკითხებით. გყავთ თუ არა ზანგებზე ნაგეში ძაღლები-მეთქი. მაგრამ ან რას გეკითხებით, უეჭველია, აქ ამისთანა ძაღლები არ გეყოლებათ.

სამმა კარგად იცოდა, როგორ ძაღლებზედაც ლაპარაკობდა ჰელი, მაგრამ, ვითომ ვერ მიუხვდა, და სიტყვა ბანზე აუგდო.

_ ჩვენს ძაღლებს მშვენიერი ალღო აქვთ, _ განაგრძობდა ის. _ ბრუნო, აქ მო! _ დაუსტვინა მან. იმ წამსვე მოირბინა ნიუფაუნდლენდის ჯიშის დიდმა ძაღლმა და მიელაქუცა სამს.

გაბრაზებულმა ჰელიმ გადააფურთხა და უბრძანა მონებს, ცხენებზე შემსხდარიყვნენ.

როცა შელბის მამულს გასცდნენ, ჰელიმ განაცხადა, საჭიროა, მდინარისაკენ მოკლე გზით წავიდეთო.

_ მე ვიცი ზანგების ჩვეულება: შარაგზით არასდროს არ გაიქცევიან.

_ მართალს ბრძანებთ, ბატონო! _ დაეთანხმა სამი. _ მხოლოდ რომელი მოკლე გზით წავიდეთ. აქ მოკლე გზა ორი გახლავთ. ერთი მოკირწყლულია, მეორე არა.

ანდიმ გაკვირვებულმა შეხედა ამხანაგს, მას არ გაეგონა აქამდის, რომ მეორე გზაც იყო, მაგრამ ჩქარა მიხვდა სამის განზრახვას და ისიც დაემოწმა.

_ მე ასე მგონია, _ განაგრძო სამმა, _ ელიზა მოკირწყლული გზით არ წავიდოდა, ბილიკით წავიდოდა: ბილიკზე მგზავრი ნაკლებია.

ჰელის თავი გამოცდილ კაცად მიაჩნდა, მაგრამ ახლა დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

_ თქვენსას, თქვე გაიძვერებო, კაცი ვერაფერს გაიგებს!

ზანგებმა ერთმანეთს შეხედეს და გაეცინათ, მაგრამ ჩქარა შეიკავეს სიცილი.

«მართლაც, ჭკუასთან უფრო ახლოა, რომ მოკირწყლული გზით არ წავიდოდა», _ გაიფიქრა გულში ჰელიმ.

_ ძნელი გამოსაცნობია, რომელი გზით წავიდოდა, _ თქვა ისევ სამმა. _ ქალისას ადამიანი ვერაფერს გაიგებს: გგონია, უსათუოდ ასე მოიქცევა, ნახავ _ ის კი სწორედ საწინააღმდეგოს ჩაიდენს. მე ასე მგონია, ელიზა იმ ბილიკით უნდა წასულიყო, მაგრამ შეიძლება ის პირიქით მოიქცა. იქნება ჯობდეს მოკირწყლული გზით წავიდეთ?

სამის მსჯელობამ ქალის ხასიათის შესახებ ჰელიზე არ იმოქმედა. მან გადაწყვიტა, მოუკირწყლავი გზით წასულიყო, მეტადრე მას შემდეგ, რაც მათ ლაპარაკს მოჰკრა ყური. სამი და ანდი ხმადაბლა ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რა ძნელი სავალია მოუკირწყლავი გზაო. ჰელიმ იფიქრა: ზანგები ცუღლუტობენ, სურთ გზა გამიძნელონ და გაქცეულს ხელი შეუწყონ განზრახვის შესრულებაშიო.

გაუდგნენ ძველ ბილიკს. დიდი ხანია, ამ გზაზე აღარავინ დადიოდა. მგზავრებმა ერთხანს კარგად იარეს, მაგრამ მერე კი გაჭირდა საქმე. ხან ღობეებს წააწყდნენ, ხან ქოხებს ძველ ნაგზაურზე. ზანგები ხმამაღლა გამოთქვამ-

დნენ უკმაყოფილებას: ცხენებს ფეხებს დააგლეჯს ეს გზა და ბატონს ვეღარ ვეჩვენებითო, ჩიოდნენ ისინი. ჰელი მათ ყურს არ უგდებდა და თავის ცხენს მიერეკებოდა.

სწორედ გაუვალ ადგილებში, სადაც სიჩქარე სრულიად მოუხერხებელი იყო, სამი უცებ აყვირდებოდა: აგერ ბუჩქებში თითქოს ქალის კაბა მოჩანსო, და ჰელიც მაშინვე იქით გააქანებდა ცხენს. ის კი ჩირგვებში გაებმებოდა, ბორძიკობდა ჯირკებზე, ვაჭარი ბრაზობდა და ილანძღებოდა.

ორი საათის სიარულის შემდეგ მგზავრები მიადგნენ უშველებელ ფლატეს. იმის იქით ნაგზაურზე მაღალი ღობე იყო ამართული. წასვლა შეუძლებელი იყო.

_ აკი მოგახსენეთ, ვერ გავივლით-მეთქი, მაგრამ რომ არ დამიჯერეთ! _ თქვა სამმა.

_ გაჩუმდი, შე ავაზაკო! _ დაუყვირა გაბრაზებულმა ჰელიმ: _ შენ ეს ყველაფერი წინათვე კარგად იცოდი!

_ დიახ, ბატონო, ვიცოდი და აკი მოგახსენეთ კიდეც. ანდისაც ეხსომება ჩემი სიტყვები.

მეტი გამოსავალი აღარ იყო, ამ გზისთვის თავი უნდა დაენებებინათ და შარაზე გამოსულიყვნენ. ამის გამო გვარიანად შეიგვიანეს.

ასეთი მგზავრობის წყალობით ელიზა კარგა ხნის დასვენებული იყო, როცა მდევარი ოჰაიოს ნაპირს მიუახლოვდა.

ელიზა ფანჯარასთან იდგა და მდინარეს გაჰყურებდა. სამმა პირველმა მიაჭენა ცხენი დუქანთან და ელიზა დაინახა, შეუმჩნევლად ქუდი გადმოაგდო ძირს, ცხენზე შეტორტმანდა, გადმოიზნიქა და, ვითომ შეშინდა, დასჭყივლა. ელიზამ სამის ხმა იცნო და სწრაფად დაიმალა.

ჰელიმ და ანდიმ ისე გაიარეს ფანჯრის წინ, რომ ელიზა ვერ დაინახეს.

ამ საშინელ წუთებში ელიზამ რაღაც არაჩვეულებრივი ძალა იგრძნო, დასტაცა ხელი ჰარის, უკანა კარიდან გავარდა და მდინარეს მიაშურა. დუქანს რომ გასცილდა, ჰელიმ მოჰკრა თვალი, საჩქაროდ ცხენიდან გადმოხტა, ზანგებს დაუძახა, მიშველეთო, და დასაჭერად გამოუდგა.

ელიზა ფრინველივით მიფრინავდა. ჰელი ფეხდაფეხ მისდევდა. მდინარეს რომ მიუახლოვდნენ, ელიზამ ბავშვი მაგრად ჩაიკრა გულში, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ყინულზე გადახტა. პირველი გადახტომა მარჯვედ მოუვიდა და შედგა ზედ ყინულზე. ჭკუათამყოფელი ადამიანი ამ საქციელს ვერ ჩაიდენდა, მხოლოდ უკიდურესმა გაჭირვებამ გაამეტებინა თავი.

ჰელიმ, სამმა და ანდიმ შეშინებულებმა შეჰყვირეს და უნებლიეთ გაუწოდეს ხელი საშველად.

ყინული შეინძრა და სიმძიმისაგან ჩაძირვა იწყო. ელიზა დიდხანს არ გაჩერებულა, გულგასაგმირავი კივილით გადახტა მეორეზე; ცალ ფეხზე ფეხსაცმელი გასძვრა, წინდა დაეხა, შიშველი ფეხი წვეტიან ყინულს მოხვდა. ქალს ახლა თავისი დარდი არა ჰქონდა, ის არა გრძნობდა არც სიცივეს, არც ტკივილს, ყველაფერი დაავიწყდა ქვეყანაზე. სიზმარივით ელანდებოდა მდინარის მეორე ნა-

პირი და იქით მიილტვოდა მთელი არსებით. ფეხიდან სისხლი სდიოდა და წითელ კვალს აჩნევდა ყინულებზე.

ელიზა გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა უკანასკნელად გადახტა და მიწაზე დაადგა ფეხი. ვიღაც კაცი უყურებდა მის თავგანწირულ ხტომას და მისკენ გაეშურა.

_ ყოჩაღ, _ უთხრა უცნობმა. _ არ ვიცი, ვინ ბრძანდებით, მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ გულადი ქალი ყოფილხართ!

ელიზამ იცნო მოლაპარაკე: ეს იყო შელბის მეზობელი მებატონე.

_ ბატონო სიმეს, _ მიმართა ელიზამ, _ მიშველეთ, დამმალეთ სადმე.

_ ეეჰ, შენ ხომ ბატონი შელბის მონა ხარ! _ თქვა სიმესმა, როცა ქალს კარგად ჩააცქერდა. _ რა დაგმართია?

_ ბატონმა გაყიდა ჩემი შვილი. მყიდველი იქით ნაპირზეა, ძლივს გამოვუსხლტი ხელიდან. ბატონო სიმეს, თქვენც ხომ გყავთ შვილი, გევედრებით, მიშველეთ რამე, გადამირჩინეთ ჩემი ჰარი განსაცდელს!

_ მართალს ამბობ, მართალს! მეცა მყავს შვილი და მესმის შენი მწუხარება. მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, შენისთანა გაბედულ ადამიანს კაცმა უთუოდ ხელი უნდა გაუმართოს. მე ძალიან მიყვარს გამბედაობა, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს. მხოლოდ საქმე ისაა, რა შველა შემიძლია? _ იგი ცოტა ხანს დაფიქრდა და განაგრძო: _ აქ თავის შეფარება არსად არ მოხერხდება. აი, რას გირჩევ: მიდი, აი, იმ სახლში, _ იმან აჩვენა ელიზას დიდი, თეთრი სახლი მდინარის მახლობლად. _ იქ კეთილი ოჯახი ცხოვრობს. ისინი უეჭველად საჭირო დახმარებას აღმოგიჩენენ.

_ ბატონო, ხომ არავის ეტყვით, რომ მნახეთ?

_ გაფრთხილება არ მინდა. შენ დაიმსახურე თავისუფლება და კიდეც მიაღწევ მას.

ელიზა ჩქარი ნაბიჯით წავიდა იმ სახლისაკენ. ბატონმა სიმესმა თვალი გააყოლა.

_ დაე, შელბიმ, რაც უნდა, ის იფიქროს. შეიძლება მე იმას ამჟამად ვღალატობ, როგორც მეზობელს, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო.

ჰელი მდინარის პირას იდგა გაშტერებული. ელიზას საქციელმა მეტად განაცვიფრა. კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა, გაოცებული შეჰყურებდა ხან სამს, ხან ანდის.

_ ძალიან დედაკაცი ყოფილა! _ თქვა ბოლოს სამმა.

_ ეგ დედაკაცი კი არა, ქაჯი ყოფილა! _ დაუმატა ჰელიმ თავის მხრივ, _ ველურ კატასავით არ მიხტოდა ყინულებზე?!

_ ბატონო, შენი ჭირიმე, ნუ გაგვიწყრებით, რომ ვერ გამოვეკიდეთ, _ მოახსენა სამმა ვაჭარს ცუღლუტური ღიმილით. _ ჩვენ არ შეგვეძლო იმ ყინულზე გასვლა.

_ როგორ ბედავ სიცილს, შე არამზადავ! _ დაუყვირა გაბოროტებულმა ჰელიმ.

_ მაპატიეთ, ბატონო, თავი ვეღარ შევიკავე. ძალიან სასაცილო გახლდათ, ხტოდა, ეცემოდა, მიფორთხავდა, რას არ სჩადიოდა ის შეჩვენებული. ნამდვილი კატა იყო, უბრალო კი არა, გაცოფებული.

სამი და ანდი იცინოდნენ. ჰელიმ მათზე მოინდომა ჯავრის ამოყრა და მათრახით გამოუდგა, მაგრამ მათ ცხენებზე შეხტომა მოასწრეს და გაქუსლეს.

_ უკაცრავად, მეტი მოცდა აღარ შეგვიძლია, _ მოიხადეს მათ დაცინვით ბოდიში განრისხებულ ვაჭართან. _ ქალბატონი გაგვიჯავრდება, თუ ცხენები დროზე არ მივრეკეთ სახლში.

## მერვე თავი

## გულკეთილი ხალხი

სენატორ ბერდის სასტუმრო ოთახის ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. მისი შუქი მთელ ოთახს ანათებდა და სასადილო მაგიდაზე ჩაის ჭურჭელს აპრიალებდა. ქალბატონი ბერდი მაგიდას აწყობდა. ოთახში ბავშვები თამაშობდნენ. სენატორი ბერდი, ის იყო, საიდანღაც დაბრუნებულიყო, ყელიანი წაღები გაეხადა და საშინაო ქოშებს იცვამდა. ქალბატონი ბერდი ქმარ-შვილში ბედნიერად გრძნობდა თავს. სახეზე მხიარული ღიმილი უკრთოდა.

_ როგორ გამიხარდა შენი ადრე მოსვლა, _ უთხრა ცოლმა ქმარს.

_ აქვე, ახლოს მქონდა საქმე. ვიფიქრე, ბარემ შინ შევივლი, ღამეს ცოლშვილთან გავატარებ და ხვალ განვაგრძობ-მეთქი გზას. დაღლილი ვარ და თავიც მტკივა.

ცოლმა თავის ტკივილის წამლის მოტანა დააპირა, მაგრამ ქმარმა შეაჩერა.

_ არა, მერი, უწამლოდაც გაივლის, ერთ ჭიქა კარგ ჩაის დავლევ, კარგად დავისვენებ და ეს არგებს ჩემს თავის ტკივილს. სწორედ რომ მოსაბეზრებელია სამსახური.

_ რა საკითხებს არჩევს ამჟამად სენატი? _ ჰკითხა ქალბატონმა ბერდმა ქმარს.

სენატორი გააკვირვა ცოლის ცნობისმოყვარეობამ. აქამდის ქალს სახელმწიფო საქმეებზე არასდროს არაფერი უკითხავს ქმრისათვის. ის ოჯახურ საქმეებში იყო გართული და არ აინტერესებდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკითხები.

_ დავიჯერო, მართლა გამოსცა სენატმა ისეთი კანონი, რომლის ძალითაც ამერიკელ მოქალაქეს ეკრძალება, დაეხმაროს მონა ზანგებს? ნუთუ მე ნება არა მაქვს, გავათბო და გავაძღო საბრალო დევნილი ზანგები, თუ ისინი მთხოვენ თავშესაფარს ან სასმელ-საჭმელს?

_ რას ვიზამთ, ჩემო ძვირფასო! თუ დაეხმარები გაქცეულებს, ამით ხელს შეუწყობ ბოროტმოქმედებას. ჩვენი კანონები უკრძალავს მონას ბატონის სახლიდან გაქცევას. ცნობილია, რომ იმათ ასეთი საქციელით ზარალი მოაქვთ მთელი სახელმწიფოსათვის.

_ მეტად სასტიკი კანონია! ვერავინ დამარწმუნებს, რომ კაცთმოყვარეობით კაცი ბოროტებას სჩადიოდეს.

ქალბატონი ბერდი წამოწითლდა, მღელვარება დაეტყო, გრძნობდა, რომ მართალი იყო.

_ ყური დამიგდე, მერი, _ შეეცადა სენატორი ცოლისათვის კანონის განმარტებას.

_ ჯონ, ნუ ცდილობ მაგისთანა კანონის გამართლებას. სიტყვით რაც გინდა თქვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შემთხვევა რომ მოგეცეს, უეჭველად დაეხმარები გაჭირვებულ მონა-ზანგს. ერთი მითხარი, თუ სინდისი გაქვს, განა სახლიდან დაითხოვ უბინაო და უმწეო ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ ის გაქცევია უდიერ ბატონს?

სენატორი კეთილი და გულჩვილი ადამიანი იყო. ცოლმა იცოდა ეს და ამიტომ ელაპარაკებოდა ასე თამამად.

_ ჯონ, თუ გიყვარვარ, მითხარი, განა გაიმეტებ და ასეთ ავდარში დაითხოვ სახლიდან, თავშესაფარი რომ გთხოვოს გაქცეულმა მონამ? ან დაატუსაღებ?

სენატორი ცდილობდა, როგორმე უპასუხოდ დაეტოვებინა ეს უხერხული კითხვები, მაგრამ ცოლი მოსვენებას არ აძლევდა.

_ მერე რა ვუყოთ! ჩემთვის მეტად სამძიმო იქნებოდა კანონის დარღვევა; იქნება დამერღვია კიდეც, მაგრამ მაინც მოვალედ ჩავთვლიდი ჩემს თავს...

_ რა უშინაარსო სიტყვებია, ჯონ! დავიჯერო, ვერ გრძნობ, რომ მაგ სიტყვებს აზრი არა აქვს? თუ მემამულეებს სურთ, რომ მონები მათი ერთგულები იყვნენ, თვითონაც კარგად უნდა ეპყრობოდნენ. გარწმუნებ, ჯონ, ბედნიერი ადამიანი თავის დღეში არ გაიქცევა სახლიდან. თუ მონა გაქცეულა _ ალბათ, ტანჯვასა და მწუხარებას გაქცევია, ასეთ ადამიანთან ბრძოლა კი უსამართლობა იქნება. თქვენს კანონებს არ შევხედავ და ისე მოვიქცევი, როგორც სინდისი მიკარნახებს.

სენატორის ცოლი წყნარი ხასიათის, ჩვილი გულის პატრონი იყო, მოშიშარიც კი; მაგრამ როცა ხედავდა უსამართლობას და უდიერობას, მისი არსება ამას ვერ ითმენდა: ეს სუსტი, პატარა დედაკაცი ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩენდა ხოლმე. ერთხელ თავისი პატარა ვაჟიშვილი სასტიკად დასაჯა კატის კნუტის წვალებისათვის. ეს სასჯელი ბავშვისათვის დაუვიწყარი იყო.

_ ეგ ყველაფერი კარგია, რასაც შენ ლაპარაკობ, ჩემო კარგო, _ შეეცადა კიდევ შეკამათებას ქმარი, _ შეიძლება შენ მართალი იყო, მაგრამ, თუ გულმშვიდად განვსჯით...

_ მე მძაგს მსჯელობა, _ გააწყვეტინა ქალმა ქმარს ლაპარაკი: _ ამგვარი მსჯელობიდან არაფერი გამოდის. პირიქით, ნათელ საგანს ბურუსში გაახვევს. მე კარგად გიცნობ, ჯონ, და დარწმუნებული ვარ, შენც ისევე მოიქცევი ასეთ შემთხვევაში, როგორც მე.

ამ დროს მოხუცმა ზანგმა ქუჯომ ქალბატონს სამზარეულოში დაუძახა. სენატორი კმაყოფილი იყო, რომ ამით გათავდა ეს უსიამოვნო საუბარი, გასწორდა სავარძელში და გაზეთის კითხვა დაიწყო.

_ ჯონ, ერთ წამს აქ მოდი! _ დაუძახა ქალბატონმა ბერდმა აღელვებული ხმით. სენატორმა გაზეთი გადადო და სამზარეულოში შევიდა.

სამზარეულოში სენატორმა შემაძრწუნებელი სურათი ნახა: გრძელ სკამზე ესვენა ვიღაც გულწასული ახალგაზრდა ქალი. მას ტანსაცმელი დაფლეთილი და დასველებული ჰქონდა, შიშველი ფეხები დასერილი და დასისხლიანებული. მშვენიერ სახეზე სამარის ფერი დასდებოდა.

სენატორს გული მოუკლა ამ სურათის დანახვამ. ქალბატონი ბერდი თავს დასტრიალებდა გულწასულ ქალს; მას ეხმარებოდა მოხუცი მოახლე დინა. ქუჯოს პატარა ბავშვი ეჭირა, გათოშილს ფეხსაცმელს ხდიდა და თანაც ფეხებს უსრესდა.

_ საწყალი ქალი, რა ლამაზია, კალმით ნახატია! _ თქვა დინამ, _ რა ლამაზი სახე აქვს! უთუოდ სითბომ აწყინა. მე ვკითხე, სადაური ხარ-მეთქი, და უცებ ჩაიკეცა. ერთი შეხედეთ, ქალბატონო, რა ბროლივით თითები აქვს. ეტყობა, ტლანქ მუშაობას არ არის ჩვეული.

ამ დროს გულწასული ქალი _ ეს იყო ელიზა _ გონს მოვიდა. თვალი გაახილა, შეხედა ქალბატონ ბერდს და შეშფოთებულმა წამოიძახა:

_ სად არის ჩემი ჰარი! ნუთუ მომტაცეს შვილი!

ბავშვმა გაიგონა დედის ხმა, ქუჯოს კალთიდან გადმოხტა და დედასთან მიირბინა.

_ ქალბატონო, აი ჩემი შვილი, გთხოვთ, გაუწიოთ მფარველობა, ნუ ჩაუგდებთ ხელში მდევრებს!

_ დამშვიდდით, თქვენ აქ ხელს ვერავინ გახლებთ, _ ალერსიანად უთხრა ქალბატონმა ბერდმა. _ აქ არავითარი საფრთხე არ მოგელით.

_ გმადლობთ, _ წარმოთქვა დასუსტებული ხმით ელიზამ, სახეზე ხელები მიიფარა და ატირდა.

ბავშვი დედასთან ტრიალებდა, უნდოდა, კალთაში ჩასჯდომოდა. ქალბატონმა ბერდმა ძლივძლივობით დაამშვიდა აღელვებული ქალი. სამზარეულოშივე ღუმელთან გაუმართეს ლოგინი. ქალმა გვერდით მოიწვინა ჰარი, მაგრად მოხვია მკლავები, გულში ჩაიკრა და ისე ჩაიძინა. ბავშვმაც ჩქარა დაიძინა. დედას ძილშიც არ მოუშორებია მკლავები ბავშვისათვის.

სახლის პატრონები გავიდნენ სასტუმრო ოთახში. არც ერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს. ქალი შეუდგა ხელსაქმეს, სენატორმა კი გაზეთი აიღო.

_ ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ქალი?! _ წარმოთქვა ბოლოს ბერდმა.

_ როცა დაისვენებს და გამოიძინებს, ყველაფერს გავიგებთ, _ უპასუხა ცოლმა.

_ იცი, რა გითხრა, _ განაგრძო ბერდმა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

_ რა იყო, ჩემო კარგო?

_ არ შეიძლება, ერთ-ერთი შენი კაბა გადაუკეთოთ, რომ გამოადგეს? მგონი, ქალი შენზე მაღალია.

ქალბატონ ბერდს ქმრის სიტყვებზე გაეღიმა და უპასუხა, შესაძლებელიაო.

ოთახში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

_ იცი, კიდევ რა უნდა გითხრა, ჩემო კარგო? _ თქვა კიდევ ბერდმა.

_ რა უნდა მითხრა?

_ როგორ გგონია, არ შეიძლება ჩემი დიდი შალიც მივცეთ, კაბინეტში რომ მახურავს ხოლმე?

ამ დროს დინამ შეატყობინა ბატონებს, ქალმა გაიღვიძა და ქალბატონის ნახვას ნდომობსო.

ცოლ-ქმარი შევიდა სამზარეულოში. მათ თან გაჰყვა ორი უფროსი ვაჟიშვილიც, პატარებს კი უკვე ეძინათ.

ელიზა იჯდა სკამზე და დაფიქრებული შეჰყურებდა ბუხარს. თუმცა ამ წუთას ის დამშვიდებული იყო, სახეზე მაინც სასოწარკვეთილება ეხატებოდა.

_ ჩემი ნახვა გდომებიათ, ჩემო კარგო? _ მიმართა ქალბატონმა ბერდმა ალერსიანად, _ ხომ დაისვენეთ ცოტათი მაინც?

ელიზამ პასუხი ვერ მოახერხა, მხოლოდ ღრმად ამოიოხრა და ისეთი მწუხარე თვალებითა და მუდარით შეხედა, რომ ქალბატონ ბერდს თვალებზე ცრემლი მოერია.

_ თქვენ ნურაფრის გეშინიათ, _ დაამშვიდა მან ელიზა, _ აქ მეგობრებში იმყოფებით. მითხარით, ვინ ხართ, ან რა სამსახურის გაწევა შემიძლია?

_ მე კენტუკიდან გეახელით.

_ როდის მოხვედით? _ ჰკითხა ბატონმა ბერდმა.

_ დღეს საღამოთი.

_ როგორ გადმოხვედით მდინარეზე?

_ ყინულებზე გადმოვედი.

_ როგორ თუ ყინულებზე?! _ განცვიფრებით შესძახა ყველამ.

_ დიახ, ყინულებზე, _ განაგრძო ელიზამ. _ მდევარი დამეწია და ყინულზე შევხტი, მეტი გზა არ მქონდა.

_ ქალბატონო, გესმით, რას ამბობს ეს საცოდავი! _ წამოიძახა ქუჯომ, _ მდინარე დღეს დაიძრა, არემარე თან მოაქვს, თოშით არის სავსე!

_ დიახ, აგრე გახლავთ, მაგრამ მე მოვაღწიე აქეთ ნაპირს. არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი, მაგრამ სხვა გზა არა მქონდა. ვირჩიე ან სიკვდილი, ან ტყვეობიდან გადარჩენა.

_ თქვენ მონა ხომ არა ხართ? _ შეეკითხა ბატონი ბერდი.

_ დიახ, ბატონო! გახლავარ ერთი კენტუკელი მებატონის მონა.

_ ბატონი ცუდად გეპყრობოდა?

_ ოჰ, არა, პირიქით, მეტად კეთილი კაცი ბრძანდება.

_ მაშ, ცოლი ეყოლება ავი!

_ არა, ბატონო! მეუღლეც კეთილი ადამიანი ბრძანდება და კარგად მეპყრობოდა.

_ მაშ რად გამოიქეცით, რად მიიღეთ ამდენი ტანჯვა?

ელიზამ დაკვირვებით შეხედა ქალბატონ ბერდს და შენიშნა, რომ შავი კაბა ეცვა.

_ ქალბატონო, თქვენ შვილის სიმწარე ხომ არ გამოგიცდიათ?

ეს მეტად მოულოდნელი კითხვა იყო ქალისათვის. ქალბატონ ბერდს გულში მოხვდა ეს სიტყვები და განუკურნავი წყლული აუშალა: ერთი თვის წინათ მთელი მათი ოჯახის თვალი, საყვარელი უმცროსი შვილი მიაბარა მიწას.

სენატორზედაც საშინლად იმოქმედა ამ კითხვამ. მან პირი ფანჯრისაკენ მიიბრუნა, რომ თვალებზე მომდგარი ცრემლები მეუღლისათვის არ დაენახვებინა, ქალბატონმა ბერდმა კი მწარე ქვითინი ამოუშვა.

_ რად მომეცით ეგეთი კითხვა? _ ჰკითხა მან ელიზას, როცა დამშვიდდა და ლაპარაკი შეძლო. _ მართალია, ამ ერთი თვის წინათ ვაჟიშვილი დავმარხე.

_ მაშ, მეც შემიბრალეთ, _ წარმოთქვა ელიზამ, _ მე ორი შვილი დავმარხე კენტუკში. დამრჩა მხოლოდ ეს ერთადერთი ნუგეში. ამაზე ამომდის მზე და მთვარე. ამას უდედოდ ჯერ ერთი დღეც არ გაუტარებია და, აი, ამის მოტაცება დამიპირეს. შვილი გამიყიდეს და სამხრეთის ბაზარზე უპირებდნენ წაყვანას. ეს ვერ ავიტანე და გამოვიქეცი ჩემი ბავშვით. ვაჭარი უკან დამედევნა. თან ორი მონა ახლდა ჩემი ბატონისა. მდევარი მდინარის პირას წამომეწია და, რაკი მეტი ხსნა აღარ იყო, მდინარეს მივმართე. მახსოვს, როგორ გადავხტი პირველად ყინულზე. შემდეგ რას ვშვრებოდი, აღარაფერი მესმოდა. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ ერთმა კეთილმა კაცმა ამომიყვანა ნაპირზე.

ელიზას ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია ამ ლაპარაკის დროს, იმ მდგომარეობამდის იყო მისული, როდესაც ადამიანს ცრემლიც კი უშრება.

მსმენელნი ყველანი ტიროდნენ. პატარა ბავშვებიც დედის კაბის კალთას აკვროდნენ და იცრემლებოდნენ.

სენატორს არ უნდოდა დაენახვებინა თავისი მღელვარება, ფანჯარასთან მივიდა და იქიდან ისმოდა მისი სლუკუნი.

_ აკი წეღან თქვი, ჩემი ბატონი კეთილი კაცი არისო? _ მიუბრუნდა ის უცებ ელიზას. მის ხმაში შეკავებული ტირილი ისმოდა.

_ ახლაც მოგახსენებთ, რომ კეთილი ადამიანები არიან ისიც და მისი მეუღლეც, მაგრამ საქმეები აეწეწათ, ვალი აიღეს და მონებით ვაჭრის ქსელში გაებნენ: მე თვითონ გავიგონე ჩემი ყურით _ ქალბატონი ემუდარებოდა ბატონს, მონებს ნუ გაყიდიო, მაგრამ ხვეწნა ამაო აღმოჩნდა, რადგანაც ვაჭარს უკვე ყველაფერი მოეწყო და ბატონისათვის ნასყიდობის ქაღალდზე ხელი მოეწერინებინა. ამ ლაპარაკის გაგონების შემდეგ გადავწყვიტე გაქცევა, რადგანაც დავრწმუნდი, რომ ბატონის სახლში, სულ ერთია, აღარ მედგომებოდა. მე ქვეყანაზე აღარავინ მყავს ნუგეშად, ჩემი ჰარის მეტი.

_ განა ქმარი არა გყავთ?

_ ქმარი მყავს, მაგრამ ის სხვა ბატონის მონაა. ბოროტი ბატონი ჰყავს, ცოლშვილის სანახავად არ უშვებდა ხოლმე, ამ ბოლო დროს კი სულ დღე გაუმწარა, ემუქრებოდა, სამხრეთის ბაზარზე გაგყიდიო. აღარ ვიცი, ვნახავ კიდევ ოდესმე იმას თუ არა!

ელიზა ისე დამშვიდებულად ლაპარაკობდა, კაცს შეცდომაში შეიყვანდა: აფიქრებინებდა, შორეული კაცის ამბავს უამბობს და არა წუხსო, მაგრამ თვალები უნუგეშო მწუხარებით ჰქონდა სავსე.

_ ახლა სად გინდა წახვიდე, შე საბრალო? _ ჰკითხა ქალბატონმა ბერდმა.

_ კანადაში მივდივარ, გზა კი არ ვიცი. აქედან შორს გახლავთ?

ქალბატონმა ბერდმა თავისი მოპყრობით ელიზას სრული ნდობა დაიმსახურა, ამიტომ ყველაფერზე გულახდილად ელაპარაკებოდა.

_ საბრალო ბავშვო! გეტყობა, წარმოდგენა არა გაქვს, რამ სიშორეზეა აქედან კანადა. მაგრამ ჩვენ რამეს ვიღონებთ. დინა, _ მიუბრუნდა ის მოახლე დედაკაცს, _ ამაღამ შენს ოთახში მოათავსე ეს ქალი თავისი ბავშვით და ხვალ მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ. გულს ნუ გაიტეხ, ჩემო კარგო! _ შეეცადა ელიზას დამშვიდებას ქალბატონი ბერდი.

სენატორი და მისი ცოლი ისევე სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ. ქალი ბუხარს მიუჯდა და ჩაფიქრდა. ქმარი ოთახში დადიოდა, ბოლოს მიუახლოვდა ცოლს და უთხრა:

_ იცი, რა უნდა გითხრა, ჩემო ძვირფასო! ეგ ქალი ამაღამვე უნდა წავიყვანოთ ჩვენი სახლიდან. თუ გათენებას მოვუცადეთ, ვაჭარი კვალს მოჰყვება და დილით კარს მოგვადგება. მარტო ქალი რომ იყოს, შეიძლებოდა დამალვა, მაგრამ ბავშვით ძნელი დასამალია: შეიძლება ბავშვმა უდროო დროს მიირბინოს ფანჯარასთან, ან გარეთ გავარდეს და სხვა ამისთანა. ჩემს სახლში რომ აღმოაჩინონ გაქცეულები, მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები, რადგან მეც ვმონაწილეობდი ახალი კანონის გატარებაში. ამერიკელ მოქალაქეებს ეკრძალებათ გაქცეული მონების დაფარვა. არა, ამაღამვე უნდა გავგზავნოთ სადმე!

_ როგორ შეიძლება ახლა ამათი მგზავრობა? ან სად უნდა გავგზავნოთ?

_ ერთი აზრი მომივიდა თავში, _ თქვა სენატორმა და თან ჩექმების ჩაცმა დაიწყო.

ქალბატონი ბერდი ფრთხილი ადამიანი იყო და ქმარს ამჯერად არაფერი უთხრა. ის უხმოდ იჯდა სავარძელში და უცდიდა, რას იზამდა მისი ქმარი. ქალმა კარგად იცოდა, რა აზრი უტრიალებდა ბერდს ამ წამს თავში.

_ აი, რა მოვიფიქრე, _ თქვა სენატორმა, როცა ჩექმები ჩაიცვა და ფეხზე წამოდგა, _ აქ ახლო ერთი კარგი მეგობარი მყავს, გვარად ვან-ტრომპი. იმის სახლამდის შვიდი მილი იქნება. ის თვითონაც კენტუკიდან არის გადმოსახლებული, ყველა თავისი მონა გაათავისუფლა და აქ დასახლდა საცხოვრებლად. ისეთ მიუვალ ადგილას ცხოვრობს, რომ ადვილად ვერ იპოვის უცხო კაცი. ჩვენი სტუმრისათვის იქ მშვენიერი თავშესაფარი იქნება. მხოლოდ ეს არის, რომ ჩემს მეტი მაგათ იქ ვერავინ მიიყვანს.

_ ქუჯო ვერ მიაგნებს? ის ხომ მშვენიერი მეეტლეა.

_ ეგ მართალია, მაგრამ იმან გზა არ იცის, ორ ალაგას არის მდინარეზე გადასასვლელი და ერთგან ფონი არა აქვს. მდინარე კარგად მაქვს შესწავლილი, რადგანაც ხშირად მიხდება მგზავრობა. ერთი სიტყვით, ზედმეტია ლაპარაკი. ქუჯომ ღამის თორმეტი საათისათვის ეტლი მოამზადოს, სხვა არაფერია საჭირო. თვითონ წავიყვან. იქიდან კვალის დასაკარგავად წავალ კოლომბოში. იქ დილით ეტლები მიდის ხოლმე და ისე ეგონებათ, ვითომ ღამით წავედით, რომ დილით ეტლისათვის ჩაგვესწრო. კოლომბოში ცოტაოდენი საქმეცა მაქვს... რას

იტყოდნენ ახლა ჩემი თანამოსამსახურენი, რომ გაიგონ, რა საქმეს ვაწყობ ამ წამში, მაგრამ არ დავეძებ, რაც უნდათ, იფიქრონ, ჩემთვის სულ ერთია!

_ კარგად ვიცი, ჯონ, რომ შენ გულკეთილი ადამიანი ხარ! _ უთხრა სენატორს ცოლმა და მხარზე ნაზად დაადო ხელი, _ აზრები სხვაა და გრძნობები სულ სხვა. სწორედ მაგ შენი კეთილი გულისათვის შემიყვარდი.

ქალბატონი ბერდი მშვენიერი რამ იყო ამ ლაპარაკის დროს. ლამაზი თვალები ნაზ სიყვარულს აშუქებდა. ცოლის სახის გამომეტყველებამ სენატორი მოხიბლა.

იგი კარისაკენ წავიდა, რომ საჭირო განკარგულება გაეცა ეტლის მოსამზადებლად, მაგრამ რაღაცა მოაგონდა და უკან გამობრუნდა.

_ მერი, _ უთხრა მან ცოლს გაუბედავად, _ შენთვის სამძიმო ხომ არ იქნება, რომ ჩვენი პატარა ჰენრის ნაცვამი ტანისამოსი მივცეთ იმ ბავშვს. მთელი სკივრი გვაქვს სავსე იმის ტანსაცმლით, _ უთხრა ცოლს და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა.

ქალბატონი ბერდი ბავშვების ოთახში შევიდა. შანდალი დადგა, გასაღები ამოიღო სკივრის გასაღებად, მაგრამ აქ ის უეცრად ფიქრებმა წაიღო.

დედას უფროსი შვილებიც შეჰყვნენ ოთახში. ბავშვები გაშტერებულები შესცქეროდნენ დედას.

ქალმა, როგორც იყო, ღონე მოიკრიბა და გააღო სკივრი, რომელშიც ელაგა ახლად გარდაცვლილი უმცროსი ვაჟის ნივთები: პერანგები, ხალათები, წინდები, ქუსლმოქცეული ფეხსაცმელებიც კი შეენახათ.

ქალბატონი სკივრის კიდეზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა, მაგრამ ჩქარა შეიკავა თავი, დასძლია მწუხარება და გულმაგრად შეუდგა ძვირფასი, დაუვიწყარი ნივთების გადარჩევას. საჩქაროდ ამოარჩია საუკეთესო ტანისამოსი და საცვლები.

_ დედა, რად იღებ, განა უნდა მისცე ვისმე ჰენრის ნივთები? _ ჰკითხეს დედას ბავშვებმა.

_ შვილებო, ჩვენი საყვარელი ჰენრი რომ ახლა ჩვენთან იყოს, თვითონაც სიამოვნებით აჩუქებდა გაჭირვებულ ბავშვს თავის ნივთებს. ჩემთვის ძნელია ამ ნივთების შელევა და ვერც გავიმეტებდი, ვინმე ბედნიერი ოჯახის ბავშვისათვის რომ ეთხოვათ, მაგრამ ისეთ ადამიანს ვაძლევ, რომელიც ჩემზე მეტადაა შეწუხებული.

ბავშვის ტანისამოსი რომ გადაარჩია, ახლა თავის ოთახში შევიდა და ელიზასათვის აარჩია ტანისამოსი. კაბებს გადაკეთება დასჭირდა და ქალბატონი ბერდი ღამის თორმეტ საათამდე კერავდა, თორმეტზე კი ეტლი მზად იყო. სენატორი ბერდი უკვე ჩაცმული შემოვიდა და უთხრა ცოლს: წასვლის დროაო.

ყველა დამზადებული ნივთი ჩადეს ერთ ყუთში და ეტლში ჩადგეს. გამოვიდა ელიზაც, გამოწყობილი ქალბატონ ბერდის ტანისამოსში. ხელში ნამძინარევი ბავშვი ეჭირა, ისიც ახალ ტანისამოსში გამოწყობილი. ქალბატონი ბერდი ეტლამდის გაჰყვა და გამოთხოვების დროს ელიზას თავისი ნაზი ხელი გაუწოდა. ელიზას არანაკლებ ნაზმა და ფაქიზმა ხელმა მას ჩამორთმევით მადლობა

გადაუხადა. ელიზას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მღელვარებამ შეიპყრო და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა, მხოლოდ მადლიერი სახით შეჰყურებდა თავის კეთილისმყოფელს. მისი თვალები სიტყვებზე მეტად გამოხატავდა მადლიერი ადამიანის გრძნობას.

ეტლი დაიძრა. ელიზა ეტლს ზურგით მიეყრდნო და ტირილი დაიწყო. გზაზე საშინელი ტალახი იყო. ალაგ-ალაგ, ოღროჩოღრო ადგილებში, ფიჩხი ჩაეყარათ, რადგან უამისოდ გავლა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ნიაღვარს ფიჩხი წაეღო და ნაკეთებ ადგილებში მხოლოდ დიდრონი კუნძებიღა დარჩენილიყო. ეტლი საშინლად ჯაყჯაყებდა, ქუჯო ყოჩაღად იჯდა კოფოზე. ცხენები წამდაუწუმ ტალახში ეფლობოდნენ, მაგრამ ჩვენი მგზავრები მაინც ნელ-ნელა გზას იმოკლებდნენ. ერთ ღრანტეში ეტლი მაგრად ჩაიფლო ლაფში. ცხენებმა ვეღარ გასწიეს და ეტლს ტალახიდან ხელით ამოთრევა დასჭირდა. ქუჯო გადმოხტა კოფოდან და სენატორს ამცნო საქმის ვითარება. მეტი გზა არ იყო, ბატონი ბერდი ეტლიდან გადმოვიდა და ქუჯოს მოეხმარა მუშაობაში. კარგა ხანს ეჯაჯგურნენ. სენატორი ტალახში ჩავარდა და მეეტლემ ძლივს ამოიყვანა მთლად გათხუპნული. როგორც იყო, ეტლი ამოათრიეს ტალახიდან და გაუდგნენ გზას. მხოლოდ გათენებისას მიუახლოვდნენ ფერმას. კარგა ხანი აზრახუნეს კარებზე, სანამ ვისმე გააგონებდნენ. ბოლოს თვითონ სახლის პატრონი გამოვიდა და კარი გაუღო მგზავრებს.

მხარბეჭიანი კაცი იყო. დიდი თმა და წვერი ჰქონდა, ტანზე მონადირის წითელი ხალათი ეცვა. ერთი შეხედვით, მნახველზე ვერ ახდენდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას. მისი სახელი და გვარი იყო ჯონ ვან-ტრომპი. აბურძგნული თმა და წვერი რაღაც მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა იმის სახეს. მაგრამ, გარეგნობის მიუხედავად, ის მეტად კეთილი ადამიანი იყო. უწინ მას კენტუკში დიდი მამული ჰქონდა. ვერ აიტანა იქ მონების ტანჯვა-წვალების ყურება, გაყიდა მამული, მონები გაათავისუფლა, მდინარე ოჰაიოს ნაპირზე იყიდა სხვა მამული, თავის ყოფილ მონებს ყველას მამულები მისცა, თვითონ კი თავისი ოჯახით საკუთარ ფერმაში დაბინავდა. იქ ის ბედნიერად და მყუდროდ ცხოვრობდა დამშვიდებული სინდისით.

დიდხანს ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, სანამ სენატორმა არ უამბო ყველაფერი.

_ შეგიძლიათ თუ არა, ამ საცოდავ ადამიანს თავისი შვილით თავშესაფარი მისცეთ? _ ჰკითხა სენატორმა ბოლოს, როცა ყველაფერი უამბო.

_ იმედი მაქვს, შევძლებ, _ თქვა ჯონმა.

_ დარწმუნებული ვიყავი, დიდი იმედი მქონდა თქვენი და არც მოვტყუვდი, _ წარმოთქვა სენატორმა.

_ ერთი გაბედონ ჩემთან მოსვლა! _ წარმოთქვა ჯონმა და წელში გაიმართა: _ მე და ჩემი ყოჩაღი შვიდი ვაჟიშვილი ჯეროვნად გავუმასპინძლდებით ადამიანზე მონადირეებს.

ელიზა გადმოვიდა ეტლიდან, ხელში ბავშვი ეჭირა. მუხლები ეკეცებოდა სისუსტისაგან. ძლივს მიაღწია სახლის კარებამდის.

მასპინძელმა სანათი ასწია, რომ ქალის სახე დაენახა, რაღაცა ჩაილაპარაკა თავისთვის და შემდეგ ოთახი უჩვენა დასაბინავებლად. როცა ოთახში სანთელი აანთო, ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

_ ნუ გეშინია, შვილო, ვინც უნდა მოვიდეს, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ. ვინც მე მიცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი სახლიდან ვერავის გამოიყვანენ, თუ ჩემი სურვილი არ არის. შენ დამშვიდდი და მოსვენებით დაიძინე. ისე იგულე თავი, ვითომც საკუთარი მშობლების ჭერქვეშ ყოფილხარ.

ჯონი ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

_ რა ლამაზი ქალია! _ უთხრა მან სენატორს, როცა მარტო დარჩნენ.

_ დიახ, და, რაც უფრო ლამაზები არიან ეგ საბრალოები, იმდენად უფრო საჭიროა მათთვის მონობიდან თავის დახსნა, თუ სურთ ნამუსი შეინარჩუნონ.

სენატორმა უამბო ყველაფერი, რაც იცოდა ელიზას შესახებ.

_ ხედავთ, რა ამბები ხდება ჩვენს ქვეყანაში?! _ თქვა გულნატკენმა ჯონმა, _ ქალს ტანჯავენ იმიტომ, რომ სამაგალითო დედაა, იმიტომ, რომ ის თავის ბუნებრივ გრძნობებს არავის აჩაგვრინებს. მეტი რა შეეძლო საცოდავს თავის გადასარჩენად? მხეცობაა ასე ტანჯვა ადამიანებისა! მე ასეთი ამბები სწორედ გადამრევს!

ჯონმა მალვით მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი.

_ თქვენც ხომ ჩვენსა გაათევთ ღამეს? ახლავე გავაღვიძებ ჩემს ბებერს და ლოგინს მოგიმზადებთ.

_ არა, გულითად მადლობას მოგახსენებთ, _ უპასუხა ბერდმა, _ მე დილით კოლომბოში მიმავალ ეტლებს უნდა ჩავუსწრო.

_ მაშ გაგაცილებთ მაინც და კარგ გზას გასწავლით, თორემ ძალიან შეწუხდებით ამ ოღროჩოღროებში.

ჯონმა ტანთ ჩაიცვა, ხელში სანათი დაიჭირა და გაუ-ძღვა გზის საჩვენებლად.

გამოთხოვების დროს ბერდმა ჯონს ფული მისცა და უთხრა, იმ ქალს გადაეცითო.

აქ ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ბერდი გზას გაუდგა.

## მეცხრე თავი

## ბიძია თომა ტოვებს თავის ქოხს

თებერვლის ცივი, მოღრუბლული დილა ნაღვლიანად იცქირებოდა ბიძია თომას ქოხში.

ქოხში მყოფთა სულიერი განწყობილება ეთანხმებოდა ბუნების ჭმუნვას. ყველას გული ნაღველითა ჰქონდა სავსე.

მამიდა ხლოას ბუხართან ახლოს, მაგიდაზე უთოს ფიცარი გაემართა და ბიძია თომას პერანგს აუთოებდა. სკამის ზურგზე გადაფენილი იყო გაუთოებული საცვლები. ხლოა დიდი გულმოდგინებით ასწორებდა პერანგის ნაწიბუ-

რებს და დროგამოშვებით თვალებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდდა. აქვე იჯდა ნიდაყვებზე დაყრდნობილი ბიძია თომაც.

ოთახში სიჩუმე სუფევდა. ჯერ კიდევ ადრე იყო, ბავშვებს ეძინათ.

შავკანიანები, საზოგადოდ, ოჯახის მოყვარული ხალხია, თომა კი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მოსიყვარულე გულითა და ოჯახის ერთგულებით. ახლაც მძინარე ბავშვების ლოგინთან ახლოს იჯდა და დაჰყურებდა.

_ ეჰ, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ვხედავ ჩემ შვილებს, _ ჩაილაპარაკა მან თავისთვის.

მამიდა ხლოამ ხმა არ გასცა, აჩქარებით აუთოებდა, ცდილობდა, თომას სიტყვების მოქმედება გაექარწყლებინა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, უთოს ხელი გაუშვა, სკამზე დაეშვა, პირზე ხელები მიიფარა და მწარე ქვითინი ამოუშვა.

_ მართალია, მონამ ყველაფერი უნდა აიტანოს, _ ამბობდა ის ტირილით, _ მაგრამ არ ვიცი, როგორ გავუძლებ ამ მწუხარებას! ის მაინც ვიცოდე, სად მიყავხართ, ან რა დაგემართება! ქალბატონი გვპირდება: დავიხსნი, როცა ფულს ვიშოვიო, მაგრამ სამხრეთში მონას ხანგრძლივი სიცოცხლე არა აქვს: თურმე საშინლად აწამებენ. ვინ იცის, რა დაგემართება, სანამ საჭირო ფულს შეაგროვებენ!

_ ეჰ, ხლოა, წინათვე გულს ნუ გაიხეთქ. იქნება კარგად მოეწყოს საქმე!

_ ეგ მართალია, მაგრამ ზოგჯერ საზარელი საქმის ჩამდენი დაუსჯელი რჩება. მეშინია, ვაითუ უშენოდ ცხოვრებაში ვერ ვპოვო ნუგეში.

_ კიდევ კარგი, რომ მე გამყიდეს. საშინელება ის იქნებოდა, შენ რომ გაეყიდეთ ბავშვებით. მე ყოველნაირ ტანჯვას ავიტან, ოღონდ ვიცოდე, რომ თქვენ აქ განსაცდელის გარეშე ხართ.

ეტყობოდა, რომ თომა ლაპარაკის დროს თავს ძალას ატანდა, ლაპარაკობდა მხოლოდ ხლოას გასამხნევებლად. ხმა უკანკალებდა, პირში სიტყვა უწყდებოდა. თომას სიტყვები ხლოას ნაკლებად ამშვიდებდა.

_ მე არ ვიცი, სად არის აქ სამართალი?! რად გაგყიდა ბატონმა?! როგორ გაგიმეტა?! განა ცოტა ოფლი დაგიღვრია ბატონის ოჯახში?! შენი ამდენი სამსახურისათვის განთავისუფლება გეკუთვნოდა და არა გაყიდვა! აკი გპირდებოდა კიდეც. მაშ რაღად მოიქცა ასე? მე არ შემიძლია არ გავკიცხო იმისი საქციელი! შენ მარტოდმარტო აწარმოებდი მთელი მისი ოჯახის საქმეებს... ეჰ, რაღა თქვას კაცმა! შენ ბატონი უფრო ძლიერ გიყვარდა, ვიდრე საკუთარი ცოლ-შვილი, და ახლა... ამაზე ფიქრიც კი საზარელია... გაგყიდა, იმიტომ რომ მოვალე გაესტუმრებინა! არა, მე ამას ვერ ვაპატიებ!

_ ხლოა, თუ გიყვარვარ და ჩემი ხათრი გაქვს, ეგრე ნუ ლაპარაკობ ბატონზე. იმაზე ცუდის გაგონება ჩემთვის ისევე ძნელია, როგორც ჩემს თავზე. ხომ იცი, რომ ბატონი მე პატარაობითვე ხელზე მყავს გაზრდილი.

ქალბატონმა ამ დილით ხლოა გაათავისუფლა სავალდებულო მუშაობისაგან და საშუალება მისცა, უკანასკნელი წუთები ქმრის მზრუნველობაში გაეტარებინა. ხლოამ გემრიელი ნამცხვარი დაუმზადა თომას. საიდანღაც გამოჩნდა

სხვადასხვა მწნილი და მურაბები. ყველაფერი ეს მოწმობდა, რომ თომას ქოხში გათენებულიყო არაჩვეულებრივი დილა.

სუფრაზე ბავშვებმა ტკბილეულობა რომ დაინახეს, ჟრიამული ატეხეს. პატარა მოსემ ქათმის ნაჭერს დასტაცა ხელი.

_ არა გრცხვენია, შე მსუნაგო, შენა! რა მშიერი მგელივით მივარდი სუფრას. განა არ იცი, რომ მამაშენი უკანასკნელად საუზმობს თავის ქოხში! _ შეუტია ხლოამ ბავშვს და ხელი ასწია თავში ჩასარტყმელად.

_ რას სჩადიხარ, ხლოა, _ შეაჩერა თომამ და ცოლს ხელი დაუჭირა.

_ არა, მე აღარ შემიძლია ამ ტანჯვის ატანა! _ წამოიძახა ხლოამ. _ ჩემს გონებაზე აღარა ვარ და არ ვიცი, რას ჩავდივარ.

უფროსი ბავშვები გაინაბნენ და გაშტერებულები შესცქეროდნენ მშობლებს. უმცროსი გოგო დედას კალთაზე ებღაუჭებოდა და ტირილით რაღაცას სთხოვდა.

_ კმარა, _ თქვა ხლოამ, თვალები მოიწმინდა და ბავშვი ხელში აიყვანა, _ მეტს აღარაფერს ვიტყვი. ახლა საუზმეს შეუდექით. თომა, ბავშვებო, მოდით სუფრასთან.

ბავშვებს მეტი პატიჟი აღარ დასჭირდათ, საჩქაროდ შეუდგნენ საქმეს. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, საუზმე ხელუხლებელი დარჩებოდა, რადგანაც თვითონ ხლოასა და თომას არაფრისათვის უხლიათ ხელი.

_ ახლა კი დროა, შენი ბარგი ჩავალაგო, _ თქვა ხლოამ და დაფაცურდა. _ თომა, დაიხსომე: აი, აქ ჩავდე შენი თბილი ხალათი. ახალმა ბატონმა კი არ წაგართვას ბარგი. თბილ ხალათს გაუფრთხილდი, ხომ იცი, ახლის მომქსოვი იქ არავინ გეყოლება. აი, თბილი წინდები, ყველა დაკერებულია. შე საბრალო, ამის შემდეგ ვიღა დაგიკერებს საცვლებს! _ ხლოას ისევ ცრემლი მოერია, საცვლების ყუთში ჩაკიდა თავი და ტირილი დაიწყო. _ როცა დავფიქრდები, რომ შენი მომვლელი იქ არავინ იქნება, მეტადრე თუ ავად გახდი... ოჰ, ძალა არ შემწევს, ეს მწუხარება ავიტანო...

ბავშვებმა საუზმე გაათავეს და ახლა ყურს უგდებდნენ დედის ლაპარაკს. ხლოას თვალებზე რომ ცრემლები დაინახეს, ისინიც ატირდნენ. პატარა გოგო თომას კალთაში ჩაუჯდა, სახეზე ხელებს უცაცუნებდა, წვერს უწეწავდა და კისკისებდა. მამა არ უშლიდა ბავშვს ცელქობას.

_ ეჰ, იცინე, შე საცოდავო, _ უთხრა ბავშვს ხლოამ. _ დრო იქნება, რომ შენც წაგამწარებენ სიცოცხლეს, შენც წაგართმევენ ყველაფერ ძვირფასს. შენს ძმებს ხომ გაყიდვა არ ასცდებათ...

_ აგერ ქალბატონიც მობრძანდება, _ წამოიძახა ერთმა ბავშვმა.

_ რად მოდის ქალბატონი? _ ჩაილაპარაკა ხლოამ თავისთვის, _ განა ჩვენი შველა შეუძლია?

ქალბატონი ოთახში შემოვიდა. ხლოამ ხმაამოუღებლად შესთავაზა სკამი. ქალბატონს მღელვარება ეტყობოდა, სახე გაწითლებული ჰქონდა.

_ თომა, _ დაიწყო იმან, _ მოვედი... _ სიტყვა გაუწყდა, ოთახს თვალი მოავლო და ატირდა.

_ ნუ ტირით, ქალბატონო! ნუ ტირით, თქვენს დღეგრძელობას, _ ამშვიდებ-და ხლოა, მაგრამ თვითონ კი ცრემლებად იღვრებოდა.

ოთახში ერთხანს მხოლოდ ქვითინი ისმოდა, ლაპარაკის თავი არავის ჰქონდა. ცრემლებმა ოთახში მყოფთ გული მოულბო.

ცრემლებმა მოხოცეს მონების გულს ის უკმაყოფილება, რაც თომას გაყიდ-ვის ამბავმა გამოიწვია.

_ ჩემო ძვირფასო თომა, _ წარმოთქვა ბოლოს ქალბატონმა, _ მე ახლა არა მაქვს ფული, რომ გაგატანო, თუმცა, სულ ერთია, არ შეგარჩენენ. მაგრამ გაძ-ლევ პატიოსან სიტყვას, ვიზრუნებ შენზე და, როგორც კი საჭირო თანხას შევაგ-როვებ, მაშინვე გამოგისყიდი მონობიდან.

ამ დროს ვიღაცამ მოურიდებლად შემოაღო კარი. ზღურბლზე ჰელი იდგა, ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე იყო. ერთი იმიტომ, რომ ღამე უძილოდ გაატარა, და მეორეც, იმიტომ, რომ ელიზა ხელიდან გაუსხლტა.

_ მზად ხარ თუ არა? _ ჰკითხა მან თომას. ოთახში ქალბატონი შელბი დაი-ნახა, ოდნავ თავი შეიკავა და სალამი მისცა.

ხლოამ საცვლების ყუთი დაკეტა, გაბოროტებით გადახედა მონებით ვა-ჭარს; ცრემლები უცებ გაუშრა და მისი თვალები მხოლოდ სიბრაზის ცეცხლს აფრქვევდა.

თომა დამშვიდებული წამოდგა, აიღო ხელში თავისი ნივთების ყუთი და მზად იყო, ახალ ბატონს ჰხლებოდა. ხლოა ბავშვით ხელში გაჰყვა ქმარს გასა-ცილებლად. სხვა ბავშვებიც გამოედევნენ მშობლებს.

ქალბატონმა შელბიმ შეაჩერა ჰელი და ცხარედ გამოელაპარაკა.

თომა ამ დროს ემშვიდობებოდა ეზოში თავმოყრილ მონებს, რომლებიც მის გასაცილებლად მოსულიყვნენ. ყველას ენანებოდა კეთილი თომას მოშო-რება, მეტადრე ქალებს.

_ ხლოა, შენი ქმარი ჩვენ შენზე მეტად გვენანება, _ უთხრა ერთმა ატირე-ბულმა დედაკაცმა, როცა დაინახა, რომ ხლოა უცრემლოდ იდგა ეტლთან.

_ მე ცრემლების ფრქვევა აღარ შემიძლია, _ მიუგო ხლოამ მწუხარედ და ჰე-ლის შეხედა, რომელიც ამ დროს ეტლს უახლოვდებოდა: _ იმას ჩემს ცრემლებს არ დავანახვებ.

_ აბა, ჩაჯექი, _ უთხრა ჰელიმ თომას მოუთმენლად, თომა ეტლში ჩაჯდა. ჰელიმ ბორკილები ამოიღო მისთვის ფეხებზე დასადებად. მაყურებელთა შო-რის უკმაყოფილების ჩოჩქოლი გაისმა. ქალბატონმა კი ქოხის კარიდან დაუძა-ხა:

_ მერწმუნეთ, ეგ თქვენგან გადაჭარბებული სიფრთხილე იქნება, ბატონო ჰელი!

_ არ ვიცი, ქალბატონო, რამდენად მართალი ბრძანდებით. მე მხოლოდ ერ-თი ვიცი, რომ აქ უკვე ხუთასი დოლარი ზარალი ვნახე და აღარ მსურს, ასეთი-ვე შეცდომა გავიმეორო.

_ ამისთანა ადამიანისაგან მეტს რას უნდა ელოდეს კაცი, _ ჩაილაპარაკა გუ-ლისტკივილით ხლოამ.

ბავშვებმა დაინახეს, რომ ვიღაცა უცხო კაცი იმათ მამას რაღაცას უპირებდა, იგრძნეს, რომ რაღაცა ცუდი ხდებოდა, შემოეხვივნენ დედას და ტირილი დაიწყეს.

_ ოჰ, როგორ მენანება, რომ პატარა ბატონი სახლში არა ბრძანდება: ძალიან მინდოდა წასვლის წინ მასთან გამოთხოვება, _ თქვა თომამ.

ჯორჯი დილაადრიან სხვაგან გაგზავნეს. თომას გაყიდვის ამბავი დაუმალეს.

_ ჩემი სალამი გადაეცით ბატონიშვილს, _ თქვა თომამ გრძნობით სავსე ხმით.

ჰელიმ ცხენებს მათრახი გადაუქნია. ეტლი დაიძრა და წაიყვანა საწყალი ბიძია თომა. საბრალო თვალს არ აშორებდა თავის ქოხს, სანამ ტყეს არ მიეფარნენ.

თვითონ ბატონი შელბიც არ იყო სახლში. ისიც განგებ წავიდა სახლიდან, რომ არ ენახა გამოთხოვების მძიმე სურათი. ძალიან ცდილობდა, დაერწმუნებინა თავი, რომ მონის გაყიდვით ცუდი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ცოლთან ლაპარაკის შემდეგ გულზე მძიმე ლოდად შემოაწვა დარდი.

სწრაფად გაიარეს თომასათვის ძვირფასი ადგილები, სადაც მას მთელი თავისი სიცოცხლე ჰქონდა გატარებული; როცა შელბის სამფლობელოს გასცილდნენ და შარაგზაზე გავიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ, გზაზე სამჭედლო ნახეს და გაჩერდნენ. ჰელი ჩამოხტა და მჭედელს სთხოვა, ბორკილი გაედიდებინა და თომასთვის დაედო.

_ რას ხედავს ჩემი თვალები! ნუთუ ეს თომა არის, ბატონ შელბის მონა? ნუთუ ბატონმა გაიმეტა გასაყიდად? სწორედ დაუჯერებელი ამბავია! _ თქვა მჭედელმა.

_ რა არის აქ დაუჯერებელი! სწორედაც რომ გაყიდა, _ უპასუხა ჰელიმ.

_ ამას ვერ დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა. მერე თომას რა ბორკილები უნდა? ის უბორკილოდაც არსად წავა, პატიოსანი და ერთგული ადამიანია.

_ ეგეთი ზღაპრები ბევრი მსმენია! _ გააწყვეტინა ლაპარაკი ჰელიმ, _ ვიცი, რომ პატიოსან ზანგსაც მშვენივრად შეუძლია გაქცევა.

_ რასაკვირველია, სამხრეთში გაყიდვა სასიამოვნო არ არის, _ დაიწყო ისევ მჭედელმა, _ ისიც კია, რომ საცოდავები იქ ბუზებივით იხოცებიან. საწყალ თომას, ამას გარდა, აქ ოჯახიც რჩება.

_ ეგ კი სწორედ სისულელეა, _ თქვა ჰელიმ, _ ქალი ბევრია ქვეყანაზე, თომა იქ სხვა ცოლს იშოვის.

ამ ლაპარაკის დროს თომა დაღვრემილი იჯდა ეტლში. უცებ ცხენის ფეხის ხმა მოესმა და ვერც კი მოასწრო გამორკვეულიყო, რომ ჯორჯ შელბიმ ეტლთან მიაჭენა ცხენი და თომას გადაეხვია. ბავშვი გულამოსკვნით ტიროდა და ილანძღებოდა.

_ რა სიმდაბლეა! მე რომ დიდი ვიყო, ამას ვერავინ გაგიბედავდა.

_ ჩემო კარგო, ჩემო პატარა კარგო ბატონო, _ უთხრა თომამ, _ რანაირად მიხარია თქვენი დანახვა, რა ბედნიერი ვარ, რომ ვეღირსე თქვენთან გამომშვიდობებას! უამისოდ ძალიან მიმძიმდა წასვლა. _ თომამ უცაბედად ფეხი გაანძრია და ბორკილის ჩხარუნი გაისმა. ჯორჯი ყველაფერს მიხვდა.

_ ეს საშინელებაა! _ წამოიძახა აღელვებულმა. _ სირცხვილი ჩვენ! მოვკლავ მე მაგ კაცს!

_ არა, თქვენ მაგას ხელი არ უნდა ახლოთ. ეგრე ხმამაღლაც ნუ ლაპარაკობთ ასეთ სიტყვებს, თორემ ბრაზი მოუვა და ჩემზევე იყრის ჯავრს.

_ კარგი, მაშ აღარას ვიტყვი, _ ბავშვმა სამჭედლოსკენ მიიხედა და შემდეგ ხმადაბლა უთხრა თომას:

_ ბიძია თომა, ჩემი დოლარი მოგიტანე.

_ არა, ბატონიშვილო, მე არ ავიღებ მაგ ფულს, _ უპასუხა გულაჩვილებულმა თომამ.

_ უნდა აიღო, ბიძია თომა, მე მამიდა ხლოას ვუთხარი და იმან მითხრა: გახვრიტოს და გულზე ჩამოიკიდოს, თორემ, ფული რომ უნახოს იმ ავაზაკმა, მაშინვე წაართმევსო. უჰ, როგორა მწყურია ერთი მაგისი მიბეგვა!

_ არა, ნუ იზამთ ამას, _ შეეხვეწა თომა.

_ კარგი, ეგრე იყოს, _ დაემორჩილა ჯორჯი.

ბავშვმა თომას გულზე ჩამოჰკიდა თავისი დოლარი.

_ გული კარგად შეიკარი, რომ შენმა ბოროტმა ბატონმა არ დაგინახოს. ეს დოლარი ნიშნად გქონდეს, როცა დახედო, ყოველთვის გაიხსენე, რომ, სადაც უნდა იყო, მოვალ შენთან, გაგათავისუფლებ ტყვეობიდან და შინ წამოგიყვან. მე ასე დავპირდი მამიდა ხლოას, მამაჩემს კი მოსვენებას არ მივცემ, მანამ...

_ მამაზე ეგრე ნუ ლაპარაკობთ, ჩემო კარგო პატარა ბატონო, _ უთხრა თომამ, _ გამიგონეთ, რა მოგახსენოთ: დედათქვენი სამაგალითო ადამიანია და იმას ნუ დაშორდებით ნურასოდეს, ადამიანს ყველაფრის შეძენა შეუძლია ცხოვრებაში, მაგრამ დედას ვერ შეიძენს. ეცადეთ, დედათქვენს მარტოობა არ აგრძნობინოთ. იცოცხლეთ იმის ნუგეშად. ეცადეთ, კარგი კაცი გამოხვიდეთ, ჯორჯ! მაძლევთ თუ არა ამის პირობას?

_ პირობას გაძლევ, ბიძია თომა! _ უპასუხა ჯორჯმა ძალიან სერიოზული კილოთი.

_ ლაპარაკში ყოველთვის წინდახედული უნდა იყოთ. თქვენს ასაკში ხშირად ბავშვები მოუთმენლობას იჩენენ, ახირებული და ჯიუტები არიან ხოლმე. მაგრამ კარგი ბავშვები ყოველთვის პატივსა სცემენ თავიანთ მშობლებს. ხომ არ გწყინთ, რომ ასე გარიგებთ?

_ არა, ბიძია თომა! შენ ყოველთვის კარგ დარიგებას მაძლევდი.

_ მე მოხუცი ვარ, _ უთხრა წყნარი ხმით თომამ, _ ბევრ კარგ თვისებას ვხედავ თქვენში, თქვენ წინ გადაშლილია სიცოცხლე და ყველაფერი მოგეპოვებათ იმისათვის, რომ ეს სიცოცხლე კარგად გაატაროთ. გახსოვდეთ, ჯორჯ, იყავით კარგი ადამიანი!

ამ ლაპარაკის დროს თომა ბავშვს სიყვარულით უსვამდა ხელს თავზე და ხუჭუჭ თმას უსწორებდა.

_ ბიძია თომა, რომ გავიზრდები, დიდ სახლს აგიშენებ და დაგასახლებ, რომ შენც ბედნიერად იცხოვრო.

ამ დროს ჰელი გამოვიდა სამჭედლოდან.

_ მე ვეტყვი ჩემს მშობლებს, რომ თომას ასე სასტიკად ექცევით, ბორკილები დაგიდვიათ მისთვის, _ უთხრა ბავშვმა ჰელის საყვედურის კილოთი.

_ თქვენი ნება გახლავთ, უთხარით, რაც გსურდეთ, _ უპასუხა უკმეხად ვაჭარმა.

_ თქვენ ადგილას რომ ვიყო, სირცხვილით დავიწვებოდი, მთელი თქვენი სიცოცხლე ადამიანებით ვაჭრობთ.

_ თუკი ბატონები ყიდიან მონებს, მე რატომ არ უნდა ვიყიდო? რითი ვარ მათზე ნაკლები?

_ როცა გავიზრდები, არც ერთს და არც მეორეს არ ვიკისრებ, _ თქვა ჯორჯმა ამაყად და უნაგირზე გასწორდა. _ მრცხვენია, რომ კენტუკში ვცხოვრობ, სადაც ასეთი ამბები ხდება! ახლა კი მშვიდობით, ბიძია თომა!

_ მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ჯორჯ, გისურვებთ დღეგრძელობას! იშვიათი გულის კაცი გაიზრდებით!

თომა გასცქეროდა ჯორჯს, სანამ ცხენის ფეხის ხმა ისმოდა. როცა მიწყდა უკანასკნელი ხმაური სამშობლო მხრიდან, გულზე ხელი მოისვა და იგრძნო ჯორჯის მოცემული დოლარი. თითქოს მის მწუხარებას ცოტათი ეფონა. გული გაუთბა. სინათლის სხივმა შეაშუქა იმ უკუნეთს წყვდიადში, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა.

## მეათე თავი

## სასტუმროში

ერთ წვიმიან საღამოს ვიღაც მგზავრი ჩამოხტა სოფლის ერთ პატარა სასტუმროში. საერთო დარბაზში ბევრი ხალხი იყო. ახოვან და ჯანმრთელ კენტუკელებს მონადირის ხალათები და ყელიანი წაღები ეცვათ. თავი თავისუფლად ეჭირათ. ზოგნი მაგიდებს შემოსხდომოდნენ და ლუდსა სვამდნენ, ზოგნი ბუხართან თბებოდნენ და თამბაქოს ღეჭავდნენ; ყველას ქუდი ეხურა: ამერიკელებს ასეთი ჩვეულება აქვთ.

ოთახის კუთხეებში ეყუდა თოფები, ეწყო საპირისწამლეები, სანადირო აბგები და სხვა სანადირო იარაღები. დარბაზში პატარა მონა ზანგები, სასტუმროს მოსამსახურეები ტრიალებდნენ.

ახლად მოსული სუფთად ჩაცმული, მომსხო ტანისა და მკვრივი აგებულების მოხუცი იყო. მან თავისი სამგზავრო კალათა თვითონ მოიტანა, მოსამსახურე არ დაიხმარა, ბუხართან სკამქვეშ დადგა და თვითონაც დაჯდა. ცოტა არ იყოს, შემკრთალი უყურებდა მახლობლად მჯდომ ზორბა ტანის კაცს, რომე-

ლიც შესახედაობითა და ჩაცმულობით ჩარჩსა ჰგავდა. ეს კაცი თამამად იქცეოდა, არავის ერიდებოდა, თამბაქოს ღეჭავდა და წამდაუწუმ აპურჭყებდა. მოხუცი მგზავრი იმის ყოველ გადაფურთხებაზე შეკრთებოდა ხოლმე და სკამიანად უკან იწევდა. მეზობელმა ეს შენიშნა და გვერდზე მიიბრუნა პირი.

_ რას კითხულობენ ნეტა იმ კუთხეში? _ იკითხა მოხუცმა, როცა დაინახა, რომ დარბაზის ერთ კუთხეში რამდენიმე კაცი კედელზე გაკრულ რაღაც ქაღალდს კითხულობდა.

_ ვიღაც მებატონეს ზანგი გაჰქცევია, _ გამოეპასუხა ის მეზობელი, რომელიც მოურიდებლად აპურჭყებდა.

მოხუცმა, _ იმისი გვარი იყო ვილსონი, _ ამოიღო სათვალე, გაწმინდა სუფთა ხელსახოცით, თვალებზე გაიკეთა და განცხადების წასაკითხად გაემართა.

აი, რა ეწერა განცხადებაში:

«ქვემორე ამისა ხელისმომწერ მემამულეს გაექცა მონა მულატი, გვარი და სახელი: ჯორჯ ჰარისი, წაბლისფერი ხუჭუჭი თმა აქვს, პირის კანი თეთრი, განათლებულია, კარგი წერა-კითხვა იცის, თავი ევროპელად მოაქვს. მხრებსა და ზურგზე ღრმა ჭრილობა აჩნია. ხელზე დაღად ასვია ასო «ჰ». ოთხას დოლარს ვაჩუქებ, ვინც იმას ცოცხალს მომგვრის, ან იმის სიკვდილს შემატყობინებს».

როცა მოხუცმა კითხვა გაათავა, _ ხმამაღლა კითხულობდა, _ მოურიდებელი მეზობლის ხმა შემოესმა:

_ ჩემი აზრით, ეს განცხადება მხოლოდ შეფურთხების ღირსია! _ და მართლაც შეაფურთხა.

_ რადა გგონია ეგრე? _ შეეკითხა ვიღაც კაცი.

_ იმიტომ, რომ, ამ განცხადების დამწერიც რომ გამოცხადებულიყო ახლა აქ და მენახა, იმასაც შევაფურთხებდი. სირცხვილი არ არის ასეთი განცხადების გამოკიდება? განა ის მემამულე, რომელსაც ასეთი მონა ვერ შეუფერებია, მეტის ღირსია? მეცა მყვანან ზანგები, ხშირად ვეტყვი ხოლმე: ბიჭებო, თუ გინდათ, გაიქეცით. ხშირად გავატან ხოლმე ქალაქში გასაყიდად ცხენს. ყველამ იცის, რომ განთავისუფლების ქაღალდი დაწერილი და დამზადებული მაქვს ყველასათვის, და მაინც ჯერ არც ერთი არ გაქცეულა სახლიდან. ყოველთვის პირნათლად ჩამაბარებენ ხოლმე გაყიდული ცხენების საფასურს. არც საკვირველია: თუ მონა ჩემთან კარგადა გრძნობს თავს, რად გაიქცევა სხვასთან?

_ სრულ სიმართლეს ბრძანებთ, _ უპასუხა მოხუცმა. _ რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ ახალგაზრდას, მე იმას კარგად ვიცნობ; ის დიდი განძია. ერთ დროს ჩემთან მუშაობდა ქარხანაში. კანაფის საძენძი მანქანა გამოიგონა. კარგად ვიცი, რომ მისმა ბატონმა იმისაგან დიდი ხეირი ნახა.

სასტუმროს კიბესთან ეტლი გაჩერდა. ხმაურზე დარბაზში ლაპარაკი შეწყდა. ეტლიდან გადმოვიდა ვიღაც ლამაზი, კარგად ჩაცმული კაცი; მისი ბარგი ზანგმა შემოიტანა.

ახლად მოსული სასტუმროს პატრონთან მივიდა და თავისი სახელი და გვარი ჩააწერინა: ენრი ბუტლერი, ოკლენდიდან, შელბის საგრაფოდან.

მგზავრი წარმოსადეგი, ლამაზი ახალგაზრდა იყო. შავგვრემანი, ლამაზი სახე და მშვენიერი შავი თმა მოწმობდა, რომ ის ვინმე  წარჩინებული გვარის ესპანელი უნდა ყოფილიყო სამხრეთ შტატიდან. ასე გაიფიქრეს დარბაზში მყოფებმა.

სასტუმროს პატრონი დატრიალდა, არ იცოდა, როგორ ესიამოვნებინა საპატიო სტუმრისათვის. ახალმოსულმა ცალკე ოთახი მოითხოვა. მოსამსახურეები დაფაცურდნენ ოთახის მოსამზადებლად. სტუმარი მივიდა კედელთან და განცხადება წაიკითხა.

_ ჯიმ, _ მიუბრუნდა ის თავის მოსამსახურეს, _ ვგონებ, ჩვენ ასეთი კაცი შეგვხვდა გზაში.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა ზანგმა, _ მხოლოდ ხელზე დაღი არ შემიმჩნევია.

_ ხელზე არც მე შემიხედავს, _ თქვა ბუტლერმა მთქნარებით.

ქარხნის პატრონი ვილსონი გაშტერებით უყურებდა ახალმოსულს, ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ბუტლერი. უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა თავში, წამოდგა და შემკრთალი მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც აქამდის გულგრილად უყურებდა მას. ახალგაზრდამ მაშინვე ხელი გაუწოდა და უთხრა:

_ თუ არ ვცდები, ბატონი ვილსონი უნდა ბრძანდებოდეთ. მაპატიეთ, ერთბაშად ვერ გიცანით. ვერ მიცანით? აბა, გაიხსენეთ, მე ბუტლერი გახლავართ, ოკლენდიდან.

_ დიახ, ესე იგი... დიახ, დიახ... _ უპასუხა ვილსონმა დაბნეულად. მას თავი სიზმარში ეგონა.

ამ დროს ბუტლერს მოახსენეს: ოთახი მზად გახლავთო.

_ ჯიმ, _ უთხრა მან თავის მონას, _ ბარგი შეიტანე ოთახში. მე თქვენთან საქმე მაქვს, ბატონო ვილსონ, _ მიუბრუნდა მოხუცს. _ გთხოვთ, ერთ წამს მობრძანდეთ ჩემს ოთახში.

ვილსონი გაჰყვა ზემო სართულში. ყველაფერი ეს ჯერაც სიზმარი ეგონა და განცვიფრებისაგან გონს ვერ მოსულიყო.

ოთახში ბუხარი გიზგიზებდა. როცა მოსამსახურეები გავიდნენ, ბუტლერმა ოთახის კარი დაკეტა, მერე მიუბრუნდა ვილსონს და გულხელდაკრეფილმა პირდაპირ შეხედა თვალებში.

_ ჯორჯ! _ წამოიძახა მოხუცმა.

_ დიახ, მე გახლავართ.

_ ძლივს გიცანით!

_ კარგად გამომიცვლია სახე, არა?! _ ჰკითხა ჯორჯმა ღიმილით. _ კაკლის წენგომ შემიღება თმა შავად და ჩემი ყვითელი პირის კანიც შავგვრემანი გახადა. მე ახლა აღარა ვგავარ იმ მონას, რომლის ნიშნებიც ჩამოთვლილია განცხადებაში.

_ ჯორჯ, სახიფათო საქმე გიკისრია. ჩემი აზრით, არ უნდა გექნა ეს.

_ მე ჩემსას ვეცდები და რაც მოხდება, მოხდეს. შევტოპე და ფონს გავალ! _ უპასუხა ჯორჯმა ღირსეული ღიმილით.

სილამაზითა და თავდაჭერილობით ჯორჯი მამას ჰგავდა. მისი მამა წარჩინებული გვარიშვილი იყო კენტუკში. ჯორჯი მას ერთი მოსამსახურე ზანგი ქალისაგან გაუჩნდა.

ვილსონი ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა: აღარ იცოდა, რა ექნა, როგორც კეთილ ადამიანს, სურდა ეშველა გაქცეული მონისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, მის საქციელს უკანონოდ თვლიდა და ესეც აწუხებდა.

_ ძალიან მენანები, ჯორჯ, მაგრამ, ამავე დროს, არ შემიძლია დავმალო და არ გითხრა, რომ ჩვენი ქვეყნის კანონის წინააღმდეგ მოქმედებ. გსურს მოშორდე ბოროტ მებატონეს. შენი წადილი  ბუნებრივია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს საქციელი ვერ არის კარგი. ამასთან, საშინელ საფრთხეში იგდებ თავს. თუ ბატონს ახლა კიდევ ჩაუვარდი ხელში, სულს ამოგართმევს.

_ ეგ ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. აი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში, _ გაიხსნა სერთუკი და ჯიბიდან დამბაჩა და სანადირო დანა ამოიღო. _ ცოცხალი მე იმას ხელში არ ჩავუვარდები. თუ საქმე იქამდის მივიდა, შევძლებ სამი არშინი ორმოს დამსახურებას. ეს პირველი და უკანასკნელი წყალობა იქნება ჩვენი ქვეყნისაგან.

_ ჯორჯ, საშინელებას ლაპარაკობ, განა შეიძლება ასეთი აღშფოთება სამშობლოს კანონების წინააღმდეგ!

_ მე სამშობლო არა მაქვს! _ შეჰყვირა ჯორჯმა, _ ისევე, როგორც არა მყოლია მამა. აბა ერთი შემომხედეთ _ რითა ვარ სხვაზე ნაკლები? ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც ყველა თქვენთაგანი. მაგრამ მამაჩემმა, ერთმა აქაურმა მებატონემ, იმდენი მზრუნველობაც კი არ გამოიჩინა ჩემდამი, რომ თავის ძაღლებთან ერთად გავეყიდე საჯარო ვაჭრობით. რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ მე დედა მყავდა მონა. მახსოვს ის დღე: ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაყიდეს დედაჩემი თავისი შვიდი შვილით, ჩემი და-ძმებით. ყველა ისინი სხვადასხვა მემამულეებმა იყიდეს. დედა დაჩოქილი ემუდარებოდა ყველას, ჩემი თავი არ მოეშორებინათ მისთვის, მაგრამ უკმეხად ჰკრეს ხელი. მომაშორეს დედის მკერდს და ახალ მებატონეს ჩამაბარეს. ვნახე, როგორ აწამეს ერთი ჩემი და. ის დედაჩემივით ლამაზი იყო. სცემდნენ და აწამებდნენ, რადგან უნდოდა პატიოსნება შეენარჩუნებინა. ბოლოს მისი ტანჯვა იმით გათავდა, რომ საცოდავი გაყიდეს სამხრეთის ბაზარზე. მას აქეთ იმისი აღარა გამიგია რა, კვალი დავკარგე. ჩემი ბავშვობა, სიჭაბუკე ტანჯვა-წვალებაში გავატარე. მცემდნენ, მშიერ-მწყურვალს მამყოფებდნენ. ხშირად შიმშილისაგან გამგელებულს ძაღლებისათვის გადაყრილი ძვლები ამიკრეფია და ის მიღრღნია. მთელი ღამეები ვტიროდი მარტო იმიტომ კი არა, რომ მშიოდა, არა, მე მწყუროდა სიყვარული, მენატრებოდა მშობლის ალერსი. მწყუროდა დედისა და და-ძმების ნახვა. ახლოს არავინ იყო ისეთი, რომ სიყვარულით გაეთბო ჩემი გული. ერთი ალერსიანი სიტყვა არ გამიგონია ბატონის სახლში. თქვენ პირველად მომეპყარით ადამიანურად, მასწავლეთ წერა-კითხვა. სიკვდილამდის თქვენი მადლიერი ვიქნები... შემდეგ შე-

ვირთე ცოლი, თქვენ გეხსომებათ, რა ლამაზი ქალია. როცა შემიყვარა და ცოლად შევირთე, ასე მეგონა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მოიპოვებოდა ამ ქვეყანაზე. ჩემი მეუღლე ხასიათითაც ისეთივე მშვენიერი ადამიანი გამოდგა, როგორიც სახით არის. მაგრამ რა არის ჩემი ცხოვრება? ბატონმა ჩამომაშორა საყვარელ სამუშაოს, მეგობრებს, ყველაფერს, რასაც ფასი და ღირებულება ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში, და შავი სამუშაოთი სული ამომხადა. ასე იმიტომ მომექცა, რომ, როგორც ის ამბობს, ჩემში სიამაყე ჩაეხშო და დაენახვებინა, რომ მე უბრალო მონა ვარ და სხვა არაფერი. ბოლოს შეუძლებელი მომთხოვა: ცოლს უნდა გაეყარო და სხვა ცოლი შეირთოო. ერთი მიბრძანეთ, რომელი კანონი აძლევს იმას ასეთ უფლებას? ეს ხომ ადამიანის გრძნობებს ეწინააღმდეგება! თქვენი კანონები ადასტურებს ისეთ საზარელ საქციელს, რომელმაც გული მოუკლა დედაჩემს, ჩემს და-ძმებს, ჩემს ცოლს და თქვენ კიდევ მოითხოვთ ჩემგან, რომ ვემორჩილებოდე ამ კანონებს? ვიმეორებ: თქვენი სამშობლო ჩემი სამშობლო არ არის და იმის კანონებს მე არ დავემორჩილები. მე მხოლოდ ერთსა ვთხოვ ყველას: თავი დამანებონ და მომასვენონ, რომ შემეძლოს ადამიანურად ვიცხოვრო. წავალ კანადაში, იქაური კანონებით სრულუფლებიან ადამიანად მიმიღებენ. იქ ისეთივე თავისუფალი მოქალაქე ვიქნები, როგორიც ბრძანდებით თქვენ აქა. დაე, ნურავინ გადაეღობება გზაზე ამ ჩემს მისწრაფებას, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფლების მოსაპოვებლად ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. თქვენმა წინაპრებმაც, ევროპიდან გადმოსახლებულებმა, ბრძოლით მოიპოვეს თავისუფლება. თქვენ ხომ იმათ პატივსა სცემთ. თუ ისინი მართალნი იყვნენ, მაშინ მეც მართალი ვარ ჩემს მისწრაფებაში.

ამ გაჭიანურებული ლაპარაკის დროს საშინლად აღელვებული ჯორჯი ოთახში მიდი-მოდიოდა. ვილსონს გულის სიღრმეში ჩასწვდა ყმაწვილი კაცის მწარე სიტყვები, თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა და მოჰყვა ლანძღვას:

_ შეჩვენებულები! _ყვიროდა აღელვებული, _ წყეულიმც იყვნენ ყველანი, ვინც აგრე ტანჯავს ადამიანს. მე ყოველთვის ვამბობდი, მონობა საშინელი ბოროტებაა-მეთქი. აბა, ყოჩაღად, ჯორჯ! იმოქმედეთ, მხოლოდ ადამიანის მკვლელობას ერიდეთ, ჩემო კარგო! ნურც სხვას მოკლავთ, ნურც თავს მოიკლავთ, ამას ნუ იკისრებთ, ჩემო ძვირფასო! სად არის ახლა თქვენი ცოლი?

_ ისიც გაიქცა ბატონის სახლიდან და შვილიც გაიტაცა. წავიდა, მაგრამ საით _ თვითონაც არ იცის. არ ვიცი, შევხვდებით კიდევ ერთმანეთს თუ არა...

_ საკვირველია და გაუგებარი, ისეთ კარგ ბატონებს რად გაანება თავი?

_ სხვა გზა არ ჰქონდა. ბატონმა ვალი აიღო და მონების გაყიდვა დასჭირდათ. ჩვენი ბავშვის გაყიდვა მოინდომეს.

_ რა საშინელებაა! _ თქვა კეთილმა მოხუცმა და ჯიბეში რაღაცას დაუწყო ძებნა. _ ჯორჯ, ჩემო მეგობარო! ვინ იცის, რა შეგემთხვევათ, ფული დაგჭირდებათ; აი, მიიღეთ ჩემგან ეს, _ ამ სიტყვებით მოხუცმა დაკეცილი ქაღალდის ფული გაუწოდა.

_ არა, არა, მადლობას მოგახსენებთ! ფული არ დამჭირდება. ისიც მეყოფა, რაცა მაქვს, _ უთხრა ჯორჯმა და ფულს ხელი არ მოჰკიდა.

_ სულითა და გულით გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან. ფული ყოველთვის გამოსადეგია. დიდად მოხარული ვიქნები, თუ გამომართმევთ.

_ კარგი, _ დაეთანხმა ჯორჯი, _ გამოგართმევთ იმ პირობით, რომ, როცა შევიძლებ, უკანვე დაგიბრუნოთ.

_ ვინ არის ის ზანგი, თქვენ რომ გახლავთ? _ ჰკითხა ვილსონმა.

_ ერთგული მეგობარია. ეგ უკვე იყო კანადაში და უკან დაბრუნდა, რადგან იცის, რომ ბატონი შურს იძიებს დედამისზე შვილის გაქცევისათვის. ახლა სურს, როგორმე დაიხსნას დედა სატანჯველისაგან.

_ მერე უშველა რამე?

_ ჯერ ვერა. შემთხვევას ეძებს. მანამდე კი მე მიმაცილებს მდინარე ოჰაიომდის, იქ თავის მეგობარს ჩამაბარებს და შემდეგ დაბრუნდება დედის დასახსნელად.

_ ძალიან, ძალიან სახიფათო საქმისათვის მოგიკიდია ხელი, _ თქვა მოხუცმა.

_ შეიძლება გავიმარჯვოთ, მით უმეტეს, რომ მე აქ ადრე არავის ვუნახივარ. თუ აქედან გავასწარი როგორმე, მერე კვალი დაიკარგება.

_ რა ალაგას გაქვს დაღი ხელზე, ჯორჯ?

ჯორჯმა ხელთათმანი წაიძრო და დაღი აჩვენა.

_ ჩემმა ბატონმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ დამადო დაღი ასეთ თვალსაჩინო ადგილას. თითქოს გულმა უგრძნო, რომ გაქცევას ვაპირებდი.

_ სისხლი მიშრება ასეთი უდიერების მოწმეს! _ წამოიძახა ვილსონმა.

_ დიდად მოხარული ვარ, ბატონო ვილსონ, რომ შეგხვდით და ჩემი გარემოება აგიხსენით, _ დააბოლოვა ჯორჯმა, _ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. გმადლობთ თანაგრძნობისათვის, იქნება, ბოროტ ადამიანს ხელიდან გავუსხლტე. მე მალვით არ ვაპირებ მგზავრობას, დღისით ვივლი, საუკეთესო სასტუმროებში გავჩერდები ხოლმე, საერთო დარბაზში ვისადილებ. თუ ბედმა მიმტყუნა და გავები სადმე მახეში, იცოდეთ, _ უეჭველად თავს მოვიკლავ.

ჯორჯმა ხელი გაუწოდა მოხუცს. მის სახეზე ამ წუთს იხატებოდა მამაცობა და გამბედაობა. ვილსონმა გრძნობით ჩამოართვა ხელი, კეთილი მგზავრობა უსურვა და ოთახიდან გამოვიდა.

ჯორჯი ერთ წუთს დაფიქრებული იდგა. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში, სწრაფად გააღო კარი და უკანვე შემოიხმო ბატონი ვილსონი.

_ თქვენთან კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, _ უთხრა მან მოხუცს. _ ისე ადამიანურად მომეპყარით, რომ ვბედავ, თქვენთან სრულიად გულახდილი ვიყო. მე რომ მოვკვდე, ქვეყანაზე არავის შევებრალები, გარდა საცოდავი ცოლისა. ეს ქინძისთავი, _ ჯორჯმა ჰალსტუხიდან გამოიღო ქინძისთავი, _ ჩემი ცოლის ნაჩუქარი გახლავთ, შეიძლება, როდისმე შეგხვდეთ ჩემი ცოლი, ქინძისთავი იმას გადაეცით და უთხარით, რომ მე ის მეყვარება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. გადაეცით აგრეთვე ჩემი შემდეგი სურვილი: წაიყვანოს ჩემი შვილი კანადაში და იქ თავისუფალ მოქალაქედ აღზარდოს, რომ იმან მაინც აღარ გამოსცადოს მონობის საშინელება.

მოხუცს ცრემლები გადმოსცვივდა და აღუთქვა  თხოვნის შესრულება.

_ იმედს ნუ დაჰკარგავთ, ჩემო კარგო! შეიძლება, კარგად წავიდეს თქვენი საქმე. სიმართლე გაიმარჯვებს.

_ დიახ, თუკი არსებობს სიმართლე, _ თქვა ჯორჯმა სასოწარკვეთილებით.

_ მაგას ნუ ამბობთ! _ თქვა ვილსონმა მღელვარებით, _ სიმართლე არსებობს.

ეს სიტყვები ისეთი რწმენით წარმოთქვა ვილსონმა, რომ ჯორჯზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ოთახში სიარულს თავი გაანება და დაფიქრდა. შემდეგ თავი ასწია და უპასუხა:

_ გმადლობთ დარიგებისათვის, კეთილო მეგობარო. თქვენი სიტყვები არასოდეს დამავიწყდება.

## მეთერთმეტე თავი

## შემთხვევა გემზე

ვაჭარი ჰელი და თომა საღამოთი ჩავიდნენ ვაშინგტონში. ჰელის აქ საქმეები ჰქონდა: საჯარო ვაჭრობას უნდა დასწრებოდა და კიდევ ეყიდა ზანგები. თვითონ სასტუმროში ჩამოხტა, თომა კი საქალაქო სატუსაღოში მოათავსა. თომა, როგორც ყოველთვის, ხმაამოუღებლივ დაემორჩილა თავის ბედს.

მეორე დღეს, შუადღის თორმეტ საათზე, ჭრელი ხალხი აირია სასამართლოს დარბაზში, სადაც საჯარო ვაჭრობა უნდა გამართულიყო. ზანგები ცალკე იდგნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა მოხუცი, წელში მოხრილი, ქარებისაგან დაკრუნჩხული, თითქმის უსინათლო დედაკაცი. მასთან ახლოს იდგა თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ცქვიტი ბიჭი. ეს იყო უკანასკნელი შვილი ამ დედაკაცისა. მას ბევრი შვილი ჰყავდა, მაგრამ ყველა გაუყიდეს და ეს უმცროსი ვაჟიღა შერჩენოდა დღემდის. დედას თავისი აკანკალებული ხელები მოეხვია შვილისათვის და გულისფანცქალით შეჰყურებდა ვაჭრებს, რომლებიც ზანგებს გარშემო უვლიდნენ.

_ ნუ გეშინია, ძალუა! _ უთხრა ერთმა მოხუცებულმა ზანგმა დედაკაცს: _ მე ველაპარაკე ბატონ ტომასს. იმას იმედი აქვს,შენ შვილთან ერთად გაგასაღოს.

_ მე მუშაობა კიდევ შემიძლია, _ ამბობდა დედაკაცი და მოცახცახე მკლავებს მაღლა წევდა. _ საჭმლის გაკეთებაც შემიძლია, სარეცხის რეცხვაც. ჩემი მყიდველი არ იზარალებს, დედაშვილობას, აგრე აუხსენით ყველას, _ ეხვეწებოდა დედაკაცი მასთან მოლაპარაკეს.

ამ დროს ზანგებში შეერია ჰელი. იმან გაუსინჯა კბილები ერთ მოხუცს. წელში ამართა, მერე მოღუნა, რომ შეეტყო, რამდენად ნავარჯიშები კუნთები ჰქონდა. ახლა მეორე გასინჯა, მესამე და ასე დაუარა ყველას. ბოლოს დედაბრის ლამაზ შვილთან მივიდა: გაუსინჯა ხელის კუნთები და უბრძანა, ეხტუნა.

_ ბავშვის გაყიდვა არ შეიძლება უჩემოდ, _ სწრაფად თქვა დედაკაცმა, _ ჩვენ, დედა-შვილს, ორივეს ერთად გაგვყიდიან, ბატონო. მე კიდევ შემიძლია ყოველნაირი მუშაობის ატანა.

_ თამბაქოს პლანტაციაში ხომ არ აპირებ მუშაობას? _ ჰკითხა ჰელიმ დაცინვით, _ ზედ გეტყობა!

ამ სიტყვებით მოშორდა მონებს და სიგარა გააჩაღა.

_ რა გადაწყვიტეთ? _ ჰკითხა მას ბატონმა ტომასმა, საჯარო ვაჭრობის გამგემ.

_ მე უფრო ახალგაზრდები მინდა ვიყიდო და იმათთან აი, ის ბავშვიც.

_ ბავშვთან იმისი დედაც უნდა იყიდოს მყიდველმა.

_ ძალიან ოინი მოგიგონიათ! ვის რად უნდა ეგ ბებრუცანა? ეგ ხომ თავისი საჭმლის მარილის ფასსაც ვერ აანაზღაურებს!

_ მაშ, არ იყიდით დედას?

_ სულელი ხომ არა ვარ! ბრმაც არის და ქარებისაგან დაკრუნჩხულიც. ვგონებ, სრულ ჭკუაზედაც არ უნდა იყოს.

_ არა, ეგ არ ითქმის. ხანდახან ასეთი მოხუცის მყიდველსაც შეუძლია, ხეირი ნახოს. ძალიან იაფად ჰყიდიან. ამ ფასად, ეჭვს გარეშეა, დედაკაცი ღირს.

_ არა, მე მუქთადაც არ მინდა, _ გადაწყვეტით განაცხადა ჰელიმ.

_ მებრალება საცოდავი. ვერ აიტანს, თუ შვილს დააშორეს. შვილი საშინლად უყვარს და ჭკუაზე შეიშლება ეს საბრალო.

_ მერე რა ვუყოთ, _ გულცივად თქვა ჰელიმ.

ამ დროს მოვიდა დამფასებელი და ლაპარაკი შეწყდა.

მოხუცმა დედაკაცმა სუნთქვა შეწყვიტა და შვილს მაგრად მოჰკიდა ხელი.

_ ჩემთან ახლო დადექი, შვილო! ჩვენ უთუოდ ერთად გაგვყიდიან.

_ არა, დედილო, მე ამის იმედი არა მაქვს, _ უთხრა შვილმა.

_ უეჭველად, ერთად უნდა გაგვყიდონ. დარდისაგან მოვკვდები, ერთმანეთს რომ დაგვაშორონ.

დამფასებელმა ჩაქუჩი დაარახუნა და ვაჭრობა დაიწყო. საქმე სწრაფად მიდიოდა. მონების მყიდველი ბევრი მოსულიყო. ჰელის ორი მონა ერგო ვაჭრობაში. ჯერი მიდგა მოხუცებულ დედაკაცსა და იმის შვილზე.

_ ჩვენ ერთად დაგვაყენეთ, ბატონო! _ შეეხვეწა დედაკაცი დამფასებელს.

_ მოშორდი აქედან! _ დაუყვირა იმან, _ შენ უკანასკნელ რიგში ხარ მოქცეული. _ აბა, ბიჭო, აქეთ გამოდი, _ მიუბრუნდა ის ბავშვს, ხელი ჰკრა და წინ გამოაგდო მოედანზე, სადაც ვაჭრობა წარმოებდა. გაისმა დედის გულსაკლავი ქვითინი. ბავშვმა უკან მოიხედა, მაგრამ დაყოვნების დრო აღარ იყო, ცრემლები მოიწმინდა დიდრონ მეტყველ თვალებზე და დადგა ნაჩვენებ ალაგს. ბავშვს მოყვანილი ტანი ჰქონდა, მარჯვე მიხრა-მოხრა და სანდომიანი პირისახე. ბევრი მუშტარი მიესია საყიდლად. შეშინებული ბავშვი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ვიდრე ვაჭრობა არ გათავდა. გაისმა ჩაქუჩის რაკუნი _ იმის ბედი გადაწყდა. ბავშვი ჰელის ერგო. როცა ახალ ბატონს ჩააბარეს, დედისაკენ გაიხედა და

დაინახა, რომ აკანკალებულ ხელებს უწვდიდა მას, მაგრამ ახლო კი არ უშვებდნენ.

_ ბატონო, ღვთის გულისთვის, მეც მიყიდეთ, _ ეხვეწებოდა მოხუცებული ჰელის, _ მე ვერ ავიტან შვილის მოშორებას!

_ ვაითუ უფრო ადრე მოკვდე, მე რომ გიყიდო. არა, საჭირო არა ხარ, _ დაცინვით უპასუხა ჰელიმ.

ვაჭრობის გამგე ტომასმა დედაკაცი იაფად იყიდა.

ზანგები მიეხვივნენ საბრალო დედას. მძიმე სანახავი იყო საცოდავი. ჭირის ოფლს ასხამდა, სიმწრით სახეს იკაწრავდა.

_ ნუთუ არ შეიძლებოდა, უკანასკნელი შვილი მაინც შეერჩინათ ჩემთვის?! ბატონი მპირდებოდა _ შენი შვილი შენთან იქნებაო, და ეს დაპირებაც არ ამისრულეს!!! _ მწარედ მოთქვამდა საცოდავი.

_ დედი, დედილო, დამშვიდდი. ამბობენ, შენი ახალი ბატონი კარგი კაციაო, _ უთხრა შვილმა.

_ რა საჭიროა ჩემთვის კარგი ბატონი, ჩემო სიცოცხლევ? რა მეშველება უშენოდ?!

_ გაიყვანეთ აქედან ეგ დედაკაცი! _ დაიყვირა ჰელიმ, _ თვითონ მაგისათვის არის ცუდი, აქ რომ გყავთ.

რის ვაივაგლახით წიყვანეს საბრალო დედაკაცი, ჰელიმ კი ახლად ნაყიდ მონებს ბორკილებით შეუკრა ხელ-ფეხი და სატუსაღოში გაგზავნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰელი თავისი ზანგებით უკვე იჯდა გემში მდინარე ოჰაიოზე.

გზადაგზა ჰელი კიდევ აპირებდა მონების ყიდვას ადამიანებისაგან შემდგარი ჯოგის შესავსებად.

«მშვენიერი მდინარე» (ასე ეძახდნენ გემს, რომელშიც ჰელი და მისი მონები ისხდნენ) მხიარულად მიცურავდა მდინარის შესართავისაკენ. მორთული ქალვაჟნი, მხიარული ბავშვები ირეოდნენ გემის ზემო ბაქანზე. ყველაფერი ბრწყინავდა. ყველგან მხიარულების ხმა ისმოდა, მხოლოდ ტრიუმში იყო მოწყენილობა.

იქ სხვადასხვა საქონელთან ერთად იყვნენ მოთავსებული ჰელის მონები. ყველანი შეყუჟულიყვნენ ერთ კუნჭულში და ხმადაბლა რაღაცას ლაპარაკობდნენ. არ იზიარებდნენ მგზავრების მხიარულებას, მხოლოდ თავიანთ მიტოვებულ ცოლ-შვილზე, მშობლებსა და ნათესავ-ნაცნობებზე ფიქრობდნენ, რომლებსაც სამუდამოდ დააშორეს.

_ ჩემმა ცოლმა არც კი იცის, თუ ბატონმა გამყიდა და ახლა სხვაგან მივყავართ, _ ამბობდა ერთი ზანგი, რომელიც სიაში ასე ეწერა: «ჯონი, ოცდაათი წლისა».

_ სად ცხოვრობს თქვენი ცოლი? _ ჰკითხა თომამ.

_ სადღაც აქ ახლოს უნდა იყოს, სავაჭრო სახლში მსახურობს. ჩვენ ახლოს გავივლით. ნეტა ერთი კიდევ მენახა ჩემს სიცოცხლეში!

ჯონს ღაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები. თომამ მძიმედ ამოიოხრა და შეეცადა, ნუგეში ეცა საცოდავისთვის.

ზემო სართულზე კი ბედნიერნი ამა ქვეყნისანი, _ მამები, დედები, ცოლები და ქმრები, მხიარულად ატარებდნენ დროს თავიანთ შვილებთან ერთად. არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ მათ გემზევე, ერთი სართულით ქვემოთ, იმყოფებოდნენ მათნაირივე ადამიანები, მხოლოდ მოკლებულნი ყველა უფლებასა და ადამიანურ ბედნიერებას.

იშვიათად თუ ვინმე შეიბრალებდა ხელფეხდაბორკილ ზანგებს. უმრავლესობას მათი მდგომარეობა ბუნებრივად მიაჩნდა: მათი აზრით, ზანგები ნამდვილ ადამიანებად არ ითვლებოდნენ.

ერთ-ერთ ნავსადგურში გემზე გამალებული ამოვარდა ერთი ზანგი ქალი, წინ გაურბინა მორთულ-მოკაზმულ მგზავრებს და ტრიუმს მიაშურა, დაინახა ჯონი, გადაეხვია და გადაკოცნა. თან უალერსებდა და თან ღაპაღუპით ცრემლი სდიოდა. ეს იყო ჯონის ცოლი, რომლის ნახვაც ასე ენატრებოდა ქმარს.

ძნელი ასაწერია, რას გრძნობდა ამჟამად ეს უბედური ცოლ-ქმარი. ვინ შეძლებს სავსებით გადმოცემას იმ გრძნობისას, რომელსაც შეეპყრო ამ წუთს უბედურები! ხარობდნენ შეხვედრით, მაგრამ სიხარული შხამით იყო ნალესი, რადგანაც შეიძლება ეს მათი საუკუნო გამომშვიდობება ყოფილიყო.

გემი ჩქარა მოშორდა ნავსადგურს და გზას გაუდგა. თითქოს არაფერი არაჩვეულებრივი არ მომხდარიყოს.

მგზავრები ისევ მხიარულობდნენ, მასლაათობდნენ, იცინოდნენ და შეექცეოდნენ. ბავშვები ცელქობდნენ და თამაშობდნენ.

შემდეგ სადგურზე ჰელი გემიდან გადმოვიდა, რაღაც საქმე ჰქონდა. თომა გემის მოაჯირთან იდგა და დაფიქრებული გაჰყურებდა შორეულ სივრცეს. თუმცა ბორკილები ედო ფეხებზე, სიარული მაინც შეეძლო. მან დაინახა გემისაკენ მომავალი ჰელი. ვიღაც ზანგი კაცი და ქალი მოსდევდნენ, ქალს ხელში ბავშვი ეჭირა და ჰელის უკან მხიარულად მოდიოდა, კაცს ბარგი მოჰქონდა. როცა ქალი თავისი ბავშვითა და ბარგით გემბანზე ამოიყვანეს, კიბე მოხსნეს და გემი ქშენითა და ხმაურით დაიძრა.

ახალი მგზავრი თავისი ბარგით დანარჩენ მონებთან მოათავსეს. ქალი როგორღაც ჩქარა შეეჩვია თავის მდგომარეობას, მკლავზე მწოლარე ბავშვს ნანაც კი უთხრა. ჰელი მივიდა ქალთან და ხმადაბლა რაღაც ჩაუჩურჩულა. ქალი წამოწითლდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

_ რაო? არასოდეს არ დავიჯერებ, თქვენ მეხუმრებით!

თომამ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და შეამჩნია, რომ ქალს სწრაფად ეცვალა სახის გამომეტყველება.

_ თუ არ გჯერათ, აი, წაიკითხეთ ქაღალდი, რომელშიც ყველაფერი წერია, რაც გითხარით; ეს ქაღალდი თქვენი ბატონის ხელმოწერილია. _ ჰელიმ ამოიღო დაკეცილი ქაღალდი, გამოიწვია ერთი მგზავრთაგანი და სთხოვა წაეკითხა ქალისათვის, რა ეწერა ამ ქაღალდში.

ეს, მართლაც, ნასყიდობის ქაღალდი აღმოჩნდა, ვიღაც ფოზდიკს მიეყიდა ვაჭარ ჰელისათვის დედაკაცი ლუსი თავისი ბავშვით.

დედაკაცმა საშინელი ხმაური ატეხა. ხალხი შემოეხვია.

_ ბატონმა სიტყვა მომცა, ლუნსვილში მოსამსახურედ გაგზავნი, იმავე დაწესებულებაში, სადაც შენი ქმარი არის მოსამსახურედაო! ვერ დავიჯერებ, რომ ბატონმა ეგრე მომატყუა!

_ ეჭვს გარეშეა, ჩემო კარგო, რომ ბატონს გაუყიდიხარ! _ შენიშნა ვიღაც მგზავრმა.

_ მაშ, რაკი ეგრეა, ლაპარაკი ზედმეტი ყოფილა, _ მოკლედ მოჭრა დედაკაცმა სიტყვა, მაგრად ჩაიკრა გულში ბავშვი, ჩამოჯდა თავის ყუთზე და დაუწყო მდინარეს გულგრილად ყურება.

«ვგონებ, დამშვიდდა, _ გაიფიქრა ჰელიმ, _ ეტყობა, მტკიცე ხასიათის დედაკაცია».

დედაკაცი უძრავად იდგა ერთ ალაგას, თითქოს ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს გრძნობდა, გემი კი მიცურავდა და მიცურავდა. ზაფხულის ნაზი სიო ელამუნებოდა დედაკაცის პირისახეს: მზის სხივები მდინარის ზედაპირს განსკუთრებულ მხიარულ შუქს აყენებდა. ყოველი მხრიდან მხიარული ხმაური ისმოდა. დედაკაცს კი საშინელი ნაღველი უღრღნიდა გულს, თითქოს რაღაც ლოდი დააწვა მის არსებასო. ბავშვი ეალერსებოდა დედას, პატარა თითებს უცაცუნებდა პირისახეზე, თითქოს ცდილობდა გამოეფხიზლებინა ის და გაემხიარულებინა. უცბად ქალმა ღონივრად მოჰხვია შვილს მკლავები, თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და განცვიფრებულ ბავშვს სახეზე დაედინა, მაგრამ ქალი ნელ-ნელა ისევ დამშვიდდა, ბავშვის მოვლაში გაერთო. ჯანმრთელი, მხიარული ათი თვის ბავშვი ერთ წამსაც არ ჩერდებოდა, ტრიალებდა, იწევდა, ეპოტინებოდა ყველაფერს და ერთ წუთს ვერ აშორებდა დედას ხელს.

_რა მშვენიერი ბავშვია, _ თქვა ერთმა მგზავრმა. _ რა ხნისაა?

_ ათთვე-ნახევრის გახლავთ, _ უპასუხა დედამ.

უცნობმა სტვენით გაართო ბავშვი და შაქარყინული მისცა. ბავშვმა იმ წამსვე პირისაკენ გააქანა.

_ ყოჩაღ, ბიჭო! გემო სცოდნია, _ თქვა სიცილით უცნობმა. ცოტაც ეთამაშა და მერე წავიდა. გემის მეორე მხარეზე მან ჰელი ნახა და ლაპარაკი დაუწყო:

_ მშვენიერი საქონელი გიყიდიათ! _ უთხრა მან ჰელის, _ დედაკაცი ყოჩაღი ჩანს. სამხრეთის ბაზარზე მიგყავთ?

_ დიახ, მე შეკვეთილი მყავს ზანგები ერთი პლანტატორისაგან. ამ დედაკაცზე მითხრეს, კარგი მზარეულობა იცისო, და იმიტომ ვიყიდე. თუ საჭირო იქნა, პლანტაციაშიც კარგად იმუშავებს: ღონიერი ხელები აქვს.

ჰელიმ სიგარას მოუკიდა.

_ მერე, ბავშვი რომ ხელს შეუშლის მუშაობაში, _ შენიშნა მოლაპარაკემ.

_ ბავშვს პირველ შემთხვევაშივე გავყიდი, _ უპასუხა ჰელიმ.

_ იაფად გაყიდით?

_ რა მოგახსენოთ: ჯანსაღი, მაგარი აგებულების ბავშვია და...

_ მართალსა ბრძანებ, მაგრამ ბავშვს გაზრდა უნდა, გაზრდა კი ადვილი არ არის.

_ სულ უბრალოა! ბავშვი ისევე ადვილი გასაწვრთნელია, როგორც ლეკვი. ერთი თვის შემდეგ ფეხს აიდგამს.

_ მშვენიერი ადგილი მაქვს ბავშვის შესანახად, _ განაგრძო ლაპარაკი უცნობმა, _ მსურდა, კიდევ შემეძინა ბავშვები. რას იტყვით, ათი დოლარი რომ მოგცეთ? თქვენთვის ხომ სულ ერთია, ასე თუ ისე, ბავშვი თავიდან უნდა მოიშოროთ.

_ სრულიადაც არა, _ მიუგო ჰელიმ და სიგარა გააბოლა.

_ მაშ, რას აფასებთ?

_ აი, რას გეტყვით. მე თვითონ მშვენივრად შემიძლია მაგისი აღზრდა. შესანიშნავი ბავშვია, ჯანსაღი. ორი წლის შემდეგ ორას დოლარსაც მომცემენ, ახლა კი ორმოცდაათ დოლარზე ნაკლებ არ გავყიდი.

_ ხუმრობთ თუ მართალს ბრძანებთ?! _ წარმოთქვა  გაოცებულმა უცნობმა.

კიდევ რამდენიმე  ხანს ივაჭრეს და ბოლოს, როგორც იყო, მორიგდნენ 45 დოლარად. გადაწყვიტეს _ ახალი პატრონი ბავშვს ჩაიბარებდა ლუნსვილის ნავსადგურში.

_ ჩვენ იქ დაბინდებისას ვიქნებით, _ თქვა ჰელიმ.

_ სწორედ კარგი დრო იქნება. ბავშვს ეძინება და ყველაფერი ჩუმად, მშვიდობიანად მოეწყობა. მძულს, როცა ტირილი და ღრიანცელი ატყდება ხოლმე.

წყნარი, მოწმენდილი საღამო იყო, როცა გემი შევიდა ლუნსვილის ნავსადგურში. ქალაქის სახელი რომ გაიგონა, ლუსიმ  მძინარე ბავშვი ყუთის გვერდით მიაწვინა, ქვეშ თავისი წამოსასხამი დაუგო, თვითონ კი ნავსადგურისაკენ გაექანა იმის იმედით, რომ  შეიძლება სასტუმროს მოსამსახურეებთან  ერთად მისი ქმარიც გამოსულიყო მგზავრების შესახვედრად. გემზე ხალხი აირია, ქალი ბავშვს ვეღარ ხედავდა. სწორედ ამ შემთხვევით ისარგებლა ჰელიმ, შეუმჩნევლად აიყვანა ბავშვი და ახალ პატრონს გადასცა. მყიდველმაც  ფრთხილად გამოართვა, ასევე შეუმჩნევლად გადავიდა გემიდან და ხალხში მიიმალა.

როცა გემი ნავსადგურიდან გავიდა, ლუსიც დაბრუნდა თავის ადგილას. აქ მას დახვდა ჰელი, ბავშვი კი აღარ ჩანდა.

_ სად არის ჩემი ბავშვი? _ ჰკითხა თავზარდაცემულმა, შეშინებულმა ლუსიმ.

_ თქვენი შვილი კარგმა კაცმა იყიდა. მე ვიცოდი, რომ თქვენ ახალ ბინაზე ბავშვის მოსავლელად არ გეცლებოდათ, და ამის გამო ბავშვი კარგ ოჯახში მოვათავსე. დამშვიდდით, ტყუილად ნუ შეიწუხებთ თავს, საქმე გათავებულია და ბავშვის უკან დაბრუნება აღარ შეიძლება.

ლუსიმ საშინელი თვალებით შეხედა მოლაპარაკეს, მაგრამ ამან ჰელიზე არ იმოქმედა. არც იმან ააღელვა, რომ უბედურმა დედამ სიმწრით თითების მტვრევა დაიწყო: ჰელი დიდი ხანია შეჩვეული იყო ამგვარ სურათებს. ის მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ დედაკაცი ყვირილსა და აურზაურს ატეხდა. მაგრამ დედაკაცი არ ყვიროდა. მისი მწუ-

ხარება წივილ-კივილით არ გამოითქმებოდა. მას თავზარი დასცა ამ ამბავმა და მუხლმოკვეთილი დაეშვა ყუთზე. მკლავები მოუდუნდა, თვალებს უაზროდ აცეცებდა აქეთ-იქით და ვერაფერს ხედავდა.

არც დაუყვირია, არც დაუკვნესია, ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია თვალთაგან.

ჰელიმ საჭიროდ დაინახა, თავისი მსხვერპლისათვის ნუგეში ეცა.

_ გამიგონე, ლუსი, _ უთხრა მან დედაკაცს, _ სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი. შენ ლამაზი ქალი ხარ და ახალ ბინაზე ჩქარა იშოვი ახალ ქმარს.

_ ბატონო, შემიბრალეთ, ნუ მელაპარაკებით, თავი დამანებეთ! _ ქვითინით შეევედრა ლუსი. მის ხმაში იმდენი ტკივილი, იმდენი ტანჯვა იხატებოდა, რომ გულქვა ვაჭარიც კი მიხვდა, აქ ყბედობა უადგილოაო.

სულ ფიქრობდა, როგორმე დაემშვიდებინა. ახლომახლო რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და დარწმუნდა, რომ ჯობდა, ცოტა ხნით სულაც მოშორებოდა თვალიდან, სანამ ქალი თვითონ დამშვიდდებოდა და გონს მოვიდოდა.

თომამ ყველაფერი დაინახა, რაც გადახდა უბედურ დედას. მისი მოსიყვარულე გული ღრმად შეაძრწუნა ამ სანახაობამ; დედაკაცის ცოდვით იწვოდა და არ იცოდა, რით ეშველა. უნდოდა, როგორმე შეემსუბუქებინა საბრალოსათვის ტანჯვა. მივიდა ლუსისთან და შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ყოველივე: თომას სიტყვები ვერ ჩასწვდა მწუხარე დედის გულს.

მშვიდი, მოწმენდილი ღამე იყო. ცა ურიცხვი მოციმციმე ვარსკვლავით მოიჭედა. მშვენიერი იყო ღამე, მაგრამ იმის სიკეკლუცეში არ მოიპოვებოდა მალამო ადამიანის ტანჯვის გასაქარვებლად. გემზე ხმაური ნელ-ნელა მიწყდა. ყველა დასაძინებლად გაემზადა.

მყუდრო ღამეში არ ეძინა მხოლოდ თომას, იმის ყურს დროგამოშვებით ესმოდა თავშეკავებული ქვითინი უბედური დედისა.

ბოლოს ეს ხმაც შეწყდა და სრული სიჩუმე დამყარდა.

გათენებისას თომას ოდნავ ჩასთვლიმა, მაგრამ უცბად რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა და წამოხტა. გვერდით რაღაც აჩრდილმა გაურბინა და გაქრა, შემდეგ მოესმა წყლის თქაფუნი, თითქოს რაღაც მძიმე სხეული ჩავარდაო. თომამ გაიხედა იქით, სადაც დედაკაცი ეგულებოდა, მაგრამ დედაკაცი ვეღარ დაინახა.

მწუხარე ადამიანმა ცივ ტალღებში ჰპოვა მოსვენება.

მდინარე მხიარულად მიაქანებდა ტალღებს, თითქოს ამ წუთას ამავე ტალღებმა არ შთანთქა წამებული დედა.

ჰელიმ მეორე დღეს კარგ გუნებაზე გაიღვიძა და თავისი მონების დასათვალიერებლად ჩავიდა ძირს.

თომამ, ცხოვრების სიბრძნით განსწავლულმა, კრინტი არ დაძრა, როცა ვაჭარმა ყვირილი მორთო:

_ სად არის ლუსი? ღამე ხომ ნაპირზე ვერსად გავიდოდა, სადგურებზე კი თვალყური მეჭირა, რადგანაც კარგად ვიცი თქვენი ამბავი. არასოდეს გენდობით!

თომა ჩუმად იყო. ვაჭარმა ყველა კუთხე და კუნჭული დაათვალიერა; ვერსად ნახა ლუსი, ისევ მონებთან დაბრუნდა და თომას მიმართა:

_ გამიგონე, თომა! შენ უთუოდ გეცოდინება, რა იქნა ის დედაკაცი. ტყუილებს კი არ მოჰყვე. წუხელ საათის ათზე დედაკაცი ისევ აქ იყო, მერეც ვხედავდი აქა. გათენებისას რომ დაგათვალიერეთ, თითქოს ვეღარ მოვკარ თვალი. მთელ ღამეს შენ იმის გვერდით იყავი და გეცოდინება, რა დაემართა.

_ რაც ვნახე, ბატონო, მოგახსენებთ: გათენებისას, თითქოს რაღაცამ წამკრაო, უცებ გამეღვიძა და დავინახე, რომ ჩემ გვერდით ვიღაცამ გაირბინა. ეს იყო და ეს, შემდეგ აღარაფერი მინახავს, მხოლოდ წყლის თქაფუნი შემომესმა, თითქოს რაღაცა მძიმე ჩავარდა წყალში. მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, დავინახე, რომ ლუსი თავის ადგილზე აღარ იყო. აი, რაც ვიცი ამ საქმის შესახებ.

აღარაფერი ეშველებოდა. ჰელიმ ბევრი წყევლა თავისი ბედი, ანგარიშობდა ზარალს, მაგრამ ამით რას გააწყობდა. იძულებული იყო, ბედს დამორჩილებოდა. სიკვდილისა და იმისი ულმობელი განაჩენის წინაშე უძლურია ადამიანის ჩვეულებრივი ანგარიშები.

ლუსი მოშორდა ამ ქვეყანას და გადასახლდა იქ, სადაც ადამიანის მსჯელობასა და სამსჯავროს ადგილი არა აქვს.

## მეთორმეტე თავი

## შეხვედრა მშვიდობიან ოჯახში

ოჯახური მყუდროების სურათია: დიდ, ნათელ ოთახში, სუფთად შეღებილ თაროებზე ჩამწკრივებულია დახეხილი, ბრჭყვიალა ქვაბები. დგას რამდენიმე ძველი, მაგარი ხის სკამი. ყველაფერი ისე დასუფთავებულ-დაწმენდილია, რომ ადამიანის თვალს ახარებს. დგას აგრეთვე ორი სავარძელი: ერთი საქანაო, შიგ აგია ფერადი ნაჭრების ბალიში, მეორე დიდ სავარძელში კი რბილი ყურთუკის ბალიშია.

ერთ სავარძელში ზის ჩვენი ნაცნობი ელიზა. გამხდარა მას შემდეგ, რაც კენტუკიდან წამოვიდა, ფერი წასვლია. თვალები და, საერთოდ, სახის გამომეტყველება მოწმობს, რომ ყმაწვილ ქალს მწუხარება უღრღნის გულს. მაგრამ ისიც ეტყობა, რომ გამოვლილ ტანჯვა-წამებას მისთვის ხასიათის სიმტკიცე და გამბედაობა მიუმატებია. ის თვალყურს ადევნებს იქვე მოთამაშე ბიჭუნას.

მეორე სავარძელში ზის ასე ორმოცდაათი-სამოცი წლის ქალი. ხნოვანებას უძლურების ბეჭედი არ დაუსვამს ამ ქალისათვის. პირიქით, მისი ლამაზი სახისათვის სიდარბაისლე მიუმატებია. უბრალო ჩაცმულობასა და თეთრ მოსახვევზე შეატყობდა კაცი, რომ ის კვაკერთა სექტის წევრი უნდა ყოფილიყო. იმის მრგვალ, კეთილ პირისახეს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვოდა ახალგაზრდული ელფერი. მოსახვევქვეშ მოჩანდა ოდნავ შეჭაღარავებული კავები. თვალები გამოხატავდნენ მის სულიერ სისპეტაკეს. კარგია ახალგაზრდული სილამაზე, მაგ-

რამ ხანშიშესულსაც თავისებური ხიბლი აქვს. სწორედ ასეთი სილამაზით იყო შემკული რახილ ჰალიდეი.

რახილი იჯდა სავარძელში, ატამს ფცქვნიდა და სპილენძის თასში ალაგებდა. სავარძელი, ცოტა არ იყოს, დაზიანებული იყო: ყოველ განძრევაზე ჭრაჭა-ჭრუჭი გაჰქონდა. რახილის ქმარი, სიმეონ ჰალიდეი, იტყოდა ხოლმე: ამ სავარძლის ჭრაჭა-ჭრუჭი განმაცდევინებს იმ ძველ სიყვარულსა და ერთგულებას, რომლითაც შემკული იყო ჩვენი ცოლქმრული ცხოვრება ოცი წლის განმავლობაში.

მართლაც, სიმეონის ცხოვრებაში მისი მეუღლე იყო პირველი ნუგეში. ეს ოცი წელი რახილმა სავარძელში გაატარა. ამიტომ უყვარდა სიმეონს ეს სავარძელიც. შვილებიც ასეთივე აზრისანი იყვნენ. იმათაც უყვარდათ ჭრაჭუნა სავარძელი. ამბობდნენ: არასოდეს არ მოვიშორებთ დედის სავარძელსაო. ძლიერია გავლენა მოსიყვარულე გულისა. აკურთხოს უფალმა ისეთი ქალები, როგორიც იყო რახილი!

_ ელიზა, შენ მაინც ფიქრობ კანადაში წასვლას? _ შეეკითხა რახილი ელიზას და თან დაფცქვნილ ატამს ასწორებდა ტაშტში.

_ დიახ, ქალბატონო! _ მტკიცედ უპასუხა ელიზამ. _ ჩემი გზა უნდა განვაგრძო. აქ დარჩენის მეშინია.

_ რას გააკეთებ კანადაში? ამაზედაც უნდა იფიქრო, შვილო!

ელიზას ხელები აუკანკალდა, თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ მაინც მტკიცედ უპასუხა:

_ იმედი მაქვს, სამუშაოს ვიშოვი, ისე არ გავჩერდები.

_ იცოდე, რომ ჩვენთან რამდენ ხანსაც გსურს, იმდენ ხანს შეგიძლია იცხოვრო.

_ დიდად გმადლობთ. მაგრამ აქ ცხოვრება აღარ შემიძლია. არც დღე, არც ღამე მოსვენება არა მაქვს. გუშინ სიზმარშიც კი ვნახე ის საზარელი ვაჭარი, ვითომც თქვენს ეზოში შემოსულიყო.

_ საბრალო ბავშვი, _ თქვა რახილმა და თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა; _ ფიქრებს თავი არ უნდა მისცე. ჩვენს სოფელში ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ გაქცეული მონა დაეჭიროს ვისმეს, რაღა შენ ბავშვს დაატყდება თავს ეს უბედურება.

ამ დროს კარი გაიღო და სამზარეულოში შემოვიდა ახალგაზრდა, ტანმორჩილი, კოხტა, მსუქანი ქალი. ლოყები წითლად უღაჟღაჟებდა. იმასაც, როგორც რახილს, ყომრალი ფერის კაბა ეცვა და ყელზე მარმაშის ქალაღაია ჰქონდა შემოხვეული.

_ ოჰ, მშვიდობა შენს მოსვლას, რუთ! როგორა ხარ? _ მხიარულად შეეგება რახილი სტუმარს და ალერსიანად გაუწოდა ხელი.

_ გმადლობთ, რახილ! _ უპასუხა ქალმა.

მან მაუდის ქუდი მოიხადა და მტვერი გადაწმინდა ცხვირსახოცით. ქუდის ქვეშ, კვაკერების ადათისამებრ, მოხვეული თავშალი უხეიროდ ადგა თავზე. კარგა ხანს ეწვალა ქალი თავისი ფუნჩულა ხელებით, მაგრამ უსარკოდ ვერ გა-

ისწორა. თავშალი უკან გადასწეოდა და ხუჭუჭი კულულები უჩანდა. ყმაწვილმა ქალმა (ოცდაოთხი-ოცდახუთი წლისა იქნებოდა) ბოლოს სარკეში ჩაიხედა, მოსახვევი გაისწორა და სიამოვნება იგრძნო, თავისი სახე რომ დაინახა.

ვის არ ესიამოვნებოდა ამ ჯანსაღი, ლამაზი, მხიარული ქალის დანახვა!

_ რუთ! _ უთხრა რახილმა, _ აი ჩვენი ახალი მეგობარი ელიზა ჰარისი და მისი შვილი. იმ დღეს ამათზე გელაპარაკებოდი.

_ ძალიან სასიამოვნოა შენი ნახვა! _ უთხრა ელიზას რუთმა ისეთი კილოთი, თითქოს ძველ ნაცნობს გამოელაპარაკაო, _ ეს შენი ბავშვია? რა კარგი ბიჭუნაა! ტკბილი ქადა მოვუტანე. _ რუთმა ბავშვს ნამცხვარი შესთავაზა. ბავშვმა მორცხვად შეხედა ქალს და გამოართვა.

_ შენ სადღა გყავს ბავშვი, რუთ? _ ჰკითხა რახილმა.

_ ბავშვი თანა მყავს. თქვენმა მერიმ მომტაცა და კალოზე გააქცია. იქ ბავშვები თამაშობენ.

ამ დროს ოთახში შემოცქრიალდა პატარა, ლოყაწითელი გოგონა. ბავშვს დედასავით კეთილი და სათნო სახე ჰქონდა. გოგონას ხელში რუთის ფუნჩულა, თეთრი ბავშვი ეჭირა.

_ აი, ხსენებაზე თქვენი ბიჭუნაც მოვიდა, _ თქვა რახილმა ბავშვების დანახვაზე, ბავშვი ხელში აიყვანა და მიუალერსა: _ რა კარგი სახე აქვს, რა ჩქარა იზრდება!

_ დიახ, ჩემი ბიჭიკო ჩქარა იზრდება, _ დედამ  გამოართვა რახილს ბავშვი, გახადა პალტო და ქუდი, ტანისამოსი გაუსწორა, მხურვალედ დაკოცნა და შემდეგ ძირს დასვა. ბავშვი ჩუმად იყო, მაშინვე დინჯად დაჯდა იატაკზე, თითები პირისაკენ გააქანა და წუწნა დაუწყო, დედამ კი ჯიბიდან ჭრელი წინდები ამოიღო და ქსოვა განაგრძო.

_ შვილო, _ მიუბრუნდა რახილი თავის ქალს, _ ქვაბით წყალი შედგი ცეცხლზე, გენაცვალე!

მერიმ ჭიდან წყალი მოიტანა, ბუხარში ზედადგარი გამართა და ქვაბით წყალი შემოდგა.; ქვაბმა ჩქარა ამოუშვა გულიანი შიშინი. მეორე ზედადგარზე მურაბის ტაშტი გამართა და დედის ხელმძღვანელობით ატმის მურაბის ხარშვას შეუდგა. თვითონ რახილმა წინსაფარი აიფარა და ბისკვიტებისათვის ცომის ზელა დაიწყო.

_ როგორ არის პიტერსის ცოლი? _ ჰკითხა რახილმა რუთს.

_ ახლა უკეთ არის. დღეს დილით ვნახე. ლოგინი გავუსწორე და ოთახი დავულაგე. ჩემს შემდეგ ლია გილსი წავიდა მასთან; პურს გამოუცხობს და საჭმელს გაუკეთებს. საღამოთი ისევ მე წავალ და დავხედავ კიდევ.

_ მე ხვალ ვნახავ, _ თქვა რახილმა, _ შეიძლება მეც ვიყო რისთვისმე საჭირო, იქნებ დასაკერებელი ან მისალაგ-მოსალაგებელი ჰქონდეს რამე.

_ კარგს იზამ, _ უთხრა რუთმა. _ არ გაგიგია? ანა სტანბუდიც ავად გამხდარა. გუშინ საღამოთი ჩემი ქმარი იყო იმათსა. მეც ხვალ ვაპირებ ნახვას.

_ თუ მთელი დღით მოგიხდეს წასვლა, ჯონი ჩვენსა გამოგზავნე სადილად.

_ გმადლობთ. ვნახოთ, როგორ მოეწყობა საქმე. აი, სიმეონიც მობრძანდება.

სამზარეულოში შემოვიდა სიმეონ ჰალიდეი _ მოსული, მაგარი აგებულების კაცი. შავი მაუდის ტანისამოსი ეცვა, განიერი შავი ქუდი ეხურა.

_ როგორ ბრძანდებით, რუთ? _ მხიარულად მიესალმა ის სტუმარს. _ ჯონი ხომ კარგად არის?

_ გმადლობთ, მთელი ჩვენი ოჯახი კარგად გახლავს.

_ ახალი ხომ არაფერი იცი? _ ჰკითხა რახილმა ქმარს და თან ბისკვიტებს დასტრიალებდა.

_ პეტრე სტებინსმა მითხრა, დღეს საღამოს ჩემი მეგობრებით გეწვევიო.

სიმეონმა სიტყვა «მეგობრები» რაღაცა მნიშვნელობით წარმოთქვა, პირისაბან ოთახში გავიდა, პირი დაიბანა და უკან შემობრუნდა.

_ შენი სახელი და გვარი ელიზა ჰარისია, ხომ? _ ჰკითხა სიმეონმა ელიზას.

რახილმა გაოცებით შეხედა ქმარს. ელიზამ კანკალით მისცა პასუხი. ორივეს ერთნაირმა შიშმა გაუელვა თავში: განცხადება ხომ არ არის გაკრული ელიზას გაქცევის შესახებო.

სიმეონი ხელახლა გავიდა დერეფანში და ცოლი გაიხმო.

_ რა ამბავია? _ ჰკითხა რახილმა ქმარს და თან ცომიან ხელებს იფშვნეტდა.

_ ელიზას ქმარი ჩვენს ახალშენში იმყოფება და დღეს საღამოს ჩვენსა მოვა, _ უთხრა სიმეონმა ცოლს.

_ რას ამბობ! _ წამოიძახა რახილმა სიხარულით და სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა.

_ სრულ სიმართლეს გეუბნები. გუშინ საღამოთი პეტრე სადგურზე იყო ეტლით. იქ ენახა ერთი მოხუცებული დედაკაცი და ორი კაცი. ერთი მათგანის სახელია ჯორჯ ჰარისი. როგორც იმის სიტყვებიდან ჩანს, უთუოდ ელიზას ქმარი უნდა იყოს. ამბობენ, ძალიან კარგი ყმაწვილია და ამასთან ლამაზიცაო. მოდი, ახლავე ვუთხრათ ელიზას, _ თქვა სიმეონმა.

_ მოიცა. რჩევა ვკითხოთ რუთსაც, _ ურჩია სიმეონს ცოლმა.

დაუძახა რუთს.

_ იცი, რა ახალი ამბავი მოიტანა სიმეონმა? ელიზას ქმარი მახლობელ სოფელში ყოფილა და დღეს ჩვენთან მოიყვანენ.

ყმაწვილ ქალს მეტად გაუხარდა ეს ამბავი, ტაში შემოჰკრა და ისე აღტაცებით დაიწყო ხტუნაობა, რომ ურჩი კულულები ისევ ჩამოეშალა შუბლზე.

_ ნელა, ნელა, ჩემო კარგო, _ ალერსიანად უთხრა რახილმა, _ შენ რას გვირჩევ, ვუთხრათ თუ არა ახლავე ელიზას?

_ უეჭველად, ახლავე ვუთხრათ. წარმოვიდგინოთ, მეგობრებო, მე ვიყო მაგ მდგომარეობაში და ჩემ ჯონზე იყოს ლაპარაკი, განა მაშინვე არ შემატყობინებდით? დროს ნუღარ ჰკარგავთ, ახლავე შეატყობინეთ ეს ბედნიერი ამბავი!

_ რაც დრო გადის, შენში იმდენად უფრო მტკიცდება კაცთმოყვარეობა, _ უთხრა სიხარულისაგან გაბრწყინებულმა სიმეონმა რუთს.

_ მაშ, რისთვის უნდა ვიცხოვროთ ამქვეყნად? მე მიყვარს ჩემი ჯონი და ჩემი შვილი. იმათი სიყვარული ნათლად მაგრძნობინებს ელიზას მდგომარეობას. გეთაყვა, ჩქარა შეატყობინეთ ეს ამბავი, _ უთხრა რუთმა რახილს და თან მოეხ-

ვია. _ წაიყვანე შენს საწოლ ოთახში; მანამ მე შენს მაგივრად ვახშამს მოვამზადებ.

რახილი შევიდა სამზარეულოში, სადაც ელიზა საკერავში გართულიყო.

_ წამომყე, შვილო! _ უთხრა მან ელიზას და თავისი საწოლი ოთახის კარი შეაღო: _ ახალი ამბავი მოგიტანე.

ელიზას მიმტკნარებული სახე უცბად აენთო, კანკალით წამოდგა და შეშინებულმა ბავშვს დაუწყო ყურება.

_ არ შეშინდე, მეგობარო, _ დაამშვიდა რუთმა ელიზა: _ სასიამოვნო ამბავს გაიგონებ, წაჰყე ჩქარა. _ მან მიაცილა ელიზა კარებამდის, პატარა ჰარის ხელი მოჰკიდა, დაკოცნა და უთხრა:

_ ჩქარა ნახავ მამას, ბიჭუნავ, გაიგონე? მამა ჩქარა მოვა, _ რამდენჯერმე გაუმეორა ეს სიტყვები გაოცებულ ბავშვს.

ელიზა სიხარულისაგან წამოწითლდა, მერე ისევ ფერი დაკარგა და ღონემიხდილი დაეშვა სავარძელში.

_ გამაგრდი, შვილო, _ განაგრძო რახილმა ალერსით ლაპარაკი და ელიზას თავზე ხელი გადაუსვა, _ შენი ქმარი ახლა მეგობრებთან იმყოფება და დღეს საღამოთი ნახავ.

_ დღეს საღამოთი? _ აზრი ვერ მოეკრიბა, თავში ყველაფერი აერ-დაერია და გრძნობა დაკარგა.

როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ლოგინში წევს და თბილი საბანი ახურავს. რუთი ქაფურით უზელდა ხელებს, ელიზას ტანში რაღაცა სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა, ტკბილი სიზმრის მაგვარ ბურუსში გაეხვია.

იმ მოუსვენარ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ელიზა გაქცევის დღიდან, ბოლო მოეღო. მოქანცულმა ადამიანმა დაისვენა. იწვა გაუნძრევლად და თვალს ადევნებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. შუა კარი ღია იყო და მეორე ოთახში გაშლილი სუფრა ჩანდა. რუთი მეორე ოთახში ტრიალებდა და ვახშამს აწყობდა. ყმაწვილი ქალი ხშირად მიირბენდა ხოლმე ჰარისთან, მიუალერსებდა და ტკბილეულობას სთავაზობდა.

სამზარეულოდან ქვაბის შიშინი ისმოდა. რახილი ხშირად შემოდიოდა ელიზასთან: ხან საბანს შეუკეცავდა, ხან ბალიშს გაუსწორებდა. ამ სათნო ადამიანის დედობრივი თვალები სიყვარულის სხივებს აფრქვევდა გარშემო.

მოვიდა რუთის ქმარი. ელიზა ხედავდა, რომ ის რაღაცას გაჩქარებით ელაპარაკებოდა ცოლს და თან ხელს იშვერდა იმ ოთახისაკენ, სადაც ელიზა იწვა. რუთმა თავისი ბავშვი აიყვანა ხელში. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ჰარი რახილმა მოისვა გვერდით. ხმადაბალი საუბარი, ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის წკრიალი დამამშვიდებლად მოქმედებდა მოქანცულ ადამიანზე. ელიზამ გამოქცევის შემდეგ, იმ საშინელი ცივი საღამოს შემდეგ, პირველად დაიძინა მოსვენებით.

მას ესიზმრა ამწვანებული კუნძულებითა და შადრევნებით შემკული საუცხოო ქვეყანა, მწვანე მინდორში იდგა სახლი. უჩინარმა ტკბილმა ხმამ ჩასძახა მას ყურში, ეს სახლი შენიაო. შევიდა სახლში და იქ ნახა თავისი ჰარი. თავი-

სუფალი და ბედნიერი ბავშვი მხიარულად თამაშობდა. ელიზას შემოესმა ფეხის ხმა და იგრძნო მისი მოახლოება. მოვიდა, მოეხვია და ცრემლებით დაუსველა სახე.

სიხარულისაგან აღელვებულმა ელიზამ გაიღვიძა და ნახა, რომ სიზმარი სინამდვილე გამოდგა: მის გვერდით ეძინა შვილს, სასთუმალთან კი თავისი ქმარი ეჯდა. ბალიშზე დაყრდნობილი ჯორჯი დაჰყურებდა ძვირფას ცოლშვილს და ტიროდა.

მხიარული დილა გათენდა კვაკერების სახლში. დიასახლისი დილით ადრე ადგა და თავისი გოგო-ბიჭებით ოჯახში დატრიალდა. იმის სტუმართმოყვარე სახლში საუზმე სახუმარო საქმე არ იყო, ყველას თავისი საქმე ჰქონდა: ჯონი წყალზე გაიქცა, სიმეონ-უმცროსი ფქვილს ცრიდა ქადებისათვის, მერი ყავას ფქვავდა; თვითონ რახილი ნელა მიდი-მოდიოდა და სიყვარულით უწევდა ხელმძღვანელობას ყველას მუშაობაში. ამ დროს სიმეონ-უფროსი პატარა სარკის წინ უსერთუკოდ იდგა და წვერს იპარსავდა. სამზარეულოში ბავშვები ისე მხიარულად ფუსფუსებდნენ, ისეთი სიყვარულით ექცეოდნენ ერთმანეთს, რომ, როცა ელიზა, ჯორჯი და ჰარი სამზარეულოში გამოვიდნენ და მასპინძლები ალერსით მიეგებნენ, მათ თავი საოცნებო სიზმარში ეგონათ.

ბოლოს შეუდგნენ საუზმეს. მხოლოდ მერი იდგა ღუმელთან, ცხელ-ცხელ ქადებს აცხობდა და სუფრაზე მოჰქონდა. რახილი ერთობ ბედნიერად თვლიდა თავს თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთად შეყრის დროს. იმისი ალერსიანი ლაპარაკი და მშობლიური მზრუნველობა გემოს მატებდა საჭმელსასმელს.

ჯორჯი პირველად იჯდა მაგიდასთან თეთრკანიანთა შორის, როგორც თანასწორი ადამიანი, და როგორღაც თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ მასპინძლების კეთილმა, ალერსიანმა მოპყრობამ, როგორც ნისლი მზის შუქმა, ეს უხერხულობა ჩქარა გაფანტა. მან თავის ოჯახში იგრძნო თავი. ეს იმისთვის სრულიად უცნობი, ახალი გრძნობა იყო. მის გულში ნელ-ნელა ცვლილება მოხდა. მწუხარება, სასოწარკვეთილება, _ ყველაფერი დაჩრდილა სიყვარულით გაშუქებულმა კვაკერების კეთილმა სახეებმა და იმ თანაგრძნობამ, რომლითაც ეკიდებოდნენ ისინი ბედისაგან დაჩაგრულ სტუმრებს.

_ რას იზამ, მამილო, ჩვენს სახლში რომ დაიჭირონ გამოქცეულები? _ ჰკითხა მამას სიმეონ-უმცროსმა.

_ ჯარიმას გადავიხდი, _ უპასუხა მამამ.

_ საპყრობილეში რომ ჩაგსვან?

_ განა უჩემოდ შენ და დედაშენი ვერ გაუძღვებით ჩვენს მეურნეობას? _ ჰკითხა მამამ შვილს ღიმილით.

_ დედას შეუძლია ყველაფერს მოუაროს, მაგრამ რატომ არა რცხვენიათ იმათ, ვინც ასე აწიოკებს უდანაშაულო ხალხს?

_ მე მძულს ის მემამულენი, რომელთაც მონები ჰყავთ! _ წამოიძახა ახალგაზრდამ.

_ სამწუხაროა, თუ ჩვენი გულისათვის თქვენ რამე საფრთხე მოგელით, _ უთხრა ჯორჯმა სახლის პატრონს.

_ ნუ გეშინია, ჯორჯ, ჩვენ ამქვეყნად ტანჯვის ცხოვრება გვიწერია. თუ კეთილი საქმისათვის არ მივიღებთ ტანჯვას, მაშინ ღირსნი არა ვართ, ადამიანის სახელი ვატაროთ.

_ მე მაინც ვერ ავიტან, რომ ჩემი გულისათვის ვინმეს ტანჯვა შეხვდეს.

_ დამშვიდდი, ჩემო მეგობარო! მე რასაც ვაკეთებ, ჩემი ადამიანური მოვალეობის ასასრულებლად ვაკეთებ. შენ გულდამშვიდებით გაატარე დღე ჩვენსა, საღამოზე კი შენ და შენს თანამგზავრებს ფინეას ფლეტჩერი სხვა სოფელში წაგიყვანთ. თქვენი მდევარი ახლოს ყოფილა, დროს დაკარგვა შეუძლებელია.

_ მაშ, საღამომდის რაღად ვიცადოთ?

_ დღისით თქვენ არავითარი საფრთხე არ მოგელით. ამ სოფელში ყველა თქვენი მეგობარია. ღამით კი მგზავრობა უფრო უხიფათოა.

## მეცამეტე თავი

### ევა და ბიძია თომა

დიდი მდინარის ტალღებში ელავდნენ საღამოს მზის სხივები. ბამბით დატვირთული გემი მძიმედ მიაპობდა ტალღებს და მიდიოდა ახალი ორლეანისაკენ.

აუარებელ ბამბის ფუთებს შუა ერთ კუთხეში, ზემო ბაქანზე იჯდა ჩვენი ძველი ნაცნობი თომა. ჰელიმაც კი მისცა მას ოდნავი თავისუფლება, როცა დარწმუნდა, რომ თომა მშვიდი და სათნო ხასიათის ადამიანი იყო.

თომა სარგებლობდა თავისუფლებით მხოლოდ იმისთვის, რომ მიშველებოდა მუშაობაში, სადაც და ვისაც მუშახელი დასჭირდებოდა; გემის დატვირთვაში, ბარგის გადატანაში, ყველაფერში მონაწილეობდა ისეთივე ხალისით, როგორითაც ემსახურებოდა კენტუკში თავის ბატონს. როცა საქმე არა ჰქონდა, ავიდოდა მაღლა, ბამბის ფუთებს შუა დაჯდებოდა და მიეცემოდა ფიქრს.

მაღლიდან მშვენივრად ხედავდა მდინარის გაშლილ ნაპირებს. შორს მოჩანდა ბამბის მინდვრები. იქ დილიდან საღამომდის ირეოდნენ მუშა ზანგები. მოჩანდა აგრეთვე ქოხები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ქოხების მოშორებით ბაღებში ჩაფლული სასახლეები იდგა. აქ ცხოვრობდნენ თვითონ მემამულეები, რომელთაც ეკუთვნოდათ ეს  თვალუწვდენელი მინდვრები და უთვალავი მონა.

თომას გული ეთანაღრებოდა, როცა ფიქრობდა ამ უცნობ ადგილებში ცხოვრებაზე. მისი წარმოდგენით, აქაურობა არაფერ სასიკეთოს არ უქადდა. ახლა უფრო ნათლად ეხატებოდა თვალწინ თავისი კერა კენტუკში, დიდი წიფლების ქვეშ მდგარი ყვავილებით შემკული ქოხი ბატონის სასახლის გვერდით.

თვალიდან არ შორდებოდა ნაცნობი სახეები. ამხანაგები, ფუსფუსა ცოლი, ცელქი შვილები, პატარა ყბედი გოგო _ უმცროსი შვილი. მაგრამ უცებ ეს სურა-

თები ქრებოდა და თვალი მხოლოდ ვეება ერთფეროვან პლანტაციებსა და უშველებელ კვიპაროსის ხეებს ხედავდა. ესმოდა მინდვრებიდან მონების ხმაური. აქ კი სინამდვილე აიძულებდა, შერიგებოდა იმ აზრს, რომ ძველი ტკბილი ცხოვრება მისთვის სამუდამოდ გაქრა. თომამ წერა არ იცოდა, რომ წერილებით მაინც გამოლაპარაკებოდა თავის საყვარელ ადამიანებს და ამით მოეოხებინა გული.

გემზე, სხვათა შორის, იყო ერთი მდიდარი მემამულე ახალი ორლეანიდან, გვარად სენ-კლერი. იმას თან ჰყავდა ექვსი-შვიდი წლის გოგონა და ერთი ხნიერი ქალი, როგორც ეტყობოდა, ნათესავი. ეს ქალი ბავშვს ადევნებდა თვალყურს.

თომა ხშირად ხედავდა გოგონას. ბავშვი ყველგან დარბოდა. მისი ერთ ადგილზე გაჩერება ისევე ძნელი იყო, როგორც მზის სხივის ან ზაფხულის ნიავის დაჭერა. ბავშვი იყო ლამაზი, მოხდენილი, ცქრიალა; შესანიშნავი თვალები ჰქონდა. მისი თვალების გამომეტყველება საოცრად მოქმედებდა ყველაზე; ოქროსფერი თმა კი ყველას ხიბლავდა. ბავშვს თვალებში თუმცა სიდინჯე ეხატებოდა, მაგრამ მხიარული იყო. სახეზე ყოველთვის ღიმილი უკრთოდა. დახტოდა გემის ბაქანზე და ღიღინებდა. მამა და მამიდა უკან დასდევდნენ, მაგრამ ბავშვი ხანდახან მაინც გაუსხლტებოდათ ხელიდან. არ ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ მამა არ გაუჯავრდებოდა და საყვედურს არ ეტყოდა. საკმაო იყო მისი ერთხელ ნახვა, რომ არასოდეს დაგვიწყებოდათ. ბაქანზე ყველას ყურადღებას იქცევდა, ყველას უყვარდა.

თეთრკანიანმა გოგონამ გემის ყველა კუნჭული დაათვალიერა. აქ მას ყველა კარგად იცნობდა. ხშირად მიირბენდა ხოლმე გახურებულ ღუმელთან და უყურებდა, როგორ მუშაობდნენ იქ შავად გამურული კაცები. ბავშვს ებრალებოდა ისინი, ასე რომ იტანჯებოდნენ ამ სიცხეში. მესაჭე ღიმილით ეგებებოდა, როდესაც ბავშვი შეიხედავდა იმის შუშის სადგომში. მგზავრებს მოსწონდათ გოგონა და ყველა უღიმოდა, ლოცავდა და ეალერსებოდა.

თომას, როგორც საზოგადოდ ზანგებს, ნაზი და მგრძნობიარე გული ჰქონდა, უყვარდა ბავშვები. ამ გოგონას რომ უყურებდა, ეგონა, ანგელოზი ჩამოფრენილა გემზედაო, ისე საყვარლად მოქმედებდა ეს ჰაეროვანი ქმნილება თომაზე. ბავშვი ჩადიოდა ტრიუმშიც, სადაც ჰელის მონები ისხდნენ. ხელფეხშებორკილი მონების დანახვაზე ბავშვს სახეზე მწუხარება აღებეჭდებოდა ხოლმე. ხანდახან ბორკილებს ხელს შეახებდა, ამოიოხრებდა და წამოვიდოდა. რამდენჯერმე შესთავაზა მონებს კაკალი, კამფეტები და ფორთოხალი. ხილს მიაწვდიდა და გაიქცეოდა, რომ მონებს მადლობის გადახდა ვერ მოესწროთ. თომამ დიდხანს ადევნა თვალ-ყური ბავშვს და ბოლოს გადაწყვიტა, დალაპარაკებოდა. ბავშვის მისაზიდად აკეთებდა ბლის კურკის, კაკლისა და ქაღალდის პაწია სათამაშო კალათებს, სტვირებს, კაცუნებს და ბავშვს აჩვენებდა, როცა მის ახლოს გაირბენდა.

ბავშვი ჯერ მოკრძალებით ართმევდა სათამაშოებს, მერე თანდათან შეეჩვია და ცოტა ხნის შემდეგ კიდეც დამეგობრდნენ.

_ რა გქვია, პატარა ქალბატონო? _ ჰკითხა თომამ, როცა დარწმუნდა, ახლა კი დალაპარაკება შეიძლებაო.

_ ევანგელინა სენ-კლერი, _ უპასუხა ბავშვმა, _ მაგრამ მამა და ყველა ჩემი ნაცნობი ევას მეძახიან. თქვენ რაღა გქვიათ?

_ მე თომა მქვია. შინ, კენტუკში, ყველა ბავშვი ბიძია თომას მეძახდა.

_ მეც ეგრე დაგიძახებთ, იმიტომ რომ მომწონხართ, _ უთხრა ევამ. _ ახლა სად მიდიხართ, ბიძია თომა?

_ რა ვიცი, პატარა ქალბატონო!

_ როგორ თუ არ იცი?

_ ისე, რომ არ ვიცი, მივყავარ ერთ ვაჭარს გასაყიდად ახალ ორლეანში; ვინ იცის, იქ ვინ მიყიდის!

_ მამა გიყიდით თქვენ! _ შეჰყვირა ევამ. _ თუ გიყიდათ, ჩვენთან კარგად იცხოვრებთ. მე უეჭველად, დღესვე შევეხვეწები მამას.

_ გმადლობთ, პატარა ქალბატონო!

ამ დროს გემი გაჩერდა შეშის ასაღებად პატარა ნავსადგურში. ევამ მამის ხმა გაიგონა და იმისაკენ გაექანა. თომა წავიდა მეზღვაურების საშველად.

გემმა შეშა აიღო და ჩქარა ისევ გზას გაუდგა. ევა მამასთან ერთად იდგა ბაქანზე და გემის ბორბლების მოძრაობას ადევნებდა თვალს. უცებ ბავშვი როგორღაც დატორტმანდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და გემიდან გადავარდა. მამამ სიმწრისაგან ვერაფერი მოახერხა და თვითონაც აპირებდა წყალში გადავარდნას, მაგრამ უკნიდან ვიღაცამ დაიჭირა და გააჩერა. ბავშვის საშველად სხვა კაცი გადახტა წყალში, რომელსაც უფრო მეტად შეეძლო ბავშვის შველა, ვიდრე სენ-კლერს.

ეს იყო ჩვენი თომა. ის იქვე ახლოს იდგა, როცა ბავშვი გადავარდა. იმ წამსვე თან გადაჰყვა წყალში. თომამ მშვენიერი ცურვა იცოდა. გემზე მყოფნი შეშფოთებით უყურებდნენ. მაგრამ, აი, ცოტა ხნის შემდეგ წყალმა ბავშვი მაღლა ამოატივტივა; თომა სწვდა, დაიჭირა და გამოცურდა გემისაკენ. გულწასულ ბავშვს მრავალი ხელი წაეტანა ზევიდან მისაშველებლად. ორივენი გემზე აიყვანეს. მამამ შვილი ხელში აიტაცა და შეიყვანა ქალების ოთახში. ყველა ეხმარებოდა, ცდილობდნენ, ბავშვი გონს მოეყვანათ.

მეორე დღეს დიდი სიცხე იყო. გემი უახლოვდებოდა ახალ ორლეანს. ირგვლივ ხმაური იდგა; მგზავრები ემზადებოდნენ გადასასვლელად. მეზღვაურები გემს ასუფთავებდნენ და ამზადებდნენ დიდ ნავსადგურში შესასვლელად.

ქვემო სართულში სხვა მონებთან ერთად იჯდა ჩვენი მეგობარი თომაც. მოუსვენრობა ეტყობოდა. გაჰყურებდა გემის მეორე მხარეს, სადაც რამდენიმე კაცი ლაპარაკობდა. მათთან იყო მშვენიერი პატარა ევანგელინაც. ბავშვი დღეს ფერმკრთალი იყო, თუმცა თავს ცუდად აღარ გრძნობდა. ევას გვერდით ბამბის დიდ ფუთას მიჰყუდებოდა მისი მამა, ჯერ კიდევ სულ ყმაწვილი ლამაზი კაცი. მამა-შვილი ჰგავდა ერთმანეთს, მხოლოდ ევას დაფიქრება ეხატებოდა სახეზე. ყველა მისი მოძრაობა ლამაზი, მოხდენილი და ზრდილობიანი იყო. მშვენიერი

მიხრა-მოხრა ჰქონდა. ის ოდნავ შესამჩნევი ზიზღით უგდებდა ყურს ჰელის ყბედობას, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთესად ეჩვენებინა თავისი საქონელი.

_ ერთი სიტყვით, თქვენ გსურთ, დამარწმუნოთ, რომ ამ მონის შავი კანის ქვეშ ნამდვილი სათნოება და სიკეთე ღვივის, _ უთხრა ღიმილით სენ-კლერმა, როცა ჰელიმ ლაპარაკი გაათავა. _ აგრე იყოს. მე მჯერა თქვენი სიტყვები. ფასი მიბრძანეთ, რა მოგართვათ ამ ყველაფრით შემკულ მონაში? გადაჭრით ბრძანეთ, ვაჭრობას ნუ დავი-წყებთ, ნუ დამიმალავთ, რამდენით გსურთ ზედმეტად დამაჯარიმოთ.

_ ვგონებ, ათას სამას დოლარზე ნაკლებ რომ დაგითმოთ, ცოდო ვიქნები, _ თქვა ჰელიმ. _ გარწმუნებთ, ეს კიდევაც მცირე ფასია.

_ დიახ, დიახ! _ უპასუხა ახალგაზრდა კაცმა დაცინვის კილოთი, _ მე ვიცი, რომ თქვენ თითქმის მუქთად მითმობთ ჩემი ხათრის გულისათვის. მართალს ვამბობ თუ არა?

_ დიახ, ამასთან, თქვენს გოგონასაც გულით სურს თომას ყიდვა, _ დაუმატა ჰელიმ.

_ მაშ, ჩემს გოგონას გაუწიეთ ხათრი და ფასი დაუკელით, _ უთხრა დაცინ-ვით სენ-კლერმა, _მაგრამ, ეჰ, ბევრს ნუღარ ლაპარაკობთ: ბრძანეთ თქვენი უკა-ნასკნელი ფასი და საქმე გავათაოთ.

ჰელი არ ათავებდა თომას ქებას, შელბის ხელით დაწერილი ქების ფურ-ცლებიც აჩვენა, მყიდველი კი ოხუნჯობდა და დასცინოდა თავგამოდებულ ვა-ჭარს.

ბოლოს ევამ წასჩურჩულა მამას:

_ მამილო, შენ ხომ ბევრი ფული გაქვს, მიეცი, რასაც გთხოვს. ძალიან მინ-და, რომ თომა ჩვენი იყოს.

_ რად გინდა აგრე ძალიან? _ ჰკითხა ღიმილით მამამ.

_ იმიტომ, რომ მინდა, თომა ბედნიერი იყოს.

_ საოცარი სურვილია. კარგი, მაშ იყოს ნება შენი.

_ თანახმა ვარ, ამ ფასად ვიყიდო, _ მიუბრუნდა სენ-კლერი ჰელის, _ ფული მიიღეთ და ქაღალდები გადმომეცით.

რამდენიმე წუთის შემდეგ მამა-შვილი მივიდა თომასთან. სენ-კლერმა ალერსიანად დაჰკრა თომას მხარზე ხელი, მერე ნიკაპი აუწია და უთხრა:

_ აბა შემომხედე, მოგწონს ახალი ბატონი?

თომამ შეხედა სენ-კლერს და თვალცრემლიანმა მადლიერი ხმით წარმოთ-ქვა ის, რაც უნებურად მოსდიოდა ყველას თავში მშვენიერი ახალგაზრდა სენ-კლერის დანახვაზე.

_ იკურთხოს თქვენი სახელი, ბატონო!

_ ცხენების მოვლა შეგიძლია?

_ დიახ, ბატონო, ჩემ ძველ ბატონს ცხენების ჯოგი ჰყავდა, მე ვუვლიდი და ვხედნიდი.

_ ძალიან კარგი. მეეტლედ დაგაყენებ, მხოლოდ ერთი პირობით: კვირაში მხოლოდ ერთხელ უნდა დათვრე, მეტად არა.

თომას სახეზე გაკვირვება და წყენა დაეტყო.

_ მე ღვინოს სულაც არ გეახლებით, ბატონო.

_ უწინაც გამიგონია ასეთი ამბები. ნუ კი გეწყინება, ბებერო, ჩემი სიტყვები, _ უთხრა სენ-კლერმა, როცა თომას წყენა შენიშნა, და მხარზე ხელი დაადო. _ მჯერა, რომ თავში კეთილი აზრები გიტრიალებს.

_ მართალს ბრძანებთ, ბატონო!

_ თქვენ ჩვენთან კარგად იცხოვრებთ, _ უთხრა ევამ თომას, _ მამა ძალიან კეთილია, მხოლოდ ხანდახან ხუმრობა იცის.

_ გმადლობთ, რომ ასეთი კარგი აზრის ყოფილხარ მამაზე, _ სიცილით უთხრა სენ-კლერმა შვილს და ზემო ბაქნისაკენ წავიდა.

## მეთოთხმეტე თავი

## სენ-კლერი და ოფელია

სენ-კლერის ოჯახი კანადიდან იყო წამოსული. ერთ-ერთი ამათი წინაპარი გადმოსახლებულა ლუიზიანაში და იქ გამდიდრებულა. ცოლად ფრანგი ქალი შეერთო. ამ ქალის წინაპარი ევროპიდან გადმოსახლებულებს წამოჰყოლოდა ამერიკის დასახლების პირველ ხანებში.

სენ-კლერი ყმაწვილობაში მეტად მგრძნობიარე, თითქმის ქალივით ჩვილი გულის კაცი იყო. შემდეგ ეს გრძნობიერება აღარ ეტყობოდა, მაგრამ მაინც ალერსიანად და თავაზიანად ეპყრობოდა ყველას, ვინც კი იმის ყურადღებას დაიმსახურებდა. ბუნებით ნიჭიერი კაცი იყო და ყოველსავე კარგსა და კეთილს ელტვოდა მისი გული. მისი გონება მეცნიერულ აზროვნებას იყო შეჩვეული და ყოველდღიურ წვრილმანებს გულისყურს არ ათხოვებდა. გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, უსაქმურ და უდარდელ ცხოვრებას ატარებსო. სწავლის დამთავრების შემდეგ მან გაიცნო ერთი ძალიან ლამაზი, კარგი ქალი და შეუყვარდა ნამდვილი სიყვარულით. ქალსაც შეუყვარდა ახალგაზრდა კაცი. სენ-კლერი ცოტა ხნით წავიდა თავის მამულში საქორწილოდ მოსამზადებლად. ერთ მშვენიერ დღეს კი მას ფოსტით ქალთან მიწერილი ყველა თავისი წერილი უკან მოუვიდა. წერილებს უბრუნებდა ქალის მზრუნველი (ქალი ობოლი იყო და მისი ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა). მზრუნველი ატყობინებდა: ქალი სხვა კაცზე თხოვდება, ქორწილისათვის მზადებას თავი დაანებეთო.

სენ-კლერს თავზარი დასცა ამ ამბავმა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა, რამე განმარტება მოეთხოვა ქალისაგან. გადაწყვიტა, გულში ჩაეკლა მწუხარება. გულის გადასაყოლებლად ხელი მიჰყო ქეიფს, დაიწყო სიარული გასართობ ადგილებში, ეარშიყებოდა ლამაზ ქალებს, ეგონა, ასე მოხერხდება სიყვარულის გულიდან გადაგდებაო.

ორი კვირის შემდეგ ერთი მდიდარი, ლამაზი ქალი დანიშნა ახალ ორლეანში და ჩქარა ქორწილიც გადაიხადა. ყველანი ბედნიერ ადამიანად თვლიდნენ სენ-კლერს. ახლად ჯვარდაწერილები პირველ თვეს საკუთარ აგარაკზე ცხოვრობდნენ.

ერთ საღამოს სტუმრები ჰყავდათ და დროს მხიარულად ატარებდნენ. ამ დროს სენ-კლერს წერილი გადასცეს. მან იცნო ძვირფასი ადამიანის ნაწერი. ძველი დანიშნული ატყობინებდა: ჩემმა მზრუნველმა ბევრი ტანჯვა გამომატარა, ცდილობდა, შენზე ხელი ამეღო და იმის შვილს გავყოლოდი. დიდი მწუხარება და ავადმყოფობა გამოვიარე. ბოლოს, როგორც იყო, ყველაფერს ვძლიე და თავი დავაღწიე ჩემი მზრუნველის ვერაგობას. მოუთმენლად ველოდები შენთან შეხვედრას, რომ ყველაფერი შეგატყობინო და დაგარწმუნო, რომ ისევ ისე გულწრფელად მიყვარხარ და ყოველთვის შენი ერთგული ვიქნებიო.

ეს უკანასკნელი სიტყვები სასიკვდილო განაჩენი იყო ყმაწვილი კაცისათვის. სენ-კლერმა იმ წამსვე საპასუხო წერილი გაამზადა.

«მე დავიჯერე თქვენი მზრუნველის სიტყვა. პირველ ხანებში სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, გადარეულივით დავდიოდი და ამ დროს ცოლი შევირთე. გთხოვთ, დამივიწყოთ. ამის მეტი აღარაფერი ეშველება ჩვენს საქმეს».

ამის შემდეგ დადგა მძიმე ხანა იმის ოჯახურ ცხოვრებაში. დასჩემდა თავის ტკივილი, ამის გამო გართობას, მხიარულ დროსტარებას თავი დაანება. მისი ახალგაზრდა ცოლი ყველგან მარტოკა დადიოდა. მდიდარ ოჯახში ნებივრობასა და კეკლუცობას იყო ჩვეული. უნარი არ შესწევდა, თავისი ქმრის სულიერი ტანჯვა ეგრძნო და შეეგნო. აზრადაც არ მოსვლია გაეგო, თუ რად მოხდა ასეთი სწრაფი ცვლილება იმის ქმარში, რა იყო ამის მიზეზი? ქალმა რაკი შეიტყო, რომ ქმარი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, მოსწყინდა მარტო სიარული, გადაწყვიტა, სენ-კლერი მეტად უფრთხილდება თავს და ნაზობსო, და სიანჩხლესა და ჟინიანობას უმატა; დაანახვა ქმარს, რომ ლამაზი ცოლი შეიძლება კაცს ოჯახში მტანჯველად, სულთამხუთავად გადაექცეს. სენ-კლერი მოხარული იყო, რომ ცოლმა გონებაჩლუნგობა გამოიჩინა და ვერ მიუხვდა, რა ტანჯავდა იმას ასე საშინლად. თუმცა სულიერად ვერ დაუახლოვდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს, ცოლი მაინც ალერსსა და ყურადღებას მოითხოვდა ქმრისაგან. ფუქსავატი და გულგრილი ქალი მეტსა და მეტს მოითხოვდა, სიყვარული არ შეეძლო და თავისი სიმკაცრითა და ეჭვიანობით ქმარს სულს უხუთავდა.

სენ-კლერი, როგორც უზომოდ კეთილი ადამიანი, ყველაფერს უთმენდა ცოლს, ცდილობდა, ოჯახში მშვიდობიანობა დაემყარებინა, ალერსისა და ყურადღების სანაცვლოდ, ცოლი საჩუქრებითა და პატივისცემით ჩაეჩუმებინა. როცა შვილი მიეცათ, თითქოს რაღაც ახალმა გრძნობამაც იჩინა თავი და დაუახლოვდა ცოლს.

სენ-კლერმა თავის ქალს დედის სახელი დაარქვა. მისი დედა მაღალი ზნეობისა და ფაქიზი გრძნობების ადამიანი იყო.

შვილის ყოლამაც ვერ მოულბო გული ახალგაზრდა ქალს. ისევ ძველებურად იქცეოდა, ეჭვიანობდა _ ქმარს შვილი უფრო უყვარს, ვიდრე მეო, და მოითხოვდა, ქმარს ყველაზე ძლიერ ის ჰყვარებოდა.

შვილოსნობის შემდეგ ქალი დაავადმყოფდა. შეჩვეული არ იყო შრომას, მუშაობას და ქმარ-შვილში ცხოვრებამ ნერვები აუშალა, რაც მოსდით ხოლმე უსაქმურ ქალებს. მთელი დღეები თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა. ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა, რომ სინათლეს არ შეეწუხებინა, მზის შუქს ვერ იტანდა თავის ტკივილის დროს, თავი კი თითქმის ყოველდღე სტკიოდა. გამუდმებით სავარძელში იწვა. რამდენიმე წლის შემდეგ ლამაზი სახე ჩამოაჭკნა და ჩამოახმა.

სახლს ყურს არ უგდებდა. მის გოგონას მოსამსახურეები უვლიდნენ და თავიანთ გუნებაზე ზრდიდნენ.

ევა ნაზი, სუსტი ქმნილება იყო და ეს ძალიან აწუხებდა მამას.

მამამ წაიყვანა ის თავის ახლო ნათესავებთან ფერმონტში, იქიდან კი ოჯახის მომვლელად და პატრონად წამოიყვანა თავისი ბიძაშვილი ოფელია.

ვინც ახალ ინგლისში ყოფილა, იმას უნახავს დიდრონი ფერმები ზოგიერთ სოფელში. მშვენიერი სანახავია ეს ფერმები. მწვანე მოლით შემკულ ეზოში აქაიქ დგას შაქრის ლერწამი. ფერმებში სამაგალითო წესრიგი სუფევს. ყოველ ნივთს, ყოველ ავეჯს თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს და არასოდეს ამ ადგილს არ აშორებენ. ოთახებში მტვერს ვერ ნახავთ. იატაკი ისეა გაკრიალებული, რომ შიგ ჩახედვა შეიძლება. ბაღჩებში ფანჯრების წინ დარგულია სხვადასხვა სურნელოვანი ყვავილი. ასეთ ფერმებში მთელი ოჯახი საჯალაბო დარბაზში იყრის ხოლმე თავს. აქვეა საოჯახო წიგნსაცავიც. აქ ნახავთ: მილტონის «დაკარგულ სამოთხეს», როლენის2 «ისტორიას», დანტეს3 «ღვთაებრივ კომედიასა» და სხვა ასეთ თვალსაჩინო თხზულებებს.

ასეთ ფერმებში მოსამსახურეები არა ჰყავთ. დიასახლისი თავისი ქალიშვილებით თვითონ უვლის სახლ-კარს და აკეთებს ყველანაირ საოჯახო საქმეს. ფართო სამზარეულოში, თუმცა მთელი ოჯახი აქ სადილობს და ვახშმობს, ნამცეცა მტვერსაც ვერ დაინახავთ, ყველაფერი ისეა დაკრიალებული. ასეთ ოჯახში დაიბადა და გაატარა ორმოცდახუთი წელი ოფელიამ. ის ახლაც არ გადადგამდა სახლიდან ფეხს, ბიძაშვილი რომ არ შეხვეწნოდა _ ჩემს ოჯახს მოხედეო. ოფელია და-ძმებში უფროსი იყო. იმის დედ-მამას მის გარდა კიდევ ბევრი შვილი ჰყავდა, მაგრამ ოფელიას მაინც ისე უყურებდნენ, როგორც პატარას, და აღელდნენ, იმის წასვლაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი.

მამა რუკებსა და წიგნებში ეძებდა ქალაქ ორლეანს და ცდილობდა შეეტყო, როგორი ქალაქი იყო. მოხუცებულ დედას ეშინოდა, მისი ქალი ცუდ ადგილას არ ჩავარდნილიყო. სამხრეთ შტატებს საზოგადოდ და, მასთან, ახალ ორლეანსაც ეჭვის თვალით უყურებდა.

სენ-კლერის ლაპარაკიდან ოფელია დარწმუნდა, რომ იმის ოჯახს მომვლელი სჭირდებოდა, ბავშვს კი აღმზრდელი. თანაც ევა ძალიან შეუყვარდა. იცო-

და, რომ სენ-კლერი ურწმუნო ადამიანი იყო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ოფელიას გადაწყვეტილებას, იგრძნო, რომ მოვალეობა აკისრებს ამ საქმეს.

როცა გემი ახალ ორლეანს უახლოვდებოდა, ოფელიამ შეაგროვა თავისი ურიცხვი ბარგი: ხელის ყუთები, ბოხჩები, პარკები და ელოდა, როდის გაჩერდებოდა გემი, რომ დაეწყო ბარგის გადმოზიდვა.

_ ევა, ყველაფერი აალაგე? _ ჰკითხა ოფელიამ პატარა ქალს, _ გატყობ, შენ ამაზე არა ზრუნავ, ბავშვებმა ასე იციან. აბა ერთი დავთვალოთ შენი ბარგი. აი, საპირისფარეშო ბოღჩა, აი, ქუდის ცისფერი ყუთი. საყელოებისა და სამაჯურების პარკი _ ექვსი, ტყავის ყუთი _ შვიდი. შენი ქოლგა სადღა არის? მოიტანე, ჩემს ქოლგასთან შევახვევ.

_ არა, მამიდა, ასე წამოვიღებ. აქედან ჩვენი სახლი შორს არ არის.

_ ყველაფერში წესრიგია, შვილო, საჭირო. თუ გინდა კარგი ნივთები გქონდეს, მათი შენახვაც უნდა იცოდე. სათითე ჩადე აბგაში თუ არა?

_ არ მახსოვს, მამიდა.

_ კარგი, მე გავსინჯავ შენს აბგას. სათითე, წმინდა სანთელი, ორი კოვზი, მაკრატელი, დანა, ნემსი _ აი ყველა ესენი აქ ჩავალაგოთ. ნეტა, როგორ იმგზავრეთ შენ და მამაშენმა? უთუოდ ყველაფერს გზაში დაკარგავდით!

_ მართლაც რომ ბევრი რამ დავკარგეთ გზაში. საცა გავჩერდებოდით და რამე დაგვჭირდებოდა, მამა ხელახლა ყიდულობდა ხოლმე.

_ მშვენიერი წესრიგი გქონიათ!

_ ჩემი აზრით, მამიდა, ასე კარგია.

_ რა საშინელი უზრუნველობაა!

_ მამიდა, ამ ყუთს თავი აღარ დაეხურება, იმდენი ნივთი ჩააწყვეთ შიგ, _ შენიშნა ევამ.

_ უეჭველად უნდა დაეხუროს თავი, _ გადაჭრით თქვა მამიდამ. ნივთები ზევიდან ხელით დატკეპნა, გაასწორა და თავი დაახურა. მაინც ისე არ გასწორდა, რომ დაკეტილიყო. _ მოდი, ზედ შედექ და მე გასაღებს გადავაბრუნებ: ყუთი ადრე იკეტებოდა და ახლაც უთუოდ უნდა დაიკეტოს. ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის.

ყუთს თითქოს შეეშინდა ამ მუქარისა: საკეტმა გაიჩხაკუნა და ბუდეში ჩავარდა. ოფელიამ გასაღები თავისუფლად გადაატრიალა, დაკეტა და ჯიბეში ჩაიდო.

_ ჩვენ მზად ვართ, მამაშენი სადღა არის? წადი, ევა, მონახე, დროა, მიბარებული ბარგიც მოვიკითხოთ.

_ აგერ, მამა ვიღაც კაცს ელაპარაკება, ფორთოხალს ჭამს, _ დაიძახა ევამ და ხელი გემის მეორე მხარეს გაიშვირა.

_ შეიძლება არ იცის, რომ ნავსადგურს ვუახლოვდებით, წადი, შეატყობინე.

_ მამას აჩქარება არ უყვარს, ნავსადგური ჯერ შორს არის. მამიდა, აქეთ მოდით, გემის მოაჯირთან, ჩვენს სახლს დაგანახებთ.

გემი ხვნეშითა და ქშენით, დაღლილი ვეშაპივით შევიდა ნავსადგურში მდგარ გემებს შორის. ევა მამიდას აჩვენებდა მშობლიური ქალაქის კოშკებსა და გუმბათებს.

_ ლამაზი ქალაქი ყოფილა, _ თქვა მამიდა ოფელიამ, _ მაგრამ სად არის ამდენ ხანს მამაშენი, აი, გემი უკვე საცაა გაჩერდება!

ატყდა ჩვეულებრივი ხმაური და ალიაქოთი. ბარგის გადამტანები ჩქარობდნენ გემზე ასვლას, ბარგაკიდებული მგზავრები ბაქანს მიაწყდნენ, ხალხი შეჯგუფდა გადასასვლელთან. მამიდა ოფელია თავის ყუთზე ჩამოჯდა, ყველა ბარგი კი გვერდით მხედრებივით ჩაამწკრივა, თითქოს მზად იყო მამაცურად უკუექცია ყველა, ვინც იმის ბარგზე იერიშს მიიტანდა.

_ ეს სკივრი გასატანია?

_ ქალბატონო, ეს თქვენი ბარგი გახლავთ?

_ ქალბატონო, მე გახლავართ ბარგის მორიგი გადამტანი!

_ მიბრძანეთ, ქალბატონო, გადავიტან!

ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ მამიდა ოფელიას, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვროდა და არავის ხმას არა სცემდა, მაგრად ეჭირა შეკრული ქოლგები და ისეთი სახით გამოიყურებოდა, რომ ბარგის გადამტანები კითხვის გამეორებას ვეღარ უბედავდნენ.

ოფელიამ მოთმინება დაკარგა და რამდენჯერმე უთხრა ევას:

_ სად დაიკარგა მამაშენი? ხომ არაფერი დაემართა?

ოფელიას მეტი ცდა აღარ შეეძლო: ღელვა დაიწყო. ამ დროს სენ-კლერის დამშვიდებული ხმა მოესმა:

_ აბა, დაო, მზად ხართ?

სენ-კლერი აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა და ევას ფორთოხლის ნაჭერი შესთავაზა.

_ ჩვენ დიდი ხანია მზად ვართ, მხოლოდ შენ გელით, _ უპასუხა ოფელიამ, _ შემეშინდა კიდეც, ხომ არა დაემართა რა-მეთქი.

_ აი, ბარგის ყოჩაღი გადამტანი, _ აჩვენა სენ-კლერმა ერთ კაცზე, _ ხალხმა გაიარა და ახლა თავისუფლად გადავალთ. აბა, ძმობილო, წამოიღე ბარგი.

_ მეც თქვენთან წამოვალ და ვნახავ, როგორ დაალაგებთ ბარგს, _ თქვა ოფელიამ.

_ საჭირო არ არის, _ შეაჩერა სენ-კლერმა.

_ მაშ მე ამ ყუთებსა და ბოხჩებს წამოვიღებ.

_ ჩემო დაო, შენ გავიწყდება, რომ უცხო ქვეყანაში ხარ. შეეჩვიე აქაურ ჩვეულებას. აქ ქალები ქუჩაში ბარგით არ დადიან, მოახლე ეგონები ვისმე. შენ არხეინად იყავი, ეს ბიჭი ყველაფერს კარგად დაალაგებს.

საწყალმა ოფელიამ ნაღვლიანად შეხედა თავის ძვირფას ბარგს, რომელსაც ბიჭი უკვე ამზადებდა წასაღებად. ის მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა თავისი საუნჯე ხელუხლებელი ნახა ეტლში.

_მამილო, თომა სადღა არის? _ ჰკითხა ევამ მამას, როცა ეტლში ჩასხდნენ.

_ ეტლის კოფოზე ზის, ჩემო პატარავ, მინდა, თომა მეეტლედ დავაყენო ჩემი ლოთი მეეტლის მაგივრად, თორემ იმ დღეს დამთვრალიყო და დედაშენისათვის ეტლი გადაებრუნებინა.

_ დარწმუნებული ვარ, თომა კარგი მეეტლე იქნება, ეგ სასმელს არა სვამს, _ თქვა ევამ.

ეტლი მშვენიერ სასახლეს მიუახლოვდა, თაღიანი ალაყაფის კარი გაიარა და ოთხკუთხა ეზოში გაჩერდა, ეზო შემოღობილი იყო შენობების კედლებითა და აივნებით. სასახლე ესპანური და ფრანგული ხუროთმოძღვრების გემოვნებაზე იყო აშენებული, კედლებზე კი აღმოსავლური მხატვრობა და ჩუქურთმები მოჩანდა, რომელიც ერთ დროს ესპანეთში გაბატონებულ აღმოსავლეთის მგზნებარე ფანტაზიას მოგაგონებდათ. შუაგულ ეზოში შადრევანი მოჩუხჩუხებდა. წყლის ჭავლი ვერცხლისფრად ელავდა ჰაერში და შემდეგ აუზში გროვდებოდა. აუზის გარშემო ია ჰყვაოდა. აუზის ბროლივით კამკამა წყალში ოქროსფერი და ვერცხლისფერი თევზები დასრიალებდნენ. მზეზე ქერცლი ათასფრად უელავდათ. აუზს გარს შემოუყვებოდა ფერადი კენჭებით მოკირწყლული პატარა ბილიკი, ბილიკიდან დიდ გზამდის კი _ მშვენიერი მოლი. დიდ გზაზე ქვიშა ეყარა, ორი აყვავებული ფორთოხლის ხე ჩრდილს ჰფენდა სახლის წინ კოხტა მოედანს, ყვავილები მუქ ფოთლებზე ვერცხლის ვარსკვლავებივით მოჩანდნენ, აქვე იყო წითელი ზიზილები, ათასი ჯურის ვარდი, ყვითელი იასამანი. ალაგ-ალაგ ბალახებში ალოეს უცნაური ყლორტები თითქოს მედიდურად შეჰყურებდნენ იმ ნაზ ყვავილებს, რომლებიც მალე ჭკნებოდნენ. აივნებს ძვირფასი ფარდები ამშვენებდა. ამ ფარდებს აფარებდნენ თავს ძლიერი სიცხის დროს. სენ-კლერის სასახლე წააგავდა ოცნების სამყაროს, მას ფუფუნების ბეჭედი ესვა.

ეტლი გაჩერდა სასახლის კართან, ევას აღელვება დაეტყო. ის ამ წუთს ჰგავდა გალიაში დამწყვდეულ ჩიტს, რომელიც ემზადება გალიიდან გამოსაფრენად.

_ აი, მამიდა, რა ლამაზი სახლი გვაქვს!

_ დიახ, საკმაოდ ლამაზია, _ შენიშნა ოფელიამ, როცა ეტლიდან გადმოვიდა და გარშემო მიიხედ-მოიხედა. _ მაგრამ რაღაც უცნაურია.

თომა სიამოვნებით იცქირებოდა ირგვლივ, ზანგებს საზოგადოდ უყვართ ყველაფერი ლამაზი, კოხტა და აყვავებული.

სენ-კლერი პოეტური ბუნების ადამიანი იყო. ოფელიას სიტყვებზე მას ოდნავ გაეცინა, მაგრამ, როცა თომას ბავშვური აღტაცება შეამჩნია, იმას მიუბრუნდა და უთხრა:

_ შენ რაღას მეტყვი, მეგობარო, მგონია, მოგწონს აქაურობა?

_ ოჰ, დიახ, ძალიან მომწონს, ბატონო! მშვენივრად არის ყველაფერი მოწყობილი.

ეზოში ბლომად მოგროვდნენ მოსამსახურეები. ზოგი ბარგს ეზიდებოდა, ზოგი ბატონის მისაგებებლად გამოსულიყო. ყველაზე წინ იდგა კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა მულატი.

_ სად მორბიხართ? _ დაუყვირა მან მოსამსახურეთა ბრბოს. _ რატომ არა გრცხვენიათ! ბატონი ჯერ არ მობრძანებულა და თქვენ ახლავე თავს აბეზ-რებთ!

ზანგებს შერცხვათ და უკან დაიწიეს, მულატი კი წინ წამოდგა და ბატონს მიესალმა.

სენ-კლერმა მიიხედა და დაინახა ატლასის ჟილეტსა და თეთრ შარვალში გამოჭიმული ადოლფი; გულზე მას ოქროს ძეწკვი ეკეთა.

_ ოჰ, ადოლფ, შენა ხარ? როგორ გიკითხო? _ ჰკითხა სენ-კლერმა და ხელი გაუწოდა. _ რა ამბავია ჩვენს სახლში?

მულატმა ვრცელი საპასუხო სიტყვით მიმართა, რომელიც, ეტყობოდა, მომზადებული ჰქონდა.

_ ლამაზად ლაპარაკობ, ადოლფ, _ უთხრა სენ-კლერმა ღიმილით; ღიმილ-ში დაცინვა გამოხატა გულკეთილმა ადამიანმა. _ მომიცადეთ, მე ახლავე მო-ვალ და გნახავთ. _ მან ოფელია სასტუმრო ოთახში შეიყვანა და იქიდან ცოლის კაბინეტში, სადაც ევა ეს-ეს იყო შევარდა. იმათ შესვლაზე სავარძლიდან წა-მოდგა მაღალი, გამხდარი, დიდთვალა ქალი.

_ დედილო! _ აღტაცებული ევა გაექანა, დედას ყელზე შემოეხვია და კოცნა დაუწყო.

_ ნელა, ევა, კმარა, საშილად მტკივა თავი, _ უთხრა დედამ ბავშვს, გულ-გრილად აკოცა და მოახსნევინა ყელზე შემოჭდობილი ხელები.

სენ-კლერი მივიდა ცოლთან, ალერსიანად გადაკოცნა და შემდეგ წარუდ-გინა ოფელია. მარიმ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ქმრის ბიძაშვილი და ზრდილობიანი სალამი მისცა. მოახლე გოგოები იჭყიტებოდნენ ღია კარებში. ყველაზე წინ იდგა ასე, ორმოციოდე წლის გულადი დედაკაცი. სახე სიხარუ-ლით უბრწყინავდა, მოუთმენლობა ეტყობოდა.

_ აი, ძიძა! _ დაიყვირა ევამ, ქალი რომ დაინახა, გაექანა, მოეხვია და კოცნა დაუწყო.

ამ დედაკაცს თავის ტკივილი არ გახსენებია, როცა თავისი საყვარელი გაზ-რდილი დაინახა. ყველაფერი გადაავიწყდა. გახარებულმა მხურვალედ დაკოც-ნა ბავშვი. ევა ახლა სხვა მოახლეებს მიესალმა, ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს ჰკოცნიდა, ზოგს კიდევ თავს უკრავდა. მამიდა ოფელია გაოცებული შესცქე-როდა ბავშვს.

_ კინაღამ გული შემიწუხდა, ევას რომ ვუყურებდი, _ თქვა შემდეგ ოფელი-ამ, _ მე თვითონაც მიყვარს ხალხი, მაგრამ შავკანიანის კოცნას ვერ გავბედავ.

სენ-კლერს ოფელიას ლაპარაკზე ეცინებოდა, თვითონაც სალამს აძლევდა ყველა მოსამსახურეს და ხელს ართმევდა.

_ გამარჯობათ, გამარჯობათ, ჯენ, ძიძა, პოლი! გაგიხარდათ ჩემი მოსვლა? ბავშვებს მოუარეთ; თუ ვისმეს ფეხი დავადგა, მითხარით, _ ამ სიტყვებით მან ოდნავ ფეხი წაჰკრა პატარა ბავშვს, რომელიც იქვე იატაკზე დაბობღავდა.

ბატონის სიტყვებზე ყველას გაეცინა.

_ აჰა, ახლა კი წადით, _ მხიარულად უთხრა სენ-კლერმა და შავკანიანთა ბრბო გაიფანტა. ევა მონებს გაჰყვა და თან წაიღო საჩუქრებით სავსე კალათი.

სენ-კლერი ოთახში შემობრუნდა და დაინახა, რომ თომა დარცხვენით იდგა, დოინჯშემოყრილი ადოლფი კი ლორნეტით ათვალიერებდა ახალმოსულს.

_ აი, შე მასხარავ! _ დაუყვირა სენ-კლერმა. _ რას იბღინძები და ემედიდურები შენსავე ძმას! _ და ლორნეტიანი ხელი ჩამოაშვებინა. _ შენ, მგონი, ჩემი ტანისამოსი ჩაგიცვამს?

_ ბატონო, ეს ტანისამოსი დალაქავებული გახლავთ, ბატონს არ გამოადგება, საწყალი ზანგისათვის კი კარგია.

ადოლფმა ხუჭუჭ თმაზე გადაისვა ხელი.

_ კარგი, კარგი, აგრე იყოს! მოიცა, თომას ქალბატონთან შევიყვან და მერე სამზარეულოში წაიყვანე. ეს კი იცოდე: ეს კაცი შენისთანას ორს ჯობს.

_ ბატონი ხუმრობს. მოხარული გახლავართ, რომ კარგ გუნებაზე ბრძანდებით, _ თქვა ადოლფმა სიცილით.

_ წამომყე, თომა! _ უთხრა ბატონმა.

თომა შეჰყვა ბატონს სასტუმრო ოთახში. ის აღტაცებით შეჰყურებდა მორთულ დარბაზს, თავის დღეში არ ენახა ასეთი ძვირფასი ოთახები, სურათები, სარკეები, ქანდაკებანი. თომა თავჩაღუნული იდგა და ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა.

მარიმ ოდნავ ასწია თავი ბალიშიდან და თომას შეხედა.

_ დარწმუნებული ვარ, არაყს არც ეგააცილებს პირს.

_ არა, მე დამარწმუნეს, რომ თომა ფხიზელი და ღვთისმოყვარე კაცია.

_ იმედი ვიქონიოთ. მაგრამ მე ნაკლებად მჯერა ხოლმე ასეთი სიტყვები.

სენკ-კლერმა უბრძანა ადოლფს, თომა სამზარეულოში წაეყვანა.

_ არ დაგავიწყდეს, რაც წეღან გითხარი, _ მიაძახა მიმავალ ადოლფს.

ადოლფმა კოხტად გაიარა ოთახში, თომა კი წაღების ბრაგა-ბრუგით გაჰყვა უან.

_ ნამდვილი სპილოა! _ თქვა მარიმ.

_ აბა, ერთი ალერსიანი სიტყვა მითხარი, მარი, _ უთხრა სენ-კლერმა ცოლს და გვერდით მოუჯდა.

_ შენ ორი კვირა დაიგვიანე! _ ალერსის მაგივრად წარბშეკვრით უთხრა ცოლმა.

_ აკი შეგატყობინე, რატომაც მოხდა ეს, _ უპასუხა ქმარმა.

_ რა მოკლედ და უგულოდ დაწერილი ბარათი იყო!

_ მეშურებოდა, დრო არ მქონდა ვრცელი წერილის დასაწერად.

_ ეჰ, შენ ყოველთვის ასე იქცევი: შინ ყოფნა არ გიყვარს. თუ წახვალ სადმე და, წერილების წერა გეჯავრება.

_აი, რა მოგიტანე, _ უთხრა ქმარმა და ჯიბიდან ამოიღო ხავერდის კოლოფი, შიგ სურათი იდო, ევა და მამამისი ერთად იყვნენ გადაღებულნი.

მარიმ უკმაყოფილოდ მიიღო ქმრის საჩუქარი.

_ ცუდად ხარ სურათში; რად დამჯდარხარ ეგრე ცუდად?

სურათში მამა-შვილს ერთმანეთის ხელები ეჭირა.

_ როგორც უნდა ვიჯდე, ეგ სულ ერთია. შენ ისა თქვი _ ვგავარ თუ არა?

_ თუ შენთვის მნიშვნელობა არა აქვს ჩემს აზრს, რატომ მეკითხები? _ თქვა მარიმ და კოლოფი დახურა.

სენ-კლერს გული მოუვიდა, მაგრამ ცუდი არაფერი ჰკადრა ცოლს, პირიქით, ალერსიანი ლაპარაკი სცადა.

_ ნუ სულელობ, მარი, მითხარი, მოგწონს სურათი?

_ რა ცოტასა ზრუნავ ჩემთვის! ხომ იცი, საშინლად ვიტანჯები თავის ტკივილისაგან, შენ კი არ გებრალები და მალაპარაკებ. ამ ალიაქოთმა ხომ თავისი დამმართა. საშინელი ხმაური ატყდა მთელ სახლში შენი მოსვლის გამო.

_ ალბათ შაკიკი გაქვთ! _ უთხრა მარის ოფელიამ და სავარძლიდან წამოდგა, იგი აქამდე გაჩუმებული იყო და იმაზე ფიქრობდა, რა უნდა ღირებულიყო სასტუმრო ოთახის ძვირფასი მორთულობა.

_ შაკიკმა გამაწამა, _ უპასუხა მარიმ.

_ სვიის ჩაი თურმე ძალიან რგებს შაკიკს, _ თქვა ოფელიამ. _ ჩვენი მღვდლის ცოლმა მასწავლა; მშვენიერი მოვლა იცის ავადმყოფისა.

_ სულ დავაკრეფინებ, რაც ჩვენს ბაღში ტბის პირზე სვია დგას, _ თქვა სენ-კლერმა და ზარი დარეკა. _ შენ უთუოდ გზაში დაიღლებოდი, დაო, დასვენება გესაჭიროება. ახლავე გიჩვენებ ოთახს. ადოლფ, დაუძახე ძიძას, _ უთხრა სენ-კლერმა მოსამსახურეს, რომელიც შემოვიდა ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ძიძაც მოვიდა. სუფთად იყო ჩაცმული, თავზე ჭრელი დოლბანდი ეხვია. ეს იყო ევას ახალი საჩუქარი.

_ ძიძა, წაიყვანე ქალბატონი და ოთახი უჩვენე, დაღლილია და დასვენება ესაჭიროება, ვინძლო, კარგად მოუარო.

ოფელია გაჰყვა ძიძას.

## მეთხუთმეტე თავი

## საკუთარ თავზე ლაპარაკი

_ შენთვისაც დადგა მოსვენების დღეები, მარი! _ უთხრა რამდენიმე დღის შემდეგ სენ-კლერმა თავის ცოლს. _ამის შემდეგ ოფელია იკისრებს ოჯახურ საქმეებს და შენ თავისუფალი დრო ბევრი გექნება.

_ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მაგ მძიმე ტვირთს მომხსნის, _ წარმოთქვა მაგიდაზე დიდკაცურად დაყრდნობილმა მარიმ. _ ოფელია ჩქარა დარწმუნდება, რომ ასეთი მოსამსახურეების ხელში დიასახლისი მონაა, მოსამსახურეები კი ბატონები.

_ უეჭველია, მაგასაც შეიტყობს და ბევრ სხვა ჭეშმარიტებასაც, _ დაუმატა თავის მხრივ სენ-კლერმა.

_ გვამტყუნებ, რომ მონები გვყავს, _ განაგრძო მარიმ, _ განა ეს ჩვენთვის სასიამოვნოა? ჩვენ რომ ხეირიანი მეურნეები ვიყვეთ, აქამდის მონებს გავათავისუფლებდით.

ევანგელინამ გაკვირვებით შეხედა დედას. მისი სიტყვების აზრი ვერ გაეგო.

_ მერე და, ვინ გვიშლის მათ განთავისუფლებას, დედილო! რაღად გვყავს მონები, თუ ასეა?

_ მეც არ ვიცი! ჩვენს სატანჯავად! მე ნამდვილად მაგათგან ვარ დასნეულებული. ჩვენი მონები სხვებზე ცუდები არიან.

_ შენ ამ დილით ცუდ გუნებაზე ხარ, მარი, _ უთხრა ქმარმა, _ ნუთუ ვერ ხვდები, რომ სიმართლეს არ ამბობ? აბა ერთი მითხარი, რა გვეშველებოდა, ძიძა რომ არ გვყავდეს?

_ ძიძა ყველა მონას ჯობს, _ დაეთანხმა მარი ქმარს. _ მაგრამ ისიც თავის თავზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ჩემზე.

_ ეგ მართლაც დიდი დანაშაულია, _ შენიშნა სენ-კლერმა წარბშეუხრელად.

_ განა კარგია, რომ ძიძამ მაგარი ძილი იცის? მე ყოველ წუთს მოვლა მჭირდება, ის კი არხეინად ხვრინავს ხოლმე მთელი ღამე. დღესაც სწორედ იმიტომ ვარ ცუდ გუნებაზე, რომ ძიძას მოვუნდი. არა მეშველა რა და ღამე ვერ გავაღვიძე.

_ მგონია, ძიძას რამდენიმე ღამე ზედიზედ არა სძინებია, დედილო, _ თქვა ევამ.

_ ვინ გითხრა? ალბათ, თვითონ იჩივლა შენთან! _ მკაცრად თქვა მარიმ.

_ არა, დედილო, იმას არ უჩივლია. იმან ის მითხრა, რომ შენ რამდენიმე დღეა, უძილო ღამეებს ატარებ.

_ კარგი იქნება, ხანდახან ჯენსა და როზას თუ მიაშველებ ხოლმე. მაშინ ძიძაც ოდნავ მაინც მოისვენებდა.

_ როგორ მეუბნები მაგას, სენ-კლერ, რა დაუფიქრებლად ლაპარაკობ! მე ისე მაქვს აშლილი ნერვები, ისე ვარ დასუსტებული, რომ ჰაერის ოდნავი მოძრაობაც კი მაწუხებს. შეუჩვეველი მოსამსახურე ხომ ჭკუაზე შემშლის. ძიძას ცოტათი მაინც რომ ვუყვარდე, ასე მაგრა არ დაიძინებდა ხოლმე, ამაში მე დარწმუნებული ვარ. გამიგონია, არიან ასეთი ერთგული მოსამსახურეები; მაგრამ ამ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს!

მარიმ მძიმედ ამოიოხრა.

ოფელია უხმოდ უგდებდა ყურს. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული. ლაპარაკში ჩარევა არ უნდოდა. სურდა, კარგად გაეგო საქმე და მერე გამოეთქვა თავისი აზრი.

_ მე არ ვამბობ, ძიძა კეთილი ადამიანი არ არის-მეთქი. არა, ის პატივსა მცემს, მშვიდია, მაგრამ მაინც თავისი თავი ახსოვს. მე რომ გავთხოვდი, თან წამოვიყვანე. მამაჩემმა იმისი ქმარი არ გამოუშვა ჩვენთან. მაშინვე ვეუბნებოდი ძიძას, ქმრისთვის თავი დაენებებინა, რადგან ისინი ერთმანეთს ვეღარ ნახავდნენ ვერასოდეს. ვნანობ, რომ ძიძა მაშინვე აქ არ გავათხოვე. არაერთხელ მით-

ქვამს, მამაჩემის სახლში ვერასოდეს დავბრუნდები, რადგანაც იქაური ჰაერი მწყენს და ტყუილად იმედი ნუ გაქვს ქმრის ნახვისა-მეთქი, მაგრამ ის თავისას არ იშლის. ხანდახან ისე გადაირევა, კაცი ვეღარაფერს გააგონებს.

_ შვილები ჰყავს? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ ორი შვილი ჰყავს.

_ შვილების ნახვა მოუნდება ხოლმე?

_ ალბათ, _ გულგრილად უპასუხა მარიმ, _ მე არ შემეძლო იმათი წამოყვანა. რა სასიამოვნოა ისეთი უსუფთაო ბავშვების სახლში ყოლა! ამას გარდა, ძიძა იმათ მოვლას მოუნდებოდა და ჩემთვის აღარ ეცლებოდა. მე ვფიქრობ, ხანდახან ძიძა ამიტომ მებუტება ხოლმე. სხვა ქმარი არა სურს. ნებას რომ მივცემდე, დღესვე გაფრინდებოდა და მე ასე უნუგეშო ავადმყოფს დამტოვებდა. რაც უნდა კარგი მონა იყოს შავკანიანი, იმას მაინც ყველაზე მეტად თავისი თავი უყვარს.

_ ეგ სამწუხაროა, _ თქვა სენ-კლერმა დაცინვის კილოთი, მაგრამ ისე ოსტატურად, რომ ცოლმა ვერ გაუგო.

ოფელიამ შეამჩნია, რომ სენ-კლერს თავი მოაბეზრა ცოლის ლაპარაკმა.

_ მე ყოველთვის ვანებივრებდი ძიძას, _ განაგრძო მარიმ ლაპარაკი: _ ნეტა, ერთი გაჩვენათ მისი ტანისამოსი: _ ერთი განჯინა სულ ძვირფასი აბრეშუმის კაბები ულაგია. არაერთხელ მომირთავს ჩემი ხელით და გამიგზავნია სტუმრად. ყოველთვის ასე ყურადღებით ვექცეოდი. ყოველ დილით ნაღებიან ყავას მიირთმევს. ნეტა, გაჩვენათ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი მონები! ვერ წარმოიდგენთ, როგორ გარყვნა ყველანი სენ-კლერმა. ყველა თავის ნებაზე იქცევა. მე კი დავიღალე სენ-კლერთან ამაზე ლაპარაკით.

_ კაცმა მართალი უნდა თქვას: მეც დავიღალე, _ თქვა სენ-კლერმა და გაზეთი აიღო ხელში.

ევა დედის ლაპარაკს თავისებური, განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა, ბოლოს მივიდა და ყელზე შემოეხვია.

_ რა გინდა, ევა?

_ ნება მომეცი, ერთ ღამეს მე მოგიარო, მხოლოდ ერთ ღამეს, საცდელად. ნახავ, მე ნერვებს არ აგიშლი და არც დავიძინებ.

_ რა სულელი ხარ ჯერ კიდევ, შვილო! ეგ რამ მოგაფიქრებინა? რა საკვირველი ბავშვი ხარ!

_ მომცემ თუ არა ნებას? _ მოკრძალებით გაიმეორა ევამ. _ ვიცი, რომ ძიძა უქეიფოდ არის. მე შემომჩივლა _ ამ ბოლო დროს თავის ტკივილი დამჩემდაო.

_ ეგ სულ ტყუილებია. მონებს რომ კაცმა ნება მისცეს, ვინ იცის, რას იზამენ: ბუზს სპილოდ გადააქცევენ. ძიძის გაზარმაცებას მე ხელს ვერ შევუწყობ. თქვენ თვითონ დარწმუნდებით, _ უთხრა მან ოფელიას, _ რომ არ შეიძლება, მოახლის ასეთ უბრალო ჩივილს ყური ათხოვოს კაცმა. აი, რა დღეში ვარ, საშინლად მტანჯავს ჩემი სატკივარი, მაგრამ გადავწყვიტე, მოთმინებით ავიტანო ყველა ტკივილი და აღარავის შევჩივლო ხოლმე.

ოფელიას განცვიფრებისაგან დიდრონი თვალები უფრო გაუდიდდა, სენ-კლერმა კი თავი ვეღარ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა.

_ ეს ყოველთვის ასე იცინის, როცა ჩემს ავადმყოფობაზე ვლაპარაკობ. კარგი იქნება, თუ სანანებლად არ გაუხდა საქმე.

მარიმ თვალებზე მიიფარა ცხვირსახოცი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა უხერხულად გრძნობდა თავს. სენ-კლერი ადგა და ოთახიდან გავიდა. ევაც გარეთ გაიქცა. ოთახში ორი ქალი დარჩა.

მარიმ მხოლოდ ახლა მოიშორა თვალებიდან ცხვირსახოცი.

_ სენ-კლერმა არ იცის და ვერც შეიტყობს, რა ტანჯვაში ვარ! _ დაიწყო მარიმ აღელვებული ხმით ლაპარაკი: _ არასდროს არა ვჩიოდი ჩემს ავადმყოფობაზე, ამიტომაც ჰგონია, რომ მე ყველაფრის ატანა შემიძლია.

ოფელიამ არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. მარიმ ცხვირსახოცით მოიწმინდა თვალები და შემდეგ განაგრძო ლაპარაკი. ახლა ოჯახურ საქმეებზე მოჰყვა. იმდენი ილაპარაკა ავეჯეულობაზე, ჭურჭელზე, თეთრეულსა და სხვა წვრილმანებზე, რომ სხვა მსმენელს ყველაფერი თავში აერეოდა, მაგრამ ოფელიას საქმიანობას შეჩვეულმა გონებამ ყველაფერი გაითვალისწინა.

_ ვგონებ, ყველაფერზე ვილაპარაკეთ. ახლა თქვენ, იმედია, ადვილად გაუძღვებით ოჯახს ჩემი ავადმყოფობის დროს. ევას შესახებ მინდოდა მეთხოვა _ თვალი გეჭიროთ ბავშვზე.

_ ევა კარგი გოგონაა. მე მაგაზე კარგი და გონიერი ბავშვი არ მინახავს.

_ მართალს ბრძანებთ, მაგრამ ცოტა უცნაური ბავშვია, მე სრულებით არა მგავს, _ მარიმ ეს ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ეს დიდი უბედურება იყო.

«საბედნიეროდ, მართლაც რომ არა გგავს», _ გაიფიქრა ოფელიამ.

_ ევას მსახურებთან ყოფნა უყვარს. მეც მიყვარდა პატარაობაში ზანგ გოგო-ბიჭებში თამაში, მაგრამ სულ სხვანაირად. ეს ყველას თავის ტოლად თვლის, მოსამსახურეები ვერა გრძნობენ, რომ ევა იმათი ბატონის შვილია. ვერ ვასწავლე თავის კარგად დაჭერა, დარწმუნებული ვარ, მამა აქეზებს და იმიტომ არ ითვისებს ჩემს დარიგებას. საერთოდ, სენ-კლერი, თავისი ცოლის გარდა, ყველას ანებივრებს.

ოფელია ჩუმად უგდებდა ყურს.

_ მოსამსახურესთან კაცს თავი კარგად უნდა ეჭიროს, მოსამსახურემ თავისი ალაგი უნდა იცოდეს. მე სიყმაწვილიდანვე ასე ვიქცეოდი, ევა კი რყვნის მოახლეებს. არ ვიცი, როგორ მოიქცევა, როცა თავისი საკუთარი ოჯახი ექნება. მომხრე ვარ, რომ მოახლეს კაცი სათნოებით ეპყრობოდეს, მაგრამ ამასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. ხომ გაიგონეთ, რა მითხრა ევამ? ნება მომეცი, ღამე გავათიო შენთან ოთახში ძიძის მაგივრადაო. ნება რომ მივცეთ, ის მეტსაც იზამს.

_ თქვენი მონები ხომ ადამიანებად მიგაჩნია? _ ჩაილაპარაკა ბოლოს ოფელიამ მკვახედ.

_ მაგას ვინ უარყოფს?! მე თვითონ მომხრე ვარ იმისი, რომ მონებს ყველაფერში თავისუფლება მიეცეს, მაგრამ არც ის ვარგა, რომ იმათთვის კაცმა თავი შეიწუხოს. რის გულისათვის? ძიძას მშვენივრად შეუძლია ყველგან და ყოველ-

თვის ძილი. ნება რომ მივცე _ ფეხზე მდგომიც კი დაიძინებს. ყოველთვის იპოვის დროს, რომ თვალი მოატყუოს. მე იმის წინააღმდეგი ვარ, ბატონი მოახლეს სათუთ მცენარესავით შესცქეროდეს, ეს სასაცილო იქნებოდა.

მარიმ თავი დივანის ზურგს მიადო და ხელში აიღო სასუნებელი წამლის ლამაზი შუშა.

_ იცით რა, ჩემო ოფელია, თუმცა არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, ცოტა რამ მოგახსენო, _ განაგრძო მარიმ ხმადაბლა, _ მე და სენ-კლერი ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ერთმანეთს. მაგას ჩემი არაფერი ეყურება და არც მაფასებს. ვიცი, რომ კაცები ასეთები არიან.

ოფელია, როგორც ახალი ინგლისის მცხოვრებთა უმრავლესობა, ბუნებით ფრთხილი ადამიანი იყო; იგრძნო, რომ ამ ლაპარაკში ჩარევა უხერხული იქნებოდა, ამიტომ უფრო მაგრად მოკუმა ტუჩები, პირზე კლიტე დაიდო და ხელსაქმე გაახურა. მარი ამას ვერ ამჩნევდა, ის თავის გაჭირვებას მოთქვამდა.

_ სენ-კლერი არაფერში მეხმარება, მოსამსახურეების ცუდ ყოფაქცევაზე რომ ვუთხრა რამე, მაშინვე პირში მომახლის, ჩვენ თვითონა ვართ უზნეონი და ამიტომ არც მონების დასჯის უფლება გვაქვსო. ეს კიდევ არაფერი _ უფრო უარესებსაც იტყვის ხოლმე: ჩვენ რომ მაგათ ალაგას ვიყოთ, უარესს ჩავიდენდითო. ერთი უყურე, რაებს ამბობს! განა შეიძლება ჩვენი და შავკანიანების შედარება?!

_ განა ისინიც ჩვენსავით არ არიან გაჩენილები? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ მაგას ვინ ამბობს! მაგრამ შავკანიანები საზიზღარი ტომის ხალხია.

_ ნუთუ ფიქრობთ, რომ იმათ ისეთივე სული არ უდგიათ, როგორც ჩვენ? _ ჰკითხა აღელვებულმა ოფელიამ.

_ ამას ვინ უარყოფს, მაგრამ მაინც იმათი ჩვენთან შედარება არ შეიძლება. სენ-კლერს ასე აქვს წარმოდგენილი, რომ ძიძისთვის ქმარ-შვილის მოშორება ისეთივე მძიმე უნდა ყოფილიყო, როგორც ჩვენთვის ოჯახის რომელიმე წევრის დაკარგვა. ეს ხომ სისულელეა! ძიძას სად მოეპოვება ისეთი გრძნობა, როგორიც მე, განა შეიძლება იმას თავისი დათხუპნული გოგო-ბიჭები ისე უყვარდეს, როგორც მე ჩემი ცქრიალა ევა! სენ-კლერი მთხოვდა _ ძიძა გაუშვი სახლშიო, მაგრამ მე ამაზე როგორ დავეთანხმებოდი! თუმცა არ მიყვარს ჩემს ტანჯვა-წვალებაზე ლაპარაკი, მაგრამ აქ კი მოთმინების ფიალა აივსო და სენკლერს გამოვუცხადე ჩემი გულისწყრომა და აღელვება. მას შემდეგ ამ საგანზე იმას ჩემთან ხმა აღარ ამოუღია, თუმცა ვიცი, რომ ის ისევ ძველი აზრისაა.

ოფელიას შეეშინდა, მოთმინებიდან არ გამოსულიყო და არაფერი ეწყენინებინა რძლისათვის, ამიტომაც იყო, რომ წინდის ჩხირები უფრო სწრაფად ამოძრავდა მის ხელში. მარის რომ, თავისი თავის გარდა, სხვა რამეზე ფიქრის უნარი ჰქონოდა, შეამჩნევდა, როგორ იმოქმედა ოფელიაზე იმისმა სიტყვებმა.

ოთახში სენ-კლერი შემოვიდა და ყური მოჰკრა, რომ მარი მოსამსახურეებს უჩიოდა.

_ ეჰ, ეგ ძველი ამბავია, _ თქვა მან. _ საბრალო მონებმა საიქიოს ბევრი ცოდვისათვის უნდა აგონ პასუხი, უმთავრესად კი თავისი სიზარმაცისათვის. _ სენ-

კლერი ცოლის პირდაპირ მეორე დივანზე წამოწვა. _ იცი, რა გითხრა, დაო, ჩვენმა მონებმა სიზარმაცეში მე და მარის წაგვბაძეს და საიქიოს იმათ თავის გასამართლებელი არაფერი ექნებათ.

_ შეუძლებელია შენთან ლაპარაკი, სენ-კლერ! _ თქვა მარიმ წყენით.

_ მართლა? მე კი მეგონა, გასიამოვნებდით ჩემი ლაპარაკით! კმარა, ნუ ვიჩხუბებთ. უამისოდაც ძალიან ცხელა და, ამასთან, ეს არის, ახლა ადოლფმაც გამაჯავრა.

_რა იყო? რა ჩაიდინა? საშინლად განებივრებულია ეგ ბიჭი!

_ ისეთი არაფერი ჩაუდენია! რა ქნას, თუ სურს, ყველაფერში მე წამბაძოს. ნივთებს მპარავს და ითვისებს, ამაზე ველაპარაკე, ვუმტკიცებდი, რომ საზღვარი უნდა ჰქონდეს  ჩემი ნივთების მითვისებას. დასჯა არ შემეძლო. ვგრძნობ, რომ ყოველივე ეს ჩემი ბრალია: ცუდად აღვზარდე.

_ რად აღზარდე ცუდად? შენ ხელთ არ იყო? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ ძნელი იყო, დაო, ჩემთვის. სიზარმაცემ შემიშალა ხელი. სიზარმაცე რომ არა, ნამდვილი ანგელოზი ვიქნებოდი. ვეთანხმები თქვენს მღვდელს, რომელიც ამბობს: სიზარმაცე არის დასაბამი ყოველივე ბოროტებისაო.

_ თქვენ, მებატონეებს, დიდი მოვალეობა გაწევთ! _ წარმოთქვა ოფელიამ, _ თქვენი ვალია, კარგად აღზარდოთ მონები; უნდა იმათაც ადამიანებად თვლიდეთ; უნდა გახსოვდეთ, რომ იმათაც უკვდავი სული უდგათ, როგორც თქვენ, _ ოფელია მთელი დღე გაჩუმებული იყო და ახლა კი ვეღარ მოითმინა.

_ ჯერჯერობით კმარა, დაო, ჯერ ხომ სულაც არ გვიცნობ; მიიხედ-მოიხედე, გაგვიცანი და მერე გვითხარი შენი აზრი. _ სენ-კლერი ამ სიტყვებით როიალს მიუჯდა.

მშვენიერი რაღაც დაუკრა. იმისი დახელოვნებული თითები საოცარი ხმით აჟღერებდა საკრავს.

სენ-კლერს დიდი მუსიკალური ნიჭი ჰქონდა, ის სხვადასხვა პიესებს უკრავდა, ცდილობდა, ჰანგი შეერჩია თავისი სულიერი განწყობილებისათვის. როცა გაათავა დაკვრა, ადგა და მხიარულად უთხრა ოფელიას:

_ დაო, მშვენივრად ლაპარაკობდი, შენი პირი თვით ჭეშმარიტებას ღაღადებდა. თუმცა, ცოტა არ იყოს, გულზე მომხვდა შენი სიტყვები.

_ ჩემი აზრით, ამაზე სულაც არა ღირს ლაპარაკი, _ თქვა მარიმ. _ ძნელად თუ მოექცევა ვინმე ჩვენზე უკეთესად მოსამსახურეებს. ჩვენ ყველაფერს კარგსა და კეთილს ვასწავლით, რაც კი შესაძლებელია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმათ შეიძლება აქვთ სურვილი სულიერად გაკეთილშობილდნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, უზნეონი არიან. მონები დაღუპული ხალხია, თქვენ, ოფელია, იმათ ჯერ არ იცნობთ, მე კი მათ შორის აღვიზარდე.

ოფელია გრძნობდა, რომ თავის მხრივ საკმარისად გამოთქვა აზრი და დასამტკიცებელი აღარა ჰქონდა რა, ამიტომ მარის არაფერი უპასუხა. სენ-კლერი კი ქალების ლაპარაკს ყურს აღარ უგდებდა, ის რაღაცაზე ფიქრობდა და თან უსტვენდა.

_ გთხოვ, ნუ უსტვენ: ჩემზე საშინლად მოქმედებს სტვენა, _ უთხრა ცოლმა სენ-კლერს.

_ გავჩუმდები, აღარ დავუსტვენ. კიდევ რას მიბრძანებ, რა არ შეიძლება?

_ მინდა, ოდნავი თანაგრძნობა მაინც გამოიჩინო ჩემდამი, _ უთხრა ამაზე ცოლმა, _ შენ ჩემზე სრულებით არა ზრუნავ.

_ ოჰ, ჩემო ძვირფასო, სასტიკო ანგელოზო! _ შეჰყვირა სენ-კლერმა.

_ მოსაწყენია შენთან ლაპარაკი! _ უკმაყოფილო კილოთი თქვა მარიმ.

_ მაშ, როგორ გელაპარაკო? მზად ვარ, ყველაფერი აგისრულო, რასაც მიბრძანებ!

ამ დროს გარედან სიცილი მოისმა.

სენ-კლერი აივანზე გავიდა და თვითონაც გაეცინა.

_ რა ამბავია? _ ჰკითხა ოფელიამ და ისიც კარებთან მივიდა.

ეზოში გრძელ სკამზე ევას თომა დაესვა და ყვავილებით რთავდა. ვარდები და იასამნები შემოეყარა გარშემო, ეტყობოდა, საშინლად მოსწონდა ბავშვს თავისი ხელოვნება. მერე ჩაუჯდა თომას კალთაში, შესცქეროდა და წკრიალა ხმით იცინოდა.

ბიძია თომა კმაყოფილი იყო, რომ ბავშვს ასიამოვნა: სათნოებით სავსე სახეზე კეთილი ღიმილი უკრთოდა.

_ რა ეშველებოდათ საბრალო ადამიანებს, ბავშვები რომ არა ჰყავდეთ? _ ამბობდა აივნის მოაჯირზე გადაყუდებული სენ-კლერი და ევას გაჰყურებდა. ბავშვი, ალბათ, მამას ვერ ხედავდა. იმან ააყენა თომა და ბაღში წაიყვანა.

_ ბავშვისათვის არ არსებობს კაცთა შორის განსხვავება, _ განაგრძო სენ-კლერმა: _ ყველა ადამიანს ერთნაირად უყურებს, ყველა თანასწორუფლებიანია იმის თვალში. თომა ნამდვილი გმირია ევას თვალში. თომა იმას სათამაშოებს უკეთებს, უმღერის და ამით ამხიარულებს, ართობს. ევა ამქვეყნად საწყალთა და დავრდომილთა ნუგეშად მოვლინებული სამოთხის ყვავილია.

_ შენ ისე ლაპარაკობ, როგორც კარგი მოქადაგე, _ უთხრა ოფელიამ ბიძაშვილს.

_ ლაპარაკი ადვილია, საქმის გაკეთება კი ძნელია. მე მხოლოდ სიტყვებით შემიძლია კარგი გრძნობების გამოთქმა, შენ კი ამას საქმით ასრულებ.

* * *

ახალი ბატონის სახლში ჩვენი მეგობარი თომა ძალიან კარგად გრძნობდა თავს. ევამ იმას შესაფერი საქმე უშოვა.

ევამ სთხოვა მამას, თომა მისთვის დაეთმო. ის მხოლოდ ქალბატონს წაიყვანდა ხოლმე ეტლით, როცა საჭირო იყო, დანარჩენ დროს ევასთან გაატარებდა. მას მეტი საქმე არ მისცეს. ისიც დიდი სიამოვნებით ატარებდა დროს ბავშვთან. დაჰყავდა სასეირნოდ. უამბობდა ზღაპრებს, ერთად კითხულობდნენ წიგნებს, სახარებას და თომა უხსნიდა, როგორც შეეძლო და მის სპეტაკ გულს ჰქონდა შეთვისებული.

ბავშვი სმენად გადაიქცეოდა ხოლმე, როცა თომა მოჰყვებოდა ლაპარაკს. თომამ მკაფიოდ და გასაგებად იცოდა ლაპარაკი.

მარის არ მოსწონდა, რომ ევა თომას ასე შეეჩვია, ცდილობდა, მათი მეგობრობა მოეშალა როგორმე, მაგრამ საქმეში თვითონ სენ-კლერი ჩაერია, ცოლს მოსთხოვა, ევასათვის მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა. სენ-კლერი თომას კეთილ გავლენას ბავშვზე უფრო აფასებდა, ვიდრე თავისი ცოლის უშინაარსო დარიგებას.

## მეთექვსმეტე თავი

## ელიზასა და ჯორჯის გაქცევა კანადაში

კვაკერების სახლში საღამოთი ფუსფუსი იყო. ყველა რაღაცას აკეთებდა. რახილ ჰალიდეი სამგზავრო სანოვაგეს ამზადებდა. ცდილობდა, რაც შეიძლება, კარგად ჩაელაგებინა ყველაფერი. მოსაღამოვდა. მზე ჩასვლაზე იყო. მოწითალო სხივები შეჭრილიყვნენ იმ ოთახში, სადაც ამჟამად ჯორჯი იმყოფებოდა თავისი ცოლ-შვილით. ერთი ხელი ელიზასთვის შემოეხვია, მეორეთი ბავშვი ეჭირა კალთაში.

_ ვიცი, ელიზა, რომ შენ მართალს ამბობ; კეთილი ადამიანი ხარ, შენ ჩემზე ბევრად უკეთესი ხარ. ვეცდები, მეც ასეთი გავხდე აზრებითა და გრძნობებით. ახლა დავივიწყებ მწარე წარსულს. ვიკითხოთ ხოლმე ერთად კარგი წიგნები. იქნება ხელი მომემართოს და შევიგნო რამე.

_ კანადაში რომ მივალთ, მეც მოგეშველები მუშაობაში: კარგი ჭრა-კერვა და რეცხვა ვიცი. არ გაგვიჭირდება თავის შენახვა.

_ მეც ეგრე მგონია, რომ არ გაგვიჭირდება ცხოვრება. ხშირად მაკვირვებდა ხოლმე, როგორ შეუძლია ადამიანს სხვა რამეზე წუხილი, როცა თავის ცოლ-შვილში თავისუფლად ცხოვრობს. ის აზრი, რომ შენ და ჰარი ნამდვილად მე მეკუთვნით, რომ არავის შეუძლია თქვენი თავი წამართვას, უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს. მართალია, არა მაქვს ფული, არა მაქვს მიწა, არა მაქვს არავითარი საკუთრება; ჩემი სიცოცხლე შრომაში გამიტარებია, მაგრამ მე არ მადარდებს ჩემი სიღარიბე. თუ თავისუფლება მექნება, ადვილად შევიძენ ფულს, რომ თქვენს მებატონეს მივცე სასყიდელი და გამოგისყიდოთ მონობიდან. რაც შემეხება მე, ჩემი ბატონის წინაშე თავს მოვალედ აღარ ვრაცხ: დიდი ხანია, გადავუხადე ჩემი ფასი.

_ ჩვენ გვავიწყდება, რომ კანადაში ჯერ არა ვართ, _ უთხრა ქმარს ელიზამ.

_ მართალია, მაგრამ უკვე ვგრძნობ თავისუფალ ჰაერს; მე ამ ჰაერს ვყნოსავ.

მეორე ოთახში ლაპარაკი გაისმა და ვიღაცამ კარზე დააბრახუნა. შეშინებულმა ელიზამ ჰარი ხელში აიყვანა.

ოთახში შემოვიდა სიმეონ ჰალიდეი, თან შემოიყვანა უცნობი კაცი და გააცნო მეგობრებს. ეს იყო ფინეას ფლეტჩერი _ ჭკვიანი სახის, ახოვანი, ქერა კაცი, გონიერი გამომეტყველებისა. ის არა ჰგავდა წყნარ და მშვიდ სიმეონ ჰალიდე-

ის. სიმეონი უფრო მეტს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრობდა, ფინეასი კი ამ ქვეყნის შვილი იყო, აზროვნებაც უფრო მიწიერი ჰქონდა.

_ ეს ჩვენი მეგობარი ფინეასი გახლავთ, ჯორჯ, _ თქვა სიმეონმა, _ ამან შენთვის საყურადღებო ცნობები მოიტანა. საჭიროა იცოდე საქმის ვითარება.

_ დიახ, მე ცოტაოდენი ცნობები შევკრიბე და დავრწმუნდი, რომ ყური ფხიზლად უნდა გვქონდეს. გუშინ საღამოთი ერთ დუქანში შევედი გზის პირად. შენ უნდა იცოდე ის დუქანი, _ მიუბრუნდა ფინეასი სიმეონს: _ შარშან, თუ გახსოვს, ჩვენ იქ ვაშლები მივყიდეთ ერთ მსუქან, საყურეებიან დედაკაცს. დაღლილი ვიყავი და ვახშმის შემდეგ, მანამ ოთახს მოამზადებდნენ, დასაძინებლად დუქანშივე ტომრებზე წავწექი და წავიხურე კამეჩის ტყავი; ასე წამეძინა.

_ მაგრამ ცალი ყურით კი ისმენდი, რას ლაპარაკობდნენ დუქანში, არა? _ ჰკითხა სიმეონმა ღიმილით.

_ არა, მე ორიოდე საათი მაგრად მეძინა. მერე გამოვიღვიძე და დავინახე _ დუქანში რამდენიმე კაცი შემოჯდომოდა მაგიდას: ლუდს სვამდნენ და ლაპარაკობდნენ. კვაკერები ახსენეს. მე ყური ვცქვიტე. «მაშ, შენი სიტყვით, ისინი კვაკერების სოფელში უნდა იყვნენ?» _ ჰკითხა ერთმა მეორეს. აღმოჩნდა, რომ იმ კაცებს თქვენზე ჰქონდათ ლაპარაკი. მე ყველაფერი გავიგე, რასაც გიპირებენ ისინი. გადაწყვეტილი აქვთ, _ მიუბრუნდა იგი ჯორჯს, _ კენტუკში ძველ ბატონს მიგგვარონ. თურმე სასტიკად დასჯას გიპირებთ, რომ სხვა მონებს ახსოვდეთ და აღარ გაბედონ გაქცევა. თქვენ ცოლს ახალ ორლეანში უპირებენ წაყვანას და იქ გაყიდვას, ბავშვს კი დაუბრუნებენ იმ ვაჭარს, რომელსაც უყიდია იგი ბატონისაგან. თქვენი ამხანაგებიც თავიანთ პატრონებს უნდა დაუბრუნონ. როგორც ეტყობა, პოლიციელები დაიხმარეს მახლობელი ქალაქიდან. ამიტომ კარგად იციან ის გზა, რომლითაც ჩვენ ვაპირებთ ამაღამ წასვლას. უეჭველია, გამოგვეკიდება რვა-ცხრა კაცი. საქმე ის არის _ როგორ მოვიქცეთ, რომ იმათ გავუსხლტეთ ხელიდან.

ფინეასის მოტანილმა ამბავმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. განსაკუთრებით ღრმად ჩააფიქრა სიმეონი. ელიზამ ჯორჯს მიაყრდნო მხარზე თავი. ჯორჯი მთლად აენთო, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და სიბრაზით მუშტებს კუმშავდა. განა მეტი სულგრძელობა მოეთხოვება იმ ადამიანს, რომელსაც ცოლ-შვილის წართმევას უქადიან?

_ ჯორჯ, რა გვეშველება? როგორ მოვიქცეთ? _ ჰკითხა ელიზამ სუსტი ხმით.

_ მე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, შენ ნუ გეშინია, _ უთხრა ჯორჯმა ცოლს.

მან ხელში აიღო თავისი დამბაჩები და კარგად დაათვალიერა.

_ აი, თურმე რა ყოფილა! _ თქვა ფინეასმა. _ ხედავ, სიმეონ, სადამდის მიდის საქმე?

_ ვხედავ, მეგობარო! ვისურვებ, რომ სამაგისოდ არ გაგიხდეთ საქმე.

_ მე ჩემს უბედურებაში არავის გავხვევ, _ თქვა ჯორჯმა. _ თქვენ მხოლოდ ეტლი გვათხოვეთ, რომ აქედან წავიდეთ, და მარტონიც წავალთ. ჯიმი, ჩემი ამხანაგი, ღონიერი და ისეთივე თავზეხელაღებული კაცია, როგორც მე ამ წამში.

_ ეგ ყველაფერი კარგი, მეგობარო, მაგრამ მეეტლე მაინც დაგჭირდებათ. რაც შეეხება ბრძოლას, ეგ შენთვის დამითმია, მაგრამ მე მაინც საჭირო ვარ, რადგანაც გზა კარგად ვიცი.

_ არ მინდა, ჩირქი მოვცხო ვისმეს, _ უპასუხა ნაღვლიანი ხმით ჯორჯმა.

_ მერე იმით რა ჩირქს მომცხებ, გზა რომ გასწავლო? _ ჰკითხა ფინეასმა ღიმილით.

_ ფინეასი ჭკვიანი და გამოცდილი კაცია, _ თქვა სიმეონმა, _ კარგს იზამ, თუ ამას მიენდობი. მხოლოდ, აი, რას გეტყვი, ჯორჯ, _ სიმეონმა მხარზე ნაზად დაადო ხელი, _ გთხოვ, ადვილად ნუ მიმართავ ამ ცუდ ამხანაგებს, _ დამბაჩებზე მიუთითა, _ შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და შეიძლება, ჩქარა აღელდე. მე ამისი მეშინია.

_ მე პირველი არავისზე იარაღს არ ვიხმარ. ყველას ვთხოვ, თავი დამანებონ, ნუ მდევნიან, მომცენ საშუალება, რომ უვნებლად წავიდე ამ ქვეყნიდან. _ აქ იგი შედგა და სახე მოეღუშა, _ ერთი ჩემი და გაყიდეს ახალ ორლეანში. მე ვიცი, რისთვისაც მიჰყავთ იქ ქალები. როგორ მოვითმინო და გულხელდაკრეფილი ვუყურო ჩემი ოჯახის მტარვალებს. ბუნებას დავუჯილდოებივარ ორი მძლავრი ხელით. როგორ გავძლო და ხელი არ გავანძრიო, როცა ჩემს ცოლს ხელს წაატანენ დასატყვევებლად! არა, იმედი მაქვს, რომ ბედი ჩემი შემწე და მშველელი იქნება. უბრძოლველად ვერ დავთმობ ჩემს ცოლ-შვილს. მათი თავისუფლების მოსაპოვებლად ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. განა ამისათვის დასაგმობი ვიქნები?

_ მოკვდავი ადამიანი საქციელს ვერ გაგიმტყუნებს, ჯორჯ! _ უთხრა სიმეონმა, _ სისხლი და ხორცი უძლურია და ქვეყანას ღუპავს მაცდური. მაგრამ, იმედია, სამაგიეროდ მიეზღვით იმათ, ვისი მეოხებითაც ჩავარდა ქვეყანა ამ ბოროტებაში.

_ განა ჩემ ადგილზე თვითონ თქვენ კი ასევე არ მოიქცეოდით? _ ჰკითხა ჯორჯმა სიმეონს.

_ განსაცდელის დროს შეიძლება, წონასწორობა დავკარგო.

_ მე კი ასე ვფიქრობ, ასეთი საქმე რომ დამემართოს როდისმე, უეჭველად ჩემს მკლავებს მივანდობდი ჩემი უფლებების დაცვას, _ თქვა ფინეასმა და მძლავრი ხელები დაიქნია.

_ თუ ოდესმე შესაძლებელია, ბოროტებას გაუმკლავდეს ადამიანი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, როგორშიც ახლა ჯორჯი იმყოფება, გამართლებულია წინააღმდეგობა, ბოროტებით ადამიანი ვერ შექმნის ამქვეყნად ბედნიერებას.

_ გეთანხმებით, მაგრამ, თუ განსაცდელმა მოთმინებას გადააჭარბა, მაშინ კი გვერიდონ ჩვენი მტრები, _ თქვა ფინეასმა.

_ ჩანს, კვაკერად არ ყოფილხარ გაჩენილი, _ თქვა სიმეონმა ღიმილით, _ წარმართთა დროის კაცი, ეტყობა, შენში კიდევ მძლავრია.

უნდა ვთქვათ, რომ ფინეასი, მართლაც, არ იყო კვაკერად დაბადებული. ის უწინ გულადი მონადირე იყო. იშვიათი თვალი ჰქონდა და მარჯვე სროლა იცოდა. მაგრამ ერთი კვაკერი ქალი შეუყვარდა და ამ გარემოებამ აიძულა, შესულიყო კვაკერთა ძმობაში. თუმცა ის პატიოსანი, ფხიზელი, სასარგებლო წევრი იყო ძმობისა და იმის საწინააღმდეგოს ვერავინ ვერაფერს იტყოდა, მაგრამ მაინც აკლდა ის სათნოება, რაც დამახასიათებელი თვისებაა კვაკერთა ძმობისა.

_ მეგობარი ფინეასი ყველაფერს თავისი თვალით უყურებს, _ თქვა რახილმა ღიმილით, _ მაგრამ ვიცით, რომ გული სპეტაკი აქვს.

_ მოდი, დავაჩქაროთ წასვლა, _ თქვა ჯორჯმა.

_ ჩვენ ორი-სამი საათით ადრე შეგვიძლია წასვლა. მე ვიცი, ისინი როდის აპირებენ გამოსვლას. ჩვენთვის უმჯობესი იქნება ბინდბუნდზე გავიდეთ, რადგანაც საეჭვო სოფლები გვაქვს გასავლელი. იქ არასაიმედო პირები ცხოვრობენ და შეიძლება დაგვაბრკოლონ რითიმე. ორი საათის შემდეგ წავიდეთ. მანამდე მე მიხეილ კროსისთან შევირბენ და ვთხოვ, გამოგვყვეს თავისი კარგი ცხენით. გზას დაგვიზვერავს და მდევრის მოახლოებას შეგვატყობინებს. შევატყობინებ აგრეთვე ჯიმს და იმის მოხუც დედას, რომ მოემზადონ. ცხენებსაც მოამზადებენ. ნუ დაღონდები, მეგობარო! პირველი არ არის ჩემთვის ასეთ საფრთხეში ყოფნა და მეგობრების დახსნა განსაცდელისაგან.

ამ სიტყვებით გავიდა ოთახიდან.

_ ფინეასს ენდე, ჯორჯ! ეგ აზრიანი კაცია. რაც შესაძლებელია, ყველაფერს იზამს თქვენს გადასარჩენად, _ უთხრა სიმეონმა.

_ მე მხოლოდ ვწუხვარ, რომ ჩემი გულისათვის თქვენ საფრთხეში ვარდებით.

_ გთხოვთ, მეგობარო, მაგაზე კრინტი აღარ დაძრა. ჩვენ ისე ვიქცევით, როგორც სინდისი გვიკარნახებს. აბა, ქალო, ვაჭამოთ რამე ჩვენს მეგობრებს: მშივრების გაშვება ხომ არ შეიძლება?

მანამ რახილი და ბავშვები ვახშამს ამზადებდნენ, ჯორჯი ცოლს ელაპარაკებოდა:

_ ელიზა, ბედნიერ ადამიანებს, რომელთაც ჰყავთ მეგობრები, ქონება, მამული, სახლ-კარი და მიწა-წყალი, არ შეუძლიათ, ისეთი მტკიცე სიყვარულით უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე და შენ. შენამდის მე ვუყვარდი მხოლოდ ორ უბედურ ადამიანს _ დედაჩემსა და ჩემს დას. მე უკანასკნელად ვნახე ჩემი და იმ დილით, როცა ჩვენგან საუკუნოდ დაშორებას უპირებდნენ. მოვიდა ჩემს საწოლთან და მითხრა: «საბრალო ჯორჯ! შენი ერთადერთი მეგობარიც გშორდება. ვინ იცის, რა მოგელის უჩემოდ, ჩემო საყვარელო ძამიკო». მე წამოვვარდი ლოგინიდან, მოვეხვიე და ორივენი დიდხანს ვტიროდით. მას შემდეგ ალერსიანი სიტყვა აღარავისაგან გამიგონია. დიდმა ხანმა განვლო. ჩემი გული დაჭკნა, ქვად იქცა. მხოლოდ შენმა სიყვარულმა აღმადგინა მკვდრეთით, გარდამქმნა. ჩემო ელიზა, ჩემო ძვირფასო, მე მზად ვარ, შენთვის სიცოცხლე გავწირო. ვინ გამიბედავს შენს წართმევას! და თუ განიზრახავს ვინმე ამას, უეჭველად ჩემს გაცივებულ გვამს უნდა გადმოაბიჯოს, რომ შენამდის მოაღწიოს.

რახილმა მიიპატიჟა სტუმრები სუფრაზე. ვახშმად რომ დასხდნენ, კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა რუთი.

_ ელიზა, აი ბავშვისათვის თბილი წინდები მოგიტანე. კანადაში სიცივეები იცის. აბა, ხომ ყოჩაღად ხარ?

ქალმა გრძნობით ჩამოართვა ხელი ელიზას და ჰარის თაფლის კვერები მისცა.

_ აი, აქ კიდევ ცოტა რამ სანოვაგე ჩავალაგე: გზაში დაგჭირდებათ ბავშვისათვის.

_ რა კეთილი ადამიანი ბრძანდებით, გმადლობთ! _ აღელვებული ხმით უთხრა ელიზამ.

_ დაჯექით, რუთ, ჩვენთან ივახშმეთ! _ სთხოვა ქალს რახილმა.

_ გმადლობთ, არ შემიძლია: ბავშვი ჯონის ამარა დავტოვე და ვთხოვე, ქადებსაც მიხედე-მეთქი ღუმელში. დარწმუნებული ვარ _ ქადებიც დაეწვება და ბავშვსაც, რაც ოჯახში შაქარი გვაქვს, სულ შეაჭმევს. იმის ამბავი ვიცი: ოჯახური საქმე არ ეხერხება.

კოპწია ქალმა მხიარულად გადაიკისკისა.

_ მშვიდობით, ელიზა! მშვიდობით, ჯორჯ! მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ.

რუთი ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ვახშამი გაათავეს და სამგზავრო, ჩარდახიანი ეტლიც მოვიდა. მოწმენდილი ღამე დადგა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ფინეასი კოფოდან გადმოხტა. ჯორჯმა სახლიდან ხელჩაკიდებული გამოიყვანა ელიზა. მეორე ხელში ჰარი ეჭირა. იგი მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა. სახეზე გაბედული გამომეტყველება ემჩნეოდა.

_ ერთი წუთით გადმობრძანდით ეტლიდან, _ სთხოვა ფინეასმა ეტლში მსხდომთ, _ დასაჯდომს გავმართავ ქალებისა და ბავშვისათვის.

_ აი, კამეჩის ტყავები ჩააგე შიგ, _ უთხრა რახილმა, _ კარგი დასაჯდომი გამართეთ, თორემ მთელი ღამე ეტლში ჯდომა ძნელი იქნება.

ჯიმი გადმოვიდა და თავისი დედაც გადმოიყვანა ეტლიდან. მოხუცებულს შვილის ხელი მაგრად ეჭირა და შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა _ არსაიდან გამოტყვრეს მდევარიო.

_ ჯიმ, დამბაჩები ხომ მზად გაქვს? _ ჰკითხა ჯორჯმა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ხმით ამხანაგს.

_ ყველაფერი მზად მაქვს, _ უპასუხა ჯიმმა.

_ იცი, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვინიცობაა, მდევარი შეგვეფეთა? _ განაგრძო ჯორჯმა.

_ მგონია, ვიცი.

ჯიმმა პალტო გაიხსნა და ღრმად ამოისუნთქა.

_ განა ჩემი ცოცხალი თავით დედას ხელში ჩავუგდებ ავაზაკებს?

ამ ლაპარაკის დროს ელიზა გამოეთხოვა თავის კეთილ მეგობარს _ რახილს. სიმეონმა უშველა ელიზას ეტლში ჩაჯდომა. ელიზა თავისი ბავშვით

უკან დაჯდა ტყავის საზანზე. მის გვერდით იჯდა მოხუცებული დედაკაცი. ჯორჯი და ჯიმი წინ მოთავსდნენ გრძელ სკამზე. ფინეასი კოფოზე დაჯდა.

_ მშვიდობით, მეგობრებო! _ თქვა სიმეონმა.

_ მშვიდობით ბრძანდებოდეთ, _ უპასუხა ყველამ ეტლიდან.

ეტლი დაიძრა და გაყინულ გზაზე მოჰყვა რახრახს.

ოღროჩოღრო გზაზე ეტლს ხათქახუთქი გაჰქონდა და შიგ მსხდომთ აჯაყ-ჯაყებდა. ერთმანეთის გამოლაპარაკება შეუძლებელი იყო. ეტლი ჩქარა მიდიოდა ბნელ ტყეებსა და თვალუწვდენელ მინდვრებში; აღმართ-დაღმართს აღარ არჩევდა; დროც სწრაფად გარბოდა. ბავშვმა დედის კალთაში ჩქარა დაიძინა. შეშინებულმა მოხუცებულმაც ნელ-ნელა გონება მოიკრიბა. თვითონ ელიზაც იმდენად დამშვიდდა, რომ თვლემა დაიწყო. მხოლოდ ყველას მაგივრად ფინეასი ფხიზლობდა. ის მხიარულად მღეროდა სხვადასხვა სიმღერას, რომელსაც კვაკერების სიმღერასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ჯორჯმა ცხენის ფეხის ხმა გაიგონა. ცხენოსანი უკნიდან უახლოვდებოდა ეტლს. ჯორჯმა ფინეასს ჰკრა ხელი. მან ეტლი გააჩერა და ყური დაუგდო.

_ ეს უთუოდ, მიხეილია. მგონი, იმისი ცხენის ფეხის ხმა არის.

ფინეასი ფეხზე წამოდგა და უკან გაიხედა. შორს ბექობზე ცხენოსანს მოჰკრა თვალი. მხედარი მათკენ მოაქანებდა ცხენს.

_ სწორედ ის არის, _ თქვა ფინეასმა.

ჯორჯი და ჯიმი ეტლიდან გადმოხტნენ და მოუთმენლად დაელოდნენ ცხენოსნის მოახლოებას. მხედარი ერთ წუთს დაიმალა ხევში. ჩქარა სულ ახლო გაისმა ცხენის ფეხის ხმა და თვითონ მხედარიც გამოჩნდა.

_ მიხეილი არის, _ თქვა ფინეასმა და ხმამაღლა დაუყვირა: _ მიხეილ, აქეთ წამოდი!

_ ფინეას, თქვენ ხართ?

_ ჰო, ჩვენ ვართ! მოდი, ჩქარა გვითხარი, რა ამბავია! მდევარი ახლო ხომ არ არის?

_ ფეხდაფეხ მოგვდევენ. რვა-ცხრა კაცია. უგონო მთვრალები არიან და ცოფიანი მგლებივით სიბრაზით დორბლებსა ყრიან.

ნიავმა დაბერა და თან მოიტანა ცხენების ფეხის ხმა.

_ ჩქარა ეტლში ჩასხედით, ყმაწვილებო! _ უთხრა ფინეასმა: _ ჩხუბს კიდევ მოვესწრებით, ჯერ კი გაქცევა ჯობია.

კაცები შეხტნენ ეტლში. ფინეასმა ეტლი გააქროლა. მიხეილმაც ცხენი ეტლს მიაყოლა. ეტლი ჩქარა მიდიოდა, მაგრამ ცხენების ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. შეშინებულმა ქალებმა გამოიხედეს ჩარდახიდან და დილის ციაგზე შორს გაარჩიეს რამდენიმე ცხენოსანი. თავის მხრივ, ეტყობოდა, მდევრებმაც დაინახეს თეთრჩარდახიანი ეტლი და მხიარული ხმაური ატეხეს.

ელიზამ ჰარი მაგრად ჩაიკრა გულში; მოხუცმა დედაკაცმა გმინვა დაიწყო; ჯორჯმა და ჯიმმა დამბაჩები მოიმარჯვეს. ცხენოსნები წამოეწივნენ ეტლს, რომელმაც მოულოდნელად გზას გადაუხვია და ამართულ პიტალო კლდის

ძირას გაჩნდა. განთიადის ციაგ შუქზე ეს განმარტოებული კლდე შავად მოჩანდა და მგზავრებს თითქოს თავშესაფარსა ჰპირდებოდა. ფინეასმა იქით მიაშურა. მან ეს ადგილები კარგად იცოდა: ახალგაზრდობაში ბევრჯერ უნადირია აქ.

_ გადმოდით ყველანი ეტლიდან და გაიქეცით მთისკენ, _ დაიძახა ფინეასმა. მან ცხენები მარდად გააჩერა და თვითონაც კოფოდან გადმოხტა. _ შენ კი, მიხეილ, _ მიუბრუნდა ის ცხენოსანს, _ ცხენი ეტლს გამოაბი, შენ კი ეტლში ჩაჯექი და გასწი ამარისთან, უთხარი, ბიჭები წამოიყვანოს და ჩქარა მოგვეშველოს.

ერთ წუთას ყველანი გადმოვიდნენ ეტლიდან. ფინეასმა ჰარი აიყვანა ხელში.

_ თქვენ კი, _ უთხრა ჯორჯსა და ჯიმს, _ ქალები წამოიყვანეთ და ფეხდაფეხ გამომყეთ.

თვალის დახამხამებაში ღობეზე გადახტნენ და მთისკენ გაექანენ. მიხეილი კი ამასობაში ჩამოხტა, ცხენი ეტლს გამოაბა და სწრაფად გარეკა ცხენები გზაზე.

_ მომყევით! _ დაიძახა ფინეასმა, როცა კლდის ძირას მივიდნენ, და შეუდგა აღმართს. კლდეს ვიწრო ბილიკი მისდევდა, _ აქ, _ განაგრძო მან, _ უწინ ნადირობის დროს ხშირად ვისვენებდით.

ყველაზე წინ ფინეასი მიდიოდა და თხასავით ხტოდა კლდეებზე; მას ბავშვი ამძიმებდა. შემდეგ მიდიოდა ჯიმი დედასთან ერთად; ბოლოს მიდიოდნენ ჯორჯი და ელიზა. მდევრებმა ცხენები ღობესთან მიაჭენეს, დაქვეითდნენ და ისინიც კლდისკენ გაეშურნენ წყევლა-კრულვითა და ყვირილით.

ფინეასმა თავისი თანამგზავრებით ამასობაში მთის წვერს მიაღწია. აქ ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ მხოლოდ თითო კაცს შეეძლო გავლა. ერთ ალაგას ღრმად იყო კლდე გარღვეული და აქ ბილიკი წყდებოდა. იქით უფრო მაღალი კლდეები მოჩანდა. ფინეასი მარდად გადახტა კლდის ნაპრალზე. მთის წვერზე პატარა მინდორი იყო თეთრი ხავსით დაფარული და ამ ხავსზე დასვა ბავშვი.

_ აბა, ჩქარა გადმოხტით თქვენცა! _ დაუძახა დანარჩენებს. ისინიც ფინეასს ზედიზედ მიჰყვნენ თავგანწირულის გამბედაობით. მთის წვერზე დიდი ლოდები ეყარა და შეიძლებოდა ამ ლოდებს უკან ამოფარება.

ფინეასმა გადაიხედა ძირს და შეატყო, რომ მდევრებიც აპირებდნენ მთაზე ამოსვლას.

_ დაე, მობრძანდნენ! _ თქვა იმან, _ აბა, უყურე, ჯორჯ, ხომ ხედავ, რომ ამ ბილიკზე მხოლოდ თითო-თითომ უნდა გამოიაროს. მაშასადამე, შენ შეგიძლია მიზანში ამოიღო თითო-თითოდ.

_ ვხედავ, _ უპასუხა ჯორჯმა, _ ახლა გთხოვთ, თქვენ უკან დადგეთ და სახიფათო ადგილს მოშორდეთ. ნება მოგვეცით, დანარჩენი საქმე ჩვენ შევასრულოთ.

_ დამილოცნია ასპარეზი, მეგობარო, _ უპასუხა ფინეასმა: _ ნებას გაძლევ, როგორც გსურს, ისე იბრძოლო, მე მხოლოდ მაყურებელი ვიქნები. როგორც ეტყობა, ის ვაჟბატონები რაღაცას თათბირობენ. ისე შემოჰყურებენ მთის წვერს,

როგორც ქათმები ქანდარას. ჯობია, ჯორჯ, ახლავე დაუძახო, რომ ვინც ამ ბილიკზე გამოჩნდება, იქვე დააწვენ. ჯობს, პატიოსნად შეატყობინო წინათვე.

დილის რიჟრაჟზე მდევართა შორის კაცი გაარჩევდა ტომ ლოკერს და მერქსს, რომლებიც ჰელიმ მდევრად დაიქირავა სასტუმროში ოჰაიოსთან იმ საღამოს, როცა ელიზა თავისი შვილით გაუსხლტა ხელიდან. მათ თან ახლდათ ორი პოლიციელი და მაწანწალების ბრბო.

_ გაებნენ მახეში, _ თქვა ერთმა მათგანმა.

_ მე დავინახე, ბილიკზე რომ აირბინეს, _ წაილაპარაკა ლოკერმა. _ მე პირველი მივიტან იერიშს.

_ გამიგონე, ტომ! _ გააჩერა ის მერქსმა, _ იმათ იქ საფარები აქვთ და შეუძლიათ საფარებიდან სროლა აგვიტეხონ. ცუდ დღეს დაგვაყენებენ.

_ ეჰ, შენ სულ შენს ტყავს უფრთხილდები! _ ზიზღით მიუგო ლოკერმა, _ განა არ იცი, რომ ზანგები მშიშარა ხალხია?

_ რატომაც არ უნდა ვუფრთხილდებოდე ჩემს ტყავს, _ უთხრა მერქსმა. _ ჩემს თავზე ძვირფასი რაღა მაქვს. ზოგჯერ ზანგებმა ძალიან ცხარე ბრძოლა იციან.

ამ დროს მთის წვერზე გამოჩნდა ჯორჯი და ხმამაღლა ჩამოსძახა ძირს:

_ ბატონებო, ვინ ბრძანდებით მანდ, ან რა გნებავთ?

_ ჩვენ მოვდევთ გაქცეულ მონებს, ისინი გვინდა დავიჭიროთ, _ უპასუხა ლოკერმა, _ ჩვენ ვეძებთ ჯორჯ ჰარისს, ელიზა ჰარისსა და იმათ შვილს, აგრეთვე ჯიმ ჰელდენს თავისი ბებერი დედით. ჩვენ თან გვყავს პოლიცია და გვაქვს აღმასრულებელი ფურცელი. აუცილებლად დავიჭერთ გაქცეულებს, გესმით? იქნებ შენ თვითონა ხარ ჯორჯ ჰარისი, რომელიც ბატონს გაექცა კენტუკიდან?

_ დიახ, მე გახლავარ ჯორჯ ჰარისი. მყავდა ბატონი, რომელიც აქამდე თავის საკუთრებად მთვლიდა, მაგრამ ახლა მე თავისუფალი კაცი ვარ, თავისუფალ მიწაზე მიდგას ფეხი და გიცხადებთ, რომ ჩემი ცოლ-შვილი მხოლოდ მე მეკუთვნის. ჯიმიც აქ არის თავისი დედით. ჩვენ იარაღი გვაქვს თავის დასაცავად და უბრძოლველად არავის დავნებდებით. თუ სურვილი გაქვთ, მობრძანდით, მაგრამ იცოდეთ, ვინც კი გაბედავს და თოფის მანძილზე მოგვიახლოვდება, მაშინვე წუთისოფელს გამოვასალმებ; ასევე დაემართება მეორეს, მესამეს და ყველას!

_ მუქარას თავი დაანებეთ, ყმაწვილო, _ დაუძახა ქვემოდან ჯორჯს ერთმა სქელმა, დაბალი ტანის კაცმა და წინ წამოდგა, _ თქვენ უფლება არა გაქვთ, ჩვენთან ასე გაბედულად ილაპარაკოთ. კანონიც და ძალაც ჩვენს ხელშია. გირჩევნიათ, თქვენი ნებით დაგვნებდეთ მშვიდობიანად, თორემ, სულ ერთია, ძალით დაგიმორჩილებთ.

_ ვიცი, რომ კანონი და ძალა თქვენს მხარეზეა, _ უპასუხა ჯორჯმა, _ თქვენ გსურთ, გაყიდოთ ჩემი ცოლი, ჩემი შვილი, როგორც პირუტყვი, საქონელი, ისე გადაუგდოთ ვაჭარს! თქვენ გინდათ, ჯიმის მოხუცი დედა დაუბრუნოთ იმ მხეც ბატონს, რომელიც შეუბრალებლად ტანჯავდა საბრალო მოხუცებულს!

თქვენ გსურთ, მჩაგვრელს მიგვცეთ ხელში მე და ჯიმი! კანონები თქვენ ყველა ამის ნებას გაძლევთ, მაგრამ ჩვენ არ ვემორჩილებით თქვენს კანონებს! ჩვენ აქ ლურჯი ცის ქვეშ ისეთივე თავისუფალი ადამიანები ვართ, როგორც თქვენ, და სისხლის უკანასკნელ წვეთამდის ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვის!

ჯორჯი კლდის ნაპირას იდგა და ქვემოდან კარგად ჩანდა. დილის მზის სხივები შუქსა ჰფენდა იმის ვაჟკაცურ სახეს. თვალებიდან თავგანწირვისა და სიბრაზის ცეცხლს აფრქვევდა. ერთი ხელი ლაპარაკის დროს მაღლა ჰქონდა აწეული, თითქო ცას შესჩივის და იქიდან მოელის სამართალსაო.

ჯორჯის მგრძნობიარე სიტყვებმა, იმისმა გარეგნობამ შთაბეჭდილება მოახდინა ძირს მდგომ ადამიანებზე და ჩაჩუმდნენ. მხოლოდ მერქსზე არ იმოქმედა ჯორჯის სიტყვებმა; იმის ლაპარაკის დროს მერქსმა დამბაჩა გატენა და, ლაპარაკი რომ შეწყდა, ესროლა მოლაპარაკეს.

_ სულ ერთია, მკვდარს მივიყვანთ თუ ცოცხალს, მაგისთვის მაინც ჯილდოა დანიშნული, _ წარმოთქვა მან არხეინად და დამბაჩის წმენდას შეუდგა ტანისამოსის სახელოზე.

ჯორჯი უკან გადახტა. ელიზამ დაიკივილა. ტყვიამ ჯორჯს თმებში გაუარა და იქვე ახლოს ხეს მოხვდა; კინაღამ ლოყაში მოხვდა ელიზას.

_ ნუ გეშინია, ელიზა, არაფერია, _ დაამშვიდა ჯორჯმა ცოლი.

_ თავი დაანებე ლაპარაკს და მოშორდი, _ ურჩია ფინეასმა: _ ლაწირაკებთან ლაპარაკი ამაოა.

_ აბა, ჯიმ, დამბაჩები დაათვალიერე და ჩემთან ახლო დადექი, _ უთხრა ჯორჯმა ამხანაგს. ბილიკს უნდა ვუყარაულოთ, მხოლოდ ტყვია-წამალს გავუფრთხილდეთ, ტყუილად არ დავწვათ.

ძირს დამბაჩის გასროლის შემდეგ ყოყმანი შეექმნათ.

_ მგონია, ვიღაცას მოხვდა, _ თქვა ერთმა მათგანმა, _ კივილი შემომესმა.

_ მე იერიში მიმაქვს მაგათზე! არასოდეს მშინებია ზანგების და არც ახლა შევუშინდები! აბა, ვინ მომდევს? _ დაიყვირა ლოკერმა და შეხტა ბილიკზე.

ჯორჯმა გაიგონა ეს სიტყვები. მოემზადა და გაფაციცებით დააცქერდა იმ ადგილს, სადაც უნდა გამოჩენილიყო პირველი მდევარი.

ვიღაც, სხვებზე გულადი, გამოჰყვა ლოკერს, მას მოჰყვა მეორე, მესამე და ბოლოს ყველანი შეუდგნენ აღმართს. გავიდა რამდენიმე წუთი და აზრაგი ლოკერი გამოჩნდა ნაპრალის პირზე.

ჯორჯმა ესროლა და გვერდში მოარტყა ტყვია, მაგრამ ლოკერმა უკან არ დაიხია, გაცოფებულმა დაიღრიალა, კლდეზე გადახტა და გაქცეულებში გაერია.

_ ბატონო ჩემო, _ უთხრა ფინეასმა და წინ წამოდგა, _ თქვენ აქ საჭირო არ ბრძანდებით.

ამ სიტყვებით მან მოსულს ხელი ჰკრა.

ლოკერი გადაიჩეხა კლდეზე და ხევში რახრახით ჩავარდა. წვრილი კენჭები, ქვა-ღორღი, ხის ტოტების მტვრევა მიჰყვა მას თან. ლოკერი დაეცა და გმინ-

ვა მოისმა. ტანისამოსი ხეს რომ არ მოსდებოდა და პირდაპირ დაგორებულიყო, ძირამდის სულიც არ ჩაჰყვებოდა. მაინც ძალიან დაშავდა.

_ ნამდვილი ეშმაკები ყოფილან, _ დაიყვირა მერქსმა და ამ სიტყვებით ზურგი იბრუნა. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც. ქვევით ყველანი მეტის ხალისით მიდიოდნენ, მეტადრე მსხვილი პოლიციელი, რომელიც ძალზე ქშინავდა.

_ ყური მიგდეთ, ძმებო, _ დაუძახა მერქსმა, _ თქვენ ლოკერი ამოიყვანეთ ხევიდან, მე კი წავალ და მოვიშველიებ ვისმე.

ყურადღება არ მიაქცია ამხანაგების ლანძღვა-გინებას და დაცინვას. მოახტა ცხენს და გაქუსლა.

_ ხედავ მაგ ღორს! ჩვენ დაგვტოვა, თვითონ კი თავს უშველა! _ ჯავრობდა ერთი.

_ უნდა წავიდეთ და ლოკერი ხრამიდან ამოვათრიოთ, _ თქვა ვიღაცამ.

_ ჯანდაბას მაგისი თავი! _ თქვა მეორემ გაჯავრებულმა.

ჯაგებსა და ჩირგვებში გაძვრნენ, როგორც იყო, და ძებნა დაუწყეს. ლოკერის კვნესა ისმოდა და ხმაზე ეძებდნენ დაჭრილს.

_ რა ძალიან გმინავ? მძიმედ ხარ დაჭრილი? _ ჰკითხა ერთმა.

_ დამეხმარეთ, ფეხზე ავდგე. აი, დასწყევლოს ღმერთმა! იმ წუწკს ისე მარჯვედ რომ არ ეკრა ხელი, ერთს მაინც დავითრევდი თანა. ვნახავდით, მაშინ რას იტყოდნენ ის ვაჟბატონები!

ძლივძლივობით წამოაყენეს ლოკერი, დაჭრილი მწარედ კვნესოდა. როგორც იყო, ცხენთანაც მიიყვანეს.

_ ცხვირსახოცი ხომ არავის გაქვთ, რომ ჭრილობა შემიხვიოთ? _ ჰკითხა იმან ამხანაგებს. _ იმ დუქნამდის როგორმე მიმიყვანეთ, სადაც წუხელ ვიყავით.

ჯორჯი მაღლიდან უყურებდა, როგორ ცდილობდნენ ამხანაგები ლოკერის ცხენზე შესმას. მაგრამ ამაოდ. საქმე იმით გათავდა, რომ დაჭრილი ხელიდან გაუშვეს და მიწაზე ზღართანი მოიღო.

_ ნეტა არ მოკვდეს მაინც! _ თქვა ელიზამ, როცა ეს სურათი დაინახა.

_ კიდეც რომ მოკვდეს, ახია მაგაზე! _ თქვა ფინეასმა.

_ სიკვდილის შემდეგ დადგება ჟამი გასამართლებისა! _ წარმოთქვა ელიზამ.

_შეხეთ, _ დაიძახა ფინეასმა, _ მგონია, დაჭრილს დატოვებას უპირებენ და თვითონ მიდიან.

მართლაც, ასე მოხდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ ყველანი ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ. როცა მდევარნი თვალს მოეფარნენ, ფინეასმა შეაგროვა თავისიანები.

_ ახლა ჩვენც ჩავიდეთ ქვემოთ, მეგობრებო, და თვითონ წავიდეთ მიხეილის შესახვედრად. ღმერთმა ქნას, ჩქარა შევხვდეთ და გზაში არ ავცდეთ. იმედი მაქვს, იმას სხვებიც წამოჰყვებოდნენ ჩვენს მოსაშველებლად. ჯერ ადრეა, გზაში ბევრი მგზავრი არ შემოგვეყრება. ჩვენ ბინამდის აქედან ორი მილის მე-

ტი მანძილი არ იქნება. ცუდი სავალი რომ არ ყოფილიყო, მდევარი სულაც ვერ მოგვეწეოდა.

ღობესთან მივიდნენ და დაინახეს, რომ მათი ეტლი მოდიოდა და თან რამდენიმე ცხენოსანი მოსდევდა.

_ აგერ მოდიან! _ სიხარულით დაიყვირა ფინეასმა, _ აგერ მიხეილი! იმასთან, ვგონებ, სტეფანე ამარიც არის, ახლა კი ჩვენ საფრთხე აღარ გვემუქრება!

_ მაშ, შეიძლება როგორმე ვუშველოთ საბრალო დაჭრილს! _ თქვა ელიზამ, _ დახეთ, როგორ გმინავს!

_ მოდი, თან წავიყვანოთ, _ თქვა ჯორჯმა.

_ კვაკერებს მივაბაროთ მოსავლელად, _ დაუმატა ფინეასმა, _ აბა, მივალ და დავათვალიერებ, როგორ არის დაჭრილი.

ფინეასს ხშირად მოუვლია დაჭრილი ამხანაგებისათვის ნადირობის დროს და ამიტომ იცოდა, როგორი მოვლა იყო საჭირო.

დაიჩოქა მუხლის თავებზე და ჭრილობა გაუსინჯა.

_ მერქს, შენა ხარ? _ ჰკითხა სუსტი ხმით ლოკერმა.

_ არა, ვგონებ, ის არ უნდა ვიყო, მეგობარო, _ უპასუხა ფინეასმა, _ მერქსს სრულიადაც არ ენაღვლება შენი ჭრილობა: იმას თავისი ტყავის დარდი აქვს და, დიდი ხანია, თავს უშველა.

_ ეტყობა, მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე, _ თქვა ლოკერმა, _ აი, ის შეჩვენებული, ისა, მომაკვდავს თავი დამანება! ჩემი საბრალო მოხუცებული დედა ყოველთვის მაფრთხილებდა, სადმე ამოგძვრება სულიო, და აკი ამიხდა!

_ საბრალო! _ წამოიძახა ჯიმის დედამ ხმამაღლა, _ დედაცა ჰყოლია! რა მეცოდება!

_ წყნარად იყავი, წყნარად, მეგობარო, ნუ ჯავრობ! _ უთხრა ფინეასმა ლოკერს, რომელმაც ხელი ჰკრა ფინეასს და არ აძლევდა ნებას, ჭრილობა გაესინჯა. _ თუ არ დამაცლი, რომ სისხლისდენა შეგიწყვიტო, შენი გადარჩენა ძნელი იქნება.

_ შენ გადმომაგდე კლდიდან? _ ჰკითხა ბოლოს ლოკერმა.

_ მე რომ არ გადმომეგდე, მეგობარო, მაშინ შენ გადმომაგდებდი; მაგრამ რაც იყო _ ამას ნუღარ მოვიგონებთ. ჩვენ ამჟამად შენთვის კეთილი გვსურს და აღარ გვინდა გავიხსენოთ ის ბოროტება, რასაც შენ გვიპირებდი. წაგიყვანთ ერთ ჩვენს კეთილ ნაცნობთან და ისე მოგივლის, როგორც ნამდვილი დედა.

ლოკერი ჭრილობამ შეაწუხა, მოჰყვა გმინვას და თვალები დახუჭა. ისეთი ადამიანები, როგორიც იყო ლოკერი, გულადები და გამბედავები არიან, სანამ ჯანმრთელობა შესწევთ. მან კი იმდენი სისხლი დაკარგა, რომ ძლიერ დასუსტდა. საცოდავი შესახედაობა ჰქონდა ახლა ამ გულად ადამიანს.

ამ დროს ეტლიც მოვიდა. დასაჯდომები მოშალეს, რომ დაჭრილი თავისუფლად მოეთავსებინათ. ქვეშ კამეჩის ტყავები გაუშალეს და ოთხმა კაცმა ძლივს ჩააწვინა დაჭრილი ეტლში. ლოკერი ტკივილმა შეაწუხა და გული წაუვიდა. ჯიმის დედამ დაჭრილს თავი თავის კალთაზე დაადებინა. ჯორჯი, ელიზა და ჯიმი პატარა ადგილზე მოთავსდნენ.

_ როგორ გგონიათ, მძიმედ ხომ არ არის დაჭრილი? _ ჰკითხა ჯორჯმა ფინეასს, როცა გზას გაუდგნენ.

_ არა უშავს-რა, ღრმა ჭრილობა არა აქვს; დასუსტებული იმიტომ არის, რომ დაგორების დროს დაიჩეჩქვა; მაგრამ მე მგონია, მორჩება.

_ ძალიან მიხარია, რომ თქვენ ამას ბრძანებთ! სიცოცხლე გამიმწარდებოდა, რომ კაცი მომეკლა.

_ მართალს ამბობ: ძნელია ვისმე მოკვლა. ჩემს თავზე უნდა გითხრა: მისროლია და სასიკვდილოდ დამიჭრია ირემი; ნადირი წაქცეულა და მომაკვდავს მშვიდი, სათნო თვალით დაუწყია ჩემთვის ცქერა. საშინლად მოქმედებდა ჩემზე ასეთი შემთხვევა. იმ დროს თავი ბოროტი ავაზაკი მგონებია.

_ მაინც რა უნდა ვუშველოთ ამ საწყალს? _ ჰკითხა ჯორჯმა.

_ ჩვენ მაგას ამარისას მივიყვანთ. იქ დიდედა დორკასი კარგად მოუვლის. მან მშვენიერი მოვლა იცის და უყვარს კიდევაც ავადმყოფის მოვლა. შეიძლება იქ დარჩეს ორიოდე კვირაც.

იარეს ერთი საათი. შემდეგ ეტლი გაჩერდა სუფთა ფიცრულ სახლთან. მგზავრებს დაახვედრეს კარგი საუზმე. ლოკერი კი ისეთ სუფთა, რბილ ლოგინში ჩააწვინეს, რომ თავის დღეში თვალითაც არ ენახა ასეთი საწოლი. ჭრილობა ფრთხილად მოჰბანეს და შეუხვიეს. დაჭრილი დაღლილი ბავშვივით წყნარად იწვა და ხედავდა, როგორ დასტრიალებდნენ თავს. იმისი გული რაღაც მისთვის უცნობმა გრძნობამ გაათბო.

## მეჩვიდმეტე თავი

### ბიძია თომა და მამიდა ოფელია შეუდგნენ თავიანთ საქმეს

ჩვენი მეგობარი ბიძია თომა ხშირად სენ-კლერის სახლში თავის ცხოვრებას იოსების ეგვიპტეში ცხოვრებას ადარებდა. ბატონის ნდობა მისდამი დღითი დღე მატულობდა.

სენ-კლერი ერთობ დაუდევარი და მფლანგავი ადამიანი იყო. იმისი მოსამსახურე ადოლფიც, როგორც ყველაფერში, დაუდევრობაშიც ბაძავდა ბატონს და ყურს არავის უგდებდა. თომა კი სულ სხვანაირ ცხოვრებას იყო დაჩვეული. ბატონის სარჩოს ყოველთვის ისე უყურებდა, როგორც რაიმე მიბარებულ ნივთს, რომლის ანგარიშიც ყოველთვის შეეძლოთ მოეთხოვათ. სამწუხაროდ, დიდ უწესობას ატყობდა სენ-კლერს ოჯახის მართვა-გამგეობაში. იმის გამოცდილ თვალს არაფერი გამოეპარებოდა და ხანდახან, მარჯვე შემთხვევაში თავისებური სიმშვიდით მისცემდა ხოლმე რჩევას ბატონს.

პირველ ხანებში სენ-კლერი ხშირად არ ასაქმებდა თომას, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ თომა მეურნეობის მცოდნე და, ამასთან, აზრიანი კაცია. ამის შემდეგ ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო მეურნეობისათვის, იმას ავალებდა ხოლმე.

ადოლფს ეს არ მოეწონა და თომას დაჩრდილვა მოინდომა.

_ არა, ადოლფ, მაგას თავი დაანებე, _ გააჩერა იგი სენ-კლერმა, როცა შენიშნა თომას წინააღმდეგ მისი გამოლაშქრება, _ თომამ ყველაფრის ყადრი იცის. მე და შენ კი მფლანგველები ვართ. ჩვენ თუ ერთგული მზრუნველი არ გვეყოლება, ძალიან ჩქარა გავფლანგავთ მთელ საცხოვრებელს.

სხვა კაცი თომას ადგილას გაირყვნებოდა და გათამამდებოდა, რაკი ბატონმა განუსაზღვრელი ნდობა გამოუცხადა, მაგრამ თომა ისეთი სპეტაკი, წმინდა, ისეთი მტკიცე რწმენის ადამიანი იყო, რომ ვერავითარი გარემოება ვერ შეარყევდა იმის ხასიათს.

ამასთან, მეტისმეტად შეუყვარდა სენ-კლერი. ზანგი აღტაცებული იყო ბატონის ჭკუითა და სილამაზით და ისე ზრუნავდა ახალგაზრდა ბატონზე, როგორც თავის ღვიძლ შვილზე. თომამ შენიშნა, რომ სენ-კლერი კვირაობით თეატრში, კლუბებსა და მეგობრებში ატარებდა დროს და სასმელს არ ერიდებოდა. თომამ დაასკვნა, რომ მისი ბატონი ქრისტიანი არ უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, ეს აზრი არავისთვის არ გაუზიარებია, მაგრამ თავისთავად მხურვალედ ავედრებდა ღმერთს თავის ბატონს.

ხანდახან შემთხვევა ეძლეოდა, თავისი აზრი გამოეთქვა; მაგალითად, ერთხელ სენ-კლერი რომელიღაც მეგობრის სახლიდან ნაქეიფარი დაბრუნდა; მოსამსახურეებმა ხელით ამოიყვანეს კიბეზე, რადგანაც თვითონ სიარულის თავი აღარ ჰქონდა. თომას თითქმის მთელი ღამე არ სძინებია დარდისაგან.

მეორე დილით სენ-კლერი თავის სამუშაო ოთახში იჯდა საშინაო ხალათით. თომა იდგა კარებში. ის იყო, ბატონმა რაღაცა საყიდლები დაავალა და ფულიც მისცა, მაგრამ თომა კარებს არა სცილდებოდა.

_ კიდევ გაქვს საქმე ჩემთან, ხომ არაფერი მომხდარა? _ ჰკითხა სენ-კლერმა, როცა შეატყო, რომ თომას რაღაცის თქმა უნდოდა.

_ მოხდა, ბატონო! _ თქვა თომამ ნაღვლიანი სახით.

სენ-კლერმა გაზეთი გადადო, ფინჯანი მაგიდაზე დადგა და თომას შეხედა.

_ რა ამბავია, რად ჩამოგტირის სახე?

_ გული შემომკვნესის, ბატონო! მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ბატონს ყველასათვის კეთილი სურს.

_ მერე, რა მოხდა, თომა? განა მე დავუშავე ვისმე რამე? მითხარი, რამე გინდა ჩემგან?

_ არა, ბატონო, არაფერი არ მინდა: თქვენ ყოველთვის იყავით ჩემდამი მოწყალე. მაგრამ არის სხვა კაცი, რომელსაც თქვენ ცუდად ეპყრობით.

_ არ მესმის, ვისზე ლაპარაკობ, თომა! ნათლად გამოთქვი შენი აზრი!

_ მთელი ღამე ვფიქრობდი ბატონზე. იგი თავის თავს ექცევა ცუდად.

სენ-კლერი წამოწითლდა, მაგრამ გაიცინა.

_ ჩემო კეთილო ბატონო! _ დაიწყო თომამ და უცებ დაიჩოქა ბატონის წინ: _ ასეთი საქციელი ავნებს სულსაც და ხორცსაც.

თომას ტირილი მოერია და ლაპარაკი გაუძნელდა: თვალებიდან ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები.

_ კეთილო ბებერო! _ უთხრა სენ-კლერმა და თვითონაც ვეღარ შეიკავა ცრემლები. _ ადექი, თომა, მე იმად არ ვღირვარ, რომ ჩემთვის ცრემლები დაღვაროს ვინმემ.

მაგრამ თომა არა დგებოდა ფეხზე და თვალებით ევედრებოდა ბატონს.

_ კარგი, კარგი, _ უთხრა სენ-კლერმა. _ პირობას გაძლევ, ასეთ მდგომარეობაში არასოდეს აღარ მნახავ. მე თვითონაც მეჯავრება ლოთობა და მძაგს ჩემი თავი, როცა მთვრალი ვარ. გჯეროდეს ჩემი სიტყვა, თომა! კარგი, წამოდექ, გეყოფა მუხლის თავებზე დგომა, ჩემო კარგო მოხუცო!

თომა გახარებული გამოვიდა ოთახიდან. სენ-კლერი კი კიდევ კარგა ხანს ფიქრობდა ამაზე და ჰპირდებოდა თომას, რომ შემდეგისათვის აღარ მოუვიდოდა ასეთი შეცდომა.

მართლა აასრულა თავისი სიტყვა.

სენ-კლერს არ იზიდავდა ლოთობა და ტლანქი ვნების დაკმაყოფილება; ხანდახან თუ მაინც დათვრებოდა, ეს დაუდევრობისა და აგრეთვე იმ წრის ბრალი იყო, რომელშიც იგი ტრიალებდა.

*       *       *

ახლა ვნახოთ, როგორ ასრულებს ოფელია თავის ახალ მოვალეობას მონამოახლეებით სავსე სახლში.

პირველ დღეს ის დილიდანვე ადგა და თავისი ოთახი დაალაგა. მოსამსახურე გოგო განცვიფრებული იყო, რომ ქალბატონი ასე მშვენივრად ალაგებდა ოთახს.

მაგრამ მოსამსახურეების გაკვირვება და უკმაყოფილება ამით არ გათავდა.

მეოჯახეობას შეჩვეულმა ოფელიამ იმით დაიწყო, რომ გადაარჩია ყველა ნივთი განჯინებსა და კომოდებში, ყველაფერი აღნუსხა და თავის გემოვნებაზე დაალაგა. როცა რიგი სამზარეულოზე მიდგა, მზარეული ქალი დინა ააღელვა ოფელიას მოქმედებამ. დიდი ხნის მოახლე იყო, მსახურობდა სენ-კლერის ცოლის დედ-მამის ხელშიც და განუსაზღვრელი თავისუფლებით სარგებლობდა. თუმცა იმის სამზარეულოში მუდამ არეულობა და უწესრიგობა იყო, დინა მაინც ახერხებდა გემრიელი საჭმელების გაკეთებას, ისე რომ ბატონები ყოველთვის კმაყოფილნი იყვნენ. დინას იშვიათად რამე გაუფუჭდებოდა და ასეთ შემთხვევაშიც გაფუჭებულ საქმეს რომელსამე თავის ხელქვეითს გადააბრალებდა. ხელქვეითები კი აუარებელი ჰყავდა.

ოფელია რომ სამზარეულოში შევიდა, დინა არხეინად მოკეცილი ბრძანდებოდა იატაკზე და თამბაქოს აბოლებდა. მას საოცრად უყვარდა თამბაქო. გარშემო ბავშვები ესხდნენ და ფუსფუსებდნენ. ფცქვნიდნენ კარტოფილს, ცერცვს, პუტავდნენ ქათმებს და სხვა ამისთანას. დინა ხან ერთს და ხან მეორეს ჩაუბარტყუნებდა თავში, როცა რამე საქმეს იმის გემოზე არ გააკეთებდნენ. მკაცრად ექცეოდა თავის ქვეშევრდომებს. დინა ასე ფიქრობდა: ყველა ეს წვრილფეხობა იმიტომაა ქვეყანაზე გაჩენილი, რომ მე მუშაობა შემიმსუბუქონო. როგორც ბატონები ექცეოდნენ მონებს, ისე ექცეოდა ის თავის თანაშემწეებს.

დინას უკვე შეეტყო მოსამსახურეებისაგან, როგორი წესრიგი დაამყარა ოფელიამ ყველგან, საკუჭნაოსა და განჯინებში, და მტკიცედ გადაწყვიტა, წინააღმდეგობა გაეწია, თუ სამზარეულოს საქმეებშიც ჩაერეოდა.

დინა ფეხზე არ წამოუდგა ოფელიას: იჯდა და თამბაქოს წევას განაგრძობდა.

ოფელიამ დაათვალიერა ყველა ყუთი და უჯრა. დინა ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა.

_ რას ინახავთ ამ უჯრაში? _ ჰკითხა ოფელიამ და მაგიდის უჯრა გამოსწია.

_ მანდ სხვადასხვა ნივთი აწყვია, _ უპასუხა დინამ.

ოფელიამ უჯრაში ჭუჭყიანი ძვირფასი ხელსაწმენდი იპოვა.

_ განა ძვირფას ხელსაწმენდს ჭურჭლის საწმენდ ტილოდ ხმარობთ?

_ არა, უჯრაში ჩავდე, გასარეცხად უნდა მიმეცა.

_ რა უწესრიგობაა ამ სამზარეულოში! _ ამბობდა ოფელია და თან განაგრძობდა უჯრის თვალიერებას.

ამ უჯრაში რას არ იპოვიდა კაცი: კაკლის სამტვრევ გაზს, ჭუჭყიან ცხვირსახოცებს, ძვირფას ფაიფურის თეფშებს, შალის ნაჭრებში შეხვეულ ხახვს და ბევრ სხვა ამისთანას _ ერთი სიტყვით, ჩამოთვლა შეუძლებელია.

_ განა არ შეიძლება, ჭუჭყიანი თეთრეული ცალკე გქონდეთ შენახული? _ დაიყვირა ამ სანახაობით თავზარდაცემულმა ოფელიამ.

_ აგერ დიდი ყუთი დგას სარეცხისათვის, _ უპასუხა დინამ. _ ბატონმა სენკლერმა განგებ დაადგმევინა აქ ეს ყუთი, მაგრამ მაგ ყუთზე ხანდახან ცომს ვაბრტყელებ ხოლმე, ამას გარდა, ყუთის თავის ახდა მიძნელდება _ ერთობ მძიმეა.

_ ცომის გასაბრტყელებლად ცალკე ფიცარი რატომ არა გაქვთ? აი მაგიდა; ამაზე შეგიძლია ცომის გაბრტყელება.

_ რას ბრძანებთ, ქალბატონო! მაგიდებზე ყოველთვის ჭუჭყიანი ჭურჭელი აწყვია.

_ რატომ თავის დროზე არ რეცხავთ ხოლმე ჭურჭელს?

_ არ შეიძლება დილით ჭურჭლის გარეცხვა! _ გაჯავრდა დინა. _ ბატონებს რა ესმით მუშაობისა; სადილს როდისღა მოვასწრებ, დილით რომ ჭურჭელი ვრეცხო. ქალბატონმა მე საერთოდ ამიკრძალა ჭურჭლის რეცხვა.

_ ეს რაღა არის? _ თქვა ოფელიამ და უჯრიდან ამოიღო პატარა მჩვარში შეხვეული ხახვი და ქაღალდის დახეული პარკები, საიდანაც ბრინჯი, ფქვილი და სანელებელი დაიბნა.

_ ღმერთო ჩემო! _ წამოიძახა დინამ, _ თქვენ ყველაფერს დამიბნევთ!

_ ამ წუთში ყველაფერს მე თვითონ დავალაგებ, _ თქვა ოფელიამ მტკიცე ხმით, _ იმედია, შემდეგ თქვენც დაიცავთ წესრიგს.

მართლაც, ოფელიამ დაიმკლავა, კაბის კალთა აიკეცა და მარჯვედ დატრიალდა, გარეცხა, დაასუფთავა და ყველაფერი თავის ადგილას დააწყო.

დინა გაკვირვებული შეჰყურებდა, მას თავის დღეში არ ენახა, რომ ქალბატონს სადმე ასე ემუშაოს.

«თუ ამის ქვეყანაში ყველანი ასეთები არიან, რაღა ბატონები ყოფილან? «_ გაიფიქრა დინამ ჩრდილოეთ შტატების მებატონეებზე.

ოფელიამ რამდენიმე დღეში სულ მთლად შეცვალა სახლში წესრიგი, მაგრამ ყველაფრის გაკეთება თვითონ დასჭირდა: სადაც მოსამსახურეების ხელი იყო საჭირო, იქ მისი მეცადინეობა ამაო რჩებოდა. მოთმინებადაკარგულმა ერთხელ შესჩივლა ბიძაშვილს თავისი გაჭირვება. სენ-კლერმა ამაზე შემდეგი უპასუხა:

_ ძვირფასო დაო, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნდე, რომ ჩვენ, მემამულენი, მონების პატრონნი, ორი ჯურისანი ვართ: ზოგი სცემს და სჯის მონებს, _ ამით სურს მონებს წესიერი მუშაობა ასწავლოს და მეურნეობა წინ წასწიოს, ზოგნი კი ყველაფერს ურიგდებიან, ოღონდ ამ საწყლებს თავისუფალი ცხოვრების საშუალება მისცენ. მე მეორე ჯგუფს ვეკუთვნი და სურვილი არა მაქვს, პირველ ჯგუფში გადავიდე.

_ გამიგონე, ძმაო! შენ ერთი რამ გავიწყდება: მონებს შეუძლიათ შენი სახლი გაქურდონ, გაალაგონ. ამით შენ იმათ ცუდ გზაზე აყენებ, ქურდობას აჩვევ.

_ ეჰ, ოფელია, შენ ბევრს თხოულობ მათგან. გსურს, მონები პატიოსნები და ერთგულები იყვნენ, მაგრამ, აბა, რისთვის უნდა იყვნენ ისინი პატიოსნები?

_ რას ამბობ! განა ყველა ადამიანისათვის ერთნაირად არ არის საჭირო პატიოსნება? რატომ არ ჩააგონებ მონებს ამას?

_ რა უნდა ვასწავლო? რომელი მასწავლებელი მე ვარ. აი, მარის რომ ვუთხრა, ეგ სხვა საქმეა: ის იკისრებდა მონების გაწვრთნას, მაგრამ წვრთნის დროს ყველა შემოელახებოდა და ვერც ვერაფერ სიკეთეს ასწავლიდა.

_ დავიჯერო, შავკანიანის აღზრდა შეუძლებელია? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ რატომ, შესაძლებელია, მაგრამ ჩვენთვის კი არა, რადგანაც თვითონ არაფრად ვვარგივართ. ადამიანები დაგვიმონებია იმიტომ, რომ ჩვენთვის ეს საჭიროა. რომ გავათავისუფლოთ, მუშახელი მოგვესპობა. უმუშებოდ კი ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია: მთელი ჩვენი ქონება მუშებისაგან წარმოდგება. შავკანიანი მონა დედის ძუძუსთან ერთად ეჩვევა ტყუილებსა და ცბიერებას, იმან მწარე გამოცდილებით იცის, რომ თუ არ იცრუა, არ იცუღლუტა და არაფერი მოიპარა, ისე ვერ იცხოვრებს. საკვირველიც იქნებოდა, იმათ მეტი რომ მოვთხოვო. უსამართლობა იქნება, მონები რომ ხსენებული საქციელისათვის დავსაჯოთ. აბა, დაო, წადი და ყური დაუგდე, რას ქადაგებენ ჩვენი მოძღვრები. ისინი ამბობენ, რომ შავკანიანები თეთრკანიან ადამიანებზე დაბლა დგანან: ზანგები ღმერთს იმიტომ გაუჩენია, რომ პირუტყვივით თავწაღუნული გვემსახურებოდნენ ევროპელებსაო. ჩვენ, თეთრკანიანებს, უფლება გვაქვს, ვტანჯოთ შავკანიანები ჩვენი სურვილისამებრო. თითო-ოროლა ჩვენგანი გრძნობს, რომ ეს ტყუილია, მაგრამ ცხოვრებაში მაინც არავითარი ცვლილება არ შეგვაქვს. რად ხდება მერე ეს? იმიტომ, რომ ახლანდელი მდგომარეობა ჩვენთვის სასარგებლოა.

_ საზარელია სწორედ ეგ, რასაც შენ ამბობ! _ შეჰყვირა ოფელიამ. _ რატომ ჩვენში, ჩრდილო შტატებში, ვერაფერ მაგისთანას ვერ ნახავს კაცი?!

_ მაგაში გამოიხატება თქვენი უპირატესობა, დაო! მაგრამ ჯობს, თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს. დროა, სასადილოდ წავიდეთ, _ უკვე ზარი დაირეკა.

*     *     *

იმ საღამოს ოფელია ისევ სამზარეულოს ალაგებდა, როცა იქ ერთი მაღალი, გამხდარი დედაკაცი შემოვიდა. თავზე თეთრი პურით სავსე კალათა ედგა.

_ ოჰ, გამარჯობა, პრუ! _ მიესალმა დინა დედაკაცს.

დედაკაცს სიბრაზისაგან სახე ალეწილი ჰქონდა და გაჯავრებული ხმით ლაპარაკობდა. პურის კალათა იატაკზე დადგა, თვითონაც იქვე მოიკეცა და ლაპარაკი დაიწყო.

_ ო, ნეტა როდის იქნება, ერთი მოვკვდე და მოვისვენო!

_ რად ნატრობ სიკვდილს? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ ბოლო მოეღებოდა ჩემს ტანჯულ ცხოვრებას, _ უპასუხა დედაკაცმა მკვახედ, თავაუღებლივ.

_ რად ლოთობ, პრუ? _ ჰკითხა კოხტად ჩაცმულმა მარჯნისსაყურეებიანმა გოგომ.

დედაკაცმა შუბლშეკრულმა  შეხედა კითხვის მიმცემს.

_ იქნება, დრო მოვიდეს და გამწარებულმა შენც დაიწყო ლოთობა!

_ აბა, როგორი პური მოიტანე? _ გამოელაპარაკა დინა, _ აი, ქალბატონი აქა ბრძანდება და ფულს ახლავე მოგცემს.

ოფელიამ პური აარჩია და, ის იყო, ფულის  მიცემა უნდოდა, მაგრამ დინას გაახსენდა, რომ ბილეთები ჯერ კიდევ ჰქონდა. უბრძანა და პატარა ბიჭმა თაროდან ჩამოიღო ფინჯანი, რომელშიც ბილეთები ელაგა.

_ ეგ ბილეთები რაღა არის? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ მეპურისაგან ვყიდულობთ ბილეთებს და შემდეგ პრუს ამ ბილეთებით ვუსწორდებით. როცა მაღაზიაში დაბრუნდება, ამ ბილეთებით ჩააბარებს ანგარიშს. თუ პრუმ ხელში ფული ჩაიგდო, მაშინვე არაყში დახარჯავს.

_ რაწამს შინ დავბრუნდები, ჩემი ბატონი მიანგარიშებს და, თუ დააკლდა რამე, უწყალოდ მცემს.

_ ახია შენზე! _ შენიშნა საყურეებიანმა გოგომ, _ რად სვამ არაყს სხვისი ფულით?

_ არ შემიძლია არ მოვიპარო და არაყი არ დავლიო. მხოლოდ მაშინ ვივიწყებ დარდებს.

_ მერე და, ხომ იცი ცოდვაა სხვისი ფულის ხარჯვა და არყით ლოთობა? _ უთხრა ოფელიამ.

_ ვიცი, _ უპასუხა პრუმ, _ მაგრამ მე ქურდობასა და ლოთობას ვერ დავიშლი. ოჰ, როგორ მწყურია სიკვდილი! _ მოხუცი დედაკაცი წამოდგა და ძლივს შეიდგა თავზე კალათა. წასვლის დროს ერთი კიდევ მიუბრუნდა საყურეებიან გოგოს და უთხრა:

_ შენა გგონია, რომ ლამაზი ხარ? მოპრანჭულხარ და მედიდურად შემომყურებ საწყალ მოხუცებულ დედაკაცს. არაყი შენც გაგიგემრიელდება და ჩემსავით გალოთდები.

_ უჰ, აი, ნამდვილი პირუტყვი! _ წამოიძახა ადოლფმა, რომელიც ამ დროს სამზარეულოში თბილი წყლისათვის შემოვიდა. _ მე რომ მაგ კუდიანის ბატონი ვიყო, ცემით სულს ამოვართმევდი.

_ იმაზე მეტი ცემა აღარ შეიძლება, როგორც მაგას სცემენ, _შენიშნა დინამ. _ ზურგზე ტყავი აქვს გადამძვრალი ცემისაგან. მიკვირს, როგორ იცვამს ტანისამოსს დაწყლულებულ ტანზე.

ადოლფი დინას ყურს არ უგდებდა, მან ყურადღება მიაქცია კოპწია კვარტერონ გოგოს.

_ ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ: საღამოზე გაიკეთებთ მაგ საუცხოო მარჯნის საყურეებს თუ არა? _ ჰკითხა ადოლფმა პრანჭვა-გრეხით.

_ საკვირველი თავხედები არიან ახლანდელი ყმაწვილკაცები, _ თქვა ჯენმა ადოლფის საპასუხოდ, თან კოპწია თავი გაიქნია და საყურეები ააჟღარუნა. _ თუ მაგისთანა კითხვებით თავს მომაბეზრებთ, ხვალ თქვენთან აღარ ვიცეკვებ.

_ ოჰ, დარწმუნებული ვარ, ასე სასტიკად არ დამსჯით! _ წარმოთქვა ადოლფმა კოხტაობით.

_ რა ამბავი გაქვთ აქა? _ იკითხა მეორე კვარტერონმა ქალმა, როზამ, რომელმაც ამ დროს კიბიდან ჩამოირბინა სამზარეულოში.

_ აი ეს ვაჟბატონი თავს იგდებს და უზრდელად მელაპარაკება, _ შესჩივლა ჯენმა.

_გარწმუნებთ, ტყუილად მდებენ ბრალს, _ იმართლებს თავს ადოლფი.

_ გეყოფათ აქ ლაზღანდარობა! _დაუყვირა დინამ, _ თავი მომაბეზრეთ, გადით სამზარეულოდან!

_ ძალუა დინა იმაზე ბრაზობს, რომ ხვალ საცეკვაო საღამოზე ვერ მოდის, _ თქვა როზამ.

_ ძალიან საჭიროა თქვენი საცეკვაო საღამოები, _ მკვახედ მიუგო დინამ. _ თქვენ ყველაფრში თეთრკანიანებს ჰბაძავთ, მაგრამ კოჭი მოგიცვდებათ: ისეთივე შავკანიანები დარჩებით, როგორც მე.

_ ასე ლაპარაკობ და თმებს კი ერბოთი ითხუპნი, რომ სწორად დადგეს და არ დაკულულდეს იმიტომ, რომ თეთრკანიანებს სწორი თმა აქვთ, _ გაეპასუხა ჯენიც.

_ რაც გინდა ერბოთი ითხუპნო, მაინც მატყლი მატყლად დარჩება, _ თქვა როზამ დაცინვით და კმაყოფილებით გაიქნია თავისი აბრეშუმივით წმინდა დალალები.

ეს ლაპარაკი მოსპო სენ-კლერის ხმამ. ის თბილ წყალს თხოულობდა წვერის მოსაპარსად. ადოლფი იქით გაიქცა. გოგონებს ოფელიამ საქმე გაუჩინა და გაგზავნა.

სხვათა შორის, პრუს მოსვლის დროს სამზარეულოში იყო თომაც. როცა პრუ წავიდა, თომა უკან გაჰყვა და გზაში დაეწია. თომა ხედავდა, როგორ უჭირდა მოხუცებულ დედაკაცს კალათის ტარება.

_ მომეცით, მე წამოგიღებთ კალათას, _ უთხრა თომამ თანაგრძნობით.

_ მე არავის შველა არ მინდა.

_ თქვენ, როგორც გეტყობათ, ავად ბრძანდებით, ამასთან გაჯავრებულიც, რა დაგემართათ?

_ ავად არა ვარ, _ მკვახედ უპასუხა დედაკაცმა.

_ ეჰ, როგორ მოვიქცე, რომ არაყს თავი დაანებოთ, _ განაგრძო თომამ ლაპარაკი მღელვარებით; _ თქვენ ლოთობთ და ხორცთან ერთად სულსაც ღუპავთ.

_ უთქვენოდაც ვიცი, რომ პირდაპირ ჯოჯოხეთისაკენ მივდივარ, _ უპასუხა წარბშეკრულმა ქალმა, _ ტყუილად მაგონებთ ამგვარ სიტყვებს. კარგად მესმის, რომ ცუდად ვიქცევი.

_ სად ცხოვრობდით წინათ?

_ კენტუკში, ბატონმა ერთი შვილიც კი არ შემარჩინა, რამდენიც წამომეზარდა, იმდენი გამიყიდა. ბოლოს მეც მიმყიდა ერთ ვაჭარს, მან კიდევ, აი, იმ მეპურეს მიმყიდა.

_ რად დაიწყეთ ლოთობა?

_ დარდის გასაქარვებლად. აქ მომეცა უკანასკნელი შვილი. მშვენიერი ბავშვი იყო. იმედი მქონდა, იმას მაინც გამოვზრდიდი, ჩუმი, ჯანსაღი, მაგარი ბავშვი იყო; მაგრამ აქაც უბედურება მეწია. ქალბატონი გაგვიხდა ავად. მე ვუვლიდი. ამასობაში მეც ავად გავხდი; ციება დამაწყებინა; ძუძუ გამიშრა. ამან ბავშვზე იმოქმედა და ხორცი ჩამოყარა. ქალბატონს მოვახსენე, მაგრამ არ დამიჯერა, ეგ არაფერიაო, მითხრა, შეიძლება, ბავშვი უძუძოდაც გამოზარდოო. რას ვიზამდი! ბავშვი ტიროდა და ანჩხლობდა. ბოლოს სანთელივით ჩამოდნა. იძულებული ვიყავი, ღამე ქალბატონთან გამეტარებინა, თან ბავშვის ყოლის ნება კი არა მქონდა, რადგანაც ქალბატონს ბავშვის ტირილი აწუხებდა. სახლის სხვენში პატარა ოთახი აქვთ; იქა ვტოვებდი ხოლმე და ბოლოს ამ ჩხავილში ამოხდა სული. დილით მკვდარი დამხვდა ოთახში. მას შემდეგ არყის სმას მივყავ ხელი; როცა გონებაზე ვარ, ყოველთვის ბავშვის ტირილის ხმა მესმის ყურებში და გულს მწიწკნის. სიმთვრალის დროს ეს ხმა აღარ მესმის ხოლმე და გული ისვენებს…… ვერც დავიშლი ლოთობას.

თომა დაფიქრებული დაბრუნდა. სასახლის ეზოში ევა დახვდა. ბავშვს თავი ყვავილების გვირგვინით ჰქონდა მორთული.

_ ბიძია თომა, სად ხართ ამდენ ხანს? _ უთხრა ბავშვმა და სახელო დაუჭირა. _ მამამ ნება მომცა, ჩემს ახალ ეტლში პატარა ცხენები შევაბმევინო და სასეირნოდ წავიდე. მხოლოდ თომა კი გაიყოლე მეეტლედაო, _ ასე მითხრა მამამ. _ რა დაგმართია? რადა ხარ აგრე მოწყენილი?

_ თუმცა ცუდ გუნებაზე ვარ, ჩემო პატარა ქალბატონო, მაგრამ არა უშავს რა, ახლავე შევაბამ ცხენებს.

_ არა, არა, ჯერ მითხარი, რა მოხდა? რამ დაგაყენა ცუდ გუნებაზე? მე დაგინახე, რომ იმ ბრაზიან ბებერ დედაკაცს ელაპარაკებოდი.

თომამ მოკლედ უამბო ევას საბრალო დედაკაცის თავგადასავალი. ბავშვი არ მოჰყვა ტირილს, როგორც იციან ხოლმე საზოგადოდ ბავშვებმა ასეთ შემთხვევაში. ევამ კრინტიც არ დაძრა, მხოლოდ ლოყები გაუფითრდა და თვალები გაუფართოვდა; გულხელი დაიკრიფა და ნაღვლიანად ამოიოხრა.

_ ნუ შეაბამ, ბიძია თომა, ეტლს! მე აღარ წავალ სასეირნოდ.

_ რატომ, ჩემო პატარა ქალბატონო?

_ იმიტომ, რომ აღარ მსურს სეირნობა, რაც გავიგონე, გულში მძიმედ მომხვდა: ვერ მოვიშორებ თავიდან და ამიტომ აღარ წავალ.

რამდენიმე დღის შემდეგ პრუს მაგივრად სხვა დედაკაცმა მოიტანა თეთრი პური. ოფელია ახლაც სამზარეულოში იყო.

_ პრუს რა დაემართა? რატომ ის არ მოვიდა დღეს? _ ჰკითხა დინამ დედაკაცს.

_ პრუ ამის შემდეგ აღარ ივლის, _ უპასუხა დედაკაცმა ისეთი იდუმალი კილოთი, რომ დინამ უნებლიეთ განაგრძო შეკითხვა: _ რატომ არა, ხომ არ მომკვდარა?

_ არ ვიცი...... ის სარდაფშია......_ დედაკაცმა უნდო თვალით გადახედა ოფელიას. მან პური აიღო და სამზარეულოდან გავიდა. ახლა დინა ჩააცივდა დედაკაცს.

_ მითხარ! ნუ მაწვალებ, რა დაემართა პრუს?

დედაკაცს თან უნდოდა ეთქვა ახალი ამბავი, თანაც ეშინოდა. ბოლოს ხმადაბლა ალაპარაკდა:

_ გეთაყვა, კი არავის უთხრა, თორემ შავ დღეს დამაყრიან. პრუ კიდევ დათვრა. სარდაფში დაამწყვდიეს და მთელი დღე იქა ჰყავდათ გამოკეტილი. ახლა ამბობენ, ვითომ იქ ბუზებმა თვალები ამოჭამეს და მოკვდაო. მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ცოცხალი ადამიანი ბუზებმა მოკლეს.

დინამ მუხლებზე დაიკრა ხელი, უკან მოიხედა და თვალი მოჰკრა ევას. ამ საზარელი ამბის გაგონებაზე ევას თვალები გაფართოებოდა და სახე გაფითრებოდა.

_ უჰ, ღმერთო ჩემო! _ შეჰყვირა დინამ. _ ბატონის ქალს გული მისდის! განა შეიძლება ამისთანა საშინელ ამბავს ყური დაუგდოს! ბატონმა რომ გაიგოს, პირდაპირ გაგიჟდება!

_ მე გული არ მიმდის, _ თქვა ევამ მტკიცე ხმით, _ რატომ არ უნდა გავიგონო მაგისთანა ამბები? საბრალო პრუსათვის უფრო ძნელი არ იყო ტანჯვის ატანა, ვიდრე ჩემთვის მხოლოდ გაგონება იმისა, რაც მან გადაიტანა?

_ რას ბრძანებთ, ბატონის ქალო? _ განაგრძო დინამ: _ ასეთი ამბავი თქვენისთანა ნაზი ქმნილებისათვის ძნელი მოსასმენია.

ევამ პასუხად მხოლოდ ღრმად ამოიოხრა და ნელი ნაბიჯით აუყვა სასახლის კიბეს, ოფელია კი თავის მხრივ, მოუთმენლად ელოდა პრუს ამბავს. დინამ უხალისოდ, მოკლედ უამბო, რაც დედაკაცისაგან შეიტყო; თომამ კი დაუმა-

ტა, რაც იცოდა პრუს შესახებ. ოფელიამ თავის ბიძაშვილს ერთი ამბავი აუტეხა ამის გამო. მან აღშფოთებით შეატყობინა სენ-კლერს, პრუ ცემით მოუკლავთო. სენ-კლერმა კი აუღელვებლივ უპასუხა: ეგ კარგა ხანია მოსალოდნელი იყოო. ოფელია საშინლად აღელდა: დაუწყო ბიძაშვილს ყვედრება და გამტყუნება. სენ-კლერი ჯერ უგულოდ, ხუმრობით უპასუხებდა ოფელიას, მაგრამ ქალის აღელვებამ ბოლოს მოთმინება დააკარგვინა: სახე შეეჭმუხნა, თვალები აენთო და მის ხმას მღელვარება დაეტყო.

_ რასაკვირველია, მონობა თვით ეშმაკის გამოგონილია, ამაზე უარს არავინ იტყვის, ვინც კი საქმის სიღრმეში ჩაიხედავს, _ თქვა სენ-კლერმა.

როცა დაინახა, რომ ოფელია გაკვირვებული შეჰყურებდა, სენ-კლერი კიდევ უფრო აღელდა:

_ შენ გაკვირვებს ჩემი სიტყვები, _ განაგრძო სენ-კლერმა, _ ახლავე მოგახსენებ ჩემს აზრს. რაზეა დამყარებული ეს დაწყევლილი მონობა? იმაზე, რომ ზანგის კანი შავია, ჩემი კი _ თეთრი. ამიტომ მე შემიძლია, იმას ყველაფერი წავართვა. მე იმაზე გაიძვერა ვარ და მოვახერხე მისი დამონება, ყოველივე შავი, ბინძური საქმე იმას დავაკისრე, მე თვითონ ნებიერი და ზარმაცი ვარ: დაე, ზანგმა იმუშაოს ჩემს მაგიერ, მცხუნვარე მზეზე ტრიალი არ მესიამოვნება: ზანგი გახურდეს ჩემს მაგიერ მზეზე. ის ფულებს მოიგებს! _ მე დავხარჯავ. ზანგს ტალახში ვატოპინებ, რომ ფეხი არ დამესვაროს და მშრალზე ვიარო. მთელი სიცოცხლე ჩემი ნებისა და სურვილების მონა უნდა იყოს. სასუფეველზედაც კი იმდენად შეუძლია იზრუნოს, რამდენადაც მე ამის ნებას მივცემ. აი, რა არის მონობა, იგი მთლად ძალადობაზეა დამყარებული!

აღელვებულმა სენ-კლერმა ოთახში სიარული დაიწყო. ოფელიას ის ასეთი არასდროს ენახა და ძალიან გაკვირვებული იყო.

_ ახლა თუ მკითხავ, რაღად გაქვს სახლი მონებით სავსეო, ამაზე გიპასუხებ მოძველებული ფრაზებით: მონობა მე არ შემომიღია, ასე ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები, არამცთუ მარტო მამაჩემი, რომელიც მონობას ამართლებდა, დედაჩემსაც კი, რომელსაც ყოველივე უსამართლობა სძაგდა და თითქმის წმინდა ადამიანი იყო, ჰყავდა მონა-მოახლეები,  იმათ თავისი მონები მე გადმომცეს. მამაჩემი მამაშენსავით ნამდვილი რომაელი იყო ხასიათის სიმტკიცითა და კეთილშობილებით, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ მამაშენი დასახლდა ჩრდილოეთში და მთელი თავისი ძალ-ღონე ბუნებასთან ბრძოლას მოანდომა, მამაჩემი კი ლუიზიანაში დამკვიდრდა და თავისი ჯან-ღონე შეალია ადამიანების დამორჩილებას. დედაჩემი...… აბა, რა გითხრა, ოფელია, იმაზე: განსახიერება იყო სამართლის, სათნოებისა და სიყვარულისა. თავს მევლებოდა. ყოველივე ცუდ გავლენას მაშორებდა, მასწავლიდა ყველაფერ კეთილს. მე და ჩემი ძმა ტყუპები ვართ, ამისდა მიუხედავად, ერთმანეთს სრულებით არა ვგავართ. ის შავთმიანი, შავთვალა, ამაყი და მბრძანებლობის მოყვარულია; მე კი ქერა, მეოცნებე, მიწიერი ცხოვრება არ მაინტერესებს. ჩემი ძმა მეტად უყვარდა მამას, მე კი _ დედას. მამაჩემი და ჩემი ძმა ორივენი არისტოკრატები იყვნენ მიდრეკილებით, გემოვნებითა და შეხედულებით. დედაჩემს კი ებრალებოდა საწ-

ყლები და დავრდომილნი. მე რომ ბავშვობაში დედა არ მომკვდომოდა, შეიძლება მთლად შემეთვისებინა იმის მსოფლმხედველობა და ჩემს სიცოცხლეში რამე კარგი მეკეთებინა.

სენ-კლერი გაჩუმდა და თვალებზე ხელები მიიფარა.

_ მამის სიკვდილის შემდეგ პირველ ხანებში მე და ჩემი ძმა ერთად ვცხოვრობდით მამისეულ მამულში. გვქონდა თვალუწვდენელი ბამბის პლანტაციები, მე კი არ ვვარგოდი ადამიანების გამგებლად. ჩემმა ძმამ მალე შეამჩნია, რომ მე მხოლოდ ხელს ვუცარავდი საქმეში. ჩემს საქციელს ის სულელურ გრძნობიერებას ეძახდა. მაგრამ მართლა გრძნობიერებით კი არ მომდიოდა მონებისადმი თანაგრძნობა, არა, მე თვითონაც ზანტი ვიყავი, პლანტაციებზე მუშაობა მეჯავრებოდა და ჩემ გუნებაში ვამართლებდი მონებს, რომლებიც ზედამხედველების მოტყუებას ცდილობდნენ ყოველთვის. საქმე იმით გათავდა, რომ მე და ჩემი ძმა გავიყარენით: ის დარჩა პლანტაციებზე, მე ახალ ორლეანში გადმოვსახლდი. აქ ჩვენ დიდი, მშვენიერი სასახლე გვქონდა. ძმამ მირჩია, პოეზია გამეხადა საზრუნავ საგნად.

_ რატომ შენ მაინც არ გაათავისუფლე მონები? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ ამისათვის ხასიათის სიმტკიცე არ შემწევდა. მე მონებს ისე არ ვუყურებდი, როგორც სამუშაო ძალას, მე მათი მეოხებით ახალი ქონების შეძენას არა ვფიქრობდი, ნაანდერძევი ქონების ჭამა კი მათთან ერთად შესაძლებლად მიმაჩნდა. ბევრი მათგანი დიდი ხნის ნამსახური იყო, ზოგნიც ძალიან პატარები; ყველა კარგად გრძნობდა თავს ჩემს სახლში.

სენ-კლერი გაჩუმდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

_ წავიდეთ, ჩაი დავლიოთ, დაო, _ თქვა მან უცებ გამოცვლილი კილოთი, _ აგერ ჩაის ზარი დაირეკა.

ჩაის დროს ქალბატონმა სენ-კლერმაც იგივე საკითხი აღძრა.

_ უეჭველია, ჩვენ უდიერ ადამიანებად გვთვლით, ჩემო დაო, _ მიუბრუნდა ის ოფელიას, პრუს საზარელ სიკვდილზე ლაპარაკი რომ გათავდა.

_ არა, მე აგრე არა მგონია, რომ თქვენს შორის კარგი ადამიანი არ იყოს, _ უპასუხა ოფელიამ.

_ გარწმუნებთ, მონათა შორის ზოგიერთი ისეთი გამოუსწორებელი და მოურჯულებელი ავაზაკია, რომ მათთან ადამიანი ვერაფერს გააწყობს.

_ დედა, _ ჩაერია ლაპარაკში ევა, _ პრუ დარდისაგან გალოთებულა.

_ ეგ სისულელეა, შვილო! მეც ხშირად ვარ ხოლმე დარდიანი, მერე რა ვუყოთ? არა, ისინი დაბადებით არიან ბოროტები. ვერავითარი სასჯელი ვერ გაასწორებს იმათ. მახსოვს, მამაჩემს ერთი ზარმაცი მონა ჰყავდა. ყოველთვის თავს არიდებდა მუშაობას. ჭაობში იმალებოდა ხოლმე და ქურდობით ირჩენდა თავს. როცა მოასწრებდნენ, სცემდნენ. მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. საქმე იმით გათავდა, რომ ჭაობში ამოხდა სული. არავინ იყო მის წინაშე დამნაშავე. მონებს კარგად ექცეოდა მამაჩემი.

_ მე ერთხელ ისეთი მონა მოვარჯულე და მოვაქრისტიანე, რომლის აღზრდაზედაც ყველას ხელი ჰქონდა აღებული, _ თქვა სენ-კლერმა.

_ შენა? _ გაიკვირვა მარიმ,_ ამას თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი!

_ ის იყო ერთი უშველებელი, ღონიერი ზანგი, სამხრეთ აფრიკიდან მოყვანილი. მისი სული და გული თავისუფლებას ეტრფოდა. ჩემმა ძმამ დიდი ღონის გამო იყიდა. იმედი ჰქონდა, დასძლევდა მის ჯიუტობას და გამოიყენებდა. სახელად ერქვა სციპიონი. ერთხელაც მან მიგვიტყიპა ზედამხედველი და გაიქცა ჭაობებში დასამალავად. მე იმ დროს ძმასთან ვიყავი სტუმრად. დამაინტერესა ამ კაცმა და ვთხოვე ჩემს ძმას, სციპიონი ჩემთვის დაეთმო, თუ მოვახერხებდი იმის ხელში ჩაგდებას. გამართეს ნადირობა გაქცეულზე; ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ვაჟკაცურად დაუხვდა ის მაძებარ ძაღლებსა და მონადირეებს. დიდხანს იბრძოდა, მაგრამ ბოლოს ტყვიით დაჭრეს და ჩემს წინ წაიქცა დაჭრილი. ძლივს გადავარჩინე გააფთრებული ძაღლებისა და მონადირეებისგან. წამოვიყვანე ეს სციპიონი და ორ კვირაში ისე მოვარჯულე, რომ ჩემი ერთგული მონა გახდა.

_ ერთი გვითხარი, რა მოუხერხე ასეთი? _ ჰკითხა კვლავ მარიმ.

_ იმდენი არაფერი. მოვიყვანე ჩემს ოთახში, ლოგინი გავუშალე, ჭრილობა შევუხვიე და ჩემი ხელით ვუვლიდი, სანამ კარგად გახდებოდა. როცა მორჩა, მივეცი თავისუფლების ქაღალდი და ვუთხარი წასულიყო, საითაც სურდა.

_ მერე, წავიდა? _ იკითხა ოფელიამ.

_ არა. სულელმა ქაღალდი დახია და მე აღარ მომშორდა. ბავშვივით წყნარი ხასიათის კაცი დადგა და მთელ ჩემს მეურნეობას აწარმოებდა. ქოლერით რომ ავად ვიყავი, ის იყო ჩემი ჭირისუფალი და მომვლელი. ყველა გაიქცა სახლიდან. მხოლოდ სციპიონი იყო ჩემთან, მაგრამ საბრალომ თავიც მანაცვალა. ცხარე ცრემლებით ვტიროდი, როცა მოკვდა.

ამ ლაპარაკის დროს ევა მამასთან ახლოს მიჩოჩდა. ბავშვს პირი დაეღო, თვალები გასდიდებოდა და ასე მისჩერებოდა მამას. როცა სენ-კლერმა ლაპარაკი გაათავა, ბავშვი უცებ ყელზე შემოეხვია და ტირილი დაიწყო.

_ ევა, ჩემო ძვირფასო, რა დაგემართა? _ ჰკითხა სენ-კლერმა შვილს და ხელები მოჰხვია. ბავშვი მთელი ტანით თრთოდა. _ ამასთან შეუძლებელია ასეთი ლაპარაკი, _ წარმოთქვა შეშინებულმა მამამ: _ მეტად სუსტი ნერვები აქვს.

_ არა, მამიკო, მე სუსტი ნერვები არა მაქვს, _ თქვა ბავშვმა, ძალ-ღონე მოიკრიბა და მღელვარება შეიკავა, _ მაგრამ ამისთანა ამბები ჩემს გულს ღრმად ხვდება.

_ რა გინდა მაგითი თქვა, შვილო?

_ კარგად არ შემიძლია აგიხსნა, მამილო! მე ბევრ რამეს ვფიქრობ. შეიძლება როდისმე გითხრა.

_ კარგი, შენი ნებაა: იფიქრე, ჩემო პაწიავ! მხოლოდ ტირილს კი ნუ დაეჩვევი და მამას ნუ დაანაღვლიანებ. _ უთხრა შვილს სენ-კლერმა. _ აი, რა კარგი ატამი მაქვს შენთვის, _ დაუმატა იმან და ბავშვს ატამი მისცა.

ევამ ღიმილით გამოართვა ატამი, მაგრამ სახე კი ჯერ სრულიად დამშვიდებული არ ჰქონდა.

_ წამოდი, შვილო, ოქროს თევზები დავათვალიეროთ აუზში, _ უთხრა მამამ ბავშვს, ხელი მოჰკიდა და აივანზე გაიყვანა.

ჩქარა ბაღიდან მხიარული ხმაური და სიცილი მოისმა. მამა-შვილი ეზოში დარბოდა და ერთმანეთს ყვავილებს ესროდა.

შევიხედოთ ახლა თომას ოთახში. ის მაგიდაზეა დახრილი და რაღაცას ჩასცქერის.

შინაურების დარდმა შეაწუხა, ფიქრებს ვეღარ გაუძლო, პატარა ევას ქაღალდი და საწერ-კალამი გამოართვა და ცოლ-შვილთან წერილის დაწერა გადაწყვიტა.

თომა ცდილობდა ასოების გახსენებას. ჯერ დაფაზე სინჯა ასოების წერა, ეს, ასე ვთქვათ, წერილის შავი უნდა ყოფილიყო. სამწუხარო ის იყო, რომ თომას ზოგი ასოს წერა დავიწყებოდა, ბევრს ცდილობდა, მაგრამ მათ დაწერას ვეღარ ახერხებდა.

ამ დროს ევამ შეუსწრო.

_ ოჰ, ბიძია თომა, _ წამოიძახა ბავშვმა, დაფას რომ ახედა: _ რა სასაცილოდ დაგიჯღაბნია დაფა.

_ ჩემო კარგო ბატონიშვილო! მინდა წერილი მივწერო ჩემს ცოლ-შვილს და ვერ მომიხერხებია, _ უპასუხა თომამ და თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

_ გულით მინდა დაგეხმარო, ბიძია თომა, მაგრამ მეც დამვიწყებია ასოები, შარშან ვისწავლე ასოების წერა; დიდი ხანია აღარ მივარჯიშია და სულ დამვიწყებია.

ევამ ოქროსფერი თმით შემოსილი თავი დააყრდნო თომას მხარზე და შეეცადა, თომასთან ერთად მოეგონებინა ასოები,  მაგრამ ორთავემ ცოტა იცოდა და ვერაფერს შველოდნენ ერთმანეთს. ბოლოს, თითქოს რაღაცა მოახერხეს და წერილის შავი დაამზადეს; თვითონ ასე ეგონათ.

_ ბიძია თომა, ეს კი ნამდვილ ნაწერსა ჰგავს! _ თქვა ევამ აღტაცებით, _ როგორ გაუხარდებათ შენს ცოლსა და შვილებს! რა ცუდია, რომ ოჯახს მოგაშორეს, მე მამაჩემს ვთხოვ, რომ ცოლ-შვილთან გაგიშვას.

,_ ქალბატონი შელბი დამპირდა, გამოგისყიდი, როგორც კი საჭირო ფულს შევაგროვებო, _ თქვა თომამ. _ პატარა ბატონმა პირობა მომცა, _ მე თვითონ მოვალ ჩემი ფეხით და დაგიხსნიო. აი, იმისი ნაჩუქარი დოლარი, ეს მომცა ნიშნად, რომ იმისი აღთქმა მახსოვდეს.

თომამ უბიდან ამოიღო დოლარი და ევას აჩვენა.

_ მაშ, უთუოდ მოვა, _ დაემოწმა ევაც. _ რა გამიხარდება, რომ მართლა მოვიდეს!

_ ძალიან მომინდა წერილის დაწერა, _ განაგრძო თომამ ლაპარაკი, _ მეშინია, ხლოამ არ იდარდოს, საწყალმა ჩემი ამბავი არ იცის _ ან სადა ვარ, ან როგორა ვცხოვრობ.

ამ დროს ოთახში შემოვიდა სენ-კლერი. თომა და ევა ორივენი შეკრთნენ.

_ რას აკეთებ აქ? _ ჰკითხა სენ-კლერმა და დაწერილ დაფას დახედა.

_ მამილო, მე ბიძია თომას წერილის დაწერაში ვშველი. აბა, მამილო, კარგად არის დაწერილი?

_ არ მინდა არც ერთს გაწყენინოთ, მაგრამ უმჯობესი იქნება, მე თვითონ დავუწერო თომას წერილი. ახლა სხვაგან მივდივარ, დავბრუნდები და დავწერ.

_ იცი, მამა, ძალიან საჭირო წერილია, წინანდელი ქალბატონი დაჰპირებია თომას, გამოგისყიდი, როცა ფულს ვიშოვიო, ამისათვის საჭიროა იცოდეს, სად იმყოფება თომა, რომ შეეძლოს მოკითხვა საჭიროების დროს.

სენ-კლერმა არაფერი თქვა, იფიქრა კი, ეს დაპირება მხოლოდ გულის გასაკეთებლად უთქვამს და არასოდეს არ განხორციელდებაო. იმავე საღამოს თომას სასურველი წერილი სენ-კლერმა დაამზადა და ფოსტაში გაგზავნა.

## მეთვრამეტე თავი

## ტოპსი

ოფელია დილიდან საღამომდის ფუსფუსებდა სენ-კლერის სასახლეში.

მოსამსახურეები, დაწყებული დინასაგან პატარა ხელზე მოსამსახურე ბავშვებამდის, ყველა ამბობდა ოფელიაზე, უცნაური ადამიანი არისო. კოხტად გამოწყობილი ადოლფი და მოახლე გოგოები ხომ ქალბატონადაც არ თვლიდნენ. ეჭვობდნენ, რომ ის მართლა იმათი ბატონის ნათესავი იყო.

თვითონ ქალბატონი სენ-კლერიც იტყოდა ხოლმე: კაცი დაიღლება ოფელიას ფუსფუსის ცქერითაო. და მართლაც, ოფელია ხელს არ აჩერებდა. დღისით ყოველთვის კერავდა, ჭრიდა ისეთი მუყაითობით, თითქოს შეკვეთილი სამუშაო აქვს დასამთავრებელიო. შებინდდებოდა თუ არა, მაშინვე ხელს მოჰკიდებდა წინდის ჩხირებს და გამალებული დაიწყებდა ქსოვას. უსაქმური კაცისათვის იმისი ცქერა, მართლაც, მოსაბეზრებელი უნდა ყოფილიყო.

ერთხელ, დილით, ოფელია რაღაც საქმეში იყო გართული, სენ-კლერის ძახილი რომ შემოესმა. ბიძაშვილი ეძახდა სახლში შემოსასვლელი კარებიდან:

_ მოდი აქ, ოფელია, ნახე, რა გაჩვენო!

_ რა ამბავია? _ ჰკითხა ოფელიამ კიბიდან.

_ აი, რა საჩუქარი მოგართვი, _ უთხრა სენ-კლერმა და მიუთითა ცხრა-ათი წლის ზანგის გოგოზე. მეტისმეტად შავ პირისახეზე ბავშვს თვალები მძივებივით უბრდღვიალებდნენ და მკვირცხლად გადარბოდნენ საგნიდან საგანზე. ნახევრად გაღებულ პირში თეთრად უელავდა კბილები. ბავშვი გაოცებული შეჰყურებდა მდიდრულად მორთულ სასახლეს. შავი ხუჭუჭი თმა პატარ-პატარა ნაწნავებად ჰქონდა დაწნული. სახეზე ცბიერებითა და სევდით შეზავებული არაბუნებრივი სიდინჯე ეტყობოდა. ტანზე დახეული ჭუჭყიანი ტანისამოსი ეცვა, საცვლები კი სულაც არა ჰქონდა. ბავშვი წყნარად იდგა გულხელდაკრეფილი.

ოფელია შეზარა ბავშვის გარეგნობამ.

_ რატომ იყიდე? რად გინდოდა? _ შეეკითხა ოფელია სენ-კლერს.

_ მინდა, შენ აღზარდო წესიერად. ეს გოგო ძალიან მომეწონა. მეტად სასაცილო რამ არის. ტოპსი, აბა იმღერე რამე და იცეკვე!

ბავშვს თვალები ეშმაკურად შეუთამაშდა. წვრილი ხმით მოჰყვა ზანგურ სიმღერას და თან ციბრუტივით დატრიალდა ერთ ადგილას, იქნევდა ხელებს და აბარტყუნებდა ფეხებს. უცებ ორჯერ-სამჯერ მაღლა შეხტა, გემის სასტვენივით დაიწივლა და ერთ ალაგას გაშეშდა: გულხელი დაიკრიბა და წინანდელი მორჩილი, ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო, მხოლოდ მოელვარე თვალები გამოიყურებოდნენ წარბებქვეშ.

თავზარდაცემული ოფელია სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა. სენ-კლერი კი, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო ის, და იცინოდა.

_აბა, ტოპსი! ეს არის შენი ქალბატონი. ვინძლო, კარგად მოიქცე, _ უთხრა მან.

_ დიახ, ბატონო, _ თქვა ბავშვმა დინჯად, მაგრამ თვალებში რაღაც ბოროტმა ნაპერწკალმა გაუელვა.

_ მართალი გითხრა, არ მესმის შენი საქციელი, ავგუსტინ! _ შესძახა ოფელიამ: _ უიმისოდაც სახლში კაცი ფეხს ვერ აუქცევს მოსამსახურეებს, ყოველ ნაბიჯზე უსუსურ ბავშვს დაადგამ ფეხს. დილით რომ გამოვალ ხოლმე, ვხედავ, ერთი კარებთან აგდია და სძინავს, მეორეს სადმე მაგიდის ქვეშ ვიპოვი, მესამეს _ დერეფანში და, ვინ მოთვლის, კიდევ სად? ეს ბავშვები ცელქობით იკლებენ აქაურობას, რაღა ამ გოგოს მომატება უნდოდა?

_ მე უკვე გითხარი: მსურს ვნახო, როგორი აღმზრდელი იქნები-მეთქი. განგებ ვიყიდე იმ განზრახვით, რომ ჩვენი სახლის გავლენას არ გაეფუჭებინა.

«_ ამისი აღზრდის ხალისი არა მაქვს; უამისოდაც ბევრი თავში საცემი საქმე მაზარია.

_ აი, თქვენ ყველანი ასეთები ხართ, _ თქვა სენ-კლერმა, _ მხოლოდ ლაპარაკი შეგიძლიათ იმაზე, თუ როგორ უნდა ადამიანის აღზრდა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ კი არა გსურთ სახლში შეუშვათ აი, ასეთი უმეცარი ბავშვი, რომ კეთილად აღზარდოთ და ადამიანად აქციოთ.

_ ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ძმაო! _ თქვა სენ-კლერის სიტყვებით მორბილებულმა ოფელიამ, _ შენ მართალი ხარ: საჭიროა შევეცადოთ ამ ბავშვის მორჯულებას.

ოფელიამ ბავშვს ახლა სულ სხვა თვალით შეხედა. სენ-კლერის სიტყვებმა ღრმა გავლენა იქონია მასზე.

_ მაინც ვერ გამიგია, რა საჭირო იყო ამ გოგოს ყიდვა? ჩვენ სახლში ისედაც საკმარისია ბავშვები, რომელთაც არ მოსჭარბდება აღზრდა, თუკი მაგ საქმეს მოვკიდებ ხელს.

_ მაპატიე, დაო, აი, საქმე რაშია, _ სენ-კლერმა ოფელიას მკლავში ხელი მოჰკიდა და იქით წაიყვანა: _ ეგ ბავშვი ეკუთვნოდა ორ ლოთ მედუქნეს. მე ხშირად გამივლია იმათ დუქანთან და ყოველთვის ამ ბავშვის ტირილი და წი-

ვილ-კივილი მესმოდა. მედუქნეები უმოწყალოდ სცემდნენ საცოდავ გოგოს. ბავშვს ცოცხალი გამომეტყველება აქვს. მგონია, თუ აღზრდა ეღირსა, კარგი ადამიანი დადგება. ამიტომ გადავწყვიტე მეყიდა და შენთვის მომეცა აღსაზ-რდელად. ეცადე, იქნება კარგი ადამიანი გამოვიდეს ამ პატარა ნადირისაგან. მე კი აღმზრდელად არ ვვარგივარ.

_ ძალ-ღონეს  არ დავზოგავ და ვნახოთ, რა გამოვა, _ თქვა ოფელიამ.

ოფელია მიუახლოვდა თავის მომავალ შეგირდს, ისე შეხედა, თითქოს შავ ობობას უახლოვდებაო. აშკარად ემჩნეოდა, რომ ეზიზღებოდა, მაგრამ მაინც კარგი სურდა იმისთვის.

_ რა ჭუჭყიანია! _ შენიშნა მან.

_ ეგ არაფერია. ჩაიყვანე ქვევით და უბრძანე გოგოებს, კარგად დაბანონ და სუფთად ჩააცვან.

ოფელიამ ბავშვი სამზარეულოში წაიყვანა.

_ ნეტა ვიცოდე, რად დასჭირდა ბატონს ეს შავტუხა გოგო, _ წაიბუტბუტა დინამ, როცა ტოპსი დაინახა. _ ყოველ შემთხვევაში, სამზარეულოში ეგ ჩემ-თვის საჭირო არ არის.

როზამ და ჯენიმ, ახალგაზრდა და კოხტად ჩაცმულმა გოგოებმა, ტუჩი აუბზუეს ჭუჭყიან კონკებში გახვეულ გოგოს. ოფელია დარწმუნდა, რომ მას არავინ დაეხმარებოდა, და ამიტომ თვითონ შეუდგა საქმეს, დაბანა, დავარცხნა და საცვლები ჩააცვა. გოგო მართლაც საშინელი ბინძური იყო. ოფელია ბევრი ებრძოლა თავის თავს, რომ ზიზღი დაემლია, მაგრამ, როცა ბავშვს ზურგზე გა-ლურჯებული ადგილები უნახა, გული სიბრალულით აევსო.

სანამ ბანდნენ და ასუფთავებდნენ, ტოპსი ისევ ისე დაღონებული და მორ-ჩილების გამომხატველი სახით იდგა, როგორც პირველად კიბეზე; ეს სახე ფა-რავდა მის ბუნებრივ გამომეტყველებას. ხანდახან ქვეშ-ქვეშ გახედავდა მორ-თულ ჯენს. მეტად მოეწონა იმისი მარჯნის საყურეები. როცა დაბანეს, თმა ძირში გადაჰკრიჭეს და სუფთა ტანისამოსი ჩააცვეს, ოფელიამ სიამოვნებით შე-ხედა ბავშვს; მის თვალში გოგო ახლა ოდნავ მაინც დაემსგავსა ადამიანს. ახლა ოფელია იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შესდგომოდა ბავშვის აღზრდას. ამი-სათვის საჭიროდ სცნო გამოელაპარაკებოდა.

_ რამდენი წლისა ხარ? _ჰკითხა მან ტოპსის.

_ არ ვიცი, ქალბატონო!

_ როგორ თუ არ იცი? განა შენთვის არავის უთქვამს არასოდეს, რამდენი წლისა ხარ? სად არის დედაშენი?

_ მე დედა არ მყოლია არასოდეს, _ უპასუხა ბავშვმა ღრეჭით.

_ როგორ თუ დედა არ გყოლია? _ ჰკითხა გაოცებულმა ოფელიამ. _ მაშ, სად დაიბადე?

_ მე არ დავბადებულვარ, _ უპასუხა გოგომ ისევ სიცილით.

_ გამიგონე, ჩემო კარგო! ასე ნუ მელაპარაკები; მე არ გეხუმრები. გამაგები-ნე ხეირიანად _ სად და როდის დაიბადე და ვინ იყვნენ შენი მშობლები?

_ მე არასოდეს  არ დავბადებულვარ, _ გაიმეორა გოგომ კიდევ უფრო ცხა-რედ, _ არასოდეს არ მყოლია არც მამა, არც დედა, არავინ არა მყოლია. ბატონ-თან ვცხოვრობდი. იქ ბევრი ბავშვი იყო, ბებერი მამიდა ზოია გვივლიდა.

ეტყობოდა, ბავშვი არ ხუმრობდა.

_ გოგო მართალს მოგახსენებთ, ქალბატონო! _ ჩაერია ლაპარაკში ჯენი, _ ასე ბევრ ბავშვს ყიდულობენ იაფად: ზრდიან და შემდეგ ჰყიდიან კარგ ფასში. ვაჭრები ამაში დიდ ფულს იგებენ.

_ რამდენ ხანს იყავი შენს ბატონთან? _ ჰკითხა ტოპსის ოფელიამ.

_ არ ვიცი, ქალბატონო!

_წელიწადი, ნახევარი თუ ნაკლები?

_ რა მოგახსენოთ.

_ ქალბატონო, მონა-ზანგებს წარმოდგენა არა აქვთ დროზე, _ კვლავ ჩაერია ლაპარაკში ჯენი, _ იმათ არ იციან, რა არის წელიწადი, არც თავიანთი წლოვა-ნებისა გაეგებათ რამე.

_ იცი, ვინ გაგაჩინა?

_ არ ვიცი! მე მგონია, რომ არავინ.

ეს აზრი ბავშვს თითქოს მოეწონაო, თვალებმა რაღაცნაირად გაუელვა და განაგრძო ლაპარაკი:

_ მგონია, თვითონ გავჩნდი, არავის არ გავუჩენივარ.

_ კერვა იცი? _ ჰკითხა ოფელიამ, რომელმაც გადაწყვიტა, ბოლოს უფრო გა-საგებ რამეზე დალაპარაკებოდა.

_ არა, ქალბატონო!

_ რის გაკეთება შეგიძლია? რას აკეთებდი შენი ბატონების სახლში?

_ წყალს ვეზიდებოდი, ჭურჭელს ვრეცხავდი, დანა-ჩანგალს ვწმენდდი, ხელზე ვემსახურებოდი.

_ კეთილი ბატონები გყავდნენ?

_ არა უშავდათ რა, _ უპასუხა ბავშვმა და ეჭვის თვალით შეხედა ოფელიას.

ოფელიამ შეატყო, რომ ამ ლაპარაკითაც არაფერი გამოდიოდა, და თავი გა-ანება.

ოფელიას ასეთი აზრი ჰქონდა აღზრდაზე: ბავშვი შეაჩვიე მორჩილებას, ას-წავლე წერა-კითხვა, ხელსაქმე (თუ ქალსა ზრდი) და ტყუილის თქმისთვის უეჭველად წკეპლით დასაჯე.

სწორედ ამნაირად დაუწყო აღზრდა ოფელიამ თავის პატარა ველურ გო-გოს.

სახლში ბავშვს ყველა ისე უყურებდა, როგორც ოფელიას საკუთრებას, მო-სამსახურეები ცუდი თვალით უყურებდნენ და ამიტომ ოფელია იძულებული იყო, ტოპსი თავის ოთახში მოეთავსებინა. თუმცა ოფელიას თვითონ უყვარდა თავისი ოთახის დალაგება, მაგრამ ეს საქმე ახლა ბავშვს მიანდო, რომ ამით იგი ნელ-ნელა შეჩვეოდა მუშაობას. ჯერ ლოგინის გაშლა-ალაგება ასწავლა.

_ მე ძალიან მიყვარს, რომ ჩემი ლოგინი კარგად იყოს გაშლილი, _ ეტყოდა ხოლმე ოფელია. _ კარგად გახსოვდეს, ტოპსი, კაცმა ყველაფერი სუფთად უნ-და გააკეთოს.

_ დიახ, ქალბატონო, _ უპასუხებდა ტოპსი დინჯად და ღრმად ამოიოხრებ-და ხოლმე.

_ აი, ტოპსი, ეს პირია საბნისა, ეს სარჩული, ხომ დაიხსომებ?

_ დიახ, ქალბატონო! _ უპასუხა ტოპსიმ.

_ ზეწარი ისე უნდა შემოუკეცო ნაალს, რომ ნაკეცი არსად იყოს. ხედავ, როგორ ვაკეთებ?

_ დიახ, ქალბატონო, _ უპასუხა ტოპსიმ, რომელიც ყურადღებით უსმენდა. მაგრამ ამ დროს ქალბატონი რაღაცისთვის მიბრუნდა იქით. ტოპსიმ მარდად აიტაცა წყვილი ხელთათმანი და ლენტი და კაბის სახელოში ჩაიწყო.

_ აბა, ტოპსი! ახლა შენ გაასწორე ლოგინი, როგორც გასწავლე.

ტოპსიმ ყველაფერი მშვენივრად გააკეთა და გააკვირვა ქალბატონი თავისი სიმარდით. ისე დაცქრიალებდა, კაცს ეგონებოდა, დიდი ხნის შეჩვეულია ამ საქმესაო. მაგრამ ამ დროს სახელოდან ლენტის წვერი გამოეჩარა. ოფელიამ და-ინახა და მივარდა.

_ ეს რა არის, შე საძაგელო? ლენტი მოიპარე?

სახელოდან გამოაძრო მთელი ლენტი. ტოპსიმ წარბიც არ შეიხარა: დამშვი-დებული უყურებდა ლენტს და ბოლოს წამოიძახა:

_ უი, ეს ქალბატონის ლენტი ყოფილა და როგორ გაჩნდა ჩემს სახელოში?

_ ნუ ტყუი, ტოპსი! ლენტი შენი აღებულია!

_გეფიცებით, ქალბატონო, პირველად ვხედავ მაგ ლენტს, აქამდის თვალი-თაც არ მინახავს ეგ ლენტი.

_ ტოპსი, ცოდვაა ტყუილი ფიცი!

_ მე არასოდეს არ ვლაპარაკობ ტყუილს, ქალბატონო, _ უპასუხა ბავშვმა დარბაისლურად, _ სრულ სიმართლეს მოგახსენებ.

_ ტოპსი, თუ ეგრე იცრუებ, იძულებული გავხდები, დაგსაჯო.

_ თქვენი ნება გახლავთ, ქალბატონო! თუ გნებავთ, მთელი დღე მცემეთ, მე მეტი არაფერი ვიცი. უთუოდ კაბის სახელოს მოჰყვა როგორღაც უცაბედად.

ოფელია ისე ააღელვა ბავშვის ლაპარაკმა, რომ წასწვდა და შეანჯღრია.

_ აღარ გაბედო მაგისთანა სიცრუის თქმა! _ დაუყვირა ბავშვს.

ნჯღრევისას სახელოდან ხელთათმანები გამოუვარდა.

_ აი, ხედავ! ახლა ხომ ვეღარ იტყვი უარს _ ლენტი არ მომიპარავსო?

ტოპსიმ ხელთათმანებზე განაცხადა, მე ავიღეო, მხოლოდ ლენტის შესახებ კიდევ უარზე იყო.

_ გამიგონე, ტოპსი, თუ გამოტყდები _ აღარ დაგსჯი.

ამ სიტყვებმა იმოქმედა ტოპსიზე და თქვა: მე ავიღე ნივთები მაგიდიდა-ნაო. ნანობდა, სიტყვას იძლეოდა, შემდეგში აღარაფერს ხელს არ ვახლებო.

_ ახლა მითხარი: კიდევ რა მოიპარე, რაც აქა ხარ? მე გუშინ ყველა ოთახში სიარულის ნება მოგეცი. შეიძლება აიღე რამე. თუ მართალს მეტყვი, არ დაგსჯი.

_ ევას მარჯანი ავიღე, ყელზე რომ იკეთებს ხოლმე.

_ ხედავ, რა ცუდი ბავშვი ყოფილხარ!

_ კიდევ მოვიპარე როზას წითელი საყურეები.

_ წადი ახლავე და მომიტანე.

_ არ შემიძლია, ქალბატონო! ისინი უკვე დაიწვა.

_ როგორ თუ დაიწვა? რას ბოდავ? ახლავე აქ მომიტანე, თორემ დაგსჯი.

ტოპსიმ ხმამაღლა ტირილი მორთო და ეფიცებოდა, ნივთები დაიწვაო.

_ მერე რად დაწვი? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ იმიტომ, რომ ბოროტი, ბრაზიანი გული მაქვს.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ევა: ყელზე თავისი მარჯანი ეკეთა. მან არ იცოდა, რა ხდებოდა ამ ოთახში.

_ ევა, სად იპოვე შენი მარჯანი? _ ჰკითხა გაჯავრებულმა ოფელიამ.

_ სად უნდა მეპოვა? მარჯანი დილიდან ყელზე მაქვს.

_ გუშინ სადღა გქონდა?

_ ღამე სულ არ მომიხსნია, დამავიწყდა და ლოგინში ჩამყოლოდა.

ოფელია ისე გააკვირვა ამ ამბავმა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა. იმის განცვიფრება გაორკეცდა მაშინ, როცა როზას საყურეები ყურებზე დაუნახა. ამ დროს როზამ დაუთოებული სარეცხი შემოიტანა.

_ არა, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ბავშვს! ტოპსი, რად დასწამე ცილი საკუთარ თავს და რად მითხარი ტყუილი, მარჯანი და საყურეები მოვიპარეო?

_ თქვენ მიბრძანეთ _ მითხარი კიდევაო, და მეც მაგის მეტი ვერა მოვახერხე რა.

_ განა მე ის გითხარი, ტყუილები მითხარი-მეთქი? ეგეც ხომ ისეთივე სიცრუეა, როგორც პირველი?

_ ნუთუ სულ ერთია? _ ჰკითხა ტოპსიმ განცვიფრებით.

_ ამისთანა საძაგელი გოგოსაგან განა მართალს გაიგებს კაცი! _ თქვა როზამ და ზიზღით შეხედა ტოპსის. _ მე რომ ბატონი ვიყო, ერთი მაგრად ვაცემინებდი მაგის თავს.

_ გაჩუმდი, როზა, _ უთხრა ევამ. მისმა ჩვეულებრივად ალერსიანმა ხმამ ახლა სიმკაცრის კილო მიიღო. _ მე ასეთი ლაპარაკი არ მიყვარს.

_ ბატონის ქალო! თქვენ კეთილი გულის ბრძანდებით და ჯერ არ იცით, როგორ უნდა ზანგების მორჯულება; უმათრახოდ იმათ კაცი ვერაფერს შეასმენს, _ თქვა როზამ.

_ როზა, გთხოვ, კრინტი აღარ დაძრა, _ უთხრა ევამ მას ბრძანების კილოთი, სიბრაზით თვალები აენთო და ლოყები გაუწითლდა.

როზა გაჩუმდა.

_ ბატონის ქალი პირწავარდნილი მამაა,_ თქვა მან თავისთვის ოთახიდან გამოსვლის დროს.

ევა ტოპსის გვერდით იდგა და სიბრალულით უყურებდა პატარა ველურს. ის ჯერ მეტად პატარა იყო, რომ ჩაჰკვირვებოდა, რა ხდებოდა ამჟამად ტოპსის გულში. შეჰყურებდა პატარა გოგოს ნამტირალევ თვალებში და ბუნდოვნად გრძნობდა, რა უფსკრულია ამ უბედურ ბავშვსა და მას შორის. ევას მგრძნობიარე გული სიბრალულით აივსო: შეეცოდა თავისი ტოლი ბავშვი, რომელიც სიცოცხლეს გამოუთქმელ ტანჯვაში ატარებდა იმ დროს, როცა თვითონ ფუფუნებაში იზრდებოდა.

_ საბრალო ტოპსი! _ თქვა ევამ თავისი ნაზი ხმით, როცა ოფელიამ ტოპსის დატუქსვა დაწყო; _ რად იღებ ხოლმე სხვის ნივთებს? ახლა დაგიწყებენ თვალთვალს, ყველაფერს დაგიმალავენ. მე მზად ვარ, ყველა ჩემი ნივთი სულ შენ მოგცე, ოღონდ სხვის ნივთებს ხელს ნუ ახლებ.

საბრალო დაჩაგრულმა გოგომ პირველად გაიგონა თანაგრძნობის ალერსიანი სიტყვა.

იმის დიდ ბრდღვიალა თვალებს თითქოს ცრემლი მოერიაო, მაგრამ უცბად გადაიხარხარა და სახე სასაცილოდ დაღმიჭა. ოფელიამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მეტი ვერაფერი მოახერხა და გადაწყვიტა, ტოპსი ჯიხურში დაემწყვდია. დარწმუნებული იყო, ბნელი ოთახი კარგ გავლენას მოახდენდა ბავშვზე.

ოფელიამ რჩევა ჰკითხა სენ-კლერსაც, მან მხოლოდ გაიცინა ბიძაშვილის გაჭირვებაზე.

_ რა გაეწყობა! _ უთხრა სენ-კლერმა: _ თუ უწკეპლოდ საქმე ვერ რიგდება, მიმართე წკეპლას, მხოლოდ არა მგონია, შენმა დასჯამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს. ტოპსი შეჩვეულია უფრო მკაცრ სასჯელს.

_ მაშ, რა წყალში ჩავვარდე? რა მოვუხერხო? _ ამბობდა იმედდაკარგული ოფელია.

_ არ ვიცი, დაო; შენ სცადე, მე აღზრდისა არაფერი გამეგება.

და, მართლაც, სენ-კლერმა მხოლოდ ხუმრობა იცოდა ბავშვებთან: ყოველგვარ ცელქობაზე წააქეზებდა ბავშვს. ის ტოპსს უყურებდა, როგორც გასართობ მაიმუნს.

ტოპსის, მართლაც, შეეძლო კაცის გართობა, იცოდა ცეკვა, სიმღერები, ათას რამე სასაცილოს მოიგონებდა ხოლმე, სიცილით ხოცავდა ყველას. განსაკუთრებით ბავშვებს შეუყვარდათ ტოპსი და მათ შორის ევასაც. ოფელიას აწუხებდა ევას დაახლოება ტოპსისთან და სთხოვა სენ-კლერს, როგორმე ევა მოერიდებინა ტოპსისთვის.

_ ეჰ, დაო, სულ ტყუილი შიშია! _ უთხრა სენ-კლერმა. _ ევას არასოდეს ცუდი არაფერი მიეკარება, ისეთი ფაქიზი არსებაა.

პირველ ხანებში მოსამსახურეებმა აითვალწუნეს ტოპსი, არავინ დაიახლოვა, მაგრამ ისინი ადვილად დაამარცხა ამ პატარა გოგომ. საკმარისი იყო, რომელიმე მოსამსახურეს ტოპსისათვის ცუდი სიტყვა ეთქვა ან დაებეზღებინა ბატონთან რაიმე საქციელისათვის, რომ ასეთ მოსამსახურეს უეჭველად მალე რაიმე ხიფათი შეემთხვეოდა: ან დაკარგავდა რამეს, ან ტანისამოსი გაუფუჭდებო-

და, ან საიდანმე უცებ ჭუჭყიან წყალს გადაასხამდნენ თავზე და სხვ. ტოპსის სიცუღლუტეს დასასრული არა ჰქონდა. ამასთან, ისე შეასრულებდა თავის განზრახვას, რომ ვერავინ ვერაფერს დააბრალებდა. საქმე იმით გათავდა, რომ მოსამსახურეები დაიმორჩილა ტოპსიმ და ყველას მისი რიდი ჰქონდა.

ოფელია ზრუნავდა ტოპსის აღზრდაზე, ასწავლიდა წერა-კითხვას და ხელსაქმეს. კითხვა ჩქარა ისწავლა და დიდი ხალისითაც კითხულობდა წიგნებს, საკერავს კი გული ვერ დაუდო. ასე გავიდა ერთი წელიწადი, მეორე _ და ტოპსი შეეჩვია ახალ ბინას. ოფელია თვალყურს ადევნებდა ბავშვს და ებრძოდა მის ცუდ მხარეებს. სენ-კლერისათვის ტოპსი გასართობი საგანი იყო; ხშირად აქეზებდა და ათამაშებდა: საჩუქრებსაც აძლევდა ხოლმე; ერთი სიტყვით, ბავშვს მფარველობას უწევდა.

ახლა დავბრუნდეთ კენტუკში და ვნახოთ, რა ხდება ბიძია თომას ქოხში.

## მეცხრამეტე თავი

## ხლოას სიხარული

უკვე კარგად მოსაღამოებული  იყო. შელბის სახლში ყველა კარი და ფანჯარა გაეღოთ ჰაერის გასაწმენდად და გასაგრილებლად. დღისით ოთახებში სიცხის ბუღი ტრიალებდა.

დიდ სადარბაზო ოთახში იყო ცოლ-ქმარი. ამ ოთახს სახლის შუაგული ეჭირა მთლად ერთი მხრიდან მეორემდის; ორივე მხრიდან დიდი გრძელი აივნები ჰქონდა. ბატონი შელბი სავარძელში იჯდა და სიგარას ეწეოდა; მისი ცოლიც იქვე იყო და ხელში საკერავი ეჭირა, ქალს რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა: თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა ქმრისათვის და ვერა ბედავდა. წამდაუწუმ საკერავს შეაჩერებდა, თავს ასწევდა და გახედავდა.

_ არტურ, გაიგე, ხლოამ თომასაგან წერილი მიიღო, _ გაბედა ბოლოს, როგორც იყო, ლაპარაკი ქალმა.

_ მართლა? რაო? რას იწერება? ახალ ბინაზე შეუძენია თუ არა მეგობრები? როგორ ვცხოვრობო?

_ თომა ძალიან კარგ კაცს უყიდია თურმე, მშვენივრად ექცევიან და არც ბევრს ამუშავებენ.

_ მოხარული ვარ, _ თქვა შელბიმ, _ რომ ჩვენი კეთილი თომა კარგ ოჯახში ჩავარდნილა. იქნებ სამხრეთი ისე მოეწონოს, რომ აქეთ სულაც აღარ მოისურვოს წამოსვლა.

_ არა, პირიქით: კითხულობს, ჩქარა გამოვისყიდით თუ არა?

_ ამისი კი რა მოგახსენოთ! _ წარმოთქვა შელბიმ. _ თუ ერთხელ კაცს საქმეები აეწეწა, მერე ძნელადღა გამოუძვრება საბელს. მე ახლა მხოლოდ იმით ვაკოწიწებ ჩემს საქმეებს, რომ ერთს ვესესხები და მეორე მოვალეს ვაძლევ. დავალიანება ჭაობში სიარულსა ჰგავს, მუდამ საფრთხეში ხარ.

_ იქნებ როგორმე გამოსწორდეს ჩვენი საქმეები, _ თქვა ქალბატონმა შელბიმ, _ შეიძლება, მაგალითად, ცხენები გავყიდოთ ან რომელიმე სოფელი და ვალი გავისტუმროთ.

_ უაზროდ ლაპარაკობ, ემილია! შენ ყველაფერში სამაგალითო ადამიანი ხარ, მაგრამ მეურნეობისა არაფერი გაგეგება, ქალებს საზოგადოდ არაფერი ესმით ანგარიშებისა.

_ მერე რატომ არაფერს მეუბნები შენს აწეწილ საქმეებზე? _ უსაყვედურა ქალმა ქმარს: _ ის მაინც შემატყობინე, ვისი ან რამდენი გმართებს? შეიძლება, როგორმე შემოგეშველო და ოჯახის ხარჯები შევამცირო.

_ თუ ხათრი გაქვს, დამეხსენი, ემილია! _ თქვა გაჯავრებულმა შელბიმ. არ იცოდა, რა პასუხი მიეცა ცოლისათვის, და ამიტომ გაჯავრდა, ამით სურდა, მოესპო ეს უსიამოვნო ლაპარაკი. _ შენ სამეურნეო საქმეების წარმოება ის ხომ არა გგონია, ხლოა რომ ქადებს აცხობს სამზარეულოში. აქ ცომს მოგლეჯს, იქ მიუმატებს, მორჩა და გათავდა! მეურნეობა ქადების ცხობა არ არის. გთხოვ, ჩემს საქმეებში ნუ ჩაერევი.

ქალბატონი შელბი გაჩუმდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისი ქმარი მართალს ამბობდა, როცა ქალების უაზრობაზე ლაპარაკობდა. თვითონ ფხიზელი გონებისა და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო და თავის ქმარზე ნაკლებ არ მოაწყობდა საქმეებს, თუ ამის ნებას მისცემდნენ. მას დიდი ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა თომას გამოსყიდვა, მაგრამ ამ განზრახვის ასრულებას ახალ-ახალი დაბრკოლება ეღობებოდა. ქალმა მძიმედ ამოიოხრა და, ცოტა ფიქრის შემდეგ, ისევ განაგრძო ლაპარაკი.

_ არტურ! მაშ, შეუძლებელია, სადმე ვიშოვოთ ფული და დავამშვიდოთ ეს საწყალი დედაკაცი? ეს საცოდავი სულ იმაზე ფიქრობს, როდის ეღირსება თომას ნახვა.

_ ძალიან სამწუხაროა, _ თქვა შელბიმ, _ ჩვენ ავჩქარდით, როცა დავპირდით _ გამოგისყიდიო. მგონია, მე მაგას ვერასოდეს მოვახერხებ. ჯობს, ახლავე სიმართლე ვუთხრათ ხლოას. თომა ორიოდე წლის შემდეგ იქ მეორე ცოლს იშოვის და ხლოასაც ურჩევნია, აქ სხვაზე გათხოვდეს.

_ მე ყოველთვის იმას ჩავჩიჩინებდი მონებს, რომ ქორწინება იმათთვისაც ისეთივე წმინდაა და შეურყეველი, როგორც ჩვენთვის, როგორ შეიძლება ახლა ასეთი რჩევის მიცემა, არტურ? _ უთხრა აღელვებული ხმით ქალბატონმა შელბიმ ქმარს.

_ ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენს მონებს მათთვის შეუსაბამო ზნეობა მოახვიე თავზე.

_ ეს ზნეობა ყველა ადამიანისათვის ერთნაირად სავალდებულოა დედამიწის ზურგზე. მე მძაგს მონობა, რომელიც ადამიანებს ორ ხარისხად ყოფს. როგორც გინდა, ისე ჩამომართვი, არტურ, მე კი ჩემს სიტყვას ვერ გადავალ. თუ სხვა გზით ვერ ვიშოვი საჭირო ფულებს, მუსიკის მასწავლებლობას დავიწყებ და შევაგროვებ საჭირო თანხას თომას გასათავისუფლებლად.

_ დავიჯერო, შენ მაგას გაბედავ? ქალბატონი დაიწყებ წანწალს კაპიკიან გაკვეთილებზე? ეგ ხომ ჩვენი თავის მოჭრა იქნება! _ წამოიძახა შელბიმ.

_ ეს არავითარი დამცირება არ არის. მაგრამ, სიტყვა რომ გავტეხო, მაშინ კი მართლა თავს დავიმცირებ.

_ ვიცი, რომ შენ ყოველთვის მზად ხარ, ჩაიდინო რამე არაჩვეულებრივი, ემილია, მაგრამ, გთხოვ, კარგად მოიფიქრო, ვიდრე მაგ შენს აზრს განახორციელებდე.

ამ დროს აივნის ბოლოს გამოჩნდა ხლოა.

_ ქალბატონო, ერთ წუთს აქ მობრძანდით, _ დაუძახა მან ქალბატონს.

ქალბატონი შელბი წამოდგა და აივანზე გავიდა.

_ რა საქმე გაქვს, ხლოა? _ ჰკითხა მან მოახლეს.

_ აი, ეს ვარიები მოვიყვანე საჩვენებლად. თუ გნებავთ, წვნიანს გავაკეთებ.

_ ჩემთვის სულ ერთია, ხლოა! _ უპასუხა ქალბატონმა და ძალიან გაუკვირდა, რომ ხლოამ ასეთი კითხვით მიმართა მას. ხლოა ასეთ რჩევას არა ჰკითხავდა ხოლმე ქალბატონს.

ქალბატონი შელბი ჩააცქერდა ხლოას სახეში და შენიშნა, რომ იმას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა, ეტყობოდა, ვარიები მხოლოდ მისვლის საბაბი იყო, ნამდილად კი სხვა საქმე ჰქონდა.

_ ხლოა, შენ რაღაც სხვა სათქმელი გაქვს და ვერ მიბედავ! მითხარი, რა გინდა?

ხლოამ ცოტა ყოყმანის შემდეგ დაიწყო:

_ ჩემო ქალბატონო, რატომ გინდათ თავი შეიწუხოთ ფულის საშოვნელად? თქვენ ხომ ყოველთვის გექნებათ ის, თუკი მოისურვებთ.

ამ სიტყვებზე ხლოას გაეცინა.

_ მე შენი სიტყვებისა ვერაფერი გავიგე, _ უთხრა ხლოას ქალბატონმა. ის მიხვდა, რომ ხლოას ქმართან მისი ლაპარაკი გაგონილი ჰქონდა.

_ როგორ ვერ მიხვდით ჩემს აზრს, ქალბტონო! _ უთხრა ხლოამ ქალბატონს ისევ ღიმილით, _ აბა უყურეთ სხვა ბატონებს: ისინი მონებს ქირით ამუშავებენ სხვაგან, როცა სახლში სამუშაო არა აქვთ, და ამით დიდ ფულს იღებენ. თქვენი მონები კი უსაქმურად ყრიან სახლში წლობით და ჭამის ფასსაც არ აკეთებენ.

_ მერე, აბა რომელი დავაყენოთ მოჯამაგირედ.

_ მე სხვაზე არაფერს მოგახსენებთ. სამი ამბობდა იმ დღეს _ ლუნევილში ერთი მეშაქარლამე ეძებს ხელოსანსო და ხელფასს კვირაში ოთხ დოლარს აძლევსო.

_ მერე შენ რა, ხლოა? _ შეეკითხა ისევ ქალბატონი.

_ აი, რა მოვიფიქრე, ქალბატონო! ჩემი თანაშემწე სალი ახლა თვითონაც კარგად შეძლებს სადილ-ვახშმის მომზადებას, ის ჩემზე ნაკლებად არ ამზადებს საჭმელებს. მე რომ გამიშვებდეთ ლუნევილში, ფულის მოგროვებაში დაგეხმარებოდით. მე საშაქარლამო საქმეები კარგად ვიცი.

_ მერე ბავშვებს მარტო როგორ დატოვებ, ხლოა?

_ ეჰ, ქალბატონო! ბიჭებს ახლა მუშაობაც კი შეუძლიათ, გოგოს კი სალი უგდებს ყურს.

_ იქნება არ იცი, რომ ლუნევილი აქედან შორს არის?

_ არა უშავს რა, ამბობენ, სადღაც ქვემოთ არის  მდინარის ნაპირზე, სამხრეთისაკენაო. იქნებ ახლო გახლავთ თომასთან? _ იკითხა ხლოამ.

_ არა, ხლოა! ლუნევილიდან სამხრეთ შტატებამდის კიდევ დიდი მანძილია.

ამ სიტყვების გაგონებაზე ხლოას სახე მოეღრუბლა.

_ მაინც ცოტა უფრო ახლო იქნები, _ ანუგეშა ქალბატონმა. _ მე თანახმა ვარ, გაგიშვა. სანამ შენ იქ შეაგროვებ რამეს, მეც აქ მთელ შენს ჯამაგირს შეგინახავ და თომას გამოსახსნელ თანხას მივუმატებ.

თითქოს მზემ გამოაშუქაო, ისე გაუბრწყინდა ხლოას სახე სიხარულისაგან.

_ რა კეთილი ბრძანდებით, ქალბატონო! მე თვითონ არაფერი დამჭირდება _ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი _ ყველაფერი მაქვს, ყოველ გროშს გამოვნასკვავ. რამდენი კვირა არის წელიწადში ქალბატონო?

_ ორმოცდათორმეტი.

_ აი, რამდენი ფული შეგროვდება: კვირაში ოთხი დოლარი რას იზამს წელიწადში?

_ ორას რვა დოლარს, _ უთხრა ქალბატონმა.

_ ხედავ, რა ბევრია! _ წამოიძახა გაკვირვებულმა ხლოამ. _ დიდხანს დამჭირდება მეშაქარლამესთან მუშაობა, ქალბატონო, რომ საჭირო ფული შევაგროვო?

_ ოთხი ან ხუთი წელიწადი, მაგრამ შენ იქ ნაკლებს დარჩები, რადგან მეც დაგეხმარები, რითაც შევძლებ.

_ ქალბატონს გაკვეთილებზე სიარული არ დასჭირდება, მე ჩემს ბატონებს ეგრე არ გავუჭირვებ საქმეს, _ უთხრა ხლოამ ქალბატონს მადლიერი ხმით.

_ ჩემი დარდი ნუ გაქვს, ხლოა, _ უპასუხა ქალბატონმა შელბიმ ღიმილით. _ როდის წახვალ ლუნევილში?

_ სამი ლაპარაკობდა, ამ დღეებში კვიცები უნდა წავასხა ბაზარზე გასაყიდადო; მაშინ გავყვებოდი მეც. დიდი ბარგი არა მაქვს ჩასალაგებელი. თუ მოწმობას მიბოძებს ქალბატონი, ხვალვე გავემგზავრები.

_ ეგ ყველაფერი კარგია, ხლოა, მაგრამ ჩემს ქმარსაც უნდა მოველაპარაკო ამაზე.

ქალბატონი ოთახში შევიდა, ხლოა კი გახარებული დაბრუნდა თავის ქოხში და მზადებას შეუდგა. საღამოთი ჯორჯ შელბი შევიდა მამიდა ხლოასთან და ხლოამ ჯორჯს ახალი ამბავი ახარა.

_ ჩემო ბატონიშვილო! თქვენ იქნება არ იცით, რომ მე ხვალ ლუნევილში მივდივარ? აი, ახლა ბარგს ვალაგებ, ბავშვებს საცვლები უნდა დავუმზადო. იცი, ჯორჯ, მე კვირაში ოთხი დოლარი მექნება ჯამაგირი და ეს ფულები უნდა მოვაგროვო თომას გამოსასყიდად. ამას გარდა, დედათქვენი დამპირდა დახმარებას.

_ ეგ ძალიან კარგი საქმეა! _ წამოიძახა ჯორჯმა სიამოვნებით. _ როდის აპირებთ წასვლს, მამიდა ხლოა?

_ ხვალ დილით; სამს მივყავარ. გეხვეწებით, ბატონო, დაბრძანდით და ყველაფერი მისწერეთ თომას.

_ დიდი სიამოვნებით, _ თქვა ჯორჯმა. _ წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაუხარდება ბიძია თომას. მე გავიქცევი, ქაღალდსა და საწერ-კალამს მოვიტან. ჩვენს ცხენებზედაც მივწერ, ხომ კარგი იქნება, რომ მივწერო, მამიდა ხლოა?

_ ძალიან კარგი იქნება! აბა, მაშ თქვენ საწერ-კალმისათვის მიბრძანდით და მე მანამ აქ ვარიას მოგიხრაკავთ. ეს იქნება ბებერი ხლოას გაკეთებული უკანასკნელი ვახშამი.

## მეოცე თავი

## ევა

ორი წელიწადი გავიდა, რაც თომა სენ-კლერის სახლში ცხოვრობდა. ის ყოჩაღად იყო, იმისდა მიუხედავად, რომ მოწყვეტილი იყო ოჯახს, ცოლ-შვილს და ყველაფერს, რაც იმისათვის ძვირფასი იყო ამქვეყნად.

თავისუფალ დროს საღვთო წიგნებს კითხულობდა თავის ოთახში. ეს მატებდა მას ძალ-ღონეს, სიმხნევესა და უკეთესი მომავლის იმედს აძლევდა. შეუდრეკელი იყო, რაც უნდა გაჭირვება დასდგომოდა.

ამავე დროს, თომამ მიიღო ჯორჯის წერილიც; იმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ათასჯერ გადაიკითხა საყვარელი ბავშვის წერილი და განუსაზღვრელი სიამოვნება იგრძნო, როცა ამოიკითხა, რომ მახლობლები ზრუნავენ და ცდილობენ იმის გამოსყიდვას.

თომასა და ევას მეგობრობაც თანდათან იზრდებოდა. თომას ბავშვი ძალიან შეუყვარდა. მისთვის რამე სურვილის ასრულება, სასიამოვნო საქმის გაკეთება _ თომას დიდ სიხარულს ანიჭებდა. დილით თომა წავიდოდა ბაზარში, მოძებნიდა საუკეთესო ფორთოხალს, ატამს, ყვავილების ლამაზ თაიგულს, იყიდდა და ევას მოუტანდა. ბავშვი ყოველთვის მოუთმენლად ელოდა ბაზრიდან თომას დაბრუნებას. «რა მომიტანა დღეს ბიძია თომამ?» _ იკითხავდა ევა, ბაზრიდან დაბრუნებულ თომას რომ დაინახავდა. ბავშვის საოცარი ღიმილი, იმისი წკრიალა ხმა, ოქროსფერი თმით შემოსილი თავის დანახვა დაობლებული ადამიანის გულს ნეტარებას აგრძნობინებდა ხოლმე. ევაც თავის მხრივ იმაზე ფიქრობდა, რით გაეხარებინა თომა, წიგნის კარგი კითხვა იცოდა და დიდი ხალისით კითხულობდა ხოლმე. პირველად მხოლოდ თომას გულისათვის კითხულობდა ხმამაღლა, მაგრამ იმის მგრძნობიარე სულს ნელ-ნელა ჩაეწვეთა კარგი სიტყვები და ბავშვს სურვილი აღეძრა, რამე კეთილი საქმე გაეკეთებინა დაჩაგრული მონებისათვის.

ბავშვს არ შეეძლო, ყველაფერი გაეგო, მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზე ხედავდა ბოროტებასა და უსამართლობას, და ეს ტანჯავდა იმის მგრძნობიარე პატარა გულს.

არაერთხელ შეშინებია სენ-კლერს, ბავშვი რომ ნამტირალევი უნახავს. ევას ხან ძიძის მდგომარეობა აწუხებდა, რომელიც ქმარ-შვილს დააშორეს, ხან თომასი, ხან კიდევ სხვა რომელიმე მონისა. მამა რომ დამშვიდებას შეეცდებოდა, ასე იტყოდა ხოლმე ბავშვი:

_ ოჰ, მამილო, მძიმე ლოდივით მაწევს გულზე ამ ადამიანების მწუხარება!

სენ-კლერის ოჯახი საზაფხულოდ პონშარტზენის ტბის ნაპირზე წავიდა. მათ იქ მშვენიერი საკუთარი სახლი ჰქონდათ სააგარაკოდ. ცხელი ზაფხული იყო, ქალაქში აუტანელი სიცხეები დაიჭირა და საშინელი მტვერი იდგა. ყველა, ვისაც კი შეეძლო, სოფლად გავიდა. სენ-კლერის აგარაკს გარშემო დიდი ბაღი ერტყა. ჰაერში ყოველთვის ათასნაირი სურნელოვანი ყვავილის სუნი ტრიალებდა, ასწლოვანი ხეები და უზარმაზარი ტბის სიახლოვე იმდენად აგრილებდა ჰაერს, რომ ამ მშვენიერ სასახლეში  საამურად ატარებდა ადამიანი ცხელ ზაფხულს.

მოწმენდილი საღამო იყო, ჩამავალი მზის შუქი ალისფერ ზოლებად ისახებოდა ტბის გამჭვირვალე ტალღებში. აქა-იქ მოჩანდნენ აფრაგაშლილი გემები. ბინდში ისინი მოჩვენებებს წააგავდნენ.

ბუნება ძილს აპირებდა, ცაზე თითო-ოროლა ვარსკვლავი გამოჩნდა. სასიამოვნო იყო მყუდრო კუნჭულიდან ამ საუცხოო სურათის ხილვა. თომა და ევა გრძელ სკამზე ისხდნენ ხეივანში ტბის პირას. ევას მუხლებზე გაშლილი წიგნი ედო, ის იყო მორჩნენ კითხვას და ახლა ბუნების მშვენიერებით ტკბებოდნენ.

_ ბიძია თომა! _ უთხრა ბავშვმა თომას და ტბისკენ გაიშვირა ხელი: _შეხედე, როგორ გავს ეს სურათი იმას, რაც ახლა წავიკითხეთ! ჰგავს, არა, ბიძია თომა?

_ დიახ, დიახ, ჩემო პატარა ქალბატონო! _ უპასუხა თომამ, რომელიც აღტაცებით შეჰყურებდა კეკლუც ბუნებას.

რამდენიმე წამმა გაიარა სიჩუმეში. ბავშვი კვლავ აღტაცებული შეჰყურებდა ცას.

_ ბიძია თომა, _ დაიწყო ისევ ბავშვმა, _ მე მგონია, რომ ჩქარა წავალ იქ, იმათთან!

ბავშვი წამოდგა და ხელი ცისკენ გაიშვირა. ჩამავალმა მზემ თავისი უკანასკნელი სხივი მოახვედრა ევას ოქროსფერ თმებს და შარავანდედში გაახვია ბავშვი. ევას მშვენიერი სახე გაუბრწყინდა.

შეშინებულმა თომამ ბავშვს შეხედა.

უსიამოვნო წინათგრძნობამ უკბინა გულზე. თომა ამჩნევდა, რომ უკანასკნელ ხანებში ბავშვი გახდა, ჩქარა იღლებოდა; როცა ოდნავ დაიღლებოდა, სუნთქვა უძნელდებოდა. ხშირად გაუგონია ოფელიასაგან _ ევას ახველებს და ვერაფერი ვუშველეთ ამ ხველასო.

ახლა, ამ უცნაური სიტყვების გაგონებაზე, თომამ შენიშნა, რომ ბავშვს ლოყები აენთო, სიცხისაგან. ხელი წაავლო მაჯაზე და ნახა, რომ ბავშვი საშინლად ცხელი იყო.

სამწუხაროა, რომ ასეთი ბავშვები, როგორიც ევა იყო, დიდხანს არ ცოცხლობენ. მათ სახელებს უფრო ხშირად საფლავების ქვაზე ვკითხულობთ. წმინდა სიყვარული და სიმართლის წყურვილი ისე ავსებს იმათ გულს, რომ სუსტი სხეული ვერ უძლებს ძლიერ გრძნობებს და ვერ იტანს მუდმივ სულიერ მღელვარებას.

ასეთი იყო პატარა ევაც და ამიტომ მასაც დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა ამქვეყნად. მას აქ მხოლოდ სუფთა ფაქიზი ბავშვობის გატარება ხვდა წილად. ვერავინ ამჩნევდა, როგორ დნებოდა ბავშვი, მახლობელი არავინ გრძნობდა ამას ნათლად და არ მოელოდა უბედურებას.

_ ევა, ჩემო კარგო, _ გაისმა ოფელიას ხმა, _ ჩქარა შემოდი, გენაცვალე, რად ზიხარ ბაღში მზის ჩასვლის შემდეგ? შეგცივა!

ოფელია შეჩვეული იყო ავადმყოფის მოვლას. ჭლექიანი ავადმყოფების მოვლაც გამოეცადა. შეამჩნია, რომ ევას ხანდახან ლოყები უყვითლდებოდა, ოფელიას არ გამოპარვია არც ის, რომ ბავშვს გამუდმებით ახველებდა.

ოფელიამ თავისი ეჭვები სენ-კლერს გაუზიარა, მაგრამ მამას გაგონებაც კი არ უნდოდა იმისი, რომ მის ევას რაიმე საფრთხე მოელოდა.

_ რა ყვავივით შემომჩხავი, დაო! მართლა, ცუდი არაფერი მომიტანო, _ ეტყოდა ხოლმე სენ-კლერი პასუხად ოფელიას, როცა ქალი ევას ავადმყოფობაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს: _ ვერა ხედავ, ბავშვი სწრაფად იზრდება, ტანს იყრის, ასეთ შემთხვევაში ბავშვი ყოველთვის ხდება.

_ მაშ, რა მიზეზია, რომ ბავშვს ახველებს? _ ჰკითხავდა ოფელია ბიძაშვილს.

_ ეგ არაფერია: ოდნავ გაცივდებოდა თამაშის დროს; ეგ ხველა საშიში არ არის.

_ მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯენს, ელენესა და მარიამს ახველებდათ და ჭლექი აღმოაჩნდათ.

_ ეჰ, დამეხსენი, თუ ხათრი გაქვს! _ თქვა გაჯავრებულმა სენ-კლერმა: _ შენ სულ საზარელი სურათები გეხატება თვალწინ. ასე ცხოვრება არ შეიძლება. ევას გაუფრთხილდი _ აი, რა არის საჭირო. ნუ გაუშვებ საღამოთი ცივ ჰაერზე; ეცადე, არ იღლებოდეს საქმით ან თამაშით.

თუმცა სენ-კლერი ასე ელაპარაკებოდა ოფელიას, გუნებაში ძალიან ეშინოდა და ღელავდა. თვითონაც დაუწყო ბავშვს თვალყურის დევნება და გვერდიდან არ იშორებდა. ევა ხშირად სეირნობდა მამასთან ერთად ცხენით. სენ-კლერი ყოველდღე უზიდავდა ბავშვს ახალ-ახალ წამლებს და ერთგულად ასმევდა, თუმცა, ამავე დროს, ამბობდა: ევას წამლები არ ესაჭიროება, მაგრამ არც საზიანოაო.

მას ყველაზე მეტად ბავშვის არაჩვეულებრივი აზროვნება აწუხებდა, მისი სერიოზული გრძნობები. ევა ხანდახან ისეთ რამეებს ლაპარაკობდა, რომ იმისი

წლოვანებისათვის წარმოუდგენელი იყო. ასეთ წუთებში სენ-კლერი რაღაც გამოუთქმელ შიშს გრძნობდა. მაგრად მიიკრავდა ბავშვს გულზე, თითქოს ეშინოდა, არავინ მომტაცოსო.

ბავშვი სულ უფრო მეტ სიყვარულსა და სიბრალულს გრძნობდა ირგვლივ ყველას მიმართ და ყველაზე ზრუნავდა. თუმცა ტოპსისთან და სხვა ბავშვებთან თამაშობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ აზრებით სხვაგან იყო. ხშირად, როცა ტოპსის ცუღლუტობას უყურებდა, მწარედ ჩაფიქრდებოდა.

_ დედა, _ ჰკითხა ერთხელ დედას ევამ, _ რატომ ჩვენი ზანგები წერა-კითხვას არ სწავლობენ?

_ რა უაზრო კითხვას მაძლევ, ევა! _ უპასუხა დედამ, _ ზანგებს არსად არ ასწავლიან წერა-კითხვას.

_ რატომ?

_ იმიტომ, რომ იმათთვის წერა-კითხვა საჭირო არ არის. ეს მათ მუშაობას არ გაუადვილებს. ზანგები კი მუშაობისათვის არიან გაჩენილები.

_ მე მგონია, _განაგრძო ევამ, _ მონებმა წერა-კითხვა უნდა იცოდნენ, რომ კარგი წიგნებით შეისწავლონ წესიერი ცხოვრება.

_ მაგდენს იმათ ყოველთვის წაუკითხავს ვინმე.

_ მე კი მგონია, დედა, რომ წიგნებს ყოველი კაცი თვითონ უნდა კითხულობდეს. თუ კაცმა წიგნი არ იცის, არც წამკითხველი ჰყავს, მაშინ რაღა ქნას?

_ რა უცნაური ბავშვი ხარ, შვილო! _ წარმოთქვა მარი სენ-კლერმა.

_ მამიდა ოფელიამ ტოპსის ასწავლა წერა-კითხვა, _ განგრძო ლაპარაკი ევამ.

_ მერე, რა სარგებლობას მოუტანს ტოპსის წერა-კითხვა? _ თქვა ქალბატონმა სენ-კლერმა: _ იმაზე გაფუჭებული ბავშვი ჩვენს სახლში არ მოიპოვება.

_ ჩემს ძიძასაც ძალიან უყვარს წიგნები.

ქალბატონი სენ-კლერი რაღაც ყუთს ალაგებდა, საქმეს თავი დაანება და სერიოზული კილოთი უთხრა ევას:

_ როცა წამოიზრდები, ევა, და საზოგადოებაში გახვალ, მაშინ მონებისათვის წიგნის საკითხავად აღარ გეცლება. იმიტომ კი არ გეუბნები ამას, რომ არ მომწონს შენი საქციელი. მე თვითონაც ვუკითხავდი შენხნობას, მაგრამ როცა საფიქრებლად კაბის შეკერვა და დროს ტარება გაგიხდება, მაშინ შენ მაგათთვის დრო აღარ გექნება. უყურე, რა მშვენიერი ბრილიანტია! პირველად რომ წამიყვანეს საცეკვაო საღამოზე, მაშინ გავიკეთე. როცა გაიზრდები, შენ გაჩუქებ.

ევამ ცალი თვალით გადახედა ბრჭყვიალა სამკაულს.

_ რას ფიქრობ, შვილო? _ ჰკითხა დედამ, როცა ბავშვს ჩაფიქრება შეამჩნია.

_ დედა, ეს ძვირფასია? _ჰკითხა ბავშვმა.

_ ჰო, შვილო! მამაჩემმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა. ეს სამკაული დაუფასებელია.

_ ნეტავი ჩემი იყოს! _ თქვა ევამ.

_ რად გინდა, შვილო?!

_ ახლავე გავყიდდი და იმ ფულით ვიყიდდი ბლომად მიწას ისეთ ადგილას, სადაც მონობა არ არის, და იქ დავასახლებდი ყველა ჩვენს მონას. მივუჩენდი მასწავლებელს და ყველას ვასწავლიდი წერა-კითხვას.

მარის გულიანად გაეცინა.

_ ერთი სიტყვით, შენ იქ სასწავლებელს გახსნიდი, ასწავლიდი ფორტეპიანოზე დაკვრას, ხავერდზე ქარგვასა და ამისთანებს.

_ არა, დედილო! _ მტკიცედ უპასუხა ევამ: _ მე ვასწავლიდი იმათ წერა-კითხვას, რომ წერილების შედგენა შეძლებოდათ. დედილო, ღმერთმანი, ახლა აუტანელია მათი ცხოვრება; ბიძია თომა ამას ძალიან კარგად გრძნობს, ძიძაცა და ბევრი სხვაც.

_ ბავშვურად მსჯელობ, ევა! _ შენიშნა დედამ, _ თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს, თავი ამტკივდა.

მარი ყოველთვის თავის ტკივილს მოიგონებდა, როცა სურდა, შეეწყვიტა უსიამოვნო ლაპარაკი.

ევა ხმაამოუღებლად გავიდა ოთახიდან.

## ოცდამეერთე თავი

## ჰენრი

ამ ხანებში სენ-კლერს სტუმრად ეწვია ძმა პატარა ვაჟიშვილით.

სენ-კლერი და იმისი ძმა არაფრით არ ჰგვანდნენ ერთმანეთს _ არც სახით, არც ხასიათით, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

სასიამოვნო სანახავი იყო, როცა ძმები ხელიხელგაყრილნი დასეირნობდნენ ბაღში და შეუჩერებლივ მასლაათობდნენ. ბავშვებიც ჩქარა დამეგობრდნენ. ჰენრი ლამაზი ბავშვი იყო, შავი თმა და შავი დიდრონი თვალები ჰქონდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ამაყი და ფიცხი ბავშვი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ევას მეტად ალერსიანად ეპყრობოდა. პირველი გაცნობიდანვე ევამ უცებ დაიმორჩილა იმისი გული.

ევას პატარა თეთრი ცხენი ჰყავდა, იმით დასეირნობდა ხოლმე.

ერთხელ ბავშვები სასეირნოდ მიდიოდნენ. თომამ მოიყვანა სასახლესთან ევას პატარა ცხენი. თომას გვერდით ცამეტი წლის ბიჭს ეჭირა მშვენიერი დაბალი ტანის არაბული ცხენი. ეს ძვირფასი ცხენი ჰენრის მამამ ახლახან გამოიწერა შვილისათვის. პატარა მეჯინიბეც ჰენრის საკუთრებას შეადგენდა. ჰენრის თავი მოსწონდა ლამაზი ცხენით და ახლაც გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება _ სუფთად იყო შენახული თუ არა.

_ ეს რა არის? როგორ უსუფთაოდ გყავს ცხენი? _ დაუყვირა ბატონმა პატარა ბიჭს. _ ვგონებ, დღეს თავი არ შეგიწუხებია, რომ რიგიანად გაგესუფთავებინა.

_ როგორ არა, ბატონო! _ მორჩილად უპასუხა ბიჭმა. _ კარგად გავწმინდე, მაგრამ ისევ გამტვრიანდა.

_ გაჩუმდი! _ უფრო ძლიერ დაუყვირა ჰენრიმ და ბიჭს მათრახი დაუქნია.

ბიჭი წლოვანებით თავისი ბატონის ხნისა იყო: ცდილობდა, თავი ემართლებინა; სირცხვილით სახე აუჭარხლდა და თვალებმა სიბრაზისაგან ელვა დაუწყო.

ჰენრიმ მოთმინება დაკარგა და მათრახი გადაჰკრა.

_ აი, ესეც შენ _ ბევრი ლაპარაკისათვის! _ უთხრა იმან მონას. _ წაიყვანე ახლავე და კარგად გაწმინდე ცხენი!

როცა ბავშვმა ტირილით წაიყვანა ცხენი, თომა გამოექომაგა:

_ მე ჩემი თვალით ვნახე, ცხენი გასუფთავების შემდეგ მტვერში გაგორდა.

_ შენ არავინ გეკითხება, _ მკვახედ მიუგო ჰენრიმ და აივანზე ავიდა ევასთან. იგი სასეირნო ტანისამოსში იყო გამოწყობილი.

_ საყვარელო დაო, მაპატიე, რომ ბრიყვის გადამკიდე ამდენ ხანს გაცდევინებ, აქ დავსხდეთ, სანამ ჩემს ცხენს მოიყვანენ. რა ფერი გაძევს? როგორ მკაცრად იცქირები?

_ როგორ არა გრცხვენია, ჰენრი, რომ ასე სასტიკად, ასე ცუდად ეპყრობი მონებს? _ უსაყვედურა ევამ ბიძა-შვილს.

_ განა რა დავაშავე სასაყვედურო, ძვირფასო ევა?! _ გაიკვირვა ჰენრიმ.

_ ძვირფას ევას ნუღარ მეძახი, შენ ცუდი ბავშვი ყოფილხარ.

_ შენ არ იცნობ, ევა, მაგ ბიჭს! მაგას კაცი ვერაფერს გააგონებს უმათრახოდ. მამაჩემიც ეგრე ექცევა მონებს.

_ ხომ გაიგონე, ბიძია თომამ თქვა _ ბავშვი დამნაშავე არ არისო. ის თავის დღეში ტყუილს არ იტყვის.

_ იშვიათი ზანგი ყოფილა! ჩვენი მონები კი ყველანი მატყუარები არიან.

_ იმიტომ, რომ თქვენ ისინი დაშინებულები გყავთ. ადამიანს შიში აიძულებს იცრუოს!

_ კარგი, კარგი, დაო! შენ ისე გამოექომაგე ჩემს ბიჭს, რომ, გეფიცები, მე იმას შენთან არასდროს დავსჯი.

ასეთი დაპირება ევას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს, რადგანაც ხედავდა, რომ აგრე ადვილად ვერას შეასმენდა თავის ბიძაშვილს, რომელიც საშინლად გაერყვნა დედ-მამას და მისთვის ბატონყმური აზრები ჩაენერგა.

ბიჭმა ჩქარა მოჰგვარა ბატონს გაწმენდილი ცხენი. ევამ შეამჩნია, რომ ბავშვს ნამტირალევი თვალები ჰქონდა და რამდენიმე ალერსიანი სიტყვა უთხრა ნუგეშად, როცა ბიჭი ევას ცხენზე შეჯდომას შველოდა. ჰენრის ცოტა შერცხვა თავისი საქციელის და შეეცადა, დაეყვავებინა მსახურისათვის. რამდენიმე გროში გადაუგდო ბიჭს საჩუქრად, ხილი იყიდეო.

პატარა ბიჭმა მადლიერი თვალით გადახედა ევას კეთილი სიტყვისათვის. ამ სიტყვებმა უფრო მეტად ასიამოვნა, ვიდრე ბატონის ნაჩუქარმა გროშმა.

მათმა მამებმა ყველაფერი დაინახეს ფანჯრიდან. ევას მამა დიდხანს ეკამათებოდა ძმას, რომელიც ექომაგებოდა შვილს და იმის საქციელს ხასიათის სიფიცხით ხსნიდა.

_ მერე რად უწყობ ხელს ასეთი ხასიათის განმტკიცებაში? რად აძლევს ნებას, რომ თავისსავე ტოლ ბავშვს აგრე მოექცეს? _ ეკითხებოდა სენ-კლერი.

_ რა ზომები შემიძლია მივიღო? _ უპასუხებდა ჰენრის მამა: _ ეგ დაბადებით ეგეთი ფიცხია. ვერც მე, ვერც ჩემი მეუღლე ვერაფერს ვაწყობთ მაგასთან, როცა გუნება აემღვრევა ხოლმე. რაც შეეხება ამ ბიჭს, სწორი მოგახსენოთ, მაგათთან სხვანაირად ვერაფერს გააწყობ.

ევას მამა ააღელვა ძმის სიტყვებმა; ძმებმა დიდხანს იკამათეს მონობის შესახებ, ისინი სულ სხვადასხვა შეხედულებისა იყვნენ ამ საკითხზე.

ცხენის ფეხის ხმა მოისმა: ბავშვები სეირნობიდან დაბრუნდნენ. მამა გამოეგება ევას ეზოში.

_ შვილო, ევა! _ უთხრა იმან ცხენიდან გადმოყვანის დროს: _ გეტყობა, დაღლილხარ.

_ არა, მამილო! _ უპასუხა ბავშვმა.

მაგრამ ევა მძიმედ სუნთქავდა. მამას შეეშინდა.

_ როგორ შეიძლება ცხენის გაჭენება! ხომ იცი, ეგ შენთვის მავნებელია.

_ მამილო, მე ისე კარგად ვგრძნობ თავს, რომ დამავიწყდა ჩემი ავადმყოფობა.

სენ-კლერმა ხელში აიყვანა ბავშვი, შეიყვანა სასტუმრო დარბაზში და დააწვინა დივანზე.

_ ჰენრი, _ უთხრა სენ-კლერმა ძმისწულს, _ გაუფრთხილდი ევას, ეგრე ნუღარ აჭენებთ ცხენებს.

_ თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ნუ შეწუხდებით, ბიძია, მე მოვუვლი ევას.

ის მოუჯდა ევას გვერდით და მაჯა დაუჭირა.

_ ევა, მე ძალიან ვწუხვარ, რომ მამა ჩქარა წამიყვანს აქედან. მერე როდისღა გნახავ? მე რომ აქ დიდხანს დავრჩენილიყავ, ზევრად მომირბილდებოდა ხასიათი და ჩემს ბიჭს უდიერად აღარ მოვეპყრობოდი. მე იმისათვის ცუდი არა მსურს, მაგრამ, როცა გავბრაზდები, თავს ვეღარ ვიკავებ. ეგ ჩვენს სახლში ისეთ ცუდ მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორც შენა გგონია. ამ ბიჭს ჩვენ კარგად ვინახავთ: ვაცმევთ, კარგი ჭამა-სმა აქვს და ზოგჯერ ფულსაც ვაჩუქებ ხოლმე. მე ვგონებ, კმაყოფილია თავისი ცხოვრებით.

_ განა ბედნიერი იქნებოდი, ჰენრი, რომ არავის უყვარდე? _ ჰკითხა ევამ.

_ არა, _ გადაჭრით უპასუხა ჰენრიმ.

_ აი, ხედავ, ეგ ბიჭი მოუშორებიათ თავისი ოჯახისათვის. აბა ვის უყვარს იგი თქვენს სახლში?

_ მე ამ შემთხვევაში არავითარი შველა არ შემიძლია, _ უპასუხა ჰენრიმ.

_ რატომ შენ თვითონ არ გიყვარს ეგ ბიჭი? _ განაგრძო ლაპარაკი ევამ.

_ რად უნდა მიყვარდეს? _ ჰენრიმ ვერ გაიგო ევას სიტყვების აზრი: _ შენც ხომ არ გიყვარს შენი მონები.

_ მე მიყვარს, _ უპასუხა ევამ.

_ უცნაურია!

ევა გაჩუმებული იცქირებოდა ძირს.

_ მაინც გთხოვ, _ განაგრძო ევამ, _ კეთილი ადამიანი იყო და საწყალ უცხო ბავშვს ალერსიანად ეპყრობოდე. დამპირდი, თუ გიყვარვარ, რომ თხოვნას ამისრულებ.

_ შენი გულისათვის, ჩემო ძვირფასო, ვისაც გინდა, შევიყვარებ! _ წამოიძახა ჰენრიმ: _ ჩემს სიცოცხლეში შენზე კარგი არავინ მინახავს!

ევამ ჰენრის სიტყვები დინჯად, დარბაისლურად მოისმინა, მაგრამ ამ სიტყვებმა იმის თავმოყვარეობას არაფერი მისცა.

_ მოხარული ვარ, რომ კარგი სურვილები გაქვს, ჰენრი, _ უთხრა ევამ ბიძაშვილს ალერსიანად. _ არ დაივი-წყო შენი დაპირება.

ამ დროს სადილის ზარი დაირეკა და ბავშვები სასადილოში წავიდნენ.

## ოცდამეორე თავი

## მამისა და შვილის საუბარი

ორი დღის შემდეგ სტუმრები წავიდნენ. სანამ სტუმრები იყვნენ სახლში, ევა ისე გამოცოცხლდა და გამხიარულდა, რომ ყველას დაავიწყდა მისი ავადმყოფობა, მაგრამ სტუმრების წასვლის შემდეგ სწრაფად დაეტყო სისუსტე. ახლა კი ყველამ იგრძნო, რომ ბავშვი მძიმე ავადმყოფი იყო. მხოლოდ მარი ვერ გრძნობდა ბავშვის მდგომარეობას. ნებივრობამ შთანთქა და შვილისათვის არ ეცალა. სწყინდა ხოლმე, როცა ოფელია ბავშვის ავადმყოფობაზე ეტყოდა რასმე.

_ მე საშიშს ვერაფერს ვხედავ ევას მდგომარეობაში, _ უპასუხა მარიმ ოფელიას, როცა ამ უკანასკნელმა კიდევ ჩამოუგდო ლაპარაკი ევას ავადმყოფობაზე.

_ აბა, ყურადღება მიაქციეთ, როგორ ახველებს ბავშვს! _ თქვა ოფელიამ.

_ ეგ რა ხველაა! მე რომ ევას ხნისა ვიყავი, უფრო მაგრად მახველებდა, ეშინოდათ, ჭლექი არ გამჩენოდა.

_ ევას ახველებს, დღითი დღე სუსტდება, სუნთქვა უძნელდება ბავშვს.

_ ეგ ნერვების ბრალია. მახსოვს, ძლივს ვსუნთქავდი ხოლმე.

_ ღამე ოფლი რომ მოსდის? _ არა ცხრებოდა ოფელია.

_ არც ეგ არის საშიში, _ თქვა ქალბატონმა სენ-კლერმა. _ ღამით ოფლი ნერვების სისუსტემაც იცის. ძიძა ახლაც ხშირად გამომიცვლის ხოლმე ღამღამობით ოფლიან საცვლებს.

ოფელია გაჩუმდა, რაკი დარწმუნდა, რომ მარისთან ლაპარაკი ამაო იყო. იცოდა კი, რომ ასეთი უცნაური უდარდელობა დედისა დიდხანს ვერ გასტანდა. როცა ევა ისე ცუდად გახდა, რომ რამდენიმე ექიმი მოიწვიეს, მაშინ დედაც შეფიქრიანდა და მეორე უკიდურესობა დაეტყო: ახლა მხოლოდ იმასღა ლაპარაკობდა, რომ ის უბედური დედაა, რომ წინათვე გრძნობდა და მოელოდა ამას. მწუხარებამ ნერვები აუშალა: ყველას უჩიოდა, ყველას ლანძღავდა; არც დღე, არც ღამე არავის მოსვენებას არ აძლევდა.

_ ჩემო მარი, _ ეტყოდა ხოლმე სენ-კლერი ცოლს: _ რად ეძლევი უიმედობას? განა არავითარი შველა არ შეიძლება? ექიმს ხომ ჯერ მორჩენის იმედი არ დაუკარგავს?

_ შენ შეგიძლია მხიარულად უყურო მომავალს და იმედები იქონიო, ეგ შენთვის ძალიან კარგია, _ უპასუხებდა ხოლმე ქმარს ქალბატონი სენ-კლერი, _ მაგრამ არ შეგიძლია მიხვდე დედის გრძნობებს.

ნერვებაშლილი დედაკაცი ხან ვის მივარდებოდა და ხან ვის. ყველას გულქვაობას უკიჟინებდა, უსაყვედურებდა, რომ არავის ესმოდა მისი ტანჯვა.

ევას ხშირად ესმოდა დედის ბუზღუნი და ეს საშინლად აწუხებდა.

ორმა კვირამ გაიარა. ევამ ცოტათი მოიხედა. მაგრამ ეს არ იყო საღი ადამიანის გამოკეთება. ასეთმა ავადმყოფებმა ხშირად იციან უკანასკნელ ჟამს მოხედვა. ევამ კიდევ შეძლო სეირნობა ბაღში, აივანზე. ის ხანდახან თამაშობდა და იცინოდა კიდეც ძველებურად. მამას ძლიერ უხაროდა ბავშვის გამობრუნება და ყველას ახარებდა ევას გამოკეთებას; იმედი ჰქონდა, ბავშვი ჩქარა სულ კარგად შეიქმნებაო. ექიმი და ოფელია კი სხვას ფიქრობდნენ. ამ ცვლილებამ ვერ მოატყუა ისინი და თვითონ ბავშვსაც არ მისცემია მორჩენის იმედი. სიკვდილისაგან ნიშანში ამოღებული ადამიანი როგორღაც გრძნობს ამას. ევაშიც ასეთი ცვლილება მოხდა. ის გრძნობდა, რომ ამქვეყნად დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა. ამ საგანზე მას ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. საკვირველი იყო: ფუფუნებაში აღზრდილი ბავშვი არ ნანობდა, რომ ამქვეყნიურ ბედნიერ ცხოვრებას ტოვებდა. მხოლოდ იმასა წუხდა, რომ სიკვდილი დააშორებდა საყვარელ ადამიანებს; განსაკუთრებით აწუხებდა მამის მდგომარეობა. იცოდა, რომ მის მამას მეტი მახლობელი და საყვარელი არავინ რჩებოდა. დედაც ენანებოდა. მგრძნობიარე გულში მშობლის სიყვარული ღრმად ჰქონდა ჩანერგილი. ყველა მონა ენანებოდა. სურდა, სანამ ცოცხალი იყო, რამე გაეკეთებინა მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ერთხელ, სადილის შემდეგ, სენ-კლერი აივანზე იჯდა. ამ დროს ბაღიდან ევაც ამოვიდა. მისი ოქროსფერი თმები მზეზე საუცხოოდ ბრჭყვიალებდა. ლოყები გაწითლებული ჰქონდა. ბავშვს თეთრი, გაქათქათებული კაბა ეცვა და ანგელოზს ჰგავდა.

მამამ ჯერ გაოცებით შეხედა ბავშვს, მერე კი მაგრად ჩაიკრა გულში.

_ მამილო, _ მტკიცე ხმით უთხრა ევამ, _ დიდი ხანია, შენთან ერთ საქმეზე მინდა ლაპარაკი. მინდა მოგელაპარაკო, სანამ ძალ-ღონე მაქვს.

ამ სიტყვების გაგონებაზე სენ-კლერს თავში რაღაცამ დაჰკრა.

ბავშვი მამის მუხლზე დაჯდა და პატარა თავი მკერდზე მიაყრდნო.

_ მამილო, მე აღარ შემიძლია დავფარო ის, რასაც ვგრძნობ, _ დაიწყო ბავშვმა, _ ვიცი, რომ ჩქარა სამუდამოდ გამოვეთხოვები ამ ქვეყანას.

ბავშვს ტირილი მოერია ამ სიტყვებზე.

_ შვილო, ავადმყოფობისაგან დასუსტებული ხარ, ნერვები აგეშალა და ამიტომ მოგდის თავში ასეთი საზარელი აზრები.

სენ-კლერი დამშვიდებული ხმით ლაპარაკობდა, თუმცა შიშით გული უსკდებოდა.

_ არა, მამილო, ნუ ატყუებ შენ თავს; მე უკეთ არა ვარ, ეს კარგად ვიცი. არც საზარელი ფიქრები და სისუსტე მალაპარაკებს. ვგრძნობ, რომ მძიმე ავადმყოფი ვარ და თქვენ, ჩემი საყვარელი ადამიანები რომ არ მენანებოდეთ, სრულ ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს. მე მსურს სიკვდილი.

_ რამ მოგაბეზრა ასე სიცოცხლე, შვილო? ვგონებ, ჩვენ საკმაოდ ვზრუნავთ შენი ბედნიერებისათვის?

_ ამქვეყნად კარგია სიცოცხლე, როცა საყვარელ ადამიანებს შეჰყურებ, მაგრამ გარშემო ბევრი უსამართლობა ტრიალებს, ბევრი იტანჯება უბრალოდ და ამიტომ არ ვნანობ ამ ქვეყნის მოშორებას.

_ ჩემო სიცოცხლევ, რა ბოროტებას ხედავ ამქვეყნად, რატომ არ მეტყვი?

_ საშინელ, აუტანელ მდგომარეობაშია საწყალი ხალხი, მამილო! მე იმათ ყველას ვუყვარვარ. მამილო, მე მსურს ისინი ყველანი გაათავისუფლო.

_ განა ჩვენი მონები ცუდ პირობებში ცხოვრობენ, შვილო?

_ არა, მამილო, იფიქრე, რა მოუვათ, როცა შენ აღარ იქნები. შენისთანა ადამიანი იშვიათია ქვეყანაზე. აი, ბიძია ალფრედი არა გგავს შენ, არც დედა. ამათზე უფრო სასტიკი ბატონებიც იქნებიან კიდევ. აბა, იფიქრე, მამილო, რა საშინელ დღეში შეიძლება ჩაცვივდნენ ჩვენი მონები.

ევას გააჟრჟოლა.

_ შვილო, შენ მეტად მგრძნობიარე გულისა ხარ. ვნანობ, რომ ნებას გაძლევდი და სამწუხარო ამბებს ყურს უგდებდი.

_ აი, სწორედ ეგ მწყინს, მამილო! შენ გსურს, რომ მე ბედნიერად ვიცხოვრო, რომ ჩემს ყურამდის არავითარი სამწუხარო ამბავი არ აღწევდეს, უმრავლესობა კი მთელ თავის სიცოცხლეში მწუხარების მეტს არაფერს ხედავს. მე ყველაფერი უნდა ვიცოდე, ყველაფერი მესმოდეს, სხვის უბედურებას უნდა ვგრძნობდე. აი ეს აზრები მაწვებოდა გულზე ყოველთვის მძიმე ლოდად. მე სულ ამაზე ვფიქრობდი ხოლმე. მამილო, მითხარი, გენაცვალე, განა არ შეიძლება მონების განთავისუფლება?

_ მეტად ძნელ კითხვას მაძლევ, შვილო! მეც და ბევრი სხვაც ფიქრობს, რომ მონობა ბოროტებაა. მაგრამ, როგორ უნდა მოისპოს მონობა _ ეს კი ხეირიანად არავისა გვაქვს წარმოდგენილი; ეს ძნელი საქმეა.

_ მამილო, შენ ჭკვიანი და კეთილი ადამიანი ხარ. კარგი ლაპარაკიც იცი. განა არ შეგეძლო, მისულიყავი ჩვენს მეზობლებთან და დაგერწმუნებინა ისინი, რომ საჭიროა მონების განთავისუფლება? როცა მე მოვკვდები, მამილო, ჩემს სახსოვრად უთუოდ გაათავისუფლე ჩვენი მონები. იმედი მაქვს, ამ თხოვნას ამისრულებ.

_ როცა შენ მოკვდები, ევა! _ მწარე ნაღველით წარმოთქვა სენ-კლერმა, _ ნუ ლაპარაკობ ასე, ჩემო ძვირფასო: ამქვეყნად შენს მეტი არავინა მყავს და უზომოდ მტანჯავს შენი სიტყვები!

_ ძიძასაც ყველაზე ძლიერ თავისი შვილები უყვარს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იძულებულია, მთელი თავისი სიცოცხლე იმათგან მოშორებით გაატაროს. ძვირფასო მამილო! იზრუნე ამ უბედურთათვის, შეისმინე ცრემლები ჩემი საყვარელი ძიძისა: რამდენჯერ მინახავს ის ცხარე ცრემლებით მტირალი. ან ბიძია თომა _ იმასაც ხომ უყვარს თავისი შვილები? საშინელებაა, რაც ახლა ხდება ქვეყანაზე!

_ დამშვიდდი, ჩემო პაწიავ, ნუ შფოთავ, ნუ ლაპარაკობ სიკვდილზე და ნუ მტანჯავ! მე მზად ვარ, ყველაფერი აგისრულო.

_ სიტყვა მომეცი, ძვირფასო მამილო, რომ თომას უეჭველად გაათავისუფლებ, როცა... _ ბავშვს სიტყვა გაუწყდა, თითქოს ვერ ბედავდა გამოეთქვა, რაც ჰქონდა სათქმელი; მაინც, როგორც იყო, თავს ძალა დაატანა და დაამთავრა აზრი: _ როცა მე აღარ ვიქნები ცოცხალი.

_ ჰო, ჩემო ძვირფასო, ყველაფერს აგისრულებ, რასაც მთხოვ.

_ ჩემო კარგო მამილო! _ მიეალერსა ბავშვი მამას და თავისი გახურებული ლოყა მიადო მამის ლოყას. _ რა ძალიან მინდა, რომ შენც ჩემთან ერთად წამოხვიდე იქ!

სენ-კლერს ხმა ჩაუწყდა და მაგრად ჩაიკრა შვილი გულში.

_ მაშ, შენც მოხვალ იქ, ჩემთან, მამილო? _ თქვა ბავშვმა მტკიცე ხმით.

_ ჰო, ჩემო საყვარელო, მეც მალე გამოგყვები! მე შენ არასოდეს არ დაგივიწყებ!

ხშირმა ბინდმა დაჰკრა და აივანზედაც დაბნელდა. სენ-კლერი უძრავად იჯდა სავარძელში და მაგრად ჰყავდა ჩახუტებული ბავშვი გულში. ხშირ ბინდზე ბავშვის ღრმა თვალებს ვეღარ არჩევდა, მაგრამ მისი ანგელოზისებური ხმა კიდევ ესმოდა. ამ ძვირფასმა, დასუსტებულმა ხმამ სენ-კლერის ხსოვნაში გააცოცხლა მთელი მისი წარსული ცხოვრება: გაახსენდა თავისი საყვარელი და კეთილი დედა, ახალგაზრდობის მისწრაფებანი და სურვილები, ყოველივე, რითაც ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა აპირებდა ცხოვრებაში ფეხის შედგმას. შემდეგ მოიგონა ის წლები, რომლებიც მან ფუქსავატ საზოგადოებაში გაატარა ურწმუნოებასა და სიზარმაცეში. ერთი სიტყვით, ის ცხოვრება, რომელიც მდიდარი, წარჩინებული ვაჟბატონის კარგ ცხოვრებად მიაჩნიათ.

აზრი სწრაფია: შეუძლია რამდენიმე წამში ადამიანის მთელი ცხოვრება აღადგინოს გონებაში. ამ წუთებში სენ-კლერისათვის ბევრი რამ შეიქნა ცხადი, მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს.

დაღამდა. მამამ ბავშვი ხელით შეიყვანა საწოლ ოთახში. დასუსტებულ ბავშვს ტანთ გახადეს და ლოგინში ჩააწვინეს. სენ-კლერმა ძიძა დაითხოვა ბავშვის ოთახიდან და თვითონ დაარწია შვილის ლოგინი, თან ნანას უმღეროდა, სანამ ბავშვს არ ჩაეძინა.

კვირა დღე იყო. სენ-კლერი სავარძელში იჯდა აივანზე და სიგარას ეწეოდა. აივნის ახლოს, ღია ფანჯარასთან, იჯდა მისი ცოლი. ქალს ჩამოფარებული ჰქონდა ნაქსოვი ფარდა, რომ კოღოებს არ შეეწუხებინათ. გადაშლილი წიგნი ეჭირა და ზედ თვლემდა. ოფელია და ევა ეტლით გაასეირნა თომამ.

_ გამიგონე, _ მიუბრუნდა მარი ქმარს, _ მგონი საჭიროა, გავგზავნოთ კაცი ქალაქში და ჩემი ძველი ექიმი მოვიწვიოთ. ეჭვი მაქვს, რომ გულის ავადმყოფობით ვარ ავად.

_ შენ გუნებაზე არა ხარ, მარი! _ უპასუხა სენ-კლერმა, _ არა მგონია, რომ გულის ავადმყოფობა გქონდეს.

_ რასაკვირველია, არ დაიჯერე! რა უნდა დამიჯერო! შენ ლამის არის გადაირიო ევას ყოველ წამოხველებაზე, მაგრამ ჩემთვის კი არა გცხელა.

_ თუ მაინცდამაინც გსურს, რომ გულის სიგანიერე გქონდეს, მე დაგეთანხმები; აქამდის კი სრულებით საღი მეგონე.

_ კარგი იქნება, სანანებლად არ გაგიხდეს ეგ შენი ჯიუტობა! მე კი მგონია, რომ ევაზე ფიქრმა და ზრუნვამ მთლიანად მომიდნო და უთუოდ გული შემიშინდა.

სენ-კლერმა არაფერი თქვა. მან იცოდა, რომ ეს სულ ცარიელი სიტყვები იყო. ცოლის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა, ის მშვიდად ეწეოდა სიგარას, სანამ ეტლის ხმა არ შემოესმა.

ოფელია თავის ოთახში გაეშურა ტანისამოსის გამოსაცვლელად და დასასვენებლად. ევა მამის მუხლებზე ჩამოჯდა და უამბო, რა ნახა სეირნობის დროს. ამ დროს ოფელიას ოთახიდან ხმაური მოისმა. ოფელია რაღაცას ჯავრობდა.

_ უეჭველია, ტოპსი ჩაიდენდა რასმეს, _ თქვა სენ-კლერმა, _ სხვა რა მიზეზი უნდა იყოს.

ჯერ ეს სიტყვები არ გაეთავებინა სენ-კლერს, რომ აივანზე გამოვიდა ოფელია, რომელიც მოათრევდა მკლავში ხელჩავლებულ ტოპსის.

_ რა მოხდა? _ იკითხა სენ-კლერმა.

_ მეტი აღარ შემიძლია! _ დაიყვირა ოფელიამ, _ მოთმინება დავკარგე. წარმოიდგინე, რა ჩაუდენია. სასეირნოდ რომ მივდიოდი, ეს საძაგელი ჩემს ოთახში ჩავკეტე და გაკვეთილი მივეცი დასაზეპირებლად. იცით, რა ჩაუდენია? უპოვია კომოდის გასაღები, ამოუღია შლაპის მორთულობა, ხავერდი სულ დაუკუწავს და დედოფლებისათვის კაბები შეუკერავს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ბავშვი!

_ ხომ გეუბნებოდი, მაგ ხალხთან დაყვავებით ვერაფერს გააწყობთ-მეთქი, _ უთხრა მარიმ. _ აი, ახლა ეგ გომბიო კარგად უნდა გაწკეპლოთ, მაშინ ისწავლის ჭკუას.

ამ სიტყვების გაგონებაზე ოფელია გაჩუმდა. მართალია, ბავშვის საქციელმა მოთმინება დააკარგვინა, მაგრამ არაფრის გულისთვის არ დასთანხმდებოდა, რომ ბავშვი სასტიკად დაესაჯათ.

_ არა, არა, არ შემიძლია ბავშვს ასე მოვექცე. თუმცა ვერც ის მომისაზრებია, რა ზომა ვიხმარო. რა არ ვცადე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბავშვი ისევ ცუდად იქცევა.

_ მოდი ჩემთან, მაიმუნო! _ უთხრა სენ-კლერმა გოგოს.

ტოპსი მიუახლოვდა, მის დიდ ბრდღვიალა თვალებში შიშიც იხატებოდა და, იმავე დროს, ჩვეულებრივი დაცინვაც.

_ რად დაკუწე ქალბატონის ხავერდი? _ ჰკითხა სენ-კლერმა.

_ იმიტომ, ბატონო, რომ მე ბოროტი გოგო ვარ, _ უპასუხა ტოპსიმ: _ ქალბატონი ბრძანებს, რომ მე გაფუჭებული გოგო გახლავართ.

_ მერე განა არ გესმის, რომ ქალბატონი შენზე ზრუნავს და ცდილობს, კარგი ადამიანი გამოგიყვანოს?

_ მესმის, ბატონო! მაგრამ რა ვქნა, რომ ასეთი ბოროტი გული მაქვს?! წინანდელი ქალბატონი ძალიან მცემდა ხოლმე, თმებით მათრევდა, მაგრამ არაფერი მეშველა. აბა რას გააწყობდა! მე შავკანიანი გახლავარ.

_ ხელი უნდა ავიღო მაგის აღზრდაზე, _ თქვა ოფელიამ. _ აღარ შემიძლია გაძლება.

ევა აქამდის ჩუმად უგდებდა ყურს ოფელიასა და მამის ლაპარაკს. ბოლოს წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და ტოპსის დაუძახა.

_ საინტერესოა, რა მოიფიქრა ევამ! _ თქვა სენ-კლერმა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ოთახის კარს.

შეიხედა ოთახში, მობრუნდა და ოფელიას ანიშნა, რომ ისიც ფეხაკრეფით მისულიყო კართან.

იატაკზე იჯდა ორივე ბავშვი. კარებიდან მათი სახეები ჩანდა. ტოპსი ისევ იღრიჭებოდა, ევა კი მწუხარებითა და სიყვარულით სავსე თვალებით დინჯად შეჰყურებდა გოგოს.

_ ტოპსი, _ უთხრა ევამ, _ რად იქცევი ყოველთვის ცუდად? განა ქვეყანაზე არავინ არ გიყვარს, ან არავის ხათრი არა გაქვს?

_ რა მოგახსენოთ, ბატონის ქალო! მე მიყვარს კანფეტები და სხვა ტკბილეულობა. ამის მეტი არაფერი ვიცი.

_ მაშ, არ გიყვარს მამა, დედა?

_ მე დედ-მამა არა მყოლია, აკი მოგახსენეთ, ბატონის ქალო!

_ ჰო, ჰო, მართლა... საწყალო ტოპსი! მაშ, შენ, უეჭველია, გეყოლება ძმა, და, მამიდა, ან სხვა ვინმე ნათესავი...

_ მე ქვეყანაზე არავინ მყავს, _ გააწყვეტინა ლაპარაკი ტოპსიმ, _ არცა მყოლია როდისმე.

_ თუ ეცდები და კარგი იქნები... მაშინ...

_ არა ღირს, ქალბატონო, _ კიდევ გააწყვეტინა ლაპარაკი ტოპსიმ: _ მე არასოდეს არ გავხდები თეთრკანიანი, მაშასადამე, არც ცდა ღირს.

_ განა შავკანიანს კი არავინ შეიყვარებს? _ ჰკითხა ევამ. _ აი, მამიდა ოფელია შეგიყვარებდა, შენ რომ კარგი იყო.

ტოპსიმ ამ სიტყვების გაგონებაზე გადაიხარხარა: ბავშვს ეს აზრი სასაცილოდ ეჩვენა.

_ განა ჩემი სიტყვებისა არა გჯერა?

_ თქვენს მამიდას მე ვეზიზღები, იმიტომ, რომ შავკანიანი ვარ. ზიზღით ახლო ვერ მეკარება. ისე მიყურებს, თითქოს გომბეშო ვიყო.

ტოპსიმ უდარდელად დაუსტვინა.

_ ტოპსი, ჩემო კარგო! _ უთხრა ევამ ხმამაღლა და მხარზე ხელი დაადო: _ მიყვარხარ და მეცოდები! მიყვარხარ და მსურს, რომ შენ კარგი ადამიანი გამოხვიდე. ძალიან ავადა ვარ, დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ! გთხოვ, ჩემი გულისათვის ეცადო, ტოპსი!

ტოპსის დიდი დამცინავი თვალებიდან უცებ ცრემლები გადმოსცვივდა და ევას ნაზ ხელებზე მოხვდა. რაღაცა ზეციურმა შუქმა შეანათა ამ წუთს დაჩაგრული ბავშვის გულში. თავი კალთაში ჩაუდო და ხმამაღლა აქვითინდა. ევა დაიხარა  და დამშვიდება დაუწყო.

_ ძვირფასო ბატონის ქალო! ვეცდები, უეჭველად ვეცდები, კარგი ქალი გავხდე. აქამდის არ მინდოდა, ახლა კი მომინდა...

სენ-კლერი და ოფელია კარებს მოშორდნენ.

_ უნდა გამოვტყდე, რომ მართლაც მეზიზღება შავკანიანები, _ თქვა ოფელიამ. _ ტოპსიმ მართალი თქვა, მეზიზღება ხოლმე მისი ხელის ხლება, მაგრამ არ მეგონა, თუ იმან ეს იცოდა.

_ დამიჯერე, ბავშვები მშვენივრად გრძნობენ, ვინ როგორ ექცევა, _ უპასუხა სენ-კლერმა, _ არავითარი მეცადინეობა არ მოხიბლავს გულს, თუ ბავშვი არ გრძნობს, რომ ის წმინდა გულით უყვართ.

_ არ ვიცი, როგორ დავძლიო ჩემში ეს ზიზღი, _ თქვა ოფელიამ.

_ მიბაძე ევას, _ უპასუხა სენ-კლერმა.

_ ევას ყველა უყვარს. ეგ სამაგალითო ბავშვია. ბარემ ძალიან მინდა, მას ვგავდე, მაგრამ, უეჭველია, ვერ მოვახერხებ ამას. ევას ყოველნაირი ჯიუტის მორჯულება და გარდაქმნა შეუძლია.

_ ეს პირველი მაგალითი არ არის, _ შენიშნა სენ-კლერმა: _ ბავშვები ხშირად ასწავლიან დიდებს სიმართლესა და სიყვარულს.

## ოცდამესამე თავი

## ევას სიკვდილი

ევას დიდი, მაღალჭერიანი ოთახი ჰქონდა.  ოთახის გვერდით ერთ მხარეზე  მისი მშობლების საწოლი ოთახი იყო, მეორე მხარეზე _ ოფელიასი. სენ-კლერი განსაკუთრებული გემოვნებითა და სიყვარულით ამკობდა შვილის ოთახს. რას არ ნახავდა კაცი ამ ოთახში: მოქარგული ფარდები ამშვენებდა ფანჯრებს, კარებს, ბავშვის ლოგინსა და დივნებს, რომ ბავშვი დღისით ქინქლას არ შეეწუხებინა. იატაკზე გაშლილი იყო მშვენიერი ხალიჩა.

კედლებზე სურათები ეკიდა. ისინი შერჩეული იყო ევას გემოვნებით.

პატარა მაგიდებსა და საგანგებო დასადგმელებზე ელაგა ყვავილებით სავსე ქილები. ევას ძალიან უყვარდა ყვავილები. მეტადრე ახლა, როცა თანდათან სუსტდებოდა და ბაღში გასვლა უძნელდებოდა, ამ ყვავილებით ხარობდა. ხშირად მთელი დღეები დივანზე იწვა ღია ფანჯარასთან და ბაღსა და ტბას გაჰყურებდა.

ერთ დღეს თვალებდახუჭული ევა იწვა თავის აჩემებულ ადგილას. უცებ აივნიდან დედის გაჯავრებული ხმა შემოესმა.

_ აი შე საძაგელო, კიდევ არ იშლი ეშმაკობას?! როგორ ბედავ ყვავილების გლეჯას ბაღში?

ამასთან, ევას შემოესმა, რომ ვიღაცას მაგარი სილა გააწნეს.

_ ქალბატონო, რადა მცემთ! მე ხომ ეს ყვავილები ევასთვის მინდა.

ევამ იცნო ტოპსის ხმა.

_ ნუ ტყუი! _ განაგრძო ქალბატონმა სენ-კლერმა. _ შენა გგონია, ევას ძალიან ეპიტნავება შენი მიტანილი ყვავილები? დაიკარგე აქედან, შე საზიზღარო, შავო გომბიო!

თუმცა ევა საშინელ სისუსტესა გრძნობდა, წამოხტა და გავიდა აივანზე.

_ დედა, ნუ უჯავრდები ტოპსის. მართალია, ყვავილები ჩემთვის მოჰქონდა, მომეცი აქა!

_ შვილო, შენ ისედაც ბევრი ყვავილი გაქვს ოთახში, რად გინდა ბაღიდან მოტანილი ყვავილები! _ უთხრა დედამ.

_ მართალია, მაგრამ მე მაინც ცოტა მგონია. ტოპსი, მომეცი აქ ეგ ყვავილები!

ტოპსი აწითლებული სახით მიუახლოვდა ევას და მიაწოდა ყვავილების კონა.

_ რა მშვენიერი თაიგულია! _ თქვა ევამ, როცა ყვავილები დაათვალიერა; _ ყოველდღე მომიტანე ხოლმე ასეთი თაიგული.

მართლაც, ტოპსის მშვენივრად შეერჩია ფერადი ყვავილები. ბავშვი გაამხნევა და გაახარა ქებამ და თხოვნამ _ ყვავილები ყოველდღე მომიტანე ხოლმეო.

_ ვერ გამიგია, რად გინდა ეგ თაიგული! _ შენიშნა დედამ.

_ მაგას ნუ მკითხავ, დედა! იმედია, ტოპსის ნებას მისცემ, ყვავილები დამიკრიფოს ხოლმე.

_ რაღა კითხვა უნდა, თუკი შენა გსურს. აუსრულე ბატონის ქალს ყველაფერი, რაც გიბრძანოს, _ უბრძანა ქალბატონმა სენ-კლერმა ტოპსის.

ტოპსიმ თავი დაუკრა და წავიდა. ევამ ბავშვს თვალებზე ცრემლები შეამჩნია.

_ დედილო! მე ვიცი, ტოპსის სურს, რითიმე მასიამოვნოს.

_ სისულელეა! მაგას მხოლოდ ცელქობა უყვარს, სხვა არაფერი ახსოვს.

_ არა, დედა, ტოპსი ძალიან გამოიცვალა: ცდილობს გამოსწორდეს.

_ დიდი ხანი გაივლის მაგის გამოსწორებამდის, _ თქვა ქალბატონმა სენკლერმა სიცილით, _ ძნელია მაგის გამოსწორება.

_ არც გასაკვირია, დედილო! აბა, იფიქრე, რა საშინელი ბავშვობა გაუტარებია საწყალს.

_ რაც ჩვენს სახლშია ტოპსი, მხოლოდ კარგსა და კეთილს ხედავს. ოფელია ყოველნაირად ცდილობს მაგის გამოსწორებას, მაგრამ არაფერი ეშველა. საძაგელი ბავშვია.

_ დედა, აბა იფიქრე! მე ხომ ასე არა მზრდიდნენ: მასწავლიდნენ, მანებივრებდნენ, ყველაფერი მქონდა, მაგას კი ყველაფერი აკლდა, სცემდნენ და აწამებდნენ.

_ შეიძლება ეგრეც იყოს, _ დაეთანხმა ქალბატონი სენ-კლერი შვილს და დაამთქნარა.

_ დედა! _ უთხრა ევამ დედას ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, _ მინდა რამდენიმე კულული თმა შევიჭრა.

_ რადა, შვილო?

_ მსურს, სანამ ღონე შემწევს და ლაპარაკი შემიძლია, გამოვეთხოვო ყველას და სახსოვრად ჩემი თმები დავურიგო. დედა, მამიდას დაუძახე, აქ მოვიდეს.

ევა ისევ თავის დივანზე წამოწვა. ოფელიაც ჩქარა შემოვიდა ოთახში.

ბავშვმა ბალიშიდან ასწია თავი, თმები შეიბერტყა და ღიმილით უთხრა ოფელიას:

_ მამიდა, ბატკანი გაკრიჭეთ.

_ რას ამბობ? _ ჰკითხა გაკვირვებულმა სენ-კლერმა, რომელიც ამ დროს ევას ოთახში შემოვიდა და ბავშვის სიტყვები გაიგონა. მას ევასათვის ატამი და მსხალი მოჰქონდა.

_ მამილო, მამიდას ვთხოვე, ცოტა თმები შემკრიჭოს, თორემ ძალიან მცხელა. თანაც მინდა, ჩემს მეგობრებს სახსოვრად დავურიგო ჩემი კულულები.

ოფელიამ მაკრატელი აიღო ხელში.

_ ფრთხილად, დაო! _ შესძახა სენ-კლერმა, _ არ დააუშნოვო ჩემი კოპწია გოგონა. ჩემი სიამაყეა მაგისი მშვენიერი თმები.

_ ეჰ, მამილო! _ ამოიოხრა ნაღვლიანად ევამ.

_ ოჰ, ჩემო სიცოცხლევ! _ მიუალერსა სენ-კლერმა შვილს, _ მინდა სტუმრად წაგიყვანო შენს ბიძასთან და ბიძაშვილთან, რომ იქ ყველამ გნახოს ისეთი, როგორიც ყოველთვის იყავი.

_ მე იქ ვეღარ წამიყვან, მამილო! დაიჯერე, ჩემო ძვირფასო! განა ვერა ხედავ, რომ ყოველდღე ღონე მაკლდება?

_ შვილო, ნუ გამაგონებ ხოლმე მაგ მწარე სიტყვებს, გენაცვალე. შენი სიტყვები მტანჯავს!

_ იმიტომ, მამილო, რომ სიმართლეა. ახლავე რომ შეურიგდე ამ აზრს, შემდეგ უფრო ადვილი ასატანი იქნება შენთვის უბედურება.

სენ-კლერი გაჩუმდა მწუხარებისაგან გულჩათუთქული. უყურებდა, როგორ კრეჭდა ბავშვს ოფელია, ევა კი აგროვებდა კულულებს და თან მოუსვენრად შეხედავდა ხოლმე. ქალბატონი სენ-კლერი უჩიოდა თავის ბედს და, როცა ქმარმა არავითარი ნუგეში არ მისცა, წუწუნი ქვითინად შეეცვალა.

ევა მოკრძალებული თვალებით შეჰყურებდა ხან მამას და ხან დედას. ამ წამს ბავშვმა იგრძნო, რამდენად განსხვავდებიან ხასიათით ერთმანეთისაგან იმისი დედა და მამა. ევამ სთხოვა მამას, ახლოს დამჯდარიყო.

_ მამილო, _ უთხრა ბავშვმა, როცა სენ-კლერი შვილის ლოგინზე ჩამოჯდა, _ მე ვიცი, რომ ჩქარა მოვკვდები. მსურს, ბევრი რამ გითხრა, სანამ ღონე შემ-

წევს. თუმცა შენთვის სამძიმოა ამ საზარელი სიტყვების გაგონება, მაგრამ აუცილებლობას არაფერი ეშველება. ჩემო მამილო, ნება მომეცი, გითხრა, რაც მაქვს სათქმელი.

_ თქვი, შვილო! _ უთხრა სენ-კლერმა დაყვავებით, ცალი ხელი სახეზე მიიფარა და მეორე ხელით შვილს მაჯა დაუჭირა.

_ მინდა, აქ მოვიდეს ყველა ჩვენი მოსამსახურე, რომ გამოვეთხოვო.

ოფელიამ გოგო გაგზავნა: რამდენიმე წუთში ოთახი ხალხით აივსო. ბავშვი ასე დასუსტებული, სიცხიანი, გაწითლებული ლოყებითა და გაშლილი თმებით რომ ნახეს, ყველას თვალებზე ცრემლი მოადგა, ყველა ჩუმად იდგა. ამ საერთო სიჩუმეში მხოლოდ ქალბატონ სენ-კლერის ქვითინი ისმოდა.

ევამ თვალი მოავლო ოთახს და ლაპარაკი დაიწყო:

_ მეგობრებო, მე დაგიბარეთ; თქვენი ნახვა მსურდა, ყველანი მიყვარხართ და მინდა, ყველას გამოგეთხოვოთ. ვიცი, რომ ყველას გიყვარვართ. თქვენ მე ყოველთვის კარგად მექცეოდით, მადლობელი ვარ და მსურს ყოველ თქვენგანს სახსოვრად რაიმე დავუტოვო. მინდა ყველას გახსოვდეთ, რომ მეც მიყვარდით.

მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა საყვარელი ბავშვის სიტყვებმა. მიუახლოვდნენ ევას საწოლს, დაიჩოქეს და ატირდნენ. ევამ კი ყველას დაურიგა თავისი თმები.

ოფელია ცდილობდა, ჩქარა გაეყვანა, ვინც კი საჩუქარი მიიღო: ეშინოდა, გადამეტებულ მღელვარებას ვნება არ მოეტანა ბავშვისათვის. ბოლოს დარჩნენ ბიძია თომა და ძიძა.

_ ბიძია თომა! _ დაუძახა ევამ, _ აი, შენ სახსოვრად გაძლევ ამ გრძელ კულულს. განგებ შევინახე შენთვის. შენც, ჩემო ძვირფასო ძიძა, მთელ კულულს გაძლევ.

ამ სიტყვებით ბავშვი მოეხვია თავის ძიძას.

_ ჩემო ძვირფასო, _ უპასუხა ერთგულმა მოახლემ, _ მე როგორღა გავძლებ ამქვეყნად უშენოდ? მზე დამიბნელდება და ქვეყანა დაცარიელდება ჩემთვის.

ძიძა მოთქმით ტიროდა.

ოფელიამ, როგორც იყო, გამოიყვანა ოთახიდან ძიძა და თომა. ეგონა, ოთახში აღარავინ იყო, მაგრამ თვალი მოჰკრა კარებთან ატუზულ ტოპსის.

_ შენ რაღა გინდა აქა? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ ძვირფასო ბატონის ქალო! _ დაუძახა ტოპსიმ ევას: _ მე, მართალია, ზოროტი გოგო ვარ, მაგრამ განა მე კი არ მომცემთ სახსოვრად თქვენს თმებს? _ ბავშვმა ხელით მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლები.

_ მოგცემ, მოგცემ, ჩემო ტოპსი! _ უპასუხა ევამ. _ გახსოვდეს, რომ მე მიყვარდი, _ და ამ სიტყვებით გაუწოდა დარჩენილი თმები.

ტოპსიმ გულში ჩაიკრა ძვირფასი თმები და თვალცრემლიანი გავიდა ოთახიდან.

როცა ყველანი გავიდნენ ოთახიდან, ოფელიამ კარები დაკეტა და მივიდა ევას საწოლთან. მას თვითონაც ძალიან აუჩუყდა გული, მაგრამ ცრემლებს იკა-

ვებდა: ეშინოდა, თავისი თავშეუკავებლობით ბავშვისათვის მეტი მწუხარება არ მიეყენებინა. სენ-კლერი, როგორც იჯდა შვილის ლოგინთან ხელებაფარებული, ისევე უძრავად დარჩა ოთახიდან მონების გასვლამდის.

_ მამა! _ დაუძახა ევამ და მამას ხელი დაუჭირა.

სენ-კლერს ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ ხმა კი ვერ ამოიღო.

_ ძვირფასო მამა! _ გაიმეორა ევამ.

_ არა, ამის ატანა აღარ შემიძლია, _ თქვა გამწარებულმა სენ-კლერმა.

_ მამა, ამ სიტყვებით შენ მე გულსა მტკენ! _ უთხრა ევამ, წამოიწია და მამას მოეხვია. _ მწუხარება უნდა აიტანო.

ბავშვმა ტირილი დაიწყო.

სენ-კლერმა თავისი მწუხარება გულში ჩაიკლა და ევას დამშვიდებას შეეცადა.

_ ნუ ტირი, გენაცვალე, დამშვიდდი! მე მტყუანი ვარ, ოღონდ შენ ნუ ღელავ და ნუ წუხხარ. ცუდად მოვიქეცი, ეს სიტყვები არ უნდა მეთქვა,_ მაგრამ ევა ჩქარა დამშვიდდა. მამის სიტყვები ნანად ჩაესმა და მის მკლავზე მოსვენა.

მარი თავის ოთახში გავიდა, მას საშინლად ატკივდა თავი.

_ ევა, შვილო! მე რატომ არ მომეცი შენი თმები სახსოვრად?

_ ჩემი თმები სულ შენ გეკუთვნის, მამილო! _ უთხრა ევამ ღიმილით: _ შენ და დედას, მხოლოდ მამიდა ოფელიას კი უნდა მივცე სახსოვრად. იცი, მამილო, რად მინდოდა, ჩემი ხელით დამერიგებინა ჩემი თმები? მეშინოდა, ვაითუ მერე დაგვიწყებოდათ ჩემი ანდერძის ასრულება.

ამის შემდეგ ავადმყოფი სწრაფად დასუსტდა. ყოველდღე მოსალოდნელი იყო ბავშვის აღსასრული. ევას მორთული ოთახი საავადმყოფოს დაემსგავსა. მამიდა ოფელია მომვლელ ქალად გადაიქცა. ის არ შორდებოდა ავადმყოფს არც დღე, არც ღამე, სამაგალითოდ უვლიდა. ბიძია თომაც ხშირად იყო ხოლმე ევას ოთახში. ხანდახან ბავშვს სუნთქვა ეხუთებოდა და შფოთავდა. ასეთ შემთხვევაში თომას ხელით დაჰყავდა ბავშვი ოთახში, აივანზე და, როცა კარგი დარი იდგა, ბაღშიც. აქ ის თავისი ძვირფასი ავადმყოფით ევას საყვარელ გრძელ სკამზე ჯდებოდა და უამბობდა ზღაპრებს. სენ-კლერსაც უყვარდა შვილის ხელით ტარება, მაგრამ ის თომაზე გაცილებით სუსტი იყო და ჩქარა იღლებოდა.

როცა ევა შენიშნავდა მამას დაღლას, ეტყოდა ხოლმე:

_ მამილო, თომას გადამეცი, იმან მატაროს; იმას ყოველთვის სურს, რითიმე მასიამოვნოს.

_ მეც მსურს, ჩემო ძვირფასო!

_ ვიცი, მამილო, მაგრამ შენ განუშორებლივ ჩემთან ხარ, ღამესაც ჩემს საწოლთან ატარებ; თომას კი მხოლოდ დღისით შეუძლია ჩემთან ყოფნა.

ყველა მოსამსახურეს ერთნაირად ენანებოდა ბავშვი და ცდილობდნენ, რითიმე ესიამოვნებინათ ავადმყოფისათვის.

ძიძას ყოველთვის უნდოდა ევასთან ყოფნა, მაგრამ ქალბატონი საშუალებას არ აძლევდა: ყოველ წუთს იმის ფარეშსა და მოვლას უნდებოდა.

ავადმყოფობა მხოლოდ დროგამოშვებით ააწრიალებდა ევას, უმეტესად კი იგი მშვიდად, მოღიმარი სახით იწვა ლოგინზე. ამის გამო სენ-კლერი ნელ-ნელა დამშვიდდა; მწუხარება ისეთი გრძნობით შეიცვალა, თითქოს შვილს ისტუმრებდა სადღაც შორს.

ბოლო ხანებში თომა ღამღამობით თავის ოთახში აღარ მიდიოდა, აივანზე ეძინა, ისე ფხიზლობდა, რომ, რა წამს ბავშვი შეიშმუშნებოდა, მაშინვე გებულობდა და ეშველებოდა.

იმ დღეს ევა უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე წინა დღეებში. სენ-კლერი ისევ თავს იტყუებდა _ შესაძლებელია ბავშვის გამობრუნებაო; დღევანდელმა დღემ იმედები გაუღვიძა გულში და საღამოთი დამშვიდებული გავიდა შვილის ოთახიდან დასაძინებლად. წასვლის დროს ოფელიას უთხრა:

_ ვინ იცის, დაო, შეიძლება ევას კიდევ უწერია ჩვენთან ცხოვრება.

ამ იმედით წავიდა სენ-კლერი თავის საწოლ ოთახში.

მაგრამ დადგა შუაღამე, ჟამი, როცა სასტიკ სტუმარს, სიკვდილს, უყვარს მოგზაურობა. ევას ოთახში გაისმა ფეხაკრეფით სიარულის ხმა. ოფელია ჯერ არ დაწოლილიყო და ისევ თავს დასტრიალებდა ავადმყოფს. შუაღამისას მოეჩვენა, რომ ავადმყოფში მოხდა რაღაც უცნაური ცვლილება.

_ თომა, _ დაუძახა მან კარებიდან, _ ჩქარა გაიქეცი ექიმთან.

ოფელიამ სენ-კლერიც გააღვიძა.

_ ძმაო, გამოდი აქ, _ დაუძახა მან ბიძაშვილს.

ოფელიას ხმა ტყვიასავით მოხვდა სენ-კლერის გულს. ერთ წუთში ჩაიცვა ტანისამოსი და გამოვიდა. პირი გაუშრა, ბავშვს რომ დახედა. ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, რაღაც უჩინარმა ძალამ აგრძნობინა უბედურ მამას, რომ მისი ძვირფასი საუნჯე ამ წუთიდან იმისი აღარ არის და ხელიდან ეცლება. ევას სახეზე ტანჯვა არ ემჩნეოდა. რაღაც არაამქვეყნიური ნათელი ადგა ბავშვს. ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, რომ საათის მუშაობა დიდ ხმაურად ისმოდა. თომამ ექიმი მოიყვანა. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და ხმაამოუღებლივ გაჩერდა იმის ლოგინთან.

_ როდის მოხდა ეს ცვლილება ავადმყოფში? _ ჰკითხა მან ჩურჩულით ოფელიას.

_ დიდი ხანი არ არის...

ამ დროს ოთახში შემოვიდა ქალბატონი სენ-კლერი.

_ ეს რა ამბავია?

ამ სიტყვებით ის მიუახლოვდა ქმარსა და ოფელიას.

_ შშ... _ გააჩუმა ქმარმა, _ შვილი ხელიდან გვეცლება.

ძიძა კარებში იდგა და მოუთმენლად ელოდა, გაეგო რამე ბავშვისა. სენ-კლერის უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, მაშინვე გაიქცა მოსამსახურეების გასაღვიძებლად. სახლში ხმაური ატყდა, აქა-იქ სინათლის შუქი გამოჩნდა; გაისმა ფეხის ხმა. დაღონებული და თვალცრემლიანი მოსამსახურეები სწრაფად შეგროვდნენ. სენ-კლერი ვეღარაფერს ხედავდა, გარდა თავისი ძვირფასი ავადმყოფის სახისა, რომელსაც რაღაც განსაკუთრებული შუქი ანათებდა.

_ ნეტა ერთი კიდევ გაახილოს თვალები და მითხრას რამე! _ თქვა მამამ მწუხარებით და შვილის ბალიშზე დაემხო: _ ევა, ჩემო ძვირფასო!

ბავშვმა გაახილა თავისი დიდი ლურჯი თვალები და მამას გაუღიმა. ადგომა მოიწადინა და რაღაცის თქმა უნდოდა.

_ ევა, შვილო, მიცნობ, ვინა ვარ? _ ჩასძახა მამამ.

_ ძვირფასო მამა! _ წაილუღლუღა ბავშვმა და მკლავები ასწია მოსახვევად, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ავადმყოფს სახეზე ძლიერი ტანჯვა დაეტყო, უღონოდ გადაიქნია მკლავები, ცდილობდა ამოსუნთქვას, მაგრამ აღარ შეეძლო.

_ რა საშინელებაა! _ დაიკვნესა უბედურმა მამამ და გამწარებული მოშორდა ბავშვის საწოლს. არ იცოდა, რას შვრებოდა. წაავლო თომას მაჯაში ხელი და უთხრა:

_ თომა, ჩემო კარგო, აღარ შემიძლია ამის ატანა!

თომამ მაგრად დაუჭირა ხელი ბატონს და დაუწყო დამშვიდება.

ევას ბალიშიდან თავი გადმოუვარდა და თვალები ღია დარჩა, თითქოს მაღლა იყურებოდა. ტკივილები აღარ ემჩნეოდა. ქვითინი შეწყდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

_ ევა! _ ჩასძახა კიდევ შვილს მამამ.

ბავშვს აღარაფერი ესმოდა.

_ ევა! _ გაიმეორა კიდევ ხმამაღლა მწუხარებით დატანჯულმა მამამ, _ შვილო, გვითხარი, რას ხედავ?

ბავშვს ტუჩებზე ღიმილი აღებეჭდა; ამ სიტყვების პასუხად ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩურჩულით წარმოთქვა:

_ ოჰ, სიყვარული... სიყვარული... მშვიდობა... _ ერთი კიდევ ღრმად ამოისუნთქა და გათავდა.

ევას ოთახში სურათებსა და სარკეებს თეთრი ფარდები ჩამოაფარეს და მხოლოდ ათასში ერთხელ ნელი ფეხის ხმა და ჩურჩული არღვევდა იქ გამეფებულ სიჩუმეს.

გაქათქათებულ ლოგინზე, ვარდისფერი ფარდის ქვეშ, თეთრი ტანისამოსით ესვენა ბავშვი. კაცს ეგონებოდა, სძინავსო, ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა მიცვალებულს. ისეთი უმანკოსათვის, როგორიც ევა იყო, არ არსებობს სიკვდილის წყვდიადი: ის გაქრა ისე, როგორც ქრება ხოლმე ცისკრის ვარსკვლავი მზის ამოსვლის შემდეგ.

ასე ფიქრობდა სენ-კლერი, მიცვალებულის სპეტაკ სახეს გულხელდაკრეფილი რომ დაჰყურებდა. ძნელი გამოსათქმელია, რას გრძნობდა. იმ წამიდან, რაც ძვირფასი შვილი ხელიდან გამოეცალა, იმას თავში ყველაფერი აერია და გარშემო ყველაფერი ნისლმა მოიცვა; ხმაური ესმოდა და სიტყვებს კი ვერ არჩევდა. კითხვაზე _ როდის ან სად სურს ბავშვის დასაფლავება, გაოგნებულმა მამამ უპასუხა, რომ მისთვის სულ ერთია ყველაფერი. ადოლფმა და როზამ ყვავილებით მორთეს მიცვალებულის ოთახი. მამიდა ოფელია ხელმძღვანელობდა მოსამსახურეებს და თადარიგს აძლევდა, მაგრამ ყვავილებისა კი არა-

ფერი გაეგებოდა და ეს მათ მიანდო. ოთახი შეამკეს იმ ყვავილებით, რომლებიც უყვარდა ევას სიცოცხლეში.

პატარა ტოპსიც მოვიდა თავისი ყვავილების კონით, მაგრამ როზა არ უშვებდა ოთახში. სენ-კლერმა დაინახა და უბრძანა, ტოპსი შეეშვათ. მან ყვავილების კონა მიცვალებულს ფერხთით დაუწყო, დაიჩოქა და გულწრფელი ცრემლები გადმოღვარა.

_ ოჰ, ჩემო ძვირფასო ბატონის ქალო! ნეტავი, მეც მოვკვდებოდე, _ დასტიროდა ტოპსი, _ მეც მინდა სიკვდილი!

სენ-კლერი ააღელვა ბავშვის ცრემლებმა. პირველად ახლა გადმოვარდა მასაც ცრემლი შვილის სიკვდილის შემდეგ.

_ ადექი, შვილო! _ უთხრა იმან ტოპსის ალერსიანი ხმით და ხელი მოჰკიდა.

_ მე მინდა ევას ნახვა, ვეღარ ვეღირსები იმის ნახვას, მასავით არავინ არ შემიყვარებს.

ტოპსიმ კიდევ დაიწყო ქვითინი.

_ დაო, დაამშვიდე როგორმე ეს საწყალი ბავშვი, _ უთხრა სენ-კლერმა ოფელიას.

ოფელიამ ტოპსის ხელი მოჰკიდა, დამშვიდება დაუწყო და თვითონაც ცრემლებით აევსო თვალები.

_ ტოპსი, _ უთხრა მან ბავშვს, _ თუმცა ევა აღარ გყავს, მაგრამ ახლა მე მეყვარები. მართალია, ევასავით სათნო ადამიანი არა ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამისი მაგალითი გვასწავლის, როგორ უნდა სიყვარული. მეც იმედი მაქვს, შეგიყვარო ნამდვილი სიყვარულით, და ვეცდები, კარგი ადამიანი გამოგიყვანო.

ოფელიას ლაპარაკის კილომ და მისმა ცრემლებმა უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა საბრალო ობოლ ბავშვზე, ვიდრე იმისი სიტყვების შინაარსმა. ამის შემდეგ ეს შთაბეჭდილება აღარ გაჰქარწყლებია და ამ დღიდან ოფელიამ დაიმორჩილა პატარა ნადირის გული.

მთელი დღე ხალხი მოდიოდა. მიცვალებულის ოთახი სავსე იყო. მოდიოდნენ გამოსამშვიდობებლად. წყნარი ფეხის ხმა, ხმადაბალი ლაპარაკი გაისმოდა ოთახში. მოიტანეს პატარა კუბო და ჩაასვენეს მიცვალებული. დასაფლავების დღესაც აუარებელი ხალხი მოვიდა. უკანასკნელ წუთებამდის სენკლერს თავი სიზმარში ეგონა. ის ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს ამჩნევდა, გარდა თავისი საყვარელი შვილის ოქროსფერთმიანი თავისა კუბოს ბალიშზე. მაგრამ, აი, კუბოს თავი დახურეს და სენ-კლერიც სხვებთან ერთად გაემგზავრა სასაფლაოზე. კუბო საფლავში ჩაუშვეს. სენ-კლერს კიდევ არა სჯეროდა, რომ ცივ სამარეს მიაბარეს მისი ძვირფასი ევას ნეშტი.

ქალბატონ სენ-კლერს წამდაუწუმ გული მისდიოდა. უანგარიშოდ ეძახდა ქმარს. ვერ ხედავდა, რა საშინელი მწუხარებით იყო სავსე მისი ქმრის გული, და გულცივობას უსაყვედურებდა.

_ რაც უფრო დიდი მწუხარება აქვს ადამიანს, მით უფრო ღრმად იმარხავს იმას თავის გულში, _ შენიშნა მარის წუწუნზე ოფელიამ.

_ მე ეგ არა მწამს. როცა ადამიანს ძლიერი მწუხარება აწევს გულზე, უეჭველია, ცდილობს როგორმე იმის გამოთქმას. შევნატრი სენ-კლერს, რომ ასეთი გულცივი კაცია. მე მომიდნო გრძნობიერებამ.

_ ქალბატონო, ბატონი დაემსგავსა აჩრდილს, ისე გახდა მწუხარებისაგან. ამბობენ, ევას სიკვდილის დღიდან გემოთი არაფერი უნახავსო, _ ჩაერია ლაპარაკში ძიძა.

_ მაგისი არა ვიცი, და იმას კი კარგად ვატყობ, რომ მე სრულებით არ ვებრალები. ამდენ ხანს ერთი სანუგეშო სიტყვაც არ უთქვამს. უნდა ესმოდეს, რომ დედაზე მეტ მწუხარებას ვერავინ გამოცდის ასეთ წუთებში.

თომას თვალი ეჭირა თავის ბატონზე. დაინახა, რომ ბატონი კაბინეტში შევიდა და დიდხანს იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თომამ გადაწყვიტა, ენახა ბატონი, და ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. ბატონი დივანზე პირქვე იწვა. თომა ვერ ბედავდა მიახლოებას. ამ დროს სენ-კლერი გაინძრა, თავი მაღლა აიღო და დაინახა თომა. საშინელი სასოწარკვეთილება ეტყობოდა სახეზე. თომა მიუახლოვდა. სენ-კლერმა ხელი გამოართვა და მონის ხელის გულს შუბლი დააყრდნო. _ თომა, ჩემო მეგობარო, ქვეყანა დაცარიელდა ჩემთვის!

_ მინდა რითიმე ნუგეში გცეთ, _ წარმოთქვა თომამ.

## ოცდამეოთხე თავი

## თავისუფლება ვერ მიიღო

ევას დასაფლავების შემდეგ სენ-კლერის ოჯახი მალე გადასახლდა ქალაქში. სენ-კლერს ემძიმებოდა იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი აგონებდა ძვირფას დანაკარგს, და ეგონა, ბინის გამოცვლით შეუმსუბუქდებოდა მწუხარება.

ოჯახი ჩადგა თავის კალაპოტში. რაც უნდა მოხდეს, რაგინდ საშინელი უბედურება დაატყდეს თავს ადამიანს, ყოველდღიური ცხოვრება მიდის თავისი წესით. მწუხარებაში მყოფსაც უნდა ჭამა-სმა, ძილი, გავლა-გამოვლა, ხმის გამცემი, ერთი სიტყვით, ისეთი ცხოვრება, როგორსაც ის ატარებდა მწუხარებამდე. სენ-კლერი გრძნობდა, რომ ევას სიკვდილის შემდეგ მისთვის ყველაფერმა დაკარგა ღირებულება; საქმეზე გული არა ჰქონდა; განუწყვეტლივ ფიქრობდა იმაზე, რასაც ლაპარაკობდა ევა უკანასკნელ დღეებში. პირველ ყოვლისა, სენ-კლერმა აუცილებელ საჭიროებად ჩათვალა, რაც შეიძლება ჩქარა გაეთავისუფლებინა თომა მონობისაგან. შეუდგა ამ საქმის წარმოებას სასამართლოებში. რაც დრო გადიოდა, სენ-კლერი იმდენად უფრო ეთვისებოდა თომას და უახლოვდებოდა მას. თომას დანახვაზე თავისი ევას სახე ცოცხლად წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ და ამიტომ ყოველთვის უნდოდა თომას ახლოს ყოფნა. აქამდე თუ განმარტოებული ცხოვრება უყვარდა, ახლა უთომაოდ აღარ შეეძლო გაძლება.

გასაკვირიც არ იყო, რომ ბატონს ასე შეუყვარდა თომა. ერთგული, მოსიყვარულე ზანგი ყველანაირად ცდილობდა თავისი ბატონის მწუხარების შემსუბუქებას, მარტო არასოდეს ტოვებდა.

_ ახლა კი ჩქარა თავისუფალი კაცი იქნები, თომა! _ უთხრა ერთხელ სენ-კლერმა თომას. _ შეგიძლია, მოემზადო და შინისაკენ გაუდგე გზას.

ამ სიტყვების გაგონებაზე თომას სახე გაუბრწყინდა. მისმა ასეთმა სიხარულმა სენ-კლერს, ცოტა არ იყოს, გული ატკინა: ეწყინა, რომ თომას ასე უხაროდა მისი სახლიდან წასვლა.

_ განა ჩემს სახლში ცუდად გრძნობდი თავს? _ჰკითხა მან თომას საყვედურის კილოთი.

_ სრულიადაც არა, ბატონო! _ უპასუხა თომამ, _ მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, თქვენი ჭირიმე, რას ნიშნავს თავისუფალ ადამიანად გახდომა.

_ განა შენ აქ უკეთ არ ცხოვრობდი, ვიდრე ბევრი თავისუფალი კაცი თავის სახლში?

_ არა, ბატონო! _ მტკიცედ მიუგო თომამ, _ მაგაზე ვერ დაგეთანხმებით.

_ განა თავისუფალი რომ ყოფილიყავი, შეგეძლო იმდენი ფული გეშოვა, რომ ასე მდიდრულად გეცხოვრა, როგორც ჩემს სახლში ცხოვრობდი?

_ ეგ მართალი გახლავთ, ბატონო! მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ცუდი თავისუფალი ცხოვრება ჯობია ფუფუნებაში მონობას. ადამიანის ბუნება ასეთი გახლავთ!

_ შეიძლება შენ მართალი იყო, თომა! რა გაეწყობა! ერთი თვის შემდეგ ან ცოტა გვიან შეძლებ აქედან წასვლას და დამტოვებ მარტოდმარტო. ან რატომ არ უნდა წახვიდე, _ დაუმატა სენ-კლერმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ და თვითონაც ოდნავ მოიმხიარულა.

_ არა, ბატონო! სანამ ბატონი მწუხარე ბრძანდება, მე არსად წავალ აქედან. მე ბატონთან დავრჩები, სანამ ჩემი თავი ბატონისათვის საჭირო იქნება.

ქალბატონი სენ-კლერი თავისებურად წუხდა შვილის დაკარგვას და, რადგანაც ხასიათად ჰქონდა, სიცოცხლე გაემწარებინა ყველა მახლობლისათვის, ამიტომ იმისი მწუხარებაც მონა-მოსამსახურეთა ტუქსვა-წვალებაში გამოიხატებოდა. ევას სიკვდილმა საბრალო მოსამსახურეებს ამ მხრივ საშინელი ტანჯვა მოუტანა. ახლა იმათი ქომაგი და მომხრე აღარავინ იყო. ძიძა ცხარე ცრემლით ტიროდა თავისი გაზრდილის დაკარგვას, მწუხარებისაგან მუშაობასაც კი ვეღარ ახერხებდა და ქალბატონი ყოველთვის მისი მომდურავი იყო.

ოფელიამაც ღრმად იგრძნო ევას დაკარგვა: ეს განსაკუთრებით მის ხასიათს დაეტყო. მან სათნოებას უმატა: ცდილობდა, ყველასთან კარგი ყოფილიყო და თავისი მოვალეობა მუყაითად შეესრულებინა. ბეჯითად მოჰკიდა ხელი ტოპსის აღზრდას. აღარ ეზიზღებოდა მისი შავი კანი და ისე ექცეოდა, როგორც ევა.

ტოპსი ერთბაშად ვერ განთავისუფლდა თავისი ნაკლოვანებისაგან, მაგრამ ევას სიკვდილის შემდეგ მაინც ძალიან გამოიცვალა. ახლა უწინდებური უდარდელობა აღარ ემჩნეოდა, მეტი გრძნობიერება დაეტყო. ცდილობდა, ყველასათვის ესიამოვნებინა, თუმცა ხანდახან ძველი ზნე წამოჰკრავდა ხოლმე.

ერთხელ ოფელიამ როზა გაგზავნა ტოპსის დასაძახებლად. ტოპსიმ მახილზე მოირბინა. იღლიაში რაღაც ეჭირა.

_ რა გაქვს იღლიის ქვეშ? _ დაუყვირა როზამ და ხელი წაატანა: _ კიდევ მოიპარე რამე?

_ თავი დამანებე, შენი საქმე არ არის, _ უპასუხა ტოპსიმ და ხელიდან გაუსხლტა.

_ ტყუილად მალავ; მე დავინახე, იღლიის ქვეშ რაღაცა გაქვს.

როზა ძალით უპირებდა ბავშვს გაჩხრეკას. გაიმართა ჭიდაობა. ტოპსი მოჰყვა ყვირილსა და ხელების ქნევას. ხმაურზე მოვიდნენ ოფელია და სენ-კლერი.

_ კიდევ რაღაც მოუპარავს, _ იჩივლა ქალბატონთან როზამ.

_ ტყუის, მე არაფერი არ მომიპარავს! _ გამწარებით ყვიროდა ტოპსი.

_ კარგი, გაჩუმდი, _ უთხრა ოფელიამ, _ აბა, გვაჩვენე, რა გაქვს იღლიის ქვეშ.

ტოპსი ყოყმანობდა _ ეჩვენებინა თუ არა. ბოლოს გამოიღო პატარა შეხვეული ჩვარი. შიგ აღმოჩნდა წინდის ყელი და პატარა წიგნი, რომელიც ევამ აჩუქა ტოპსის.

სენ-კლერზე იმოქმედა ამ წიგნის დანახვამ. ტოპსის საქციელზე გაეცინა, მაგრამ თვალები კი ცრემლებით აევსო.

_ ნუ ტირი, ტოპსი, _ უთხრა იმან, _ მაგეებს შენ არავინ წაგართმევს. წაიღე და წადი.

ამ სიტყვებით ხელი მოჰკიდა ოფელიას და გაიყვანა სასტუმრო ოთახში.

_ მე მგონია, _ უთხრა იმან ოფელიას, _ ეს გოგო კარგი ადამიანი დადგება. ვისაც შეუძლია ღრმად იგრძნოს მწუხარება, ის სამუდამოდ არ არის ჯერ კიდევ გაფუჭებული. ეცადე, განავითარო ამ ბავშვში კარგი, რაც კი მისთვის ბუნებას მიუნიჭებია.

_ მართალია, ტოპსი ძალიან გამოიცვალა, _ თქვა ოფელიამ. _ ამ გახსენებაზე, აი, რა უნდა მეკითხა შენთვის, ძმაო: ვისი საკუთრებაა ახლა ტოპსი _ ჩემი თუ შენი?

_ მე, დიდი ხანია, ტოპსი შენ გაჩუქე, _ უპასუხა სენ-კლერმა.

_ სიტყვით კი მართალია, მაგრამ შენ არავითარი ქაღალდი არ მოგიცია ჩემთვის ამის შესახებ.

_ დაო, რას ამბობ! _ წამოიძახა სენ-კლერმა, _ რას იტყვიან თქვენები, როცა გაიგებენ, რომ შენ მონა გყავს?

_ ეგ არაფერია! მე მინდა, ტოპსი ჩემი იყოს, რომ შემეძლოს წაყვანა ჩრდილოეთში. იქ თავისუფალი ადამიანი იქნება. იქ ამაოდ არ ჩაივლის ჩემი შრომა.

_ არა, ოფელია, _ გაეცინა სენ-კლერს, _ შენ ამით თავს ვერ იმართლებ. შენ იცი, რომ ცუდი საქმეა მონის ყოლა. სინდისი არ უნდა გამლევდეს ნებას, მონა შეიძინო, თუნდაც, კარგი განზრახვა გქონდეს.

_ გამიგონე, ძმაო, მე ხუმრობის გუნებაზე სულაც არა ვარ, საქმეზე გელაპარაკები. ეს გოგო ადამიანად იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლე-

ბას ეღირსება. მე მსურს შენგან კანონიერი ქაღალდი მქონდეს ტოპსის განთავისუფლების შესახებ.

_ კარგი, კარგი, _ უპასუხა სენ-კლერმა, _ ყველაფერს აგისრულებ, რასაც მთხოვ.

_ გთხოვ, ეგ საქმე ახლავე ამისრულო.

_ რა გეჩქარება, დაო?

_ ასე ჯობია! კაცმა დროზე უნდა შეასრულოს ყოველი საქმე, რაც კი დაკისრებული აქვს, _ უპასუხა ოფელიამ. _ აი, საწერ-კალამი და ქაღალდი, დაჯექი და დაწერე.

სენ-კლერს არ უყვარდა აჩქარება, გული მოუვიდა ოფელიას სიტყვებზე.

_ არ ვიცი, რა დაგემართა დღეს! _ წაიბუზღუნა იმან უკმაყოფილო ხმით, _ განა ჩემი სიტყვა არა კმარა შენთვის?

_ მინდა გული დავაჯერო, რომ ტოპსი ჩემია; თორემ, ვინ იცის, რა უწერია კაცს. შენ რომ აღარ იყო, ვიღა მომცემს საჭირო ქაღალდს. ტოპსის სხვა მონებთან ერთად გაჰყიდიან.

_ შენ ძალიან თადარიგიანად იქცევი, დაო! ეჰ, რა გაეწყობა! ახლა ხომ აღარ მომეშვები.

სენ-კლერი შევიდა თავის კაბინეტში და საჭირო ქაღალდი დაწერა.

_ აი, წაიკითხე! ვგონებ, ნათლად არის გამოთქმული ჩემი სურვილი, _ და გადასცა ოფელიას დაწერილი ქაღალდი. _ ახლა ხომ დამშვიდდები.

ოფელიამ წაიკითხა.

_ გმადლობ, ძალიან კარგად არის დაწერილი, მაგრამ, მგონი საჭიროა, კიდევ მოწმემ მოაწეროს ხელი.

_ ოჰ, რა ახირებული ადამიანი ხარ! წავიდეთ მარისთან, იმანაც მოაწეროს ხელი.

_ რა ამბავია? _ იკითხა მარიმ, როცა სენ-კლერი და ოფელია იმის ოთახში შევიდნენ. მერე შეიტყო, რაშიც იყო საქმე, ბევრი იცინა, რომ ოფელია მონას იძენს, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით მოაწერა ხელი.

_ მე დიდი სიამოვნებით ვუთმობ ოფელიას ისეთ ძვირფას განძს, როგორიც ტოპსია, _ თქვა მარიმ, როცა ქაღალდს ხელი მოაწერა.

_ ახლა ტოპსი მთლად შენ გეკუთვნის, _ უთხრა სენ-კლერმა და ქაღალდი ოფელიას გადასცა.

სენ-კლერი დაბრუნდა სასტუმრო ოთახში. ოფელიაც თან გაჰყვა. სენ-კლერი ხმაამოუღებლივ დაჯდა და რაღაცის კითხვას შეუდგა.

_ ძმაო, _ წამოილაპარაკა ისევ ოფელიამ, _ გიფიქრია როდისმე შენს მონებზე? რა ბედი მოელით იმათ შენს შემდეგ?

სენ-კლერმა არაფერი უთხრა და კითხვა განაგრძო.

_ მაშასადამე, შენი ახლანდელი სათნო მოპყრობა შეიძლება როდისმე ჩამწარდეთ?

სენ-კლერს თვითონაც არაერთხელ უფიქრია ამაზე, მაგრამ ახლა უდარდელი კილოთი უპასუხა ოფელიას:

_ ვფიქრობ, როგორმე ყველაფერი მოვაწესრიგო.

_ როდისღა?

_ ამ დღეებში.

_ როდისღა ამ დღეებში? იქნებ შენ რა გიწერია მანამდის?!

_ რა დაგემართა, დაო, დღეს! _ გაკვირვებით ჰკითხა სენ-კლერმა და გაზეთი გადაისროლა,L _ განა სასიკვდილოს რას მატყობ? რად მოგდის თავში ასეთი აზრები?

_ ეჰ, სიკვდილი ერთი დამთქნარებაა!

სენ-კლერმა აღარაფერი თქვა და აივანზე გავიდა; ამ ლაპარაკმა ხასიათი გაუფუჭა.

_ სიკვდილი ერთი დამთქნარებაა! _ გაიმეორა მან ანგარიშმიუცემლად ოფელიას სიტყვები. აივნის მოაჯირს გადაეყუდა და შადრევანს, მშვენიერი ყვავილების ბაღჩას, მოწმენდილ ცას დაუწყო ცქერა. _ სიკვდილი..._ იმეორებდა სენ-კლერი გუნებაში ამ საშინელ სიტყვას. _ საფიქრალადაც კი საზარელია, რომ ადამიანს წინ სიკვდილი უდევს და ის კი ცოცხლობს და ამ სიცოცხლეს ებღაუჭება. დღეს მე კარგად ვგრძნობ თავს, ვსუნთქავ, შევცქერი ჩემს თვალწინ გადაშლილი ბუნების მშვენიერ სურათს, სიცოცხლითა და სურვილებითა ვარ აღსავსე, ხვალ კი, შეიძლება, უსასრულო მძორი ვიყო, სამუდამოდ მოვშორდე ამ ქვეყანას.

სენ-კლერმა ბოლთის ცემა დაიწყო. ის მთლად ფიქრებს მიეცა. თომამ მეორედ რომ მოახსენა _ ჩაის ზარი დაირეკაო, სენ-კლერი მაშინაც კი ძლივს გამოერკვა ღრმა ფიქრებისაგან.

ჩაის დროსაც განაგრძობდა ფიქრს და არ ლაპარაკობდა. ჩაის შემდეგ სენ-კლერი, ოფელია და მარი გავიდნენ სასტუმრო ოთახში. არც ერთს კრინტი არ დაუძრავს. მარის ჩქარა ჩაეძინა დივანზე. ოფელია წინდის ქსოვას შეუდგა. სენ-კლერი კი ფორტეპიანოს მიუჯდა და რაღაც ნაღვლიანი ჰანგი დაუკრა. სახეზე ღრმა მწუხარება ეტყობოდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და განჯინიდან ძველი, ფურცლებგაყვითლებული ნოტების რვეული გადმოიღო.

_ აი, დაო, უყურე, ეს დედაჩემის ნაწერია. ხშირად მღეროდა ამ სიმღერას, ახლაც ყურებში მიდგას დედაჩემის ხმა.

ის ისევ მიუჯდა ფორტეპიანოს, დაუკრა და დაამღერა დიდებული მუსიკოსის, მოცარტის ლოცვა: «სამგლოვიარო ჰიმნი». თომამ გაიგონა საუცხოო მუსიკის ხმა, სასტუმრო ოთახის კარებთან მივიდა და ღრმა გრძნობით დაუგდო ყური. სენ-კლერს ყველაფერი დაავიწყდა ამ წუთებში; მას ეგონა, თითქოს სადღაც გაქრა მისი წლოვანება, დაუბრუნდა ბავშვობა, ესმის დედის გალობა და ყურს უგდებს მას.

როცა დაკვრა გაათავა, სენ-კლერი ნიდაყვებზე დაეყრდნო, პირზე ხელები მიიფარა და დიდხანს იყო ასე გაჩუმებული. ბოლოს წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

_ ნეტავ, რას ნიშნავს, რომ დღეს სულ დედაჩემი მიდგას თვალწინ? _ თქვა მან ბოლოს. _ ისე ცოცხლად ვგრძნობ იმის სიახლოვეს, თითქოს აქ ახლო იყოს სადმე და მისი სიტყვები მესმოდეს, ისე ცხადად გამიცოცხლდა ხსოვნაში.

სენ-კლერმა კიდევ კარგა ხანს იარა ოთახში, შემდეგ ოფელიასთან გაჩერდა და უთხრა:

_ ეჰ, მოდი, გავივლი სადმე და გავიგებ, რა ხდება ქვეყანაზე, კაფეში შევალ, საღამოს გაზეთებს წავიკითხავ.

ამ სიტყვების შემდეგ აიღო ქუდი და სახლიდან გავიდა. თომა კიბემდე მიჰყვა და ჰკითხა, გაჰყოლოდა თან თუ არა.

_ არა, მეგობარო! მე ჩქარა დავბრუნდები.

თომა სახლში შემობრუნდა. საუცხოო თბილი, მთვარიანი ღამე იყო. თომა დაჯდა და ფიქრს მიეცა. ბაღიდან ისმოდა შადრევნის ჩუხჩუხი. თომა ფიქრობდა თავის ცოლ-შვილზე, მოელოდა, რომ ჩქარა განთავისუფლდებოდა და დაბრუნდებოდა კენტუკში, მოჰკიდებდა მუშაობას ხელს და გამოისყიდდა ცოლ-შვილს მონობისაგან.

ამ ფიქრებში თომას ჩასთვლიმა. ძილში ნახა ევა. ბავშვს ოქროს თმებზე ყვავილების გვირგვინი ჰქონდა გაკეთებული. ლოყები გასწითლებოდა. ბავშვი ისე ცოცხლად ნახა, როგორც წინათ მოირბენდა ხოლმე ღიმილით თავის საყვარელ ბიძია თომასთან. აი, ბავშვმა მიწას მოაშორა ფეხი, მაღლა-მაღლა წავიდა, ლოყები გაუფერმკრთალდა, თავზე შარავანდედი მოეფინა და მოჩვენება გაქრა.

ამ დროს შემოესმა მაგარი ბრახუნი ალაყაფის კარზე.

თომა ფეთიანივით წამოვარდა და კარის გასაღებად გაექანა. კართან რამდენიმე კაცი იდგა. მხრებზე ზეწარგადაფარებული საკაცე გაედოთ. თომამ სანათი მიაშუქა და გაარჩია, რომ საკაცეზე კაცი იწვა; დააშტერდა სახეზე და იცნო თავისი ბატონი. შეშინებულმა თომამ საშინლად დაიყვირა. მისმა ყვირილმა მთელი სახლი ფეხზე დააყენა. ხმაური ოფელიამაც გაიგონა.

რა მოხდა? სენ-კლერი რომ შევიდა კაფეში, იქ ორი კაცი ჩხუბობდა. სხვებთან ერთად სენ-კლერიც მივიდა მათ გასაშველებლად. ერთმა მოჩხუბარმა მეორეს დანა მოუქნია დასარტყმელად. სენ-კლერმა ხელი წაატანა დანის წასართმევად, მაგრამ მოქნეული დანა მას მოხვდა გვერდში და მძიმედ დაიჭრა. ხალხი მისცვივდა დაჭრილს, წამოაყენეს, კარგად იცოდნენ მისი ბინა და იმ წამსვე შინ წამოიყვანეს. სენ-კლერის სახლში ყველას თავზარი დაეცა: ყველანი დარეტიანებულნი იყვნენ და არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, როგორ ეშველათ დაჭრილისათვის. მხოლოდ თომა და ოფელია მხნეობდნენ, დაჭრილს უვლიდნენ. სასტუმრო ოთახში დააწვინეს დივანზე. სენ-კლერმა გონება დაკარგა და გულწასული იწვა დივანზე.

ოფელია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაჭრილი გონს მოეყვანა. ბოლოს, როგორც იყო, სენ-კლერმა თვალი გაახილა, ოთახს თვალი მოავლო, ყველა იქ მყოფი შეათვალიერა და ბოლოს კედელზე დედის სურათს მიაშტერდა.

მოვიდა ექიმი, ჭრილობა გასინჯა. მის სახეზე კაცი წაიკითხავდა, რომ მორჩენის იმედი არ იყო. მაინც შეუხვია ჭრილობა. ექიმს თომა და ოფელია შვე-

ლოდნენ. ოთახში და აივანზე მოსამსახურეები შეყრილიყვნენ, ხმაურობდნენ და ტიროდნენ. ოფელიამ ყველა დაითხოვა ოთახიდან, რადგანაც ავადმყოფის მდგომარეობა სრულ მყუდროებას საჭიროებდა. სენ-კლერს ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ მძიმე ფიქრები აწუხებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ თომას, რომელიც იმის წინ დაჩოქილი იყო, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

_ ჩემო ძვირფასო თომა!

_ რა გნებავთ, ბატონო?

_ ვკვდები, თომა!

თომას სენ-კლერმა მაგრად ჩამოართვა ხელი, მაგრამ მეტი კი ვერაფერი უთხრა. თვალები დახუჭა და თომას ხელი ხელში ჩარჩა. განკითხვის დღეს თეთრი და შავკანიანი ხელები შეუერთდნენ ერთმანეთს ძმური სიყვარულით. სენ-კლერი უძრავად იწვა და დროგამოშვებით ლუღლუღებდა სიტყვებს იმ ლოცვიდან, რომელიც მან დაუკრა ფორტეპიანოზე, სანამ სახლიდან სასეირნოდ გავიდოდა. ოთახში მყოფთ გაურკვეველი ლუღლუღი ესმოდათ.

_ ბოდავს, _ თქვა ექიმმა.

_ არა, _ უპასუხა სენ-კლერმა, _ ეს ბოდვა არ არის......მე ძლივძლივობით მოვედი სახლში......

სამარის ფერმა გადაჰკრა დაჭრილს სახეზე, მაგრამ იმ წამსვე ღიმილით გაუბრწყინდა სახე. ერთი კიდევ დაიძახა: «ჩემო დედილო!» და საუკუნოდ დახუჭა თვალები.

## ოცდამეხუთე თავი

## შეუბრალებელი

სენ-კლერის სიკვდილის შემდეგ მის სახლში მწუხარებამ დაისადგურა. უბედურებით თავზარდაცემულ მარის წამდაუწუმ გული უწუხდა და ტიროდა.

ოფელია მაგრობდა, არ ეძლეოდა მწუხარებას. ის ერთი წუთითაც არ მოშორებია დაჭრილის საწოლს, სანამ მოვლა იყო საჭირო. ახლა ბიძაშვილის სიკვდილის შემდეგ დატრიალდა ოჯახში და ყველას თადარიგი მისცა.

დადგა დასაფლავების დღე.

მიაცილეს სამარის კარამდის ნეშტი უდროოდ დაღუპული ადამიანისა. უამრავი მეგობარი თუ ნაცნობი მისდევდა მის კუბოს. ყველას ერთნაირად ენანებოდა იგი. შემდეგ დაიწყო ყოველდღიური ცხოვრება.

სენ-კლერის სახლში ახლა კი ყველა დააინტერესა საკითხმა: როგორ მოეწყობოდა ამის შემდეგ მათი ცხოვრება.

ქალბატონი სენ-კლერი ნელ-ნელა გონს მოვიდა და თავის ფარეშობას შეუდგა. ოფელიამაც იგრძნო, რომ ახლა ის საჭირო აღარ იყო და შინისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. ყველაზე მეტად შეშფოთებული იყვნენ მონები, რომლებ-

მაც არ იცოდნენ, რას უპირებდა მათ ახალი ბატონი. ყველა გრძნობდა, რომ სენ-კლერის სიკვდილის შემდეგ გულდამშვიდებული ცხოვრება აღარ ექნებოდათ. ქალბატონისაგან კეთილს არაფერს არ მოელოდნენ.

ჩქარა დადგა ეს ახალი ხანაც. ორი კვირა იყო გასული სენ-კლერის სიკვდილის შემდეგ. ოფელია თავის ოთახში იჯდა და რაღაცას აკეთებდა. კარი გაიღო, ოთახში ატირებული მოახლე გოგო როზა შემოვიდა და ოფელიას რაღაც ბარათი მიაწოდა.

_ ო, ქალბატონო ოფელია, მიშველეთ, დამეხმარეთ! ქალბატონმა ბარათი მისწერა მოურავს და იქ უნდა გამწკეპლონ.

_ რადა?

_ ქალბატონს სიტყვა შევუბრუნე და იმიტომ. საქმე ასე იყო: მე ქალბატონის კაბის ზომას ვიღებდი, მან უცებ რაღაცაზე გაბრაზებულმა სილა გამარტყა. ეს მეწყინა და სიტყვა შევუბრუნე, ასეთი საძაგელი ხასიათი მაქვს. ქალბატონმა ამისათვის თხუთმეტი მათრახის დარტყმა დამინიშნა. ვაი, სირცხვილო! ნეტავი მომკლა და ამ სამარცხვინო სასჯელს ამაცდინა!

როზა ტიროდა და მთელი ტანით ცახცახებდა.

ოფელია ეცადა, გოგო დაემშვიდებინა.

_ აქ მოიცადე, მე წავალ მარისთან მოსალაპარაკებლად.

ოფელიამ მარი საპირფარეშო ოთახში ნახა. ძიძა თმებს უვარცხნიდა, ჯენი კი ფეხებს უზელდა.

_ მინდა, როზას შესახებ მოგელაპარაკოთ, _ უთხრა ოფელიამ მარის. _ გოგო ძალიან ნანობს, რომ თქვენთვის სიტყვა შეუბრუნებია.

_ მართლა? ეგ არაფერია, შენანება მერე იქნება, ჯერ სად ბრძანდება. ეყო, რაც ითამამა მაგ საძაგელმა გომბიომ. მე მაგას მოვაჭკვიანებ, თავისი ადგილი უნდა იცოდეს, თორემ თავზე დაგვასხდნენ.

_ როგორ შეიძლება ყმაწვილი ქალის გაწკეპვლა, მაგით ხომ ქალში ჩაკლავთ ყოველივე თავშეკავების, სირცხვილისა და მორიდების გრძნობას?

_ თქვენც გიპოვიათ, რაღა, ადამიანი და გამოსარჩლებიხართ. განა მაგისთანა გომბიოებმაც იციან, რა არის სირცხვილი და მორიდება? მე სასტიკი ადამიანი ვარ? განა თხუთმეტი მათრახი მაგისთანა თავაშვებული გოგოსათვის სისასტიკეა? მიეცით მაგას ნება _ და ჩქარა სხვა მონებიც თავზე წამოგასხდებიან. არა, ახლა სხვანაირად უნდა მოვუაროთ მაგათ.

ოფელია დარწმუნდა, რომ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, და იმედგაცრუებული გავიდა ოთახიდან.

ქალბატონი სენ-კლერი მოელაპარაკა ვექილებს, მშობლებს, მაზლს და გადაწყვიტა, აქაური მამული მთლად გაეყიდა.

ერთ დილით ადოლფმა მწუხარებით შეატყობინა თომას, მონებს გაყიდვას უპირებენო.

_ საიდან იცი ეგა? _ ჰკითხა თომამ.

_ ყური მოვკარი ქალბატონის ლაპარაკს. რამდენიმე დღის შემდეგ ყველა მონას აქედან გაგვისტუმრებენ.

_ რა გაეწყობა! _ წარმოთქვა თომამ და მძიმედ ამოიოხრა.

_ ჩვენ სენ-კლერისთანა ბატონს ვეღარ ვიშოვით, _ თქვა ადოლფმა ნაღვლიანად.

თომამ არაფერი უპასუხა. მისი მომთმენი გული იტანდა ოჯახისა და ცოლშვილის დაშორებას. აქამდის კიდევ იმედი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებისა, ახლა კი, ამ ამბის გაგონებაზე, საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცა; აღარ იცოდა, რა ექნა. მორჩილმა მონამ გულხელი დაიკრიბა და ყელში მომდგარი ცრემლები შეიკავა. გულის სიღრმეში კი გრძნობდა, რომ ამდენ განსაცდელს ვეღარ აიტანდა.

თომა წავიდა ოფელიასთან ამ საგანზე მოსალაპარაკებლად. ევას სიკვდილის შემდეგ თომა ძალიან დაუახლოვდა ოფელიას.

_ ქალბატონო, ალბათ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ბატონი დამპირდა განთავისუფლებას. როგორც განსვენებული ბრძანებდა, სათანადო დაწესებულებაში კიდეც დაიწყო ამ საქმის წარმოება. სიკეთე დამდეთ და ამ საგანზე ქალბატონს მოელაპარაკეთ: იქნება არ გადაეღობოს წინ თავისი ქმრის სურვილს.

_ ძალიან კარგი, თომა! მე უეჭველად მოველაპარაკები მარის, ვეცდები, დავითანხმო როგორმე, თუმცა უკვე ერთმა მაგალითმა დამარწმუნა, რომ მასთან ლაპარაკი ძნელია. წინასწარ ვერაფერს დაგპირდები.

ოფელიამ გადაწყვიტა, ფრთხილად, ზრდილობიანად ელაპარაკა მარისთან. ეშინოდა, თომას საქმეც არ წაეგო.

ოფელიას მარი დივანზე წამოწოლილი დაუხვდა; წინ ეყარა ფარჩეულობა და საზაფხულო კაბებს ირჩევდა.

_ აი, ეს საკაბე ცუდი არ უნდა იყოს, _ თქვა ქალბატონმა დასუსტებული ხმით და უჩვენა ერთ ნიმუშზე. _ მხოლოდ არ ვიცი, შემეფერება თუ არა ამ მდგომარეობაში ამ ფერის კაბა.

_ რატომაც არა, ქალბატონო! _ უპასუხა ჯენმა, _ სწორედ ამგვარი კაბა ეცვა იმ დღეს გენერალ დებრენონის ქვრივს. გენერალი დიდი ხანი არ გახლავთ, რაც გარდაიცვალა.

_ შენ რაღას იტყვი, დაო? _ შეეკითხა ოფელიას, _ შესაფერი იქნება?

_ შენ უკეთ იცი, მარი, რა შეგშვენის და რა არა. ეგ იმაზეა დამოკიდებული, სად როგორი ჩვეულება აქვთ.

_ მე მინდა, მძიმე თალხები გამოვიცვალო, თორემ კაბა ზედ შემომაცვდა. მაინც სულ ერთია: აქ დიდხანს აღარ ვიცხოვრებ.

_ როდის აპირებ აქედან წასვლას? _ ჰკითხა ოფელიამ.

_ შეიძლება ერთი კვირის შემდეგ. ჩემი მაზლი მწერს, რომ უმჯობესია, ყველაფერი საჯარო ვაჭრობით გავყიდოთ. ასე რომ, მე შემიძლია აქ აღარაფერს ვუცადო; საქმეებს ვექილს ჩავაბარებ და ის მოაწყობს ყველაფერს.

_ მარი, მინდა ერთ საქმეზე მოგელაპარაკო! _ უთხრა რძალს ოფელიამ. _ საქმე ისაა, რომ განსვენებული შენი ქმარი თომას განთავისუფლებას დაჰპირდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, ეს საქმე კანონიერი წესით შეესრულებინა. იმედია, შენ დააბოლოებ იმის დაწყებულ საქმეს.

_ სრულებითაც არა, მე თომას განთავისუფლებას არ ვფიქრობ, _ მკვახედ გააწყვეტინა ლაპარაკი მარიმ: _ ის ყველაზე კარგი მუშაა და რა ხეირია ჩემთვის, რომ სწორედ ის გავანთავისუფლო? სხვებში რაღას მომცემენ? არც საჭიროდ მიმაჩნია თომას განთავისუფლება: მისთვის ბევრად უკეთესია მონური ცხოვრება.

_ თვითონ თომას ძალიან უნდა განთავისუფლება, _ შეეცადა ოფელია ლაპარაკის განგრძობას, _ და ამას შეჰპირდა თვითონ ბატონი.

_ დარწმუნებული ვარ, ყველა მონა თავისუფლებაზე ბოდავს, _ მედიდურად წარმოთქვა მარიმ. _ რა უმადური ხალხია! მე მონების განთავისუფლების წინააღმდეგი ვარ. სანამ მათზე თვალყური უჭირავს ვისმე, კიდევ ადამიანებსა ჰგვანან, მაგრამ, თუ თავისუფლება მიიღეს, მაშინვე გამხეცდებიან. ბევრი მინახავს ამგვარი მაგალითი.

_ თომაზე ამას ვერ ვიტყვით. მასზე უკეთესი კაცი იშვიათია, _ უთხრა ოფელიამ.

_ მართალია, ისიც წყნარია, სანამ მონაა, მაგრამ მაგისთანებიც მინახავს. ისიც კარგად ვიცი, რა დაემართებათ ხოლმე განთავისუფლების შემდეგ.

_ ძალიან კარგი, გეთანხმები, რომ შენ ყველაფერს სწორად ამბობ, _ უპასუხა ოფელიამ და ძლივს შეიკავა თავი, რომ მარისათვის არ ეწყენინებინა, _ მაგრამ, რატომ არ ფიქრობ, რომ შეიძლება, შემდეგ თომა ჩავარდეს ცუდი კაცის ხელში.

_ ეგ ძველი ზღაპრებია! _ წარმოთქვა მარიმ. _ ცუდი ბატონები ძნელი წარმოსადგენია, ან თუ მოიპოვება _ მეტად იშვიათად. კარგ მონას ყველა კარგად ეპყრობა. ჩვენს სახლში ყოველთვის აუარებელი მონა იყო. მე იმათ შორის გავიზარდე და არასოდეს მინახავს ის საზიზღარი მაგალითები, რომლებიც მოჰყავთ ხოლმე ხშირად.

_ უნდა მოგაგონო, რომ თომას განთავისუფლება სურდა განსვენებულ შენს ქმარს. მას თავის მხრივ ჩვენმა ძვირფასმა ევამაც სთხოვა....დავიჯერო, მათ სურვილს არ შეასრულებ?

_ რა უბედური ადამიანი ვარ! ჩემზე არავინ ფიქრობს! _ ტირილით თქვა ქალბატონმა სენ-კლერმა, _ მგონია, უამისოდაც ბედმა საკმაოდ დამჩაგრა: დავკარგე ძვირფასი შვილი, ქმარი, რომელსაც სიყვარულით მივთხოვდი, _ ორი ძვირფასი ადამიანი ამ მოკლე ხანში. დავიჯერო, ადამიანებს იოტისოდენა სიბრალული არა აქვთ ჩემი, რომ ასე დაუსრულებლად მტანჯავენ?!

მარიმ ტირილი მორთო და ისტერიად გადაექცა. საჩქაროდ მოიწვიეს ექიმი. ამ არეულობაში ოფელია ოთახიდან გამოვიდა. მან იმედი დაკარგა, თომასათვის ეშველა რამე.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეეცადა თომას ბედის შემსუბუქებას. წერილი მისწერა იმის ძველ ქალბატონს, აუწერა, რაც მოხდა სენ-კლერის სახლში, შეატყობინა, რა მოელოდა თომას, და სთხოვა, რაც შეიძლება ჩქარა მოშველებოდნენ მას.

რამდენიმე დღის შემდეგ თომა, ადოლფი და ათიოდე კიდევ სხვა მონა წაიყვანეს ბაზარზე საჯარო ვაჭრობით გასაყიდად.

## ოცდამეექვსე თავი

## მონათა სავაჭრო

ღამით მონები დაამწყვდიეს დიდ ოთახში. ისინი სხვადასხვა წლოვანებისანი იყვნენ. ოთახში საშინელი ხმაური და სიცილი ისმოდა. ერთი ზანგი ოხუნჯობით ართობდა ბრბოს.

თომას არ მოეწონა ლაზღანდარობა. მან თავისი ყუთი მოშორებით დადგა კუთხეში, ზედ ჩამოჯდა და თავი კედელს მიაყრდნო.

მონებით მოვაჭრენი ყოველთვის ცდილობდნენ, ბაზრის გახსნამდე მონები კარგად ეკვებათ და გაერთოთ რითიმე. ჯანსაღსა და მხიარულ მონაში ყოველთვის უფრო მეტ ფასს აძლევდნენ მყიდველები. იმ მონებს, რომლებიც საერთო მხიარულებასა და ოხუნჯობაში არ მონაწილეობდნენ, ვაჭრები კარგი თვალით არ უყურებდნენ, მავნე კაცებად თვლიდნენ. ხუმარა სამბო მიუახლოვდა თომას და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

_რას აკეთებს ეს კაცი ამ კუთხეში? _ თქვა იმან ვითომ თავისთვის და გვერდში წიხლი ჰკრა თომას. _ ეგრე განაპირას რადა ზიხარ? _ ჰკითხა ახლა თომას. _ ოცნებას მისცემიხარ?

_ მე ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ. ვინ იცის, ვის ხელში ჩავვარდები! _ დაღონებული ხმით უპასუხა თომამ.

_ აი სულელი! მაგაზე რა ფიქრია საჭირო! სასიამოვნოცაა ჩემთვის, როცა მუშტარი მათვალიერებს და მსინჯავს ხოლმე.

ახლა ადოლფს მიუბრუნდა:

_ ხედავ, რა აზიზი ყმაწვილი ბრძანდება! ეს ნამდვილი თეთრკანიანი ბატონია და არა მონა! სუნამოც რომ უპკურებია! რაღაც სხვანაირი პრეწია ყმაწვილი ბრძანდება, როგორც ეტყობა!

_ გთხოვთ, თავი დამანებოთ! _ შეუბღვირა ადოლფმა.

_ ხედავთ, გული შიგნიდან ჰქონია! _ და სამბომ ლაპარაკში გამოაჯავრა ადოლფს.

ადოლფმა მოთმინება დაკარგა და მივარდა ლაზღანდარას. გაიმართა ჩხუბი და აყალმაყალი. მოჩხუბრებს გარს შემოეხვივნენ სხვა მონებიც და იმათი კინკლაობით ერთობოდნენ. ხმაურზე სარდაფის პატრონი მოვიდა.

_ რა ამბავი გაქვთ? _ დაუყვირა იმან და მონებს შოლტი გაუტყლაშუნა.

_ ჩვენი ბრალი არ არის, _ გაისმა აქეთ-იქიდან და ბრბო ამ სიტყვებით დაიშალა: _ აი, ახლები რომ მოიყვანეს, იმათ გამართეს ჩხუბი.

სარდაფის პატრონმა ვეღარ გაარჩია მართალი და მტყუანი და თითო შოლტი უთავაზა ადოლფსა და თომასაც.

ქალების განყოფილებაში სხვა სურათი იყო.

დიდ ოთახში ყვირილი და ხმაური იდგა. ბევრი იატაკზე იწვა და ეძინა. აქ მოხუცებულებიც იყვნენ და ახალგაზრდებიც. ერთ კუნჭულში იწვა ათი-თორმეტი წლის გოგო; ის დიდხანს გულამოსკვნილი ტიროდა და ბოლოს ჩაეძინა ტირილით მოქანცულს. მას გუშინ დედა გაუყიდეს და მისი ალერსი მოაკლდა. ცოტა მოშორებით იწვა მოხუცებული დედაკაცი. მის გამხმარ, დაბერებულ ხელებს ეტყობოდა, რომ დედაკაცს მთელი თავისი სიცოცხლე მძიმე შრომაში გაეტარებინა და ახლა, ვინ იცის, ვის ერგებოდა ის საჯარო ვაჭრობით მწვანილის ფასად. ოთახში სულ ორმოცდაათამდის დედაკაცი იყო. მოშორებით მოჩანდა ორი დედაკაცი.

ისინი დანარჩენებისაგან განირჩეოდნენ.

ერთი მათგანი მულატი ქალი იყო, ასე ორმოციოდე წლისა, სუფთად ჩაცმული. მას მშვენიერი თვალები და ნაზი პირისახე ჰქონდა. თავზე ეხვია ძვირფასი მოსახვევი. ეტყობოდა, კარგი ოჯახიდან იყო.

ამ დედაკაცს გვერდში ბარტყივით ამოჰკვროდა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ლამაზი გოგო. ერთი შეხედვით, შეატყობდით, რომ ესენი დედა-შვილი იყვნენ. გოგოს ისეთივე შავი, მშვენიერი თვალები ჰქონდა, როგორც მის დედას, შავი თმა კი _ უფრო სქელი და ხუჭუჭი. ნაზ თითებზე ეტყობოდა, რომ შავ სამუშაოს არ იყო ჩვეული.

აი, როგორ მოხვდნენ დედა-შვილი საჯარო ვაჭრობაში: დედას ერქვა სუსანა, შვილს _ ემელინა. რამდენიმე წლის წინ ისინი იყიდა ერთმა მდიდარმა ქალმა ახალ ორლეანში.

ეს ქალი მშვენივრად ეპყრობოდა მონებს, წერა-კითხვას ასწავლიდა, ერთი სიტყვით, ისინი კარგ ცხოვრებაში იყვნენ, რამდენადაც კი შეიძლება მონობის დროს კარგი ცხოვრება. მაგრამ ამ მდიდარ ქალს ერთი ბედოვლათი შვილი ჰყავდა. იმან ისე აუწეწა დედას საქმეები, რომ ვალებში ჩააგდო. დედა იძულებული გახდა, ყველაფერი გაეყიდა. დედა-შვილიც გაყიდა. მყიდველმა, თავისი მხრივ, ბაზარზე წამოიყვანა ორივენი გასასყიდად იმ იმედით, რომ კარგ ფასს აიღებდა.

მთვარის შუქი ოდნავ ხვდებოდა იმ კუნჭულს, სადაც სუსანა და ემელინა ისხდნენ. ორივენი ტიროდნენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ, ერთმანეთისათვის ცრემლები არ დაენახვებინათ.

_ დედა, _ თქვა ემელინამ და თავს ძალა დაატანა, რომ ტირილი არ წასკდომოდა: _ დედილო, დადე თავი ჩემს კალთაზე და დაიძინე.

_ არ მეძინება, შვილო! ვინ იცის, იქნებ უკანასკნელ ღამეს ვატარებთ ერთად!

_ ამაზე ნუ ფიქრობ, დედილო! შეიძლება, ვინმემ ერთად გვიყიდოს. სარდაფის პატრონმა თქვა _ თქვენ, დედა-შვილს, კარგი ვინმე გიყიდის ორივეს ერთადაო.

დედას ამ სიტყვებზე გაახსენდა, როგორი მოურიდებელი სიამოვნებით უსინჯავდა სარდაფის პატრონი იმის კოპწია გოგონას ხელებსა და თმებს, მოაგონდა სიტყვები: «პირველი ხარისხის საქონელია» და ბრაზით და ზიზღით

აევსო გული. სუსანა თავდაჭერილი ადამიანი იყო და გული უკვდებოდა, როცა წარმოიდგენდა იმ ცხოვრებას, რომელშიც შეიძლება ჩავარდნილიყო მისი შვილი.

_ იცი, ემა, რა გითხრა! ხვალ ეცადე, რაც შეიძლება მაგრად დაივარცხნო თმა, რომ ხუჭუჭი აღარ გეტყობოდეს.

_ რადა, დედილო, მაშინ ხომ თმა უშნოდ დამიდგება?

_ მართალს ამბობ, შვილო, მაგრამ შეიძლება ასე ჯობდეს. ბატონებს უყვართ, როცა მოსამსახურე არ კოხტაობს და უბრალოდაა ჩაცმული. შენი კულულები შეიძლება არ მოეწონოთ.

_ კარგი, დედილო, როგორც დამარიგებ, ისე მოვიქცევი.

_ გამიგონე, შვილო! _ განაგრძო დედამ ლაპარაკი: _ თუ ხვალ ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორეს, გახსოვდეს დარიგება: იყავი პატიოსანი, კარგი ქალი.

საბრალო დედა ლაპარაკობდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რა ძნელია ყმაწვილი ქალისთვის ბრძოლა. კარგად იცოდა, როგორი განსაცდელი მოელოდა იმის შვილს, რა ძვირად დაუჯდება, თუ გოგო მოინდომებს სირცხვილსა და გახრწნილებას თავი დააღწიოს.

მთვარე ზევიდან დაჰყურებდა საპყრობილეს, რომელშიც ამდენი ტანჯული და წამებული იმყოფებოდა.

გათენდა დილა, დამწყვდეულ და გასაყიდად გამზადებულ მონათათვის საზარელი და საბედისწერო.

სარდაფის პატრონი, ბატონი სკეგსი ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა.

_ ეს რა გიქნიათ ამ გოგოსთვის? _ დაიძახა მან წყრომით, როცა ემელინას თმები დაინახა. _ ხუჭუჭი კულულები რა იქნა? ასე უშნოდ რად დაგივარცხნიათ?

_ მე ვიფიქრე, ასე ემჯობინება-მეთქი, _ უპასუხა სუსანამ, _ უეჭველია, ამას ვინმე ხელზე მოსამსახურედ იყიდის და ბატონებს ეჯავრებათ მოპრანჭული გოგოები.

_ შენ მაგეებს ვინა გკითხავს! _ გააწყვეტინა ლაპარაკი სკეგსმა, _ ახლავე წადი და ძველებურად დავარცხნე თმები. _ მარტო ამ ხუჭუჭებში გაიღებს კარგი მუშტარი ას დოლარს.

თომა სხვა მონებთან ერთად იდგა დაფიქრებული და ათვალიერებდა სავაჭროდ მოსულ ხალხს; სურდა, დაენახა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მისი ნდობა და პატივისცემა გამოეწვია. ამ აუარებელ ხალხში არ მოიპოვებოდა არც ერთი სახე, რომ სენ-კლერის მშვენიერ სახესთან შორეული მსგავსება მაინც ჰქონოდა. თომა ვეღარ იშოვიდა ისეთ ბატონს!

რამდენიმე წუთის წინ, სანამ ვაჭრობა დაიწყებოდა, მონებში დაიწყო სიარული და იმათი თვალიერება დაბალმა, ჯმუხმა კაცმა. მას პერანგის საკინძე გახსნილი ჰქონდა და ამოზუნზლული შარვალი ეცვა. თომამ შეხედა და განუსაზღვრელი ზიზღი იგრძნო ამ კაცისადმი. მართლაც, მეტად ცუდი შესახედაობა ჰქონდა: ქერა, ყალყზე შემდგარი თმები, ქერა წვერ-ულვაში, ჭროღა თვალე-

ბი და განიერი პირი, რაღაც ნადირსა ჰგავდა. ვეებერთელა პირს წამდაუწუმ აღებდა და შიგ თამბაქოს იტენიდა, ღეჭავდა თამბაქოს და აფურთხებდა. როცა ზანგებს სინჯვა დაუწყო, მაშინ ხომ სულ გამოააშკარავა თავისი მხეცობა. ბრიყვულად წაავლო თომას ქვედა ყბაში ხელი, პირი გაუღო და კბილები გაუსინჯა, მერე მკლავები და კუნთები უნახა. მერე უბრძანა, გაქცეულიყო, რომ ენახა, რამდენად მაგარი ფეხები ჰქონდა.

_ სადაური ხარ? _ ჰკითხა ბოლოს თომას.

_ კენტუკიდან, ბატონო! _ უპასუხა თომამ და გარშემო მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველასა სთხოვდა ვისმე.

_ იქ რას აკეთებდი?

_ სულ მე მებარა ჩემი ბატონის მეურნეობა.

_ ტყუი, ცრუობ! _ და ამ სიტყვებით თომას მოშორდა.

ახლა ქალებთან მივიდა და ემელინას ხელები და კისერი გაუსინჯა. დედას გული უსკდებოდა, რომ ასე უზრდელად ექცეოდნენ იმის ქალს. ბავშვი დედას მიეკრა და ტირილი დაიწყო.

_ ნუ იცრემლები, _ შეუტია ბავშვს სარდაფის პატრონმა. _ მალე ვაჭრობა დაიწყება, აქ თამაშობა კი არ გეგონოთ.

მართლაც ჩქარა დაიწყო ვაჭრობა.

რიგი თომაზე მიდგა.

_ აბა, ყოჩაღად! _ უთხრა თომას დამფასებელმა.

თომა ავიდა საგანგებოდ სავაჭროდ მომზადებულ ადგილზე და შეშინებული თვალები მოავლო გარშემო. ხმაური ესმოდა და ლაპარაკს კი ვერ არჩევდა, ისე აერია ყველაფერი თავში. ბოლოს გაიგონა დამფასებლის ჩაქუჩის ბრახუნი. ვაჭრობა გათავებული იყო. თომა გაყიდეს. ვიღაცამ მოავლო ხელი და ამაღლებული ადგილიდან გადმოაგდო. სწორედ იმ საშინელი სახის კაცმა წაავლო თომას მხარში ხელი, გვერდზე გაიყვანა და დაუყვირა:

_ აქ გაჩერდი!

თომას თავზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ სწორედ იმ კაცს უყიდია, რომელმაც პირველი შეხედვისთანავე მის გულში ზიზღი გამოიწვია.

ვაჭრობა თავისი წესით წარმოებდა. დამფასებლის ჩაქუჩი ხმაურობდა.

სუსანასა და ემელინას გარშემო დიდი ბრძოლა ატყდა ვაჭართა შორის. როცა დედა გაყიდეს და ამაღლებული ადგილიდან ჩამოაგდეს, იმან მთრთოლვარე ხელები გაიწოდა შვილისაკენ. გამწარებულ დედას ერთი შუახნის, კეთილი სახის კაცი მიუახლოვდა.

_ ოჰ, ბატონო, გემუდარებით, ჩემი შვილიც იყიდეთ!

_ დიდი სიამოვნებით, თუ ფული მეყო.

ეტყობოდა, იმასაც ეცოდებოდა შეშინებული გოგო.

ემელინაზე უფრო დიდი ბრძოლა ატყდა. დამფასებელმა ეს რომ დაინახა, ფასი აუწია. სუსანას მყიდველმა ვეღარ შეძლო მომატება და ვაჭრობას თავი დაანება.

ემელინაც იმ ვაჭარს ერგო, რომელმაც თომა იყიდა.

ამ ვაჭრის გვარი იყო ლეგრი. მას დიდი პლანტაციები ჰქონდა წითელ წყალზე. ემელინაც ჩააყენეს თომას ჯგუფში. მათთან კიდევ ორი მონა იყო. ბავშვი ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ ცრემლები რას უშველიდა. იძულებული იყო, საითაც უბრძანებდნენ, იქით წასულიყო.

## ოცდამეშვიდე თავი

## ისევ მონად

ბიძია თომა ხელფეხგაბორკილი იჯდა გემის ქვედა ბაქანზე. გემი წითელ წყალზე მიდიოდა. შავი ფიქრები უხუთავდნენ სულს თომას. ყველაფერი კარგი გაჰქრა მის ცხოვრებაში და აღარავითარი იმედი არა ჰქონდა მონობიდან განთავისუფლებისა. უნდა გამოსთხოვებოდა იმ ოცნებას, რომ როდისმე დაბრუნდებოდა კენტუკში თავის ცოლ-შვილთან, ნაცნობ-მეგობრებთან. მწარედ იგონებდა, რა კარგად ცხოვრობდა სენ-კლერის სახლში. ახლა ქედი უნდა მოეხარა ახალი ბატონის წინაშე, ეწია ის მძიმე უღელი, რომელსაც ახლა ადგამდნენ. ლეგრის, თომას გარდა, ბაზარზე ნაყიდი რვა სხვა მონაც მიჰყავდა. სანამ გემში ჩასვამდა, თითოეული მათგანი კარგად გაჩხრიკა. ბოლოს ჯერი მიდგა თომაზე. შეხედა მის ტანისამოსს, ახალ წაღებს და დაუღრიალა:

_ ადექ ზეზე!

თომა ადგა.

_ გაიხადე ყველაფერი!

თომას ტანთ გახდას ბორკილები უშლიდა. ლეგრიმ თვითონ გააძრო საჩქაროდ ტანისამოსი, გახსნა მისი ყუთი, იქიდან ძველები ამოიღო და მისცა ჩასაცმელად. ამ ტანისამოსს სენ-კლერის სახლში თავლაში ცხენების მოვლის დროს იცვამდა ხოლმე.

_ აბა, მარდად ჩაიცვი, _ უთხრა ლეგრიმ თომას. _ ფეხსაცმელიც გაიხადე და ეს ძველები ჩაიცვი! _ მიუყარა დაგლეჯილი წაღები. ლეგრიმ გაუსინჯა ჯიბეები და, რაც კი იპოვა, სხვათა შორის, ევას სახსოვარი თმები, ყველაფერი გადაუყარა წყალში.

_ მე მეჯავრება, როცა ჩემი მონები წერა-კითხვასა და სხვა ამისთანა სისულელეებში კარგავენ დროს. ეს კარგად დაიხსომე! ამის შემდეგ მხოლოდ მე ვარ შენი ბატონ-პატრონი, ყოველი ჩემი სურვილი და ბრძანება შენთვის კანონი უნდა იყოს!

ლეგრიმ გახსნა თომას ყუთი და იქვე გაყიდა, რაც მეტი საცვალი და ბარგი აღმოაჩნდა. თან დასცინოდა მონებს _ ბატონებს ჰბაძავენ და ბატონებივით მოპრანჭულები დადიან ხოლმეო.

_ აი, ახლა მშვენივრად ბრძანდები მორთული, _ უთხრა მან თომას, როცა ყველაფერი გაუყიდა. _ შენ ახლა მეტი ბარგი აღარ შეგაწუხებს. რაც ახლა ჩაგაცვი, ამ ტანისამოსს უნდა გაუფრთხილდე, ჩემო კარგო, იმიტომ რომ ჩემგან სხვა ტანისამოსს ნუღარ მოელი წლის დამლევამდის.

ლეგრი ახლა ემელინას მიუბრუნდა.

_ აბა, გოგო, _ უთხრა მას უნამუსო ღრეჭით და ნიკაპში ხელი ამოჰკრა, _ მხიარულად შემომხედე!

გოგომ უკან დაიწია. მის სახეზე შიში და ზიზღი გამოიხატა. ლეგრიმ შუბლი შეიჭმუხნა.

_ პრანჭვა-გრეხას თავი უნდა დაანებო, _ უთხრა იმან, _ როცა მე გელაპარაკები, მხიარული ღიმილით უნდა შემომყურებდე, გესმის თუ არა? შენ, ჰეი, ზებრუცუნავ, ნურც შენ ჩამოგიშვია ცხვირი, _ მიუბრუნდა მესამეს, _ ყველანი მხიარულად უნდა იყვეთ! მე მონების გათამამება არ მიყვარს. ბუნებამ დამაჯილდოვა იმათთვის ზორბა მუშტით! _ თქვა ესა და თომას ისე ახლო მიუტანა მუშტი ცხვირთან, რომ თომამ უნებურად უკან დაიხია.

_ მე დაქირავებული ნოქრები არა მყავს, ჩემს საქმეებს მე თვითონ ვაწარმოებ! _ ყვიროდა ლეგრი და აზბოქრებული მიმოდიოდა. _ თუ მონამ რამე გამიფუჭა, ჩემი ხელით გავაძრობ ტყავს.

ამის შემდეგ ის წავიდა გემის იმ ნაწილისაკენ, სადაც ბუფეტი ეგულებოდა, რომ არაყი გადაეხუხა.

უბედური მონები კი შებორკილები და გულჩათუთქულები ისხდნენ გემის ბაქანზე. რაღას უნდა მოელოდნენ ისინი ასეთი საზარელი ადამიანის ხელში? ვინ იხეირებს ასეთ ბოროტ ადამიანთან? ემელინა ბორკილით გადაბმული იყო ახალგაზრდა მულატ ქალთან. ყმაწვილი გოგო გამოელაპარაკა მეზობელს.

_ ვინ იყო უწინ თქვენი ბატონი? _ ჰკითხა მან.

_ ბატონი ელისი, _ უპასუხა მულატმა ქალმა, _ გამოჩენილი მდიდარი კაცი. ნანახი გექნებათ იმისი მშვენიერი სასახლე ახალ ორლეანში.

_ როგორი კაცი იყო?

_ წინათ კარგი, მაგრამ ავადმყოფობის შემდეგ გაავზნევდა და აუტანელი შეიქნა იმასთან სამსახური. არც დღე, არც ღამე მონებს მოსვენებას არ აძლევდა. მე მთელ ღამეს თავის გვერდით მათევინებდა, ძილის ნებას არ მაძლევდა. ძალა გამომელია, დავსუსტდი და ერთხელ, სამწუხაროდ, წამეძინა. ბატონი საშინლად გამიწყრა და დამემუქრა _ გაგყიდიო. ასეც მოხდა. გამყიდა და მერე ამ ბოროტი კაცის ხელში ჩამაგდო. წინათ მპირდებოდა _ გაგათავისუფლებო.

_ მშობლები გყავთ? _ განაგრძო ემელინამ კითხვა.

_ ქმარი მყავს. ვერც კი მოვასწარ მასთან გამოთხოვება. ქმრის გარდა, ოთხი შვილი დამრჩა იქა. ოჰ, მე უბედური!..

დედაკაცმა თვალებზე ხელი მიიფარა და მწარედ ატირდა. ემელინა შეეცადა, საცოდავისათვის ნუგეში ეცა, მაგრამ რა ანუგეშებს ასეთ უბედურებაში მყოფ ადამიანს?

გემი მიაპობდა წყლის ტალღებს. უბედური ხელფეხშებორკილი მონები გაჰყურებდნენ მთა-გორიან ნაპირებს. ბოლოს გემი გაჩერდა იმ პატარა ქალაქის ნავსადგურში, სადაც ლეგრი უნდა გადმოსულიყო თავისი მონებით.

## ოცდამერვე თავი

## ახალი ბინა

თომა და მისი თანამგზავრები ძლივს იძვროდნენ ტალახიან გზაზე. მათ წინ მიდიოდა ურემი; შიგ ისხდნენ ლეგრი, ემელინა და მულატი ქალი. ლეგრის თავის მამულში მიჰყავდა მონები. გზა მიდიოდა დაბურულ, თვალუწვდენელ ნაძვის ტყეში. ძნელი წარმოსადგენია ამაზე ყრუ და მივარდნილი ადგილი.

ქარი ქროდა და ახმაურებდა ხეებს. ბალახებში დასრიალებდნენ მცურავები და სხვადასხვა ქვეწარმავალნი. ასეთ გზაზე მოგზაურობა ბედნიერ და მხიარულ კაცსაც კი აღუძრავდა შავ ფიქრებს და, აბა, რა დაემართებოდათ დარდისა და ნაღველისაგან გამწარებულ მონებს? მოწყენილნი იყვნენ ლეგრის მონები, სახეები ჩამოსტიროდათ! მხოლოდ ლეგრი იყო მხიარულად. წამდაუწუმ არაყს ხუხავდა და ამით იკეთებდა გუნებას.

_ თქვენ, ჰეი, ზანგებო! _ დაუყვირებდა ხოლმე ის მონებს დროგამოშვებით, როცა იმათ დაღვრემილ სახეებს დაინახავდა, _ რას ჩამოგიშვიათ ცხვირები? აბა, იმღერეთ რამე!

მონები ერთმანეთს შეხედავდნენ და უჩუმრად განაგრძობდნენ გზას.

_ არ გეყურებათ, რომ გიბრძანებთ? _ დაიღრიალა ლეგრიმ ბოლოს და შოლტი გაატკაცუნა.

ვიღაცამ რაღაც უაზრო სიმღერა დაიწყო, მოჰყვა ფეხების ბარტყუნს და შაირები მიაყოლა; დანარჩენებმა ძალაუნებურად ბანი მისცეს. ეს ვითომდა მხიარული სიმღერა ტირილსა და ქვითინზე უფრო მძიმე მოსასმენი იყო, იმიტომ რომ ეს იყო ცრემლებში ნალევი ხმა ტანჯული ადამიანებისა. მაგრამ ლეგრი ამას ანგარიშს არ უწევდა. მან განზრახ უბრძანა მონებს ემღერათ, რომ ფიქრის დრო აღარ დარჩენოდათ.

_ აი, ჩემო კეკლუცო, ცოტა კიდევ და მალე ჩვენს სახლში ვიქნებით, _ ამ სიტყვებით მან ემელინას მხარზე დაადო ხელი.

შეშინებული ემელინა მულატ ქალს მიეკრა, თითქო იმასა სთხოვდა შველას. ეშინოდა ლეგრის ლანძღვა-გინებისა და ყვირილისა, მაგრამ უფრო მწარე დღე ადგებოდა ლეგრის ალერსისაგან.

_ განა საყურეებს არ ატარებ? _ ჰკითხა ლეგრიმ.

_ არა, ბატონო, _ ცახცახით მიუგო თავდახრილმა ქალმა.

_ ლამაზ საყურეებს გაჩუქებ, თუ ჭკვიანი გოგონა იქნები, _ უთხრა ლეგრიმ, _ შენ ჩემი ნუ შეგეშინდება: შენისთანა ლამაზ გოგონასთვის ძალიან გულკეთილი ვარ ხოლმე.

ლეგრის არაყი მოერია და არშიყობის გუნებაზე დადგა.

ჩქარა გამოჩნდა იმისი მამული და სახლი. ოდესღაც ეს მამული ეკუთვნოდა მდიდარ მემამულეს და მშვენივრადაც ჰქონდა მოვლილ-მოწყობილი, მაგ-

რამ, რაც ლეგრიმ იყიდა, მამულის გამშვენიერებაზე ხელი აიღო. იმისთვის სულ ერთი იყო _ შერჩებოდა სასახლეს თუ არა ძველებური მშვენიერება. ერიდებოდა ისეთ ხარჯს, რომელსაც პირდაპირი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. ამის გამო სასახლემ ნელ-ნელა დაკარგა თავისი ძველი მშვენიერება. უწინ სასახლეს დიდი, მწვანით შემოსილი ეზო ჰქონდა, ახლა კი ეზო ნარ-ეკლითა და ნაგვით იყო სავსე. ირგვლივ ღობეზე ასული ყვავილები ალაგ-ალაგ გადახმა. კვლებში უბრალო ბალახმა ყვავილებს თავს გადაუარა. აქა-იქ ეყარა დამტვრეული თიხის ქოთნები.

ურემი გრძელ ხეივანში შევიდა. ხეივნის ბოლოს სასახლე მოჩანდა. ურემი სასახლის წინ გაჩერდა. ლეგრის ავმა ძაღლებმა საშინელი ყეფა ატეხეს და ურემს მიესივნენ, სახლიდან ბიჭები გამოცვივდნენ და ძლივს მოუგერიეს ძაღლები ახალმოყვანილ მონებს.

_ აი, ხომ ხედავთ, გირჩევთ, ყოველთვის ფხიზლად იყოთ და ძაღლებს არ ჩაუვარდეთ პირში, თორემ შესაჭმელად არ დაგინდობენ. კარგად გახსოვდეთ, რომ ჩემი ძაღლები დაგეშილები არიან ზანგებზე და, თუ ვინმე თქვენგანი მოისურვებს გაქცევას, ვაი იმის ტყავს!

_ სამბო, როგორ აწარმოეთ საქმეები უჩემოდ? _ ჰკითხა ლეგრიმ ზანგს, რომელიც ბატონს თავს დასტრიალებდა.

_ ძალიან კარგად, ბატონო!

_ შენ, კვიმბო, _ მიუბრუნდა მეორე ზანგს, რომელიც აგრეთვე ცდილობდა, ბატონის ყურადღება მიეპყრო, _ ყველაფერი აასრულე, რაც დაგავალე?

_ დიახ, ბატონო! _ მიუგო კვიმბომ მონური ღიმილით.

ეს ორი ზანგი ზედამხედველად ჰყავდა ლეგრის.

ეს ზანგები ბატონზე უფრო ბოროტები იყვნენ და საბრალო მონებს საშინლად ტანჯავდნენ. ორივენი ცდილობდნენ, ბატონის ყურადღება დაემსახურებინათ, მისი გული მოეგოთ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მაზეზღარობასა და სისასტიკეში. მათ ერთმანეთი სძულდათ, ერთმანეთის შურით იყვნენ სავსენი და მუდამ ეცილებოდნენ ერთმანეთს.

_ აბა, სამბო, ეს ბიჭები დააბინავე. აი, ეს ქალბატონი შენთვის მიჩუქებია, _ უთხრა მან ერთგულ მონას და მულატ ქალზე უჩვენა: _დაგპირდი, შენთვის ცოლი მეშოვა, და, აი შეგისრულე დაპირება. შეგიძლია, შენს ქოხში წაიყვანო.

საბრალო შეშინებულმა ქალმა უკან დაიხია.

_ რას ბრძანებთ, ბატონო, _ თქვა ქალმა, _ მე ხომ ქმარი მყავს, ის ახალ ორლეანშია.

_ მერე რა არის? ის ორლეანშია, აქ კი სხვა ქმარი დაგჭირდება. გაჩუმდი, შე სულელო, და წაჰყევი, სადაც წაგიყვანს.

ამ სიტყვებით ლეგრიმ შოლტი მოუღერა დედაკაცს.

ამ დროს სასახლის ფანჯრიდან ერთმა დიდთვალა შავკანიანმა ქალმა გამოიხედა. როცა ლეგრიმ სახლის კარებში შედგა ფეხი, ოთახიდან გაჯავრებული ქალის ხმა მოისმა.

თომა თვალყურს ადევნებდა ემელინას. მან გაიგონა ქალის ხმა და ლეგრის შემდეგი პასუხი:

_ გაჩუმდი! მე ვარ აქ ბატონი, რაც მსურს, იმას ვაკეთებ.

მეტის გაგონება ვეღარ მოასწრო, იმიტომ, რომ თომა სამბომ წაიყვანა დასაბინავებლად.

ლეგრის მონები ცხოვრობდნენ პატარ-პატარა ქოხებსა და მიწურებში, სასახლის ცოტა მოშორებით.

თომას გულმა დაიკვნესა, ეს ქოხმახები რომ დაინახა. როცა ერთ ქოხში შეიყვანეს, სული შეეხუთა და იმავ წამს გარეთ გამოვარდა.

_ რომელ ქოხში უნდა ვიცხოვრო? _ ჰკითხა მან სამბოს.

_ მეც არ ვიცი, რომელში მოგათავსო. აი იმ ქოხში, ვგონებ, კიდევ არის ერთი კაცის ადგილი, _ უთხრა სამბომ და მიუთითა ერთ ქოხზე.

მუშაობით დაქანცული მონები გვიან საღამოთი დაბრუნდნენ, მათ დაძონძილი ტანისამოსი ეცვათ და დაღვრემილი სახეები ჰქონდათ. არც კი შეუხედავთ ახლად მოყვანილებისათვის. ისინი მთელი დღე მზის ამოსვლიდან დაღამებამდის თავაუღებლივ მუშაობდნენ. თუმცა ბამბის მოკრეფა ძნელი საქმე არ არის, მაგრამ მთელი დღე სიცხე-პაპანაქებაში ტრიალი კაცს ჩაგრავს. თომა კი ათვალიერებდა ამხანაგებს და ცდილობდა, მათ შორის ეპოვა ვინმე, რომ გული შეჰვარდნოდა. მაგრამ ამაოდ, ყველას მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. აქ კაცი მხიარულ ლაპარაკს ყურს ვერ მოჰკრავდა. შინ დაბრუნების შემდეგ კიდევ ჰქონდათ საზრუნავი: ხელსაფქვავებზე ხორბალი უნდა დაეფქვათ, ცომი მოეზილათ და ვახშმისათვის პური გამოეცხოთ. ყველა მათგანი ცდილობდა, ადრე ჩაეგდო ხელში ხელსაფქვავი.

შუაღამემდის ხელსაფქვავების ღრიჭინი ისმოდა. ხელსაფქვავები ცოტა იყო და ამიტომ ჯერითა ფქვავდნენ. მძლავრები ძალმომრეობდნენ და უწინ ფქვავდნენ, სუსტები ბოლოს რჩებოდნენ.

_ აბა, ერთი ხორბალი დამიფქვი და ვახშამი მომიმზადე, _ უთხრა სამბომ ლეგრისაგან ნაბოძებ ცოლს. _ რა გქვია? შენი სახელი მითხარი.

_ ლუსი, _ უპასუხა დედაკაცმა.

_ გამიგონე, ლუსი, შენ ახლა ჩემი ცოლი ხარ და უნდა მემსახურო.

_ მე შენი ცოლი არა ვარ და არც ვიქნები არასოდეს, _ უთხრა დედაკაცმა გაბრაზებით. _ დამეკარგე აქედან!

_ ხმა ჩაიკმინდე, თორემ მე ვიცი შენი! _ დაუღრიალა სამბომ. _ წიხლი ხომ არ მოგდომებია.

_ მომკალი, თუ შეგიძლია. რაც ჩქარა მოვკვდები, ისა ჯობია, _ უპასუხა გამწარებულმა დედაკაცმა.

თომას ძალიან მოშივდა. გზაში გემოთი არაფერი გაუსინჯავს და დაღლილობისა და შიმშილისაგან მუხლები ეკეცებოდა.

_ აი შენი ერთი კვირის საზრდო, _ უთხრა მას კვიმბომ და ერთი პარკი ხორბალი გადმოუგდო, _ შენ თვითონ უნდა დაფქვა და გამოაცხო. კარგად გა-

უფრთხილდი ამ საზრდოს, თორემ ერთი კვირის განმავლობაში მეტს ვეღარ მიიღებ.

თომამ დიდხანს იცადა, სანამ ხელსაფქვავის ჯერი შეხვდებოდა. შიმშილი-სა და დაღლილობის მიუხედავად, მან ორ დედაკაცს უშველა ჯერის გამოფქვა, შემდეგ შეუკეთა ბუხარს და ისევ შეუდგა ხორბლის დაფქვას.

დედაკაცები თავის მხრივ დაეხმარნენ ცომის მოზელაში.

მალე დედაკაცებიც წავიდნენ. თომა მარტო დარჩა ცეცხლის პირას. ხანი გა-დიოდა. ბუხარში ცეცხლი ჩაიფერფლა. მთვარე ამოვიდა და არემარეს შუქი მოჰფინა. გაანათა მონათა უბანიც. აქ ეძინათ მუშაობით მოქანცულ ადამიანებს. მთვარის ნაზი შუქი იმ ქოხსაც მოხვდა, რომელშიც თომა იჯდა მარტო.

თომა მტკიცე ადამიანი იყო, მაგრამ ამ მძიმე წუთებში, საზარელი მომავ-ლის მოლოდინში, იმისი სპეტაკი სულიც წყვდიადმა მოიცვა. ეჭვები შეეპარა იმ საღმრთო სიტყვებში, რომლებიც ყოველთვის ამხნევებდა და უადვილებდა მონის მძიმე უღლის ატანას.

კარგა ხანს იმყოფებოდა თომა ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში. ბოლოს წამოდგა და თავისი ქოხისაკენ წავიდა. იქ უკვე რამდენსამე კაცს ეძინა. ქოხში მძიმე ჰაერი იყო. თომას შეეზიზღა იქ ყოფნა, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა: გა-რეთ დედამიწა დანამული იყო და არ შეიძლებოდა იქ წოლა. გაეხვია დაგლე-ჯილ საბანში, მიწვა ჩალაზე და მიიძინა. სიზმარში პატარა ევა ნახა.

## ოცდამეცხრე თავი

## სამუშაოზე მომხდარი ამბავი

თომა მალე მიხვდა, რას უნდა მოელოდეს კაცი ახალი ბატონისაგან. პირ-ველ დღესვე იმდენი უსამართლობა და სიმკაცრე ნახა, ისე საძაგლად ექცეოდ-ნენ ყველანი მონებს, რომ აქ ადამიანური ცხოვრების იმედი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ კეთილმა, მშრომელმა და სინდისიერმა ადამიანმა გადაწყვიტა, ყოველი ღონე ეხმარა და კარგი ყოფაქცევითა და მუყაითობით ლეგრის გული მოეგო. ბატონმაც თავის მხრივ ჩქარა შეატყო, რომ თომა მხნე მუშა იყო, და აზრად ჰქონდა, მომავალში მუშების ზედამხედველად დაენიშნა, თუმცა რაღაც დაუძ-ლეველ სიძულვილს გრძნობდა ამ მშვიდი და კეთილი შავკანიანისადმი. მისი ბოროტი გული ვერ ეგუებოდა თომას ყოფაქცევას. ლეგრის თანაშემწე რომ გამ-ხდარიყო, თომას ხასიათი სულ უნდა შეეცვალა, ისევე სასტიკად უნდა მოქცე-ოდა მონებს, როგორც სხვა ზედამხედველები.

და ლეგრიც შეუდგა თომას აღზრდას.

ერთხელ, როცა მონები სამუშაოდ გავიდნენ, თომას ყურადღება მიიქცია ერთმა ახალმა მუშა ქალმა: იგი გამოირჩეოდა სხვებისაგან თავისი გარეგნობით და თავიც დამოუკიდებლად ეჭირა.

ეს იყო მაღალი, მოყვანილი ტანის ქალი; ნაზი თითები და პატარა ფეხები ჰქონდა; სუფთად ეცვა. შესახედაობით ასე ოცდათხუთმეტ-ოცდათექვსმეტი

წლის იქნებოდა. თუმცა მწუხარებას მისი სახისათვის თავისი კვალი დაეჩნია, მაგრამ ქალს კიდევ შერჩენოდა ძველი სილამაზე. მომხიბლავი შავი, დიდი თვალები, მშვენიერი შუბლი, პატარა კოპწია პირი ამკობდა მის პირისახეს. დაღვრემილ სახეს ტანჯვა-წამების ბეჭედი აჩნდა. ეტყობოდა, აქ მას ყველაფერი სძაგდა, ეზიზღებოდა. თომას ამის მეტად არ ენახა ეს ქალი და გაკვირვებით გააყოლა თვალი, როცა ქალმა მონებს შორის ამაყად გაიარა. ეტყობოდა, მონები კარგად იცნობდნენ ამ ქალს, ყველა რაღაც ეჭვიანად იღიმებოდა მის დანახვაზე და მოურიდებლად დასცინოდა.

_ აჰა, შენც მოესწარი ამ დღეს! დროა, შენც იგემო მონის უღელი!

_ რაო, ქალბატონო, დამთავრდა შენი ბატონობა? შენმა ნაზმა ხელებმაც უნდა სცადონ მუშაობა?

_ მგონი, დღეს ამას სამბოს შოლტი არ ასცდება, ბიჭებო!

_ არ მოუხდება თუ? შეხედეთ, რა ნაზი კანი აქვს!

ქალი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ დაცინვას. თომამ იცოდა კაცის ცნობა და ჩქარა მიხვდა, რომ ეს ქალი კარგი ოჯახის შვილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ის ვერ გაეგო, როგორ ჩავარდა ასეთ მდგომარეობაში. გზაში ქალს თომასკენ ერთხელაც არ მიუხედავს, თუმცა თითქმის მხარდამხარ მისდევდა.

მივიდნენ თუ არა მინდორში, თომა მაშინვე შეუდგა მუშაობას, მაგრამ მაინც თვალს ადევნებდა ამ უცნაურ მონა ქალს. ჩქარა შენიშნა, რომ ქალი მარჯვე მუშა იყო. თომას გვერდით მუშაობდა ლუსი, რომელსაც უმძიმდა მუშაობა. სისუსტისაგან ისე დალასლასებდა, თითქოს საცაა წაიქცევაო. თომა შეუმჩნევლად მიუახლოვდა ლუსის და მოკრეფილი ბამბა კალათში ჩაუყარა.

_ ნუ იზამ ამას, თორემ შეგამჩნევენ და დაგსჯიან, _ უთხრა ქალმა.

ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ზედამხედველი სამბო თავისი მათრახით.

_ რას ჩადიხართ, თქვე ცუღლუტებო! _ დაიღრიალა მან და წიხლი ჩაჰკრა ქალს. თომასაც ისე ღონივრად გადააწნა სახეზე მათრახი, რომ თომას სისხლი წასკდა. იგი უხმოდ დაბრუნდა თავის ადგილზე და მუშაობა განაგრძო, ლუსი კი ღონემიხდილი დაეცა მიწაზე.

_ დამაცადე, ჩქარა წამოგახტუნებ! _ თქვა ბრაზმორეულმა სამბომ, სახელოდან გრძელი ქინძისთავი ამოიღო და საბრალო ქალს ყუნწამდის შეურჭო გვერდში. ქალმა დაიგმინა და წამოიწია.

_ ადექი, შე პირუტყვო! _ დაუყვირა სამბომ, _ თორემ უარესად გაგიმასპინძლდები.

ლუსიმ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, კვნესით წამოდგა და სცადა მუშაობა.

სამბო მოშორდა. მულატმა ქალმა განწირული ხმით წარმოთქვა:

_ ნეტავ, როდის მოეღება ბოლო ამ ტანჯვას?

თომა დარაჯობდა სამბოს და, წავიდა თუ არა იგი, ისევ მივიდა ლუსისთან და კიდევ ჩაუყარა კალათში ბამბა.

_ ნუ იქცევი აგრე; იქნებ არ იცი, როგორ აწამებენ ამის გულისათვის?

_ რაც უნდათ, ის მიყონ, _ უპასუხა თომამ, _ მე ჯანსაღი ვარ და ბევრს ავიტან, შენ კი ძლივსღა დგახარ ფეხზე.

ამ სიტყვებით თომა თავის ადგილზე დაბრუნდა. ამ დროს იმის კალათს მიუახლოვდა ის ქალი, რომელსაც თომა დილით გაოცებული შეჰყურებდა, და კალათში ბამბა ჩაუყარა.

ქალს გაეგონა თომას და ლუსის ლაპარაკი.

_ გეტყობა, დიდი ხანი არ არის, რაც მოსულხარ, _ უთხრა ქალმა თომას, _ აქაური წესები არა გცოდნია. აქ სხვისი შებრალება კი არა, ნეტავი კაცმა თავისი თავი როგორმე გადაირჩინოს.

_ შენც დაიწყე ჩემი მოტყუება?! _ დაუყვირა სამბომ, რომელიც საიდანღაც გაჩნდა ქალის ახლოს და შოლტი მოუღერა. _ ნუ გავიწყდება, მზეთუნახავო, რომ ახლა შენი უფროსი მე ვარ. მიფრთხილდი, ჩემი მათრახი არ იგემო.

ქალი აენთო, თვალებიდან ელვა გამოკრთა, ცხვირის ნესტოები დაებერა, ტუჩები სიბრაზით აუთრთოლდა. მან ამაყად, ზიზღითა და მძულვარებით შეხედა სამბოს.

_ ერთი გაბედე და თითი დამაკარე, შე ლაწირაკო, შენა! _ დაუყვირა ქალმა. _ არ გეგონოს, თითქოს მე გავლენა აღარა მაქვს. თუ მოვისურვე, ერთი თვალის დახამხამების მეტი არ დამჭირდება, რომ ძაღლებს ლუკმა-ლუკმა დავაფლეთინო შენი თავი!

_ უკაცრავად, ქალბატონო კასი! _ უცბად გამოიცვალა კილო შეშინებულმა სამბომ. _ მე ჯერაც ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ თქვენ სამუშაოზე გამობრძანდით?

_ არ გესმის და ხმა გაიკმინდე; ბევრს ნუ ლაპარაკობ და აქედან მოშორდი!

სამბო გაბრუნდა გაწითლებული. ქალმა დაიწყო მუშაობა. ისე მარჯვედ მუშაობდა, რომ, საღამო ჯერ მოტანებული არ იყო და კალათი კი სავსე ჰქონდა ბამბით, იმის მიუხედავად, რომ თომასაც შველოდა.

კარგა ხანია მზე ჩავიდა. დაქანცულმა მონებმა თავიანთი სავსე გოდრები იმ ფარდულისაკენ წაიღეს, სადაც მოკრეფილ ბამბას აგროვებდნენ.

ლეგრი მუშებს აქ უცდიდა. გვერდით თანაშემწეები ედგნენ და ყურში ჩასჩურჩულებდნენ, რაც მოხდა დღის განმავლობაში.

_ თომა მუშებს აჯანყებს, ბატონო! _ იჩივლა სამბომ, _ მე წავასწარი _ ლუსის შველოდა ბამბის კრეფაში. ამ დღეებში კი იმაზე ულაპარაკია, რომ აქ მონები მძიმე ცხოვრებას ეწევიანო. თუ ბატონი თვითონ არ დატუქსავს, მე აღარ ვიცი, რა მოვუხერხო!

_ ერთი იმ შავ მაიმუნს უყურეთ! დამაცადოს, მე ვასწავლი ჭკუას! _ დაიღრიალა ლეგრიმ. _ მე კარგი საშუალება მოვიგონე მაგის მოსაჭკვიანებლად. თვითონ მას უნდა მივანდო ვისიმე ცემა.

_ ძნელია, რომ მაგისთანა საქმეზე დაითანხმოთ, ბატონო, თომა, _ უთხრა შხამიანი ღიმილით სამბომ.

_ ვნახოთ. ვუბრძანებ, აასრულოს ჩემი სიტყვა, არ აასრულებს და თვითონ მას მოხვდება. მხოლოდ ჯერ ამისი დრო არ არის: მუშაობის დროა, მუშახელია საჭირო.

სამბომ წეღანდელივით გაიცინა.

_ რაც შეეხება მულატ ლუსის, _ განაგრძო სამბომ ცბიერად, _ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მეტად ზარმაცია და, თომას რომ არ ეშველა, ცარიელ კალათს მოიტანდა.

_ ჰაა, თომა შველოდა?! _ დაიღრიალა ლეგრიმ, _ აი სწორედ ლუსი უნდა გავაწკეპლინოთ თომას!

ამ სიტყვებზე ლაქუცა თანაშემწეებმა გაიცინეს.

_ წონაში კი იქნება გამოვიდეს ლუსის კალათი, მაგრამ სხვისი ნამუშევარია.

_ მე თვითონ ავწონი: ვნახავ, თუ წონაში მოვა!

დაღლილი მონები მოწიწებით მიდიოდნენ ბატონთან და ნამუშევარს აბარებდნენ. ლეგრის ერთ ხელში დაფა ეჭირა და თითოეული მუშის დღიურ ნამუშევარს აღნიშნავდა.

თომას გოდორი კარგად გამოვიდა წონაში. მას ახლა ლუსის დარდი ჰქონდა. საწყალი ქალი სისუსტისა და დაღლილობისაგან ფეხზე ძლივსღა იდგა.

თუმცა ლუსის გოდორი მძიმე იყო, ლეგრი მაინც გაცოფდა და ქალს ლანძღვა დაუწყო.

_ წონაში არ მოვიდა შენი გოდორი. ცალკე დადექი. სხვების ნამუშევარს მივიღებ და მაშინ მოვიცლი შენთვის, შე საძაგელო!

ლუსიმ ამოიკვნესა და ძალმიხდილი დაეშვა სკამზე.

კასი მივიდა სასწორთან, ზიზღით შეხედა ლეგრის და რაღაც უთხრა ფრანგულ ენაზე. რა უთხრა, ვერავინ გაიგო, რადგანაც ფრანგული არავინ იცოდა; მხოლოდ შენიშნეს, რომ მის სიტყვებზე ლეგრის სიბრაზისაგან სახე გაულურჯდა და ქალს მუშტი მოუღერა დასარტყმელად. ქალმა ერთი კიდევ შეხედა ამაყად და მოღერებული მუშტი ძირს დააშვებინა.

_ თომა! _ დაუძახა ლეგრიმ თომას, როცა სიბრაზემ გაუარა. თომა ახლოს მივიდა.

_ გამიგონე, ჩემო კარგო, _ დაუწყო ლეგრიმ ვითომდა ალერსით: _ მე შენ შავი სამუშაოსათვის არ მიყიდიხარ. შენ აზრიანი, გამოცდილი კაცი ხარ, ზედამხედველად გამოდგები. მე მინდა შეგაჩვიო ზედამხედველის მოვალეობას და პირველი შემთხვევისათვის მსურს მოგანდო მცირე საქმე: ერთი ლაზათიანად გამიწკეპლე ეს საძაგელი ზარმაცი გომბიო, _ და ხელი გაიშვირა ლუსისკენ.

_ ვთხოვ ბატონს, ასეთი სამსახურისაგან გამათავისუფლოს, მე მაგისთანა დავალების შესრულება არ შემიძლია და ვერც ვიკისრებ, _ მტკიცედ უპასუხა თომამ.

_ ვნახავ, როგორ დაარღვევ ჩემს ბრძანებას! _ დაიღრიალა ლეგრიმ და თომას სახეში შოლტი გააწნა, მიაყოლა მეორე, მესამე... იმდენ ხანს სცემა, სანამ

მკლავი არ დაეღალა. ბოლოს ერთხელ კიდევ შეეკითხა, შეასრულებდა თუ არა იმის ბრძანებას.

_ არა, ბატონო, მე გადაჭრილ უარს მოგახსენებთ, _ მიუგო თომამ და პირზე სისხლი მოიწმინდა. _ მე თვითონ, როგორც გნებავთ, მამუშავეთ, მხოლოდ სხვის წვალებას ნუ მომანდობთ.

თომამ ზრდილობიანად, თავდაჭერილი კილოთი წარმოთქვა ეს სიტყვები, მაგრამ მონებს მაინც თავზარი დასცა მისმა ასეთმა საქციელმა.

ლეგრი გაკვირვებული გაჩერდა, მაგრამ უცბად ისევ გაცოფდა.

_ აი შე შავო ძაღლო! _ დაუყვირა მან და სიბრაზისაგან ხმა ჩაუწყდა, _ ჭკუ-ასაც მასწავლი?! იცი თუ არა, შე შტერო, რომ მე შენი პატრონი ვარ, შენში ფუ-ლი მიმიცია და, რაც მინდა, იმას გიზამ! მაშ, შენი აზრით, ამ გომბიოს ცემა არ ეკუთვნის? აბა ერთი კიდევ გაიმეორე შენი სიტყვები! ჭკუა მასწავლე!

_ ავადმყოფი ქალია და სირცხვილი იქნება მაგისი წვალება, _ ისევე აუ-ღელვებლად თქვა თომამ. _ მომკალით, თუ გნებავთ, მაგრამ მე არ შემიძლია ხელი ვახლო, _ თომამ ეს სიტყვები წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა.

ლეგრი სიბრაზით კიდევ უფრო გაფითრდა და კანკალი დაიწყო.

_ ხედავ, რა წმინდანი გაერია ამდენ ცოდვილში! მაშ, შენა გსურს ჩემი მორ-ჯულება? აი, შე მახინჯო, შენა! განა გავიწყდება, რომ მე მეკუთვნის შენი სული და ხორცი?

და ამ სიტყვებით დაჭედილი ქუსლი გვერდში ჩაარტყა თომას.

შეურაცხყოფილმა და დატანჯულმა თომამ უცებ რაღაცა ძალა იგრძნო, ზე-ცისკენ აიხედა ცრემლმორეული თვალებით და შესძახა:

_ არა, ბატონო, თქვენ არ გეკუთვნით ჩემი სული, თქვენ ჩემს სულს ვერ იყიდით, მას ვერავითარ ვნებას ვერ მოუტანთ!

_ ვერა? _ დაიღრიალა ლეგრიმ: _ აბა, მაშ, ამას ახლავე დავინახავთ! სამბო, კვიმბო, აქ მოდით! ერთი ეს ვაჟბატონი ისე მიბეგვეთ, რომ მთელ თვესა კვნე-სოდეს.

ზორბა ზანგმა სიამოვნებით სტაცა ხელი თომას და წაიყვანა.

ყველა შეაძრწუნა ამ ამბავმა. ლუსიმ საშინლად ამოიგმინა ამ ბრძანების გა-გონებაზე.

## ოცდამეათე თავი

## თომას ავადმყოფობა

შუაღამე გადავიდა. თომა ეგდო ძველ ფარდულში. უბედური, ნაწამები ადამიანი ტიროდა და ქვითინებდა. ნოტიო ღამე იყო. ჰაერში უამრავი მწერი ირეოდა და აწუხებდა მას. ნაცემსა და ნაბრძოლს საშინლად სწყუროდა წყალი.

უპატრონოდ ეგდო და გმინავდა გამწარებული ადამიანი.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა; კარებში შუქი გამოჩნდა.

_ ვინ არის? _ ჰკითხა თომამ. _ წყალი დამალევინეთ!

შემოვიდა კასი, ის ლამაზი ქალი, რომელმაც გუშინ თომას ყურადღება მიიპყრო. ქალმა სანათი დადგა მიწაზე, ბოთლიდან ჭიქაში ჩაასხა წყალი და თომას მიაწოდა. ავადმყოფმა ერთი დაცალა და კიდევ მოითხოვა; კიდევ დალია რამდენიმე ჭიქა და წყურვილი ვერ მოიკლა.

_ დალიე, რამდენიც გსურდეს, _ უთხრა კასიმ, _ პირველი არ არის ჩემთვის შენისთანა უბედურის მოვლა.

_ გმადლობთ, ქალბატონო! _ წარმოთქვა თომამ, როცა წყლით გული გაიგრილა.

_ ქალბატონს ნუ მეძახი, მე ისეთივე მონა ვარ, როგორც შენ; მხოლოდ არც ერთი მონა იმდენ დამცირებას არ იტანს, რამდენსაც მე, _ თქვა მწუხარებით ქალმა.

ქალმა ნაცემს შემოუტანა თავისი ლეიბი. თომამ დიდი წვალებით გადაათრია დათეთქვილი ტანი ლეიბზე. კასიმ გაუშალა სველი ზეწარი, რომელმაც გაუგრილა გახურებული, ნაცემი ადგილები თომას და მან ოდნავი შეღავათი იგრძნო.

ქალმა სასთუმალიც გაუმართა და დასძინა:

_ მე ამის მეტი შენთვის აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია.

თომამ მხურვალე მადლობა გადაუხადა.

კასი დაჯდა თომას ახლო მიწაზე. მკლავები მუხლებზე შემოიხვია და სადღაც შორს დაიწყო ყურება თავისი მშვენიერი თვალებით. გრძელი, შავი, მოსახვევქვეშ შეკეცილი თმები ჩამოეშალა და მხრებსა და ლოყებზე დაეფინა.

_ შენ მართალი ხარ, მეგობარო, კარგად მოიქეცი, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ ტყუილად გაუწიე ბატონს ურჩობა. ალბათ, ჯერ არ იცი, ვის ხელში ჩავარდი: ალქაჯია და არა ადამიანი. უთუოდ უნდა დაემორჩილო, თუ ჯერ სიცოცხლე არ მოგბეზრებია.

«დაემორჩილო!» _ საშინლად იმოქმედა ამ სიტყვამ თომაზე. ტკივილებიც ამასვე ღაღადებდა.

_ ოჰ! _ ამოიგმინა თომამ. _ რა ვქნა! როგორ მოვიქცე!

_ შენ ჯერ არ იცი და არ გესმის, რა ხდება შენს გარშემო! თმა ყალყზე დაგიდგება, ყოველივე იმას რომ შეიტყობ, რაც მე აქ ვნახე ამ ხუთ წელიწადში. ახლომახლო სოფელი არსად არის: ვერავისთან იჩივლებ, ვერავის დაიმოწმებ, რომ შეგეძლოს საჯაროდ დაამტკიცო ყველა ის საზიზღრობა, რაც აქ ხდება. შეუძლიათ ცოცხლად ჩაგაგდონ საკირეში, ან ძაღლებს დააფლეთინონ შენი სხეული. ერთი სიტყვით, აქ ბრძოლა შეუძლებელია და უნაყოფო. მე ეს აქ ყველაზე უკეთ ვიცი, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად მძაგს და მეზიზღება ეს შეჩვენებული კაცი, მაინც მასთან ვერაფერს გავხდი და დავემორჩილე. ან უნდა დავმორჩილებოდი, ან თავი უნდა მომეკლა. მაგრამ თავის მოკვლა ვერ გავბედე. ახლა რომ მხედავ, ყოველთვის ასეთი როდი ვიყავი. არა, მე კარგად მზრდიდნენ, მშვენიერი განათლება მაქვს მიღებული და თვრამეტ წლამდის ალერსიანი სიტყვის მეტი არაფერი გამიგონია, მაგრამ გარდაიცვალა ის ადამი-

ანი, რომელიც მე შვილივით მზრდიდა და მისმა მემკვიდრეებმა საჯარო ვაჭრობით გამყიდეს. აქ მე პირველად ვნახე, რა საზარელ ყოფაში არიან მონები. ჩემს თავგადასავალს არ მოგიყვები: მოსაგონებლადაც სამძიმოა. ერთი დიდი მწუხარება დამატყდა და იმან ყველაზე ძლიერ იმოქმედა ჩემზე. ორი მშვენიერი ბავშვი, ქალ-ვაჟი, მყავდა. ქალი, სწორედ მზეთუნახავს რომ იტყვიან, ისეთი ლამაზი იყო. ბავშვები მოულოდნელად წამართვეს და გამიყიდეს. ქალი მოპარვით წაიყვანეს სახლიდან. რა არ ჩავიდინე, რომ მისი კვალისთვის მიმეგნო, მაგრამ ვერას გავხდი. უეჭველია, ბავშვს გაყიდდნენ ბაზარში. ისეთ ბავშვებში დიდ ფულს აძლევენ, ვაჟი კიდევ ძალით გამომგლიჯეს ხელიდან. ბავშვი კაბაზე მებღაუჭებოდა. დიდხანს მესმოდა მისი წივილ-კივილი. მე მაინც ავიტანე დარდი, არ მოვკვდი, არც თავი მოვიკალი, როგორცა ხედავ, და ახლა აქ ვატარებ მძიმე უღელს. შემძაგდნენ ადამიანები.

კასიმ გიჟივით გადაიხარხარა. შეშინებულმა თომამ გულხელი დაიკრიბა. წარმოიდგინა, თითქოს ქვეყანა ინგრეოდა მის გარშემო.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს კასიმ ხელახლა დაილაპარაკა.

_ მერე და, ვის წირავ სიცოცხლეს? აქ ისეთ ადამიანს ვერ იპოვი, რომ მსხვერპლის დაფასება შეეძლოს. აქაური მონები შენი გულკეთილობისათვის ღალატით გადაგიხდიან. განა ღირს, რომ ასეთი ადამიანისათვის კაცი ეწამოს და იტანჯოს?

_ ისინი მაინც უბედური ადამიანები არიან! _უპასუხა თომამ. _ რამ მიიყვანა ისინი ამ დღემდის? იმან, რომ შეცდნენ და გაბრაზებულებმა მიჰყვეს ხელი ცუდ საქციელს. მეც, თუ იმათსავით მოვიქეცი, ასევე დამემართება. არა, კასი! მე ყველაფერი მომესპო, რაც მიყვარდა: მომაშორეს ცოლ-შვილს, დავკარგე კეთილი ბატონი, რომელიც განთავისუფლებას მპირდებოდა, რომ დასცლოდა. ერთი სიტყვით, არაფერი სასიამოვნო არ მომელის.

კასიმ ჩაკიდა თავი და ფიქრებს მიეცა. კარგა ხანს იჯდა ასე, მერე ადგა და ალერსიანი ხმით ჰკითხა თომას:

_ ხომ აღარაფერია შენთვის საჭირო, მეგობარო! იქნება, წყალი გწყურია კიდევ?

თომამ მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

_ შენ ძალიან დასუსტდი, ჩემო ძმაო, _ გააჩერა მან თომა. _ გეყოფა ლაპარაკი. ეცადე დაიძინო. მშვიდობით.

ქალი გამოვიდა ფიცრულიდან და შინ შევიდა. ლეგრი თავის სამუშაო ოთახში იჯდა.

დიდ, ოდესღაც ლამაზ ოთახს ახლა მოსაწყენი შესახედაობა ჰქონდა: ჭუჭყიანი და არეულ-დარეული, კედლებზე შპალერჩამოხეული. აქა-იქ ეყარა ათასნაირი ნივთი: შოლტები, ღვედები, მათრახის ტარები, ტაბიკები, უნაგირები და სხვა ამისთანა. აქვე ეყარნენ ლეგრის ავი ძაღლები. ბუხარში ძლიერი

ცეცხლი ენთო და ოთახს აშუქებდა. ლეგრი სავარძელში იჯდა და ღვინოს შეექცეოდა.

_ საძაგელი სამბო, _ ბუზღუნებდა ლეგრი თავისთვის, _ მისი ენატანიობის ბრალია, რომ ასეთი სისულელე ჩავიდინე და თომა გავლახე. ამ გახურებული მუშაობის დროს ერთი გამოცდილი მუშა მომაკლდა.

_ ახია შენზე! _ მოესმა ლეგრის ზურგს უკან.

კასი სწორედ ამ დროს შევიდა ოთახში შეუმჩნევლად.

_ ოჰ, ეს შენა ბრძანდები! _ წარმოთქვა ლეგრიმ. _ საიდან მობრძანებულხარ?

_ სულ ერთია, საიდანაც უნდა ვიყო მოსული. მე მხოლოდ ერთი კეთილი რჩევა მინდა მოგცე, სიმონ ლეგრი!

_ დამეკარგე აქედან შენი რჩევით, _ უკმეხად უპასუხა ლეგრიმ.

_ გინება შენ ხელთ არის: ილანძღე, რამდენიც გინდა, _ უთხრა ქალმა. _ პირველად არ მესმის შენი გინება, მაგრამ მაინც მსურს, ერთი რჩევა მოგცე: დაანებე თავი თომას, ნუ აწვალებ!

_ მერე, შენ რა საქმე გაქვს თომასთან?

_ მე არაფერი, მაგრამ არაერთხელ დამიზოგავს შენი სარჩო და ახლაც მწყინს, რომ შენი ფულები უბრალოდ იკარგება. შენ თომა ძვირად დაგიჯდა, ის კი ახლა სამუშაოდ აღარ ვარგა ამ ცხელ დღეებში.

_ ჩემს საქმეებში ნუ ერევი.

_ მართლაც და რა მრჯის! თავშიც ქვა გიხლია! დახოცე შენი საუკეთესო მუშები ცემით და იჯექი სულელივით გულხელდაკრეფილი ამ გახურებული მუშაობის დროს. ოჰ, რას დაგცინებს შენი მეზობელი ტომკინსი!

კასიმ თავისი ქალური ხერხით ლეგრის სწორედ მტკივან ადგილას მოარტყა ისარი. ლეგრისათვის იმაზე დიდი უბედურება წარმოუდგენელი იყო, რომ ბაზარზე დაჰგვიანებოდა ბამბის გატანა და სხვას მეტი მოგება ენახა. _ მართლაც, იქნება შენ მართალი იყო. ამის შემდეგ თომაზე ხელს აღარ დავაკარებინებ. მხოლოდ ბოდიში მოიხადოს და პატიება ითხოვოს.

_ შენ მაგას ნუ ელი თომასაგან, _შენიშნა კასიმ.

_ ერთი მიბრძანე, რატომაო? რად გგონია აგრე?

_ იმიტომ, რომ თომა მართალია. როგორ უნდა უარყოს სიმართლე!

_ მაგასაც დავინახავთ! _ ზიზღით წარმოთქვა ლეგრიმ, წამოდგა და გარეთ გასვლა დააპირა.

_ სად არის ახლა თომა? _ იკითხა მან.

_ ფიცრულშია.

ლეგრიმ გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა და დამშვიდებით ელაპარა თომასთან.

მოსიყვარულე ადამიანის სულმა სძლია სხეულის ტანჯვას. თომა ახლა ტკივილებს ვეღარ გრძნობდა, ამიტომ იწვა მშვიდად და არ შეშინებულა, როცა მასთან ლეგრი შევიდა.

_ როგორ ბრძანდები, მეგობარო? _ მიესალმა ლეგრი. _ ხომ გეუბნეოდი, ჩვენს სახლში ბევრ რასმე ისწავლი-მეთქი. ჰა, ვგონებ აღარ იმღერებ ახლა ძველებურ ჰანგებზე.

თომამ არაფერი უთხრა.

_ ადექი, რას აგდიხარ! _ დაუყვირა ლეგრიმ და მაგარი წიხლი წაჰკრა გვერდში.

თუმცა ძალიან უჭირდა თომას განძრევა, მაგრამ მაინც შეეცადა ფეხზე ადგომას და, დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, წამოდგა. ლეგრი უყურებდა თომას წვალებას და მხეცივით იცინოდა. თომა იდგა თავისი ბატონის წინ და მშვიდად შეჰყურებდა.

_ აბა, ახლა დაიჩოქე და ბოდიში მომიხადე გუშინდელი ურჩობისათვის, _ დაუყვირა ლეგრიმ.

თომა გაუნძრევლად იდგა ერთ ალაგას.

_ არ გეყურება? დაიჩოქე-მეთქი, შე ძაღლო! _ დაუყვირა კიდევ ლეგრიმ.

_ ბატონო, მე ამას არ ვიზამ! _ უპასუხა აღელვებულმა თომამ, _ მე გუშინ მტყუანი არ გახლდით. მართალ საქმეზე კი ბოდიშის მოხდა არ შემიძლია და შემდეგშიც გუშინდელივით მოვიქცევი.

_ შენა გგონია, რომ ამაზე უარესს ვეღარას დაგმართებ? _ თქვა ბრაზმორეულმა ლეგრიმ. _ ტყუილად გგონია. რას იტყვი, შენი თავი ხეზე რომ გავაკვრევინო და ცეცხლი რომ მოვაკიდებინო?

_ მე ვიცი, ბატონო, რომ შეგიძლიათ ყოველივე ტანჯვა მომაყენოთ, როგორიც კი მოგივათ თავში. მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ ხელთ არის მხოლოდ ჩემი სხეული, შემდეგ კი თქვენი უფლება ჩემზე ისპობა.

ამ სიტყვებმა ძალა მოუმატა და აღაფრთოვანა წამებული მონა. ლეგრიზე კი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

_ ბატონო, _ განაგრძო მხიარულად თომამ, _ თქვენ მე მიყიდეთ. მართალია, იყიდეთ ჩემი სხეული და ამიტომ მზად ვარ, ყველანაირი მუშაობა შევასრულო თქვენს სასარგებლოდ, მაგრამ ჩემს სულს კი არასოდეს არავის მივცემ. თქვენ შეგიძლიათ მცემოთ, რამდენიც გსურთ, დამამშიოთ, დამწვათ ცეცხლზე: მე მივიღებ ყველა ასეთ ტანჯვას.

ლეგრიმ მოთმინება დაკარგა თომას ლაპარაკზე, ერთი მაგარი მუშტი გაარტყა და წააქცია. ამ დროს ვიღაცის პატარა, ცივმა ხელმა შეაჩერა ლეგრის მეორედ მოღერებული მკლავი. მოიხედა და დაინახა კასი.

_ ლეგრი, შენ ისევ სულელობ, _ უთხრა ქალმა ფრანგულ ენაზე, _ გასწი აქედან. მე მოვუვლი თომას და ვეცდები, ჩქარა ფეხზე წამოვაყენო, რომ სამუშაოზე გამოდგეს.

ლეგრიმ გაიგონა კასის სიტყვა, იგრძნო ქალის ძალა და გადაწყვიტა, სამერმისოდ გადაედო ანგარიშის გასწორება თომასთან, ახლა კი თავი დაენებებინა.

_ კარგი, ეგრე იყოს, მე წავალ, _ თქვა მან და მოემზადა წასასვლელად, _ მაგრამ არ გეგონოს, რომ ეს ამბავი დამავიწყდება, _ უთხრა იმან თომას, _ მე არასდროს არაფერი არ მავიწყდება, დრო მოვა და ანგარიშს მოგთხოვ.

ლეგრი გავიდა და კარი გაიჯახუნა.

_ შენ თვითონ არ მოგიხდეს პასუხის გება, _ ამ სიტყვებით გააცილა ის კასიმ, _ აბა, მეგობარო, როგორ გრძნობ თავს? _ ჰკითხა ქალმა თომას.

_ მადლობელი ვარ, _ უპასუხა თომამ და მადლიერი თვალით შეხედა კასის.

_ მაგ კაცისაგან შებრალებას ნუ ელოდები. კარგად ვიცნობ, მოსვენებას არ მოგცემს, დღედაღამ გიყარაულებს და სისხლს გაგიშრობს.

## ოცდამეთერთმეტე თავი

## კანადაში

დავუბრუნდეთ ახლა ჯორჯ ჰარისსა და ელიზას, რომლებიც გაექცნენ მტანჯველებს და კეთილი კვაკერების საშუალებით თავს უშველეს. თავისუფალ ქვეყანაში _ კანადაში ისინი ფარულად ცხოვრობდნენ დროებით იმ კვაკერების ოჯახში, სადაც მოათავსეს დაჭრილი ტომ ლოკერი, და მარჯვე დროს ეძებდნენ ტბაზე გადასასვლელად.

დაჭრილს დაუღლელად უვლიდა კეთილი მოხუცებული ქალი დორკასი. ის მაღალი ტანის, დარბაისლური შესახედაობის ქალი იყო, კვაკერულ ტანისამოსში გამოწყობილი. ტანზე ეცვა სადა, ნაცრისფერი კაბა; ყელზე ეხვია თეთრი დოლბანდი, ჭაღარა თმას უბრალო თეთრი მოსახვევი უფარავდა. ქალი ერთგულად დასტრიალებდა ავადმყოფს, ხშირად უსწორებდა ლოგინს, მერე ისევ ფანჯარასთან ჯდებოდა და ხელსაქმეს ჰკიდებდა ხელს.

_ ოჰ, დაგლახვროს ეშმაკმა! _ წამოიყვირა უცებ ლოკერმა და საბანი გადიღეღა.

_ ტომ, გთხოვ, ასეთ სიტყვებს ნუ ხმარობ, _ უთხრა მოხუცმა დორკასმა.

ქალმა ავადმყოფს საბანი შეუკეცა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

_ კარგი, ბებია, აღარ ვიტყვი. ვეცდები, აღარ ვიხმარო ცუდი სიტყვები, მაგრამ, ძალზე ძნელია ჩემთვის თავის შეკავება.

დორკასმა ახადა თბილი საბანი, ხელახლა გაუსწორა ლოგინი და ისე შემოახვია საბანი, თითქოს ბავშვი არტახებში ჩააკრესო.

_ გულით მინდა, რომ ხასიათი გამოიცვალო, _ უთხრა ქალმა ავადმყოფს, _ ცუდია ლანძღვა-გინება.

_ ეგ საიდან მოიგონე! რა ოხრად მინდა ხასიათის გამოცვლა?!

ავადმყოფი შეინძრა და ისევ გაიღეღა.

_ გაქცეულები ისევ აქ არიან? _ იკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

ჯორჯსა და ელიზას გულისხმობდა.

_ ჰო, ისინიც აქ ცხოვრობენ! _ უპასუხა დორკასმა.

_ ურჩიე, ჩქარა წავიდნენ აქედან. რაც ჩქარა გადავლენ ტბას, ისა ჯობია იმათთვის.

_ უეჭველია ჩქარა წავლენ, _ უპასუხა დორკასმა.

_ აი, კიდევ რა უნდა გითხრა, _ განაგრძო ლოკერმა: _ შეატყობინე, რომ ქალაქ სანდუსკოში ნავსადგურზე აქაური ჯაშუშები დახვდებათ. ახლა ჩემთვის სულ ერთია, დაე, მაგათ თავს უშველონ. მე კიდევაც მინდა, რომ თავი დააღწიონ. მინდა, რითიმე გადავუხადო იმ პირუტყვ მერქსს, ეშმაკმა წაიღოს იმის თავი!

_ ტომ! _ ვედრების კილოთი თქვა მოხუცებულმა.

_ ეჰ, ბებია, თუ ეგრე ჩამაცივდები, მოთმინებას დავკარგავ და სულ გადავირევი. ყური დამიგდე, რა უნდა გითხრა. ახალგაზრდა ქალი რომ ჰყავთ გაქცეულებს, იმას ტანისამოსი უნდა გამოუცვალოთ, თორემ მისი ნიშნები კარგად იციან ნავსადგურში და ადვილად დაიჭერენ.

_ ძალიან კარგი, მაგაზე იზრუნებენ, _ აუჩქარებლივ უთხრა ბებია დორკასმა.

რადგანაც ამ მოთხრობაში შემდეგ ლოკერზე ლაპარაკი აღარ იქნება, აქვე შევატყობინებთ მკითხველს, როგორი კაცი დადგა შემდეგ ლოკერი.

ის ორი კვირა იწვა კვაკერებთან და ხასიათი სრულებით გამოიცვალა: დადარბაისლდა, დაჭკვიანდა და ცხოვრებას ჩაუფიქრდა; ტყის ყარაულის ადგილი იშოვა და მყუდრო ცხოვრებას შეუდგა. ხალხზე ნადირობას თავი დაანება. ახლა მხოლოდ ველურ მხეცებზე, მელიებსა და მგლებზე ნადირობით კმაყოფილდებოდა.

სიკვდილამდის ახსოვდა კვაკერების სიკეთე და ყოველთვის პატივისცემით იგონებდა ამ კარგსა და კეთილ ხალხს.

*   *   *

ლოკერისაგან მიღებული ცნობების შემდეგ გაქცეულებმა არჩიეს ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ და ისე გადასულიყვნენ ტბაზე.

ჯიმი თავისი დედით ადრევე წავიდა. ორი დღის შემდეგ მათ უკან მიჰყვნენ ჯორჯი და ელიზა. ერთი ღამე გაატარეს კვაკერების ნაცნობებთან ქალაქ სანდუსკოში. საბედისწერო ღამე იყო ეს ღამე გაქცეულებისათვის; ისინი გათენებასთან ერთად თავისუფლებასაც ელოდნენ. ფიქრით უკვე იყვნენ აღთქმულ ქვეყანაში. ჯორჯს იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. დილით ელიზამ ვაჟის ტანისამოსი ჩაიცვა, სარკეში ჩაიხედა და მერე ქმარს მიმართა:

_ ჯორჯ! მენანება ამ თმების გაკრეჭა, მაგრამ რა გაეწყობა!

ჯორჯმა მწარედ გაიღიმა ამ სიტყვებზე. მეტი ნუგეში ვერ მისცა ელიზას.

ელიზამ მაკრატელი აიღო და სწრაფად შეიჭრა მშვენიერი დალალები.

_ აი, მეც მზად ვარ, _ თქვა მან და შეკრეჭილი თმები გაიქნია. _ არც ისე დავუშნოვდი, როგორც მოველოდი: ურიგო ბიჭი არა ვარ, არა, ჯორჯ?

_ ჩემო სიცოცხლევ, შენ ყოველთვის ლამაზი იქნები, _ უთხრა ქმარმა.

_ ჯორჯ, რადა ხარ ეგრე დაღონებული? _ უთხრა ელიზამ ქმარს ალერსით და მაჯა დაუჭირა, _ აბა, დაფიქრდი, ერთი დღე და ღამე კიდევ ვიქნებით გემზე და შემდეგ ამოვყოფთ თავს თავისუფალ ქვეყანაში.

_ აი, სწორედ ეს გარემოება აშფოთებს ჩემს გულს, ჩემო ძვირფასო! _ უპასუხა ჯორჯმა. _ დღეს უნდა გადაწყდეს ჩვენი ბედი. რა საშინელება იქნება, რომ ყველა გამოვლილმა გაჭირვებამ ფუჭად ჩაგვიაროს. მე ამას ვეღარ ავიტან.

_ ნუ გეშინია! _ ამხნევებდა ცოლი, _ მე მგონია, რომ ყველაფერი კეთილად უნდა დასრულდეს.

_ შენს პირს შაქარი, ელიზა! _ უთხრა ქმარმა. _ დავიჯერო, ბოლო მოეღება ჩვენს მონობას, ჩვენს ტანჯვას?! დავიჯერო, ჩვენ როდისმე თავისუფლები ვიქნებით?

_ მე ამაში დარწმუნებული ვარ, ჯორჯ! _ უპასუხა ელიზამ და ცრემლმორეული თვალები ზეცას მიაპყრო. _ ვგრძნობ, რომ დღეს სამუდამოდ მოგვეხსნება კისრიდან მონობის უღელი.

_ ნეტამც ასე იყოს, ელიზა! ახლა კი დროა, წავიდეთ. მართლაცდა, რა ლამაზი ბიჭი ხარ! _ უთხრა ქმარმა ელიზას და სიამოვნებით მოავლო თვალი მის მორთულობას. _ ჰარიც მზად არის თუ არა? რატომ ეტლი არ მოვიდა აქამდის?

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა შუახნის დედაკაცი, რომელსაც ხელმოკიდებული მოჰყავდა ჰარი. მას ქალურად ეცვა.

_ რა მშვენიერი გოგონაა! _ წამოიძახა ელიზამ, _ სახელად ჰარიეტ ჰქვია. სახელიც კარგად შეეწყო ბავშვის ნამდვილ სახელს.

ბავშვი გაჩუმებული შესცქეროდა დედას, ეჩოთირებოდა დედის უცნაური ჩაცმულობა.

_ ჰარი, ვერ იცან დედაშენი? _ ჰკითხა ელიზამ და ხელები გაუწოდა შვილს.

ბავშვი არ მივიდა დედასთან, იმ ქალის კაბაზე ეკიდა ხელი, რომელმაც აქ მოიყვანა.

_ რად ეძახი, ელიზა! _ შენიშნა ჯორჯმა. _ ჯობია, ბავშვი ახლოს არც გეკარებოდეს.

_ მართალს ამბობ, მაგრამ მაინც გულსა სწყინს, ჩემი ღვიძლი შვილი რომ ვეღარა მცნობს და ახლოს აღარ მეკარება.

_ ქალბატონო სმიტ! _ მიუბრუნდა ჯორჯი მოხუცებულ დედაკაცს, _ თქვენ ჩვენი მამიდა ბრძანდებით და ჩვენთან ერთად მიემგზავრებით კანადაში. თქვენ ეს ყოველთვის კარგად უნდა გახსოვდეთ.

_ გავიგე, ყველა გემზე ბრძანება გაუციათ: ასეთი და ასეთი ქალი და კაცი თუ შეგხვდეთ ბავშვითაო, თქვენი ნიშნებია თურმე ჩამოთვლილი, უეჭველად, დააპატიმრეთო.

_ ამის არ გვეშინია, _ უპაუხა ჯორჯმა, _ იქნებ მე თვითონ ვუამბო რამე მდევრებს გაქცეულების შესახებ.

ქალბატონი სმიტიც მიემგზავრებოდა კანადაში და დათანხმდა, გაქცეულებთან ერთად ემგზავრა, როგორც ბავშვის მამიდას. ქალი მთელი დღე მასთან იყო და ბავშვიც შეეჩვია ახალშეძენილ მამიდას. ქალი უალერსებდა, უყვავებდა, ტკბილ კვერებსა და კანფეტებს აჭმევდა, ისე რომ, ახალი ნათესავები ჩქარა შეეჩვივნენ ერთმანეთს.

ნავსადგურთან ეტლი გაჩერდა. ელიზა მარდად გადმოხტა და გადმოსვლაში დაეხმარა ქალბატონ სმიტს. ყველანი გემზე ავიდნენ. ჯორჯი ბილეთების ასაღებად წავიდა. სალაროსთან მან ყური მოჰკრა შემდეგ ლაპარაკს:

_ გემი გულმოდგინედ დავათვალიერე და გაქცეულები ვერა ვნახე.

ჯორჯმა გვერდიდან შეხედა ამის მთქმელს და იცნო მერქსი, რომელიც განაგრძობდა ლაპარაკს.

_ ძნელი საცნობები კი არიან. იმათ კაცი თეთრკანიანებისაგან ვერ გაარჩევს. მხოლოდ კაცსა აქვს აშკარა ნიშანი ხელზე.

ამ სიტყვებზე ჯორჯს უნებურად შეუთამაშდა ხელი, მაგრამ ჩქარა თავი შეიკავა და არხეინი გამომეტყველება მიიღო, აუჩქარებლად აიღო ბილეთი და აუჩქარებლადვე დაბრუნდა თავის თანამგზავრებთან.

ბოლოს ზარი დაირეკა. ჯორჯმა დაინახა, რომ მერქსი ნაპირზე გადავიდა. გემი ნავსადგურს მოშორდა და გაქცეულებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს.

მშვენიერი ღამე იყო. მთვარე აბრჭყვიალებდა ტბის ზედაპირს. გრილი ნიავი ქროდა.

საშინელ მღელვარებას განიცდიდა ჯორჯი. იგი თავისი ახალგაზრდა თანამგზავრით ბოლთასა ცემდა გემის ბაქანზე.

ყოველ წუთს მოელოდა რაიმე ხიფათს: აი, გამოტყვრება სადმე მდევარი და ყველა იმედი ჩამეფუშებაო.

მაგრამ ამასობაში დრო გადიოდა და გემი ტალღებს ჭრიდა. გამოჩნდა სანატრელი ქვეყნის ნაპირიც. გემი შევიდა ერთი პატარა ქალაქის ნავსადგურში. ჯორჯის მღელვარებას საზღვარი აღარ ჰქონდა: თვალთ დაუბნელდა, ხელი მოჰკიდა თანამგზავრს, რომ არ წაქცეულიყო, სუნთქვა შეეკრა. მთრთოლვარე ხელით მაგრად ეჭირა ელიზას მკლავი. გემმა უკანასკნელად დაიკივლა და გაჩერდა ნავსადგურში. ჯორჯს თავი სიზმარში ეგონა. ბარგი ნაპირზე გადაიტანეს და, როცა მგზავრები წავიდ-წამოვიდნენ, ცოლ-ქმარმა აქვე, მდინარის პირას, მუხლი მოიყარა და მხურვალე მადლობა შესწირა ბედს განსაცდელისაგან დახსნისათვის.

ქალბატონმა სმიტმა გაქცეულები მიიყვანა ერთ თავის კარგ ნაცნობთან, რომლის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო გაჭირვებულთათვის.

ძვირფასია ადამიანისათვის მოქალაქეობრივი თავისუფლება, თავისუფლება სიტყვისა, თავისუფლება მოქმედებისა; წამებულ ადამიანთათვის კი ეს უმაღლესი ნეტარებაა!

ელიზა ალერსიანად დაჰყურებდა თავის ჰარის, რომელსაც მშვიდად ეძინა კეთილი მასპინძლის ჭერქვეშ. მაგრამ არც თვითონ, არც ჯორჯს მთელი ღამე არ დაუძინიათ სიხარულით. მართალია, მათ ჯიბეში გროშიც არ მოიპოვებოდა, არ ჰქონდათ მიწა-წყალი, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი გრძნობდნენ თავისუფლებას, _ ამ უდიდეს მოქალაქეობრივ საუნჯეს. ეს მათთვის წარმოადგენდა ნეტარებას. ეს იყო ამჟამად განუსაზღვრელი ბედნიერება.

## ოცდამეთორმეტე თავი

### მკვლელობის აცილება

როცა თომა თავის მტარვალს სიმართლეს ეუბნებოდა, გრძნობდა, რომ შეძლებდა ყოველნაირი ტანჯვის ატანას. მაგრამ ტანჯვა-წამება გაგრძელდა და თომაც სულით დაეცა, ეჭვებმა დაუწყეს გულის ღრღნა.

ჯერ კიდევ ნაცემი და დაბეჟილი გვერდები არ მორჩენოდა, რომ სამუშაოდ გაიყვანეს. ზედამხედველების მუდმივმა დაცინვამ, მძიმე მუშაობამ, ავადმყოფობამ და, რაც ყველაზე ძნელია, წყვდიადით მოცულმა მომავალმა თომას ჩვეულებრივი სულიერი მყუდროება დაურღვია. ახლა მიხვდა, რად იყვნენ ლეგრის მუშები ბრაზიანები და გულჩათხრობილნი.

წინათ იმედი ჰქონდა, რაც უნდა ბევრი სამუშაო დამაწვეს, მაინც ვიშოვი დროს სახარების საკითხავადო, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. თავისუფალი დრო არა ჰქონდა. მუშაობდნენ კვირა და უქმე დღეებშიც. აჩქარებდნენ ბამბის დამზადებას და დროით ბაზარზე გატანას. ლეგრის მხოლოდ მოგება აინტერესებდა.

განა ასეთი კაცი დაფიქრდება იმ ადამიანის მდგომარეობაზე, რომლისაც მხოლოდ სამუშაო ძალა ესაჭიროება?

თომა ცემის შემდეგ ისე იყო დასუსტებული, რომ სამუშაოდან დაბრუნებულს არც ერთი სტრიქონის წაკითხვა აღარ შეეძლო; დაქანცული დაეგდებოდა ხოლმე მიწაზე სხვა მონებთან ერთად. წყვდიადმა და ნაღველმა მოიცვა ტანჯული კაცის გონება: ხანდახან გაახსენდებოდა, ოფელიამ რომ წერილი მისწერა კენტუკში და იმედი აღეძვრებოდა გულში, მაგრამ არსაიდან შველა არ ჩანდა და საბრალოს სული ეხუთებოდა. თომას დაავიწყდა სხვა მონების ტანჯვა, ახლა მხოლოდ თავისი თავი ახსოვდა.

ერთ საღამოს თომა იჯდა ბუხართან, ნაცარში პური ჰქონდა ჩაფლული და იმის გამოცხობას ელოდა. ჩანელებულ ბუხარს ჩინჩხვარი მიაყარა, ცეცხლი გააძლიერა და ცეცხლის შუქზე შეეცადა ლოცვების წიგნის კითხვას.

ამ დროს ხმაური შემოესმა. თომამ საჩქაროდ დაკეცა წიგნი და ჯიბეში ჩაიდო.

მის წინ ლეგრი იდგა.

_ ჰა, ბებერო, დაანებე თუ არა თავი შენ სულელურ ფიქრებს და ოცნებას? თუმცა დიდი სულელი კი ხარ. შენზე იყო დამოკიდებული შენი კეთილდღეობა, შეგეძლო სამბოსა და კვიმბოზე უკეთ მოწყობილიყავ. ახლა შენა გცემენ, მაშინ კი შენს ხელში სხვისი ბედ-იღბალი იქნებოდა. გირჩევ, წიგნების კითხვას თავი დაანებო და მე დამიგდო ყური!

_ ვერა, ბატონო! მე თქვენს რჩევას ვერ მივიღებ!

_ განა ვერ დარწმუნდი, რომ ღმერთს შენთვის არა სცალია? ღმერთს რომ ახსოვდე, ამ ყოფაში არ ჩაგაგდებდა. შენი ლაპარაკი ჩალად არ ღირს. გირჩევ, მე დამმორჩილდე. მე ღმერთზე მეტი შველა შემიძლია!

_ არა, ბატონო! თქვენ ვერ დაიმორჩილებთ ჩემს სულს! _ უპასუხა ისევ მშვიდად თომამ.

ბრაზმორეულმა ლეგრიმ გადააფურთხა, გაბრუნდა და წავიდა.

ლეგრისთან უკანასკნელ შეხვედრამდე თომა საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა. იმისმა დაცინვამ პირველ ხანებში გაუორკეცა ტანჯვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რაღაც უცნაური ცვლილება მოხდა მის არსებაში.

ყველამ შეამჩნია თომას ეს ცვლილება.

_ რა დაემართა თომას, რომ სიხარულით ფეხზე არა დგას! _ ჰკითხა ლეგრიმ სამბოს.

_ რა მოგახსენოთ, გაქცევას თუ აპირებს!

_ ძალიან საქმეს კი იზამს: ერთი ვნახოთ, როგორ გაექცევა ჩვენს ძაღლებს. არ ახსოვთ, ბატონო, რა დღე დააყარეს, მოლი რომ გაიქცა? ძლივს გავაგდებინეთ პირიდან. ახლაც ეტყობა ნაკბილარები.

_ აბა, სამბო, ფრთხილად იყავ, არ გაგეპაროს!

_ არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო! ეგ მე მომანდეთ, _ უპასუხა ბატონს ერთგულმა მონამ და თავი დაუკრა წასასვლელად მომზადებულ ლეგრის.

ლეგრიმ მთელი დღე დაჰყო ქალაქში. შინ ღამით დაბრუნდა. მუშების ქოხებს რომ მიუახლოვდა, ცხენი ნელა წაიყვანა და მონათა უბანს თვალიერება დაუწყო. უცბად აღტაცებული გალობა შემოესმა.

_ ეჰე, ერთი უყურეთ, როგორ გალობს! _ დაიღრიალა ლეგრიმ და ცხენი მიაგდო იმ ქოხის კარებზე, საიდანაც გალობა შემოესმა.

ქოხის კარებში იდგა თომა და გალობდა. თავი მაღლა ჰქონდა აწეული და ზედ მთვარის შუქი დაჰქათქათებდა. თომა გატაცებული გალობდა და ვერ შენიშნა, როგორ მიუახლოვდა ცხენოსანი კაცი.

_ ხმა გაიკმინდე, შე ბებერო! _ დაუყვირა ლეგრიმ და მათრახი გადააწნა ბეჭებზე.

ლეგრი მთლად გადარია თომას სახის სიმშვიდემ.

_ აჰა, კიდევ, შე ძაღლო, კიდევ იღმუვლებ? დამაცა, მოგაშლევინებ მხიარულებას!

თომას წარბიც არ შეუხრია ცემის დროს. მათრახი სხეულს ტკივილით სწვავდა, მაგრამ ის ამ წამს სულიერ შეურაცხყოფას არა გრძნობდა. ლეგრი დარწმუნდა, რომ მან თომაზე სრულიად დაკარგა გავლენა. მის გულში ერთ წამს სიბრალულმაც კი გაიღვიძა მისგან წამებული ადამიანისადმი, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი იყო და ჩქარა ჩადგა თავის კალაპოტში. თომა კი ამ დღიდან გადაიქცა ყველა ტანჯული მონის მეგობრად. ის ყურადღებას არ აქცევდა, რომ მას დასცინოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ზედამხედველები, თავის მხრივ კი ცდილობდა, ყველას დახმარებოდა. მის გულში ისევ გაიღვიძა სათნოებამ.

თომა ცდილობდა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა ის სულიერი სიმშვიდე, რასაც თვითონ განიცდიდა. გაჭირვების დროს ანუგეშებდა დაჩაგრულ მონებს. მათ ჯერ არ ესმოდათ თომას ყოფაქცევა, ალმაცერად უყურებდნენ და ერიდე-

ბოდნენ. მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ის თავის გზას მტკიცედ ადგა, მაშინ კი პატივისცემით დაუწყეს მოპყრობა. ამ მშვიდმა და მომთმენმა კაცმა ბოლოს მოიპოვა დაჩაგრული მოძმეების ნდობა და სიყვარული. თომა ყოველთვის მზად იყო, სხვას დახმარებოდა მუშაობაში. თვითონ ცოტათი კმაყოფილდებოდა და თავისი მცირე სარჩოდან კიდევ სხვას უნაწილებდა ხოლმე.

საჩქარო სამუშაო გათავდა და ლეგრის მონებს კვირაობით საშუალება ჰქონდათ, დაესვენათ. ისინი იკრიბებოდნენ ბიძია თომასთან და ყურს უგდებდნენ წიგნის კითხვას. თომა უკითხავდა და უამბობდა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. მონებს უნდოდათ, კრებები გაემართათ ხოლმე, მაგრამ ლეგრიმ ნება არ მისცა. ის დევნიდა ყოველნაირ კრებას და, საცა მოასწრებდა რამდენსამე მონას ერთად თავმოყრილს, ცემა-ტყეპით ფანტავდა. მონები იძულებული გახდნენ, ფარულად გაემართათ კრებები.

საწყალი ლუსიც გაამხნევა თომამ, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა მარჯვე შემთხვევით, რათა ეს ქალი ენუგეშებინა.

ამაყი კასიც თომას გავლენის წყალობით გამოიცვალა. მონებთან ძველებურად ამაყად აღარ ეჭირა თავი და, რაც შეეძლო, მათ მდგომარეობაზე ფიქრობდა.

ერთ ღამეს თომა ვიღაცამ გააღვიძა. ქოხში ბევრ ხალხს ეძინა. თომამ თვალები გაახილა და დაინახა კასი, რომელიც სანათურთან მომდგარიყო და თომას ეძახდა. თომამ ტანთ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. ღამის ორი საათი იყო. დუმილით მოცულ არემარეს მთვარე დაჰკაშკაშებდა. მთვარის შუქზე თომამ გაარჩია კასის გაფითრებული და აღელვებული სახე.

_ მოდი აქ, ჩემთან, ბიძია თომა, _ თქვა მან და მაჯაში ხელი წაავლო: _ მე შენთან ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

_ რა ამბავია? _ ჰკითხა თომამ.

_ თომა, გსურს თავისუფლება? _ ჰკითხა აღელვებულმა ქალმა.

თომამ შეკითხვაზე არ უპასუხა.

_ თუ გსურს თავისუფლება, გამომყე, ნუღარ აგვიანებ, _ გაუმეორა ქალმა. _ იმას ახლა ისე მაგრად სძინავს, რომ ადვილად ვეღარ გაიღვიძებს. ვნანობ, რომ კარგი წამალი ვერ ვიშოვე, თორემ შენი შველა აღარ დამჭირდებოდა. ახლაც მოვახერხებდი, ცოტა მეტი ძალა რომ მქონდეს მკლავში, მაგრამ ამ ბოლო დროს დავსუსტდი როგორღაც. აბა, წამომყე ჩქარა! ცული მზად მაქვს.

ქალმა თომას მკლავში წაავლო ხელი და ძალით წაყვანა დაუპირა.

_ არა, ქალბატონო, მე ვერ წამოვალ, _ გადაჭრით უთხრა თომამ, _ არაფრის გულისათვის არ მოგიმართავთ ხელს ასეთ საქმეში.

_ თომა, აბა, დაფიქრდი, რა ტანჯვა-წამებაში ჰყავს ამ მხეცს ამდენი მონა! შენთვის კი არ ჩაიდენ ამ მკვლელობას. იმას თუ ბოლოს მოუღებ, სატანჯველისაგან გვიხსნი ამდენ ხალხს. შენ მოვალე ხარ, ეს აასრულო.

_ არა, არა, ქალბატონო, არასოდეს! _ იმეორებდა თომა: _ ბოროტებისაგან კეთილი არ გამოვა.

_ მაშ, მე თვითონ მოვუღებ ბოლოს, _ თქვა კასიმ და ლეგრის სასახლისაკენ გასწია.

დიდხანს არწმუნებდა თომა კასის, რომ მკვლელობა არ ჩაედინა და სხვა გზა მოენახა განთავისუფლებისათვის. ბოლოს, როგორც იყო, დააჯერა და კასიმაც მონახა სხვა გზა.

## ოცდამეცამეტე თავი

## გაქცევა

ლეგრი სულ არა ხმარობდა სახლის სხვენს. ვეებერთელა სხვენში ობობებს ჰქონდათ ქსელი გაბმული. იქ ათასი ხარახურა ეყარა. სახლის უწინდელმა პატრონმა თან წაიღო ხეირიანი ავეჯი, უხეირო კი სხვენში აახიდვინა და იქ დაყარა. იქვე ეგდო ორი დიდი ფიცრის ყუთი. შეიძლება, ბარგი ამ ყუთებით იყო მოზიდული და ისინიც აქვე დაეყარათ. სხვენს ერთ ალაგას ფანჯარაც ჰქონდა. შუშები მტვრიანი იყო და ოდნავი სინათლე შემოდიოდა. აქაურობის მნახველს, უნებლიეთ, რაღაც იდუმალი შიში ეუფლებოდა; ცრუმორწმუნე ზანგებზე ხომ ის საშინლად მოქმედებდა. მათ შორის ათასნაირი ხმა იყო გავრცელებული სხვენის შესახებ. რამდენიმე წლის წინათ ლეგრის იქ ერთი დედაკაცი დაუმწყვდევია. არავინ იცის, რა შეემთხვა მას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან გაცივებული გვამი ჩამოიტანესო.

ამის შემდეგ საშინელ რამეებს ლაპარაკობდნენ: ღამე სხვენში ისმის ადამიანის გმინვა, ქვითინი, ცემა-ტყეპა და წყევლა-კრულვაო. ლეგრიმდისაც მიაღწია ამ ხმებმა. ის საშინლად განრისხდა და დაიმუქრა, ამ სხვენში დავამწყვდევ ყველას ერთი კვირით, ვინც კიდევ რასმე იტყვის იმის შესახებო: თვითონ ნახოს, რაც იქ ხდებაო. ასეთი მუქარის შემდეგ მითქმა-მოთქმა შეწყდა, თუმცა ყველას ჭეშმარიტებად მიაჩნდა გაგონილი ამბავი.

ყველას ეშინოდა სხვენში ასვლა, ყველა გზას უქცევდა იმის კიბეს. კასიმაც გადაწყვიტა, ესარგებლა ამ გარემოებითა და ლეგრის ცრუმორწმუნეობით, რათა თავისი თავი და ემელინა დაეხსნა.

სწორედ ამ სხვენის ქვეშ ჰქონდა კასის საწოლი ოთახი. ერთ მშვენიერ დღეს მან თავისი ბარგი, ლეგრის დაუკითხავად სასახლის მეორე ბოლოში გადაატანინა. ლეგრიმ დაინახა ბარგაკიდებული მოსამსახურეები და კასის ჰკითხა:

_ ეგ რა გამოგიგონია? რად შეგიცვლია ბინა?

_ ბარემ არ მეხალისება ბინის მოშლა, მაგრამ აღარ შემიძლია ცხოვრება ჩემს ოთახში.

_ რატომ?

_ რატომ და იმიტომ!

_ მაინც რატომ? გეკითხები და უნდა მიპასუხო.

_ იმიტომ გამოვიცვალე ბინა, რომ მინდა ერთხელ მაინც დავიძინო მოსვენებით.

_ მერე ვინ გიშლის ძილს შენს ოთახში?

_ თუ გსურს შეიტყო, გიამბობ.

_ აბა, მიამბე, შე ეშმაკის კერძო!

_ შეიძლება შენ, როგორც გულად კაცს, არც კი მიგექცია ყურადღება, მაგრამ მე კი ჩემი დამემართა. სხვენში ყოველღამე საშინელი ხმაურია, ვიღაცეები ჩხუბობენ, გორაობენ, მთელი ღამე იმათგან მოსვენება არა მაქვს.

_ განა ვინ უნდა იყოს იქ? _ ჰკითხა ლეგრიმ და თავს ძალა დაატანა, რომ გაეღიმა. გულში კი შიში შეეპარა. _ არ ვიცი, რად უნდა იყოს ხმაური?

კასიმ ისეთი თვალით შეხედა ლეგრის, რომ მას ტანში გააჟრჟოლა.

_ მართლაც, საყურადღებოა, გაიგოს კაცმა, რად არის იქ ეს ხმაური, _ თქვა კასიმ, _ იქნებ შენ შეგიძლია ამიხსნა, რა მიზეზი უნდა იყოს?

გაბრაზებულმა და შეშფოთებულმა ლეგრიმ მათრახი მოუქნია დასარტყმელად, მაგრამ ქალმა მათრახი აიცილა და კარისაკენ გასრიალდა შემდეგი სიტყვებით:

_ გირჩევ, ერთ ღამეს დაიძინო ჩემს ოთახში, და მაშინ თვითონ გაიგებ, რა ხდება მაღლა.

ლეგრი დიდხანს ღრინავდა და ილანძღებოდა, მაგრამ კასის ვერაფერი დააკლო.

ქალი კი დაკმაყოფილდა იმით, რომ ლეგრი შეაშინა თავისი ლაპარაკით და შემდეგაც ყოველთვის ხელს უწყობდა ამ შიშის გაძლიერებას. სხვენზე ერთ ალაგას ფიცარი იყო გახვრეტილი, ამ ჭუჭრუტანაში კასიმ გატეხილი ბოთლის ყელი გაჭედა. ქარი რომ ამოვარდებოდა, ბოთლის ყელიდან ადამიანის ქვითინისმაგვარი ხმა ისმოდა. თუ ქარი ძლიერი იყო, ქვითინიც მძლავრად გაისმოდა. მონების უბნამდისაც მიაღწევდა ხოლმე ხანდახან ეს ხმა და საბრალო დედაკაცის თავგადასავალს აგონებდა მათ. მონათა შორის შიში ძლიერდებოდა და ამ შიშმა მაგრად შეიპყრო ლეგრიც.

ორი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც კასიმ ბინა გამოიცვალა. ქარიანი დღე იყო. სასახლეში კარ-ფანჯარა სულ ზრიალებდა, კვამლს ატრიალებდა და ოთახებში ნაცრის კორიანტელს აყენებდა, თითქოს აჩრდილთა მთელი რაზმი გამოეფინაო.

ამ საღამოს ლეგრი რაღაცას ანგარიშობდა თავის სამუშაო ოთახში და საანგარიშო წიგნებს ჩასცქეროდა. შემდეგ გაზეთების კითხვას შეუდგა. კასი იმის ოთახში იყო ერთ კუნჭულში მიმჯდარი და ბუხარში ცეცხლს შეჰყურებდა.

ლეგრიმ გაზეთები გადაათვალიერა და ხელში რაღაც წიგნი მოხვდა. ახლა იმას დაუწყო ფურცვლა და თვალიერება. ეს წიგნი კასიმ იპოვა სადღაც. ეს იყო საშინელი და საზარელი მოთხრობების კრებული. წიგნი მოკლებული იყო მხატვრულ ღირსებას, მაგრამ მკითხველის ყურადღებას იზიდავდა თავისი უცნაური შინაარსით. ლეგრის თითქოს არ მოსწონდა ეს წიგნი, ხმამაღლა გამოხატავდა უკმაყოფილებას, მაგრამ კითხვას თავს არ ანებებდა. ბოლოს გულმოსულმა მოისროლა წიგნი და კასის მიუბრუნდა: _ კასი, გწამს, რომ ამქვეყნად არიან ავი სულები?

_ მე რა მწამს და რა არა, ეგ შენი საქმე არ არის, _ უპასუხა ქალმა უკმაყოფილო კილოთი.

ლეგრიმ ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

_ გემზე რომ ვმუშაობდი, მაშინ ამხანაგები მარწმუნებდნენ, რომ ქვეყნად არის მავნე სული. ათასნაირ არაკს მიყვებოდნენ, მაგრამ მე იმათი არაფერი მჯეროდა.

კასი ჩუმად იჯდა ბნელ კუნჭულში და იქიდან შეჰყურებდა ლეგრის. ქალს თვალები რაღაც შუქით უბრწყინავდა და ლეგრის შიშის ზარსა ჰგვრიდა.

_ გემზე ხმაურის მიზეზი ყოველთვის ვირთაგვები არიან. მე არაერთხელ დავრწმუნებულვარ ამაში. ქარსაც შეუძლია ატეხოს ხმაური.

კასი დარწმუნებული იყო, რომ მისი თვალების გამომეტყველება შიშის ზარსა ჰგვრიდა ლეგრის, და ამიტომ არ აშორებდა თვალს.

_ კასი, შენ რაღას ფიქრობ? განა მე მართალს არ ვამბობ? _ შეეკითხა ლეგრი.

_ განა ვირთაგვებს შეუძლიათ კიბეზე ჩამოსვლა და დაკეტილი კარის გაღება? ან მოჩვენებად გადაქცევა ისე, რომ მივიდნენ ადამიანთან და ხელი გაუწოდონ ჩამოსართმევად, აი ასე?

კასიმ გაუწოდა ყინულივით ცივი ხელი და თან თვალს არ აშორებდა ლეგრის. კასიმ თავისი ცივი ხელი მაჯაზე დაადო ლეგრის, შეშინებული ლეგრი ფეხზე წამოვარდა.

_ რა გინდა ამით თქვა, დედაკაცო? განა ოდესმე მოგეჩვენა შენ ასეთი რამე?

_ არა, მე ხომ ეგ არ მითქვამს! _ უპასუხა კასიმ ზიზღით და დაცინვის კილოთი.

_ გამიგონე, კასი, მითხარ, გემუდარები, მაგისთანა რა მოგელანდა იმ ოთახში? მითხარი, ნუ გაჩუმებულხარ.

_ ერთ ღამეს შენ თვითონ დაწექი იქ და ყველაფერს შენი თვალით ნახავ.

_ განა სხვენიდან გესმოდა ხმაური?

_ რა ხმაური? რაზე მეკითხები, არ მესმის.

_ აი «ის», მოჩვენება, რაზედაც შენ ლაპარაკობ.

_ მე არ მითქვამს, მომელანდა-მეთქი, _ უპასუხა კიდევ კასიმ მოკლედ და გაჩუმდა.

აღშფოთებულმა ლეგრიმ ოთახში სიარული დაიწყო.

_ მე ამას დაწვრილებით გამოვიკვლევ, _ ბუტბუტებდა ლეგრი თავისთვის, _ იარაღით ავალ და ვნახავ, რა მოჩვენება მომელანდება.

_ ძალიან კარგი იქნება, _ მოუწონა კასიმ, _ კარგს იზამ, ერთი ღამე რომ დაიძინო ჩემს ოთახში.

კასის სიტყვებზე ლეგრის გული მოუვიდა, გაბრაზებული ბორგავდა და ილანძღებოდა.

_ გირჩევნია, ლანძღვას თავი დაანებო, არავინ გაიგოს! ყური დაუგდე. ეს რა ხმა ისმის? შენ არ გეყურება?

_ საიდან, რა ისმის? _ ჰკითხა ლეგრიმ და მთლად აცახცახდა.

ამ დროს ძველებურმა ჰოლანდიურმა საათმა თორმეტი დარეკა.

ლეგრი ადგილიდან ვეღარ იძვროდა: გამოუთქმელმა შიშმა შეიპყრო. კასი დაცინვით შეჰყურებდა და გულდამშვიდებული ითვლიდა საათის რეკვას.

_ თორმეტი შესრულდა, ახლა დაიწყება ხმაური სხვენში.

კასიმ დერეფნის კარი გამოაღო და ყური დაუგდო.

_ აბა, ყური უგდე. რა გესმის, რა ხმაური მოდის იქიდან?

_ ქარია, სხვა რა უნდა იყოს, _ უპასუხა ლეგრიმ.

_ აბა აქეთ მოდი, _ დაუძახა კასიმ ხმადაბლა, ლეგრის ხელი მოჰკიდა და კართან მიიყვანა.

ამ დროს ზევიდან საზარელი ღრიალი შემოესმათ. ლეგრი გაფითრდა, მუხლთ მოეკეცა.

_ ჯობია, დამბაჩა აიღო ხელში, _ ურჩია კასიმ დაცინვით. _ გამიგონე, ლეგრი! ახლა კარგი შემთხვევა გაქვს, ნახო, რა ღრიალებს და ხმაურობს სხვენში. აბა, ადი და ნახე; ახლა «ისინი» იქ უნდა იყვნენ.

_ მე ახლა იქ ვერ ავალ, _ თქვა ლეგრიმ და უკან დაიხია.

_ რატომ? აკი ამბობდი, მე ბოროტი სულების არსებობა არა მწამსო, ეგ ყველაფერი ადამიანის გამოგონილიაო.

ამ სიტყვებით კასი გავიდა დერეფანში, სხვენის კიბეზე შედგა და ერთხელ კიდევ დაუძახა ლეგრის, გამომყევიო.

_ მე ვერ წამოვალ, შენც უკან დაბრუნდი, შე კუდიანო!

მაგრამ კასიმ ლეგრის ბრძანებას ყური არ დაუგდო: სწრაფად აირბინა კიბეზე და სხვენის კარი გააღო. იქიდან საშინელმა ქარმა დაქროლა და ოთახის კარებში მდგომ ლეგრის ხელში სანთელი გაუქრო.

შიშით გადარეული ლეგრი ოთახში შევარდა. კასიც ჩქარა დაბრუნდა უკან; მის თვალებს ისევ წეღანდელი საშიში გამომეტყველება ჰქონდა.

_ აბა, ახლა რას იტყვი? იქნებ ამიხსნა, რა უნდა ხმაურობდეს ასე საშინლად სხვენში.

_ თავი დამანებე, მეშინია, ამაზე ლაპარაკი არა მსურს! _ უპასუხა შერცხვენილმა და შეშინებულმა ლეგრიმ.

_ მართლა? მე კი მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ბინა გამოვიცვალე.

კასი განზრახ ავიდა სხვენში: ფანჯარა გააღო, რომ ძლიერი ქარი შემოვარდნილიყო.

მან კიდევ კარგა ხანს დაჰყო ლეგრის ოთახში და იქამდე მიიყვანა თავისი ყოფაქცევით, რომ ლეგრი უფრო ადვილად პირდაღებულ ლომს შეეჭიდებოდა, ვიდრე სხვენში ავიდოდა.

კასი შეუდგა თავის საქმეს: ღამღამობით ჩუმად აჰქონდა სხვენზე თავისი და ემელინას ბარგი, აგრეთვე მგზავრობისათვის საჭირო სანოვაგე. ჩქარა ყველაფერი მოაწყო, მხოლოდ მარჯვე დრო იყო საჭირო გასაქცევად. კასისათვის საჭირო იყო გზის ცოდნა. ამისათვის შეუჩნდა და იმდენი მოახერხა, რომ ლეგრიმ ის ერთხელ მახლობელი პატარა ქალაქის სანახავად წაიყვანა. კასიმ გზები კარგად დაზვერა და დაიმახსოვრა.

ერთ საღამოს ლეგრი მეზობელ ფერმერთან წავიდა სტუმრად. კასიმ ბოლო ხანებში მოისყიდა ლეგრის გული ალერსიანი მოპყრობით. ქალს ახლა თავისუფლად შეეძლო ცხოვრება ბატონის სასახლეში. ლეგრი რომ წავიდა სახლიდან, კასი შევიდა ემელინას ოთახში და ორივემ მოიმზადა სამგზავრო ორი დიდი ბოხჩა. ბოლოს კასიმ თქვა:

_ ახლა კი დროა, სამგზავრო ტანისამოსიც ჩავიცვათ და გზას გავუდგეთ.

_ ჯერ ადრეა: ნათელია და შეიძლება დაგვინახოს ვინმემ, _ უპასუხა ემელინამ.

_ დაე, დაგვინახონ. მეც სწორედ ეგ მინდა. საჭიროა, მდევარი გამოგვეკიდოს, რომ სახლში აღარავინ იყოს იმ დროს, როცა ჩვენ ჭაობიდან წყალ-წყალ უკან დავბრუნდებით. ამნაირად ძაღლები ვეღარ მიაგნებენ ჩვენს კვალს და სახლში დავბრუნდებით. ჩვენ შეუმჩნევლად უნდა ავიდეთ სხვენზე. მე იქ ყველაფერი უკვე მომზადებული მაქვს. შეგვიძლია, მშვენივრად ვიცხოვროთ მთელი თვე, ყველაფერი საკმარისი გვექნება. მაინც დიდი ხანი მოგვიწევს იქ ცხოვრება. ლეგრი ასე ადვილად არ დათმობს ჩვენს გაქცევას და დიდხანს გასტანს ძებნა. ახლომახლო ჩირგვს არ გაუშვებს გაუსინჯავს. მეზობელ პლანტატორებსაც კი დაიხმარს ჩხრეკის დროს. დაე, გვეძებონ, რამდენიც სურთ!

_ მშვენივრად მოგისაზრებია ყველაფერი, კასი! არ ველოდი, თუ აგრე კარგად მოაწყობდი ჩვენი გაქცევის საქმეს.

კასი სულაც არ გაახარა ამ ქებამ. მან ალერსიანად მოჰკიდა ხელი ყმაწვილ ქალს და უთხრა:

_ აბა, ჩემო კარგო, ახლა კი დროა, წავიდეთ!

ქალები სასახლიდან შეუმჩნევლად გავიდნენ და გაიარეს მონათა უბანი. უკვე გასცილდნენ პლანტაციას და მიუახლოვდნენ ჭაობს, როცა ხმაური და ყვირილი შემოესმათ.

მოხდა სწორედ ის, რასაც კასი მოელოდა, გაქცეულები თვითონ ლეგრიმ შენიშნა და ლანძღვა-გინებით გამოეკიდა უკან.

ლეგრის ხმის გაგონებაზე ემელინას შიშით მუხლთ მოეკვეთა და კასის ხელი გაუწოდა.

_ მიშველე, კასი, მუხლთ მომეკვეთა, საცაა, წავიქცევი.

_ თუ წაქცეულხარ, აქვე მოგკლავ, _ კასიმ უბიდან ბასრი დანა ამოიღო და ემელინას დაანახვა.

ამ მუქარამ მშვენიერი გავლენა იქონია. ემელინამ ძალ-ღონე მოიკრიბა და ჭაობს მიაშურა. ჭაობში კი ლეგრის მარტოკა აღარ შეეძლო დევნა: მისთვის საჭირო იყო მშველელი.

_ ძალიან კარგი! _ წაიბუტბუტა ლეგრიმ, როცა ქალები ჭაობში შევიდნენ. _ სულელები, თვითონ გაებნენ მახეში. იქიდან ისინი ვეღარსად წაგვივლენ.

_ ეჰეი... სამბო, კვიმბო! ჩქარა გამოიქეცით აქეთ, ყველა ბიჭსა და მონას დაუძახეთ! _ ყვიროდა ლეგრი.

მუშები ის იყო დაბრუნდნენ სამუშაოდან და ქოხებში ვახშმის მზადებაში იყვნენ.

_ ხუთ დოლარს მიიღებს, ვინც გაქცეულებს დაიჭერს. აბა ძაღლები აუშვით და მიუსიეთ!

ზოგი სიხარულით შეეგება ლეგრის წინადადებას და გაექანა დედაკაცების დასაჭერად. ანგარებისმოყვარეობა და ბატონის წინაშე ყურადღების დამსახურება ამოძრავებდა და აქეზებდა მათ ამ საქმეზე. საშინელი ალიაქოთი ატყდა. ჟინჟღილები აანთეს და ძაღლები აუშვეს.

_ ბატონო, ნებას გვიბოძებთ, თოფი ვესროლოთ? _ ჰკითხა სამბომ ლეგრის.

_ კასის შეგიძლიათ ესროლოთ, ის ადრე იყო სასიკვდილო, ახალგაზრდას კი ხელი არ ახლოთ. აბა, ბიჭებო, ვინძლო ყოჩაღად მოიქცეთ, ხუთ-ხუთი დოლარი და თითო ჭიქა არაყი საჩუქრად იმას, ვინც გაქცეულებს დაიჭერს.

მდევარნი სანათით ხელში ღრიანცელით გაიქცნენ ჭაობისაკენ. ძაღლების ყეფამ არემარე გააყრუა.

სასახლიდან შინამოსამსახურენიც გამოცვივდნენ სეირის საყურებლად. მართლაც, როცა კასი და ემელინა უკანა კარიდან დაბრუნდნენ, სახლში სრულებით არავინ იყო. მხოლოდ შორიდან ისმოდა ძაღლების ყეფა და ხმაური.

გაქცეულები უყურებდნენ, როგორ დარბოდა ჭაობში მდევარი. ღამის წყვდიადში ხან აქ გააშუქებდა სანათი და ხან იქ.

_ ხედავ, კასი, ნადირობა გააჩაღეს, _ ეჩურჩულებოდა ემელინა კასის: _ რა ამბავი აქვთ! ძაღლები როგორ ყეფენ! უჰ, რა დღე დაგვადგებოდა, ჩვენ რომ აქამდე იქ ვყოფილიყავით? წამო, ჩქარა დავიმალოთ, კასი! _ შეეხვეწა ემელინა.

_ აჩქარება საჭირო არ არის, _ დინჯად უპასუხა კასიმ, _ ახლა ისინი ნადირობაში არიან გართული, მთელ საღამოს იქ გაატარებენ. ჩვენ აუჩქარებლივ შეგვიძლია მოვაწყოთ ჩვენი საქმეები. სხვენზე ასვლას კიდევ მოვასწრებთ. ჯერ აქაურობა მივათვალიერ-მოვათვალიეროთ. ჩვენთვის გზაში ფული იქნება საჭირო და შეიძლება აქ ვიშოვოთ როგორმე.

ამ სიტყვებით იგი ლეგრის საწერ მაგიდასთან მივიდა და უჯრა გამოაღო. ემელინა უარს იყო ქურდულად ფულის შოვნაზე, მაგრამ კასიმ მის ლაპარაკს ყური არ ათხოვა და უჯრიდან ერთი ბღუჯა ფული ამოიღო.

_ არ გეთანხმები, ჩემო პაწია, _ უთხრა კასიმ ემელინას, _ უფულოდ გზაში დავიღუპებით. მართალია, ჩვენ ამ ფულს ვიპარავთ, მაგრამ ესენი მთელ ჩვენს სიცოცხლეს გვპარავენ. ახლა წავიდეთ. მე სანთელიცა მაქვს შენახული. წიგნის კითხვაც შეგვიძლია ხოლმე, როცა მოვისურვებთ.

სხვენზე ქალებს მშვენივრად მოწყობილი ბინა დახვდათ. კასის დიდი, თავღია ყუთი გვერდზე დაეწვინა, შიგ ლოგინი დაეგო და საწოლები გაემართა. მეორე ყუთში სანოვაგე და სხვა საჭირო ნივთები ჩაელაგებინა. ყველაფერი მოეწყო გონივრულად და წინდახედულად.

_ აი, ჩვენი დროებითი ბინა ეს არის, _ უთხრა კასიმ ემელინას, როცა სხვენში ავიდნენ, _ როგორ მოგწონს?

_ ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ იმედი გაქვს, რომ აქ ვერ მოგვაგნებენ? _ შეეკითხა ემელინა.

_ კარგი სანახავი იქნება, აქ რომ ლეგრი ამოვიდეს! მონები და მოსამსახურეები კი ვერ ამობედავენ აქ უიმისოდ. სიკვდილს ამჯობინებენ აქ ამოსვლას.

ემელინა დამშვიდდა, მიწვა ლოგინზე და ბალიშზე მიდო თავი.

_ კასი, რად დამემუქრე, მოგკლავ, თუ წაქცეულხარო?

_ იმიტომ, რომ გამაგრებულიყავ და გული არ წაგსვლოდა. ასე რომ არ მოვქცეულიყავ, შენ მართლა წაიქცეოდი და ისევ ჩაუვარდებოდით ხელში ლეგრის.

ემელინას გააჟრჟოლა ამ სიტყვების გაგონებაზე.

ქალები გაჩუმდნენ. ემელინას მოქანცულობა დაეტყო და ჩათვლიმა, კასიმ კი წიგნის კითხვა დაიწყო. ასე მშვიდად იყვნენ, სანამ ლეგრი თავისი ბიჭებით ნადირობიდან დაბრუნდებოდა.

კარგა დაბინდებული იყო, როცა სახლის ეზოში ხმაური და ძაღლების ყეფა გაისმა. ემელინას გამოეღვიძა და შეშინებულმა ხმადაბლა შეჰყვირა.

_ ნუ შეგეშინდება, _ დაამშვიდა კასიმ ნამძინარევი, _ ნადირობიდან დაბრუნდნენ და ისინი ხმაურობენ. აი, ამ ჭუჭრუტანაში გაიხედე და ყველაფერს კარგად დაინახავ. ნადირობა შეაჩერეს: ლეგრის მეტად მოწყენილი სახე აქვს. მისი ცხენი მთლად ტალახშია ამოსვრილი. ძაღლები ქასქასებენ. უეჭველია, ხვალ კიდევ ცდიან ბედს. მაგრამ ნადირი იქ არ არის, სადაც იმათ ეგულებათ.

_ გაჩუმდი, ნუ ლაპარაკობ, _ სთხოვა ემელინამ, _ ლაპარაკი არ გაიგონონ.

_ ლაპარაკი რომ გაიგონონ, მაშინ სულ დაფრთხებიან და სხვენს ახლოც არ გაეკარებიან. ჩვენ აქ საშიშროების გარეშე ვართ. რაც მეტს ვიხმაურებთ, მით უკეთესია. მე კარგად ვიცი, რა შვილები ბრძანდებიან ისინი.

ცოტა ხნის შემდეგ სასახლეში სიჩუმე ჩამოვარდა.

ლეგრი ლანძღვა-გინებით, მუქარითა და კბილების ღრჭენით წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად.

## ოცდამეთოთხმეტე თავი

## ცემა

კასისა და ემელინას გაქცევამ მეტისმეტად გააბოროტა ისედაც ავი და ბოროტი ლეგრი. მან თომაზე მოინდომა ჯავრის ამოყრა.

თომამ ვერ დაფარა თავისი სიხარული, როცა შეიტყო კასისა და ემელინას გაქცევის ამბავი. ლეგრის ეს არ გამოეპარა, თუმცა თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია. ის ამჟამად მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეჭირა გაქცეულები. შემდეგ კიდევ ერთმა გარემოებამ მიაქცევინა ყურადღება თომას საქციელზე: გაქცეულების საძებნელად თომა არ გავიდა. მეორე დღესაც მთელი დღის ძებნის შემდეგ საღამოთი ყველა დაღლილი დაბრუნდა შინ. გაქცეულების კვალს ვერ მიაგნეს: თითქოს მიწამ შთანთქა გაქცეულებიო.

ლეგრის ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ იმ საღამოთი თავი შეიკავა, დილისათვის კი რაღაც საშინელს აპირებდა.

მეორე დილით ლეგრი თავის კაბინეტში დივანზე იყო წამოწოლილი და გეგმას ადგენდა, როგორ ეწამებინა თომა. ბოლოს დაუძახა კვიმბოს და უთხრა:

_ წადი და აქ მომგვარე თომა! _ თან კმაყოფილებით ჩაიცინა, _ იმან უთუოდ უნდა იცოდეს, როგორ გაიქცნენ და სად დაიმალნენ გაქცეულები. იმდენს ვეცდები, ენა ამოვადგმევინო და ყველაფერი ვათქმევინო. გაჩუმებას ვეღარ გამიბედავს.

სამბოსა და კვიმბოს თომა ათვალწუნებული ჰყავდათ იმ დღიდან, რაც ლეგრიმ გამოთქვა აზრი, თომა კარგი ზედამხედველი იქნებაო. ადვილი წარმოსადგენია, რარიგ გაუხარდებოდა კვიმბოს ბატონის ბრძანება.

თომას გულში რაღაცამ უკბინა, როცა უთხრეს _ ბატონი გიბარებს თავისთანაო. მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ყოველნაირ ტანჯვა-წამებას აიტანდა, და ამიტომ არ შეშინებია.

კვიმბომ, სასახლის კიბესთან რომ მიიყვანა თომა, მკლავი დაუჭირა და უთხრა:

_ როგორც იყო, შენამდეც მოაღწიეს. ახლა ვნახოთ, როგორ მოუმართავ ხოლმე ხელს მონებს გაქცევაში. მიბრძანდით, ლეგრი გაგისწორდება თავისებურად.

თომამ იგრძნო, რომ მისი აღსასრულის დღე მოახლოებული იყო. გზადაგზა ეთხოვებოდა ნაცნობ არემარეს.

თომას დანახვაზე ლეგრი ღრიალს მოჰყვა.

_ იცი თუ არა, _ მიმართა მან თომას კბილების ღრჭენით, _ რომ დღეს მოკვლას გიპირებ?

_ ნება თქვენია, ბატონო, _ უპასუხა თომამ წყნარად.

_დიახაც, გადავწყვიტე, მოგკლა, თუ არ მეტყვი _ სად წავიდნენ დედაკაცები. ახლავე თქვი _ სად არიან კასი და ემელინა?

თომა ჩუმად იდგა.

_ გეყურება თუ არა, რას გეკითხები? _ ღრიალებდა გაშმაგებული ლეგრი. _ თქვი-მეთქი.

_ არაფერი მაქვს, ბატონო, სათქმელი, _ უპასუხა თომამ მშვიდად, მტკიცე ხმით.

_ როგორ ბედავ ჩემთან ასეთ ლაპარაკს? მაშ, არ იცი, სად არიან დედაკაცები?

_ არ ვიცი, ბატონო! და კიდეც რომ ვიცოდე, არ მოგახსენებდით. სიკვდილს ვარჩევდი.

ლეგრის სიბრაზით სუნთქვა შეეკრა, მაჯაში სტაცა თომას ხელი, დაუწყო ნჯღრევა და ყვირილი:

_ ხომ არა გგონია, რომ კიდევ გაპატიებ! არა, ძმობილო, ახლა კი მოვიდა შენი აღსასრულის დღე! მე უკვე ნაანგარიშევი მაქვს, რა ზარალი მომივა შენი მოკვლით, და ამ ზარალს შევურიგდები: გადაწყვეტილი მაქვს, გაწამო და ისე ამოგხადო სული, თუ არ დამმორჩილდები. გესმის თუ არა?

თომამ სათნოებით სავსე თვალებით შეხედა განრისხებულ ბატონს.

_ ბატონო! თქვენ რომ რაიმე გაჭირვება გადგეთ, ან მწუხარე ავადმყოფი ბრძანდებოდეთ და ჩემი სიცოცხლე გიხსნიდეთ განსაცდელიდან, მე დიდი სიამოვნებით დავღვრიდი სისხლს თქვენს საშველად: დაუყოვნებლივ გავწირავდი ჩემს სიცოცხლეს. ახლა კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე და რა მოგახსენოთ. ნუ ამძიმებთ თქვენს სულს ასეთი სისასტიკით. ხომ იცით, რაც უნდა დამმართოთ, ბოლოს მაინც ყოველივე ტანჯვას დასასრული ექნება.

წამით თითქოს იმოქმედა ლეგრიზე თომას სიტყვებმა, თითქოს გულის სიღრმეში ჩასწვდა და დაამშვიდა. კარგა ხანს გაჩუმებული იყო. ოთახშიც სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ საათის მუშაობის ხმა ისმოდა. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ბოლოს ისევ მხეცურმა გრძნობამ სძლია ლეგრის ადამიანურ გრძნობებს. უცებ თავისებურმა ბრაზმა მოუარა და გაცოფებული ეცა თავის მსხვერპლს... როცა ცემით თვითონ იჯერა გული, ბრძანა, გაეთრიათ სიკვდილის პირას მიყვანილი თომა და, რაც მან დააკლო, ახლა კვიმბოსა და სამბოს შეესრულებინათ.

ნაცემი, ნაწამები თომა მარტოკა ეგდო ყველასაგან მიტოვებული. მაგრამ სულით მაინც არ დაეცა.

სამბოც კი მოისყიდა ბოლოს თომას სათნოებამ.

_ ბატონო, ვგონებ, მეტი ტანჯვა საჭირო არ არის: ნაცემი აღარა სუნთქავს, _ მოახსენა მან ლეგრის.

_ შენ შუამავლობას არავინა გთხოვს, აასრულე, რასაც გიბრძანებენ. უნდა მოკვდეს, თუ არ დამემორჩილება. უნდა მითხრას, სად არიან დედაკაცები.

ამ სიტყვებზე თომამ თვალები გაახილა და უშიშრად შეხედა ლეგრის.

_ საცოდავო, დაღუპულო ადამიანო! ახლა შენ აღარა გაქვს მეტი უფლება ჩემზე. მეც შენთვის ყველაფერი მიპატიებია.

ნაცემმა თვალები დახუჭა და გონება დაკარგა.

_ შენ მართალი თქვი, სამბო, ვგონებ კვდება! _ თქვა ლეგრიმ; მიუახლოვდა თომას და სახეზე დააცქერდა, _ ახლა მაინც ჩაიკმინდავს ხმას.

თომა კიდევ ცოცხალი იყო და ლეგრის ლაპარაკი ესმოდა [ეყურებოდა]. მისმა მოთმინებამ და ლმობიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამბოსა და კვიმბოზე. ლეგრი რომ გარეთ გავიდა, ისინი შეეცადნენ, თომა ფეხზე წამოეყენებინათ და გონს მოეყვანათ.

_ მოგვიტევე, თომა, _ დაიწყო სამბომ ბოდიშით ლაპარაკი, _ ცუდი საქმე დაგმართეთ ჩვენი უგუნურებით, მაგრამ ამაში დამნაშავე ჩვენი ბატონია.

ნაცემს წყლულები მობანეს ცივი წყლით, ბამბა დაუგეს და ზედ დააწვინეს.

ერთი მათგანი ლეგრისთან წავიდა, ღვინო სთხოვა, ის კი დაუმალა, რომ ღვინო ავადმყოფისათვის უნდოდა. ერთგულ მონას ლეგრიმ ღვინო არ დაუჭირა; მონამ მოიტანა ღვინო და თომას წვეთ-წვეთობით აყლაპებდა.

_ საზიზღარი საქმე ჩავიდინეთ, ძმაო თომა, _ მიმართა ახლა კვიმბომ.

_ ყველაფერი მიპატიებია, _ წარმოთქვა თომამ მისუსტებული ხმით.

## ოცდამეთხუთმეტე თავი

## თომას სიკვდილი

ორი დღის შემდეგ ერთი ყმაწვილი კაცი მოადგა ეტლით ლეგრის სასახლეს. ეს იყო ჯორჯ შელბი.

მამიდა ოფელიას წერილმა ორი თვის შემდეგ მიაღწია დანიშნულებისამებრ. ამ ხნის განმავლობაში უკვე მოასწრეს თომას გაყიდვა და ახალ ბატონსაც წაეყვანა იგი პლანტაციაზე.

ქალბატონი შელბი მეტად დაანაღვლიანა ოფელიას წერილმა, მაგრამ მას იმხანად არაფრის მოხერხება არ შეეძლო: ქმარი ჰყავდა მძიმე ავადმყოფი. შემდეგ ბატონი შელბი გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება ცოლს უანდერძა. ქვრივმა თომასათვის ვეღარ მოიცალა, ბევრი საქმე ჰქონდა. ცდილობდა, მალე გამოერკვია ქმრის აწეწილ-დაწეწილი საქმეები და ვალები გაესტუმრებინა. სწორედ ამ დროს მოუვიდა პასუხი ქალბატონ სენ-კლერის რწმუნებულისაგან. ის ატყობინებდა ქალბატონ შელბის _ თომა სენ-კლერის სიკვდილის შემდეგ გაყიდესო. ამ პასუხმა, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილა არც ქალბატონი შელბი და არც იმისი შვილი ჯორჯი.

ბევრი ძებნისა და ძიების შემდეგ ჯორჯმა ახალ ორლეანში შემთხვევით ნახა ერთი კაცი, რომელმაც ასწავლა, სად იმყოფებოდა თომა. ჯორჯმა მაშინვე წაიღო საჭირო ფული და წავიდა თომას დასახსნელად.

ჯორჯი მივიდა ლეგრისთან და მაშინვე საქმეზე დაუწყო ლაპარაკი.

_ შევიტყვე, რომ ახალ ორლეანში თქვენ გიყიდიათ მონა ზანგი თომა, _ უთხრა მან ლეგრის, _ ის წინათ ჩვენი კაცი იყო და მსურს ისევ შევისყიდო, თუ თქვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

თომას სახელის ხსენებაზე ლეგრის სახე მოეღუშა.

_ დიახ, მე ვიყიდე თომა და ძალიან ვნანობ, რომ ვიყიდე. მეტად ურჩი ადამიანი აღმოჩნდა; მონები ამიჯანყა, ორ მონა დედაკაცს გაქცევა მოუწყო. საშინლად გავბრაზდი და ისე ვაცემინე, რომ ვგონებ, ვეღარ მობრუნდეს.

_ ახლა სად არის? _ მკაცრი კილოთი შეეკითხა ჯორჯი ლეგრის.

ყმაწვილი ბრაზისაგან თავს ძლივს იმაგრებდა, რომ უმართებულო საქციელი არ ჩაედინა.

ჯორჯს გამოელაპარაკა პატარა ბიჭი, რომელმაც ცხენი ჩამოართვა და ის ქოხი აჩვენა, სადაც ნაცემი თომა ეგდო.

ლეგრის ბრაზი მოუვიდა ამ ბიჭზე და მუცელში წიხლი ჩაჰკრა. ჯორჯს ლეგრის საქციელმა მოთმინება დააკარგვინა, მაგრამ კიდევ შეეცადა, თავი შეეკავებინა, და ხმაამოუღებლივ გაეშურა იმ ქოხისკენ, სადაც თომა ეგულებოდა.

თომა ჯერ ცოცხალი იყო. ცემისაგან დაზეჟილ მის სხეულს მოძრაობის უნარი დაეკარგა და უგონოდ ეგდო, თუმცა მისი მძლავრი ბუნება კიდევ ებრძოდა სიკვდილს.

არაერთი მონა გაამხნევა ზნეობრივად თომამ იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი ლეგრის სახლში ცხოვრობდა. ახლა კი ეს ხალხი არ იშურებდა თავის ძვირფას დასასვენებელ საათებს და მოდიოდა ავადმყოფი თომას სანახავად. მართალია, მათ, უკიდურეს ღარიბებს, არაფრის მიტანა არ შეეძლოთ მისთვის, მხოლოდ წყალს თუ მიაწვდიდნენ ან დაელაპარაკებოდნენ, მაგრამ ესეც დიდი ნუგეში იყო ტანჯული ადამიანისათვის. მნახველები წრფელი გულით მიდიოდნენ და ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ მისი წამებული სხეულის წინ. ეს დიდი ზნეობრივი ნუგეში იყო თომასათვის. ცხადი იყო, მისმა გულწრფელმა სიყვარულმა და მხურვალე რწმენამ გამოძახილი ჰპოვა ტანჯული მონების გულში.

ნაცემი თომას დანახვაზე ჯორჯს თავბრუ დაესხა და კინაღამ გული წაუვიდა.

_ ამას რასა ვხედავ?! ბიძია თომა, ჩემი საყვარელი და ძვირფასი მეგობარი, რა დღეში იმყოფება! _ ყმაწვილის სიტყვები მომაკვდავს ჩაესმა, თავი ოდნავ გაანძრია და ამოილუღლუღა:

_ ჩემი საწოლი ქურთუკზე რბილად მეჩვენება.

ჯორჯმა დაიჩოქა თომას წინ და ტირილი დაიწყო.

_ ბიძია თომა, აბა ერთი თვალი გაახილე, დამელაპარაკე, ნუთუ ვერ იცანი შენი გაზრდილი პატარა ჯორჯი?

_ ჯორჯ, შენა? ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! _ წამოილუღლუღა სუსტი ხმით თომამ და თვალი გაახილა. პირველად თვალებს უაზროდ აცეცებდა აქეთ-იქით. მერე ნელ-ნელა გონს მოვიდა, მის სახეს სიცოცხლე დაეტყო და გაუბრწყინდა. თვალებზე ცრემლი მოადგა. _ უკანასკნელი წადილი ამისრულდა: ჩემი პატარა ჯორჯი ვნახე. გმადლობთ, რომ არ დაგვიწყებივართ. ახლა დამშვიდებული მოვკვდები.

_ არა, თომა! შენ სიკვდილს მე ვერ ავიტან; შენ უნდა იცოცხლო და ჩემთან ერთად წამოხვიდე კენტუკში. მე შენს გამოსახსნელად მოვედი და ჩემი ვალი უნდა ავასრულო.

_ ძვირფასო ჯორჯ! გვიანღა არის, ჩემი მოსულიერება აღარ შეიძლება.

_ ჩემო თომა, შენი სიკვდილი მეც ბოლოს მომიღებს. თავბრუ მესხმის, როცა წარმოვიდგენ, რამდენი ტანჯვა აგიტანია, ჩემო საწყალო მეგობარო!

_ ნუ მიწოდებ საწყალს. მე საწყალი აქამდის ვიყავ, ახლა კი ჩემს უბედურებას ბოლო მოეღო.

ჯორჯი უძრავად იჯდა და ყურს უგდებდა მომაკვდავის ლაპარაკს.

_ ხლოას ნუ ეტყვით, რა დღეში მნახეთ, _ განაგრძო ისევ თომამ, _ თორემ მწუხარება გაუორკეცდება საწყალს; გადაეცით მხოლოდ, რომ მე ჩემი დღით მოვკვდი. უთხარით აგრეთვე, რომ მე აქ არავითარი ტანჯვა არ მინახავს და ყოველთვის მახსოვდა ჩემი ცოლ-შვილი. თუმცა გული მიკვდებოდა, რომ მათგან შორს ვიყავი, მაგრამ ასეთი იყო ჩემი ბედი და მეც ვითმენდი მათ დაშორებას. ვლოცავ ჩემს შვილებს და ვუსურვებ, რომ ცხოვრებაში მუდამ სიმართლის გზით იარონ. გადაეცით აგრეთვე ყველა ნაცნობს ჩემი უკანასკნელი სალამი.

ჯორჯის ნახვამ ავადმყოფი მეტად ასიამოვნა და დროებით ძალ-ღონე შესძინა, მაგრამ ჩქარა ისევ დასუსტდა, თვალები მიელულა, სახე შეეცვალა, სუნთქვა გაუძნელდა და მაჯისცემა დაუსუსტდა: სახეზე კი ღიმილი უკრთოდა. მისი სახე გამარჯვების შუქით შეიმოსა...

ჯორჯი მოწიწებით დაჰყურებდა თომას ცხედარს. კარგა ხანს იყო ასე. ბოლოს წამოდგა და თვალები დაუხუჭა მიცვალებულს. მერე მობრუნდა, ქოხიდან გამოსვლას აპირებდა, და წინ ლეგრი შეეჩეხა. ისიც მოღუშული სახით დაჰყურებდა მიცვალებულის ცხედარს. ძნელი სათქმელია, რა გრძნობამ შეიპყრო იგი ამ წუთს.

ჯორჯს მიცვალებულის პატივისცემამ შეაკავებინა თავი, რომ ლეგრისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა: ყმაწვილს მხოლოდ შეეზიზღა მტარვალი ადამიანის დანახვა და თვალი მოარიდა, თუმცა დალაპარაკება კი საჭირო იყო.

_ ხომ ხედავთ, მიცვალებული თქვენთვის არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას. მაშ, მომყიდეთ მისი ცხედარი; მსურს, ჩემი ყოფილი მონის ნეშტი მიწას მივაბარო.

_ მე მკვდრებით ვაჭრობა ჩვეულებად არა მაქვს, _ უპასუხა ლეგრიმ უკმეხად. _ შეგიძლიათ, წაასვენოთ და, როგორც გსურთ, ისე დაასაფლაოთ...

_ აბა, ბიჭებო, _ მიმართა ჯორჯმა იქვე მყოფ მონებს, _ მიშველეთ, მიცვალებული გადავიტანოთ ჩემს ეტლში. გაიქცეს ვინმე და ბარები მოიტანოს საფლავის გასაჭრელად.

ერთი ბიჭი ბარებისათვის გაიქცა, დანარჩენები დაეხმარნენ ჯორჯს. ეტლში ჯორჯის წამოსასხამი გაშალეს და ზედ დაასვენეს მიცვალებული.

ლეგრის მამულის ახლო მოჩანდა ერთი პატარა კორდი. ეს კორდი ამოარჩია ჯორჯმა თომას დასამარხავად.

საჩქაროდ გათხარეს საფლავი.

_ წამოსასხამი თან ჩავატანოთ, ბატონო? _ შეეკითხნენ მესაფლავეები, როცა მიცვალებული წამოსასხამზე დასვენებული მიასვენეს საფლავთან.

ჯორჯი მიუახლოვდა მიცვალებულს.

_ ჩემო ძვირფასო აღმზრდელო, ჩემო სიყრმის მეგობარო, მეტი აღარაფრის გაკეთება აღარ შემიძლია შენთვის; ნება მომეცი, ამით გემსახურო და ტანი შეგიმოსო ჩემი წამოსასხამით.

ცხედარი ჩაასვენეს საფლავში და მიწა მიაყარეს. საფლავს თავი შეუკრეს და ზევიდან მწვანე ხავსი დააყარეს.

ჯორჯმა მონებს მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის და დაითხოვა.

ზანგები წავიდნენ და ჯორჯი მარტო დარჩა თომას საფლავთან. ყმაწვილმა მუხლი მოიყარა და შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა ბიძია თომას:

_ ძვირფასო თომა! ვფიცავ შენს წმინდა საფლავს და ხსოვნას, რომ მთელ ჩემს ძალ-ღონეს მოვანდომებ მონების განთავისუფლებას. მე არავითარ დაბრკოლებას არ დავერიდები ამ მიზნის მისაღწევად, ჩემს წვლილს შევიტან ამ დიადი საქმის განსახორციელებლად.

თომას საფლავზე არ აღუმართავთ არავითარი ძეგლი; მან ადამიანთა ხსოვნაში უკვდავყო თავისი სახელი.

## ოცდამეთექვსმეტე თავი

## კასი და ემელინა

ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ ორი ქალი ბოხჩებით ხელში შევიდა ერთ პატარა ქალაქში. ეს ქალები იყვნენ კასი და ემელინა: იმათ აასრულეს თავიანთი განზრახვა.

ლეგრიმ ბოლო დროს ლოთობას მიჰყო ხელი. ერთი მხრივ, კასისაგან ჩანერგილი ცრუმორწმუნეობრივი შიში, მეორე მხრივ _ სინდისის ქენჯნა არ აძლევდა მტარვალს მოსვენებას და სასმელში ჰპოვებდა დროებით შვებას. ხშირად თვრებოდა და საქმე იმით გათავდა, რომ მძიმედ გახდა ავად. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს კასიმ და ემელინამ. ლეგრის ავადმყოფობის დროს სახლში სრული უწესრიგობა სუფევდა, მოსამსახურეები გაიქც-გამოიქცნენ, ავადმყოფი ავკაცობდა და ვეღარავინ უძლებდა.

ერთხელაც, განთიადისას, კასი და ემელინა შეუმჩნევლად გამოვიდნენ ლეგრის სახლიდან.

იმ დღეს ორმა ზანგმა ხმა გაავრცელა, რომ მათ ნახეს მოჩვენება ქალის სახით: თეთრებში გამოწყობილი ორი ქალი ლეგრის სახლიდან გამოვიდაო. ლეგრიმაც დაიჯერა და მხოლოდ შიში გაუორკეცა ამ ამბავმა; კასისა და ემელინაზე კი არავითარი ფიქრი არ მოსვლია.

კასის მდიდრულად ეცვა შავი ტანისამოსი ესპანურ გემოვნებაზე: სახეზე რიდე ეფარა. ის ვითომ ქალბატონი იყო, ემელინა კი _ მოსამსახურე. კასი მდიდრულ ოჯახში იყო აღზრდილი, იცოდა მათი ზნე-ჩვეულება და ადვილად ასრულებდა თავის როლს. კაცს ნამდვილად წარჩინებული საზოგადოების ქალი ეგონებოდა. ქალაქში ძვირფასი სამგზავრო კალათი იყიდეს და ბარგი შიგ ჩააწყვეს.

ძვირფას სასტუმროში დაბინავდნენ. მოსამსახურე ბიჭმა აიტანა სამგზავრო კალათები; ემელინას ბოხჩები ეჭირა. სასტუმროს პატრონი დაფაცურდა და ისე მიიღო ისინი, როგორც წარჩინებული სტუმრები.

სასტუმროში კასიმ თვალი მოჰკრა ჯორჯ შელბის. ჯორჯი მან პირველად სხვენიდან დაინახა თომას დასაფლავების დღეს.

ქალს მაშინვე გული შეუვარდა ამ ყმაწვილზე და ახლა პირველ შეხვედრაზევე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს. კასიმ შეიტყო, რომ ჯორჯიც გემს უცდის და ერთად მოუხდებათ მგზავრობა.

სასტუმროში ყველა პატივისცემით ეპყრობოდა კასის. ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ ის რომელიმე წარჩინებული ოჯახის წევრი არ იყო. მას ახლა გამოადგა ლეგრის ფულები: ხელგაშლილად ხარჯავდა ფულს. იცოდა, რომ გზაში წარბშეუხრელად უნდა ხარჯო ფული, თუ გსურს, ეჭვი აიცილო თავიდან.

საღამოთი გემიც მოვიდა. ჯორჯ შელბი დაეხმარა ქალებს გემზე კარგი ბინის შოვნასა და მოწყობაში.

კასი გარეთ აღარ გამოდიოდა, ავადმყოფობა მოიმიზეზა. მოსამსახურე გოგოც არა შორდებოდა თავის ქალბატონს.

მდინარე მისისიპზე მეორე გემზე მოუხდათ გადასვლა. აქ აღმოჩნდა, რომ ჯორჯსა და ქალებს კიდევ ერთად უხდებოდათ მგზავრობა. ჯორჯმა ქალები კვლავ დააბინავა ახალ გემზე.

გემი მარჯვედ მიაპობდა მდინარის ტალღებს და უკან ფართო ქაფის კვალს ტოვებდა.

კასი ახლა ხშირად გამოდიოდა გემის ბაქანზე. ყველა ამჩნევდა, რომ ის სიყმაწვილეში ძალიან ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო.

ჯორჯმა პირველ დანახვაზევე ვიღაც თავის ნაცნობს მიამსგავსა, მაგრამ ვერ მოიგონა, სახელდობრ _ ვის. ბევრსა ცდილობდა, მოეგონებინა, მაგრამ ვერ მოიგონა.

ჯორჯი ცდილობდა, არ შეემჩნევინებინა ქალისათვის, რომ დაინტერესებული იყო მისი ვინაობით, მაგრამ ქალს ეს გარემოება არ გამოპარვია.

ქალი შეფიქრიანდა: ეგონა, ყმაწვილმა რაიმე ეჭვი მიიტანა ჩემს ვინაობაზეო. საქმე იქამდის მივიდა, რომ მეტის დაფარვა შეუძლებელი გახდა და ქალმა უამბო ჯორჯს თავისი თავგადასავალი.

ჯორჯზე საშინლად მოქმედებდა ლეგრის სახელის გაგონებაც კი. ნაამბობმა მეტად ააღელვა იგი. ყმაწვილმა გადაწყვიტა, გზაში ყოველმხრივ დახმარებოდა ქალებს. იმავე გემით მიდიოდა ვიღაც ფრანგი ქალი, გვარად დე-ტუ. ამ ქალს თან ჰყავდა პატარა, თოთხმეტი წლის ქალიშვილი. ქალმა ყური მოჰკრა, რომ ჯორჯი კენტუკიდან იყო, და გამოელაპარაკა. გაცნობასა და დაახლოებას ხელი შეუწყო ცქრიალა გოგონამ, რომელიც გემზე ყველგან თამამად დარბოდა. შელბიმ რამდენჯერმე მიართვა სკამი ქალბატონ დე-ტუს და დიდხანს ემუსაიფა. მათი საუბარი კასის ესმოდა.

ქალბატონ დე-ტუს ეტყობოდა, რომ კარგად იცნობდა კენტუკს. დაწვრილებით გამოჰკითხა ყმაწვილს იქაური ამბები. ჯორჯი მეტად გააოცა ამ ამბავმა.

ბოლოს ჰკითხა ქალმა ჯორჯს:

_ იქნებ, თქვენ იცნობდეთ იქ ერთ კაცს, გვარად ჰარისს?

_ დიახ, ვიცნობ, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს ერთი ჰარისი, _ უპასუხა ყმაწვილმა. _ მხოლოდ ჩვენ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არა გვაქვს.

_ ვგონებ, დიდი მემამულე უნდა იყოს, _ განაგრძო ქალმა ლაპარაკი და თან მღელვარება დაეტყო, თუმცა ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

_ დიახ, მდიდარი მემამულე გახლავთ.

ჯორჯიც გაკვირვებით შესცქეროდა მოლაპარაკეს. ვერ აეხსნა, რად აინტერესებდა ამ ქალს ჰარისი.

_ შეიძლება გაგეგონოთ: იმ ჰარისს ჰყავდა მონა ბიჭი ჯორჯი?

_ დიახ, გამიგონია და კარგადაც ვიცნობ ჯორჯ ჰარისს. იმას ცოლად ჩვენი მოახლე ჰყავს. ჯორჯ ჰარისი კენტუკიდან გაიქცა თავისი ცოლ-შვილით კანადაში.

_ გაიქცა! ძალიან კარგია! _ წარმოთქვა ქალმა ისე, თითქოს ამ სიტყვების გაგონებაზე რაღაცა მძიმე ტვირთი მოეხსნაო. ჯორჯი მეტად გააკვირვა ქალის უკანასკნელმა სიტყვებმა.

ქალმა პირზე ხელები მიიფარა და ატირდა, ბოლოს, როგორც იყო, თავი შეიკავა და ლაპარაკი დაიწყო.

_ ის ჰარისი ჩემი ძმაა, _ განაცხადა ქალმა.

_ ჯორჯი? ჯორჯი თქვენი ძმა არის? _ წამოიძახა განცვიფრებულმა ჯორჯმა.

_ დიახ, ჩემი ღვიძლი ძმა, _ ქალმა ამაყად აიღო თავი მაღლა და ცრემლები მოიწმინდა. _ ბატონო შელბი, მე ჯორჯ ჰარისის და გახლავარ.

_ ყველაფერი ამერია თავში! _ ჯორჯმა მხრები აიჩეჩა.

_ როცა გამყიდეს, ჯორჯი პატარა ბავშვი იყო, კეთილმა და პატიოსანმა კაცმა მიყიდა. ვესტ-ინდოეთში წამიყვანა, მონობიდან გამათავისუფლა და ცოლად შემირთო. დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი ქმარი გარდაიცვალა. იმის შემდეგ გადავწყვიტე დაბრუნება კენტუკში და ჩემი ძმის პოვნა. მსურს, მონობიდან დავიხსნა.

_ ახლა მეც მაგონდება, რომ ჯორჯი ხშირად იგონებდა ხოლმე თავის დას ემილიას.

_ ის ემილია სწორედ მე გახლავართ. მითხარით, როგორი კაცი დადგა ჯორჯი?

_ ჩინებული ადამიანია. მონობამ ვერ დაატყო მას თავისი კვალი. მეტად ჭკვიანი და მტკიცე ზნეობის კაცია. მე კარგად ვიცნობ. იმას ცოლად ჩვენთან აღზრდილი ქალი ჰყავს და ხშირად იყო ხოლმე ჩვენსა, ცოლიც მშვენიერი ქალი გახლავთ. კარგი წერა-კითხვა და ხელსაქმე იცის, კარგი ხმა აქვს და მღერის კიდეც.

_ ის ქალი თქვენ სახლშივე გახლავთ დაბადებული? _ ჰკითხა ჯორჯს ქალბატონმა დე-ტუმ.

_ არა, ის მამაჩემმა ახალ ორლეანში იყიდა რვა-ცხრა წლისა და დედაჩემს საჩუქრად მოჰგვარა. მამას თავის სიცოცხლეში არ უთქვამს, რა მისცა იმ ბავშვში. იმის სიკვდილის შემდეგ ქაღალდებიდან აღმოჩნდა, რომ ბავშვი ძალიან ძვირად ეყიდა, ალბათ, იმიტომ, რომ გასაოცრად ლამაზი იყო.

ჯორჯი ზურგშექცევით იდგა კასისკენ და ვერ შენიშნა, რა გაფაციცებით უსმენდა ეს უკანასკნელი ჯორჯის ლაპარაკს. ქალი უცებ წამოდგა, მივიდა ჯორჯთან და ჰკითხა:

_ არ იცით, ვინ მიჰყიდა მამათქვენს ის ბავშვი?

_ თუ არ ვცდები, ნასყიდობის ქაღალდში ვიღაცა სიმენსის გვარი უნდა ეწეროს.

_ ვაი ჩემს თავს! _ წამოიძახა კასიმ და გულწასული დაეცა იატაკზე.

ჯორჯი და ქალბატონი დე-ტუ მისცვივდნენ მოსაბრუნებლად.

მათ ვერ გაეგოთ მიზეზი კასის გულის წასვლისა. შემკრთალნი თავს დასტრიალებდნენ და ცდილობდნენ, როგორმე მოებრუნებინათ. ჯორჯმა ფაცაფუცში წყლის სურა გადმოაგდო მაგიდიდან და გატეხა. ხმაურზე მოვიდნენ სხვა მგზავრებიც.

ხალხის ჩოჩქოლი უფრო ხელს უშლიდა ქალის მობრუნებას.

კასი, როგორც იყო, მობრუნდა, ახლა კედლისაკენ მიიბრუნა პირი და ტირილი დაიწყო.

ყოველი მშობელი მიხვდება, რად ტიროდა კასი. ეს ტირილი სიხარულისა იყო. მას გულში აღეძრა თავისი დაკარგული შვილის პოვნის იმედი.

## ოცდამეჩვიდმეტე თავი

## ერთმანეთი ნახეს

ჯორჯ შელბიზე, როგორც მგრძნობიარე ახალგაზრდაზე, ძლიერ იმოქმედა ამ ამბავმა. შინ რომ მივიდა, მამისეულ ქაღალდებში მოძებნა და კასის გაუგზავნა ელიზას ნასყიდობის ქაღალდი, საიდანაც ყველაფერი ნათლად ჩანდა: წელიწადი ბავშვის გაყიდვისა და რიცხვი, ბავშვის სახელი. აშკარა იყო, რომ ელიზა კასის შვილი იყო. ახლა საჭირო იყო მისი მოძებნა.

კასი და ქალბატონი დე-ტუ კანადაში წავიდნენ და დაიწყეს ძებნა იმ სოფლებში, სადაც ჩვეულებრივ გაქცეული მონები აფარებდნენ თავს. ემერბურგში გაიცნეს ერთი მისიონერი. აღმოჩნდა, რომ მის სახლში გაეტარებინათ ჯორჯსა და ელიზას რამდენიმე დღე. მანვე გაუადვილა შემდგომი ძებნაც.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჯორჯმა და ელიზამ მონობის უღელი მოიშორეს კისრიდან. ჯორჯი მუშაობდა ერთ მექანიკურ სახელოსნოში, საკმაო ფულსა შოულობდა და გაუჭირვებლად არჩენდა ოჯახს. ამ ხანში მათ მოემატათ კიდევ ერთი ქალიშვილი. ბავშვს დაარქვეს ელიზა.

პატარა ჰარი უკვე სასწავლებელში დადიოდა. მშვენიერი ბავშვი იყო, კარგად სწავლობდა. მისიონერმა იკისრა ქალების გაყოლა ჯორჯისა და ელიზას საძებნელად. ყველა ხარჯი ქალბატონმა დე-ტუმ დაფარა.

* * *

შევიხედოთ ქალაქ მორეალის განაპირა უბანში, ერთ პატარა სადგომში. საღამო ხანია. ოთახის შუაგულში მაგიდა დგას და ზედ ვახშამია მომზადებული. ოთახის ერთ კუთხეში მეორე მაგიდა დგას, მაუდგადაფარებული. მაგიდაზე საწერ-კალამი და რაღაც ქაღალდებია. კედელზე თაროებია გაკეთებული და რჩეული წიგნები აწყვია.

ეს ჯორჯის საწერი მაგიდაა. ერთხელ გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა, რომელმაც იგი იმთავითვე დააყენა თვითგანვითარების გზაზე, მოსვენებას არ აძლევდა.

ახლაც თავის მაგიდას უზის ჯორჯი და რაღაც წიგნიდან საყურადღებო აზრს იწერს თავის რვეულში.

_ ჯორჯ, გენაცვალე, თავი დაანებე წიგნს, _ დაუძახა ქმარს ელიზამ. _ დღეს მთელი დღე სახლში არა ყოფილხარ: შენთან სალაპარაკო მაქვს.

ამ დროს მამასთან მიირბინა პატარა ელიზამ და სთხოვა, კალთაში ჩაესვა.

_ აი, შე მოუსვენარო, შენა, _ უთხრა ალერსით ჯორჯმა თავის პატარა ცქრიალა გოგონას.

_ აი, ასე კარგია. რამდენიმე წუთი ოჯახსაც უნდა აჩუქო ხოლმე, _ მოუწონა ქმარს ელიზამ და თვითონ სუფრის გაშლას შეუდგა.

ელიზას ცოტა ხნოვანება დასტყობია და დასრულებულა, მაგრამ სახეზე კმაყოფილება უბრწყინავს და სრული სიმშვიდე გადაჰფენია.

მამასთან მიირბინა უფროსმა ვაჟმაც.

_ ჰარი, დღეს როგორ ჩააბარე გაკვეთილები მასწავლებელს? _ ჰკითხა ჯორჯმა და თავზე გადაუსვა ხელი.

ჰარის ახლა დიდი ხუჭუჭი თმები აღარ ჰქონდა, მაგრამ დიდრონი თვალები და გრძელი წამწამები ნაკლებად არ ამშვენებდნენ ბავშვის მოხდენილ სახეს. მამის კითხვაზე მან ამაყად უპასუხა:

_ ყველა ამოცანა მასწავლებლის დაუხმარებლად გამოვიყვანე.

_ ასე უნდა, შვილო! კაცს მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. თუმცა შენ უკეთეს პირობებში იზრდები, ვიდრე მამაშენი იმყოფებოდა.

ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ელიზა გავიდა და დერეფნის კარი გააღო.

_ რა ქარმა გადმოგაგდო? _ შესძახა გაოცებულმა, როცა კარებში ნაცნობი მისიონერი დაინახა და მასთან ორი უცნობი ქალი.

ელიზამ სტუმრები ოთახში შეიპატიჟა.

მისიონერს მოსაზრებული ჰქონდა, როგორ მოქცეულიყვნენ, რომ უცბად ქალებს თავიანთი ვინაობა არ გამოემჟღავნებინათ.

მაგრამ წინდაწინ შემუშავებული გეგმა აღარ გამოდგა. მისიონერმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ქალბატონი დე-ტუ გადაეხვია ჯორჯს და უთხრა:

_ ჯორჯ, განა ვერ მცნობ, შენ გენაცვალე? მე ხომ შენი და ემილია ვარ!

კასი კი ცდილობდა, შეესრულებინა მისიონერის მიერ შემუშავებული გეგმა, სკამზე დაჯდა და მარჯვე დროს უცდიდა თავისი ვინაობის გამოსამჟღავნებლად. მაგრამ აქაც უბრალო შემთხვევამ ჩაშალა გეგმა. პატარა ელიზა მივიდა უცხო ქალთან და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა. ბავშვი პირწავარდნილი დედა იყო. კასიმ ვეღარ მოითმინა, ხელი დასტაცა ბავშვს და გულში ჩაიკრა.

_ ჩემო ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ! _ ჩასძახოდა კასი ბავშვს და კოცნიდა. მას ეგონა, ჩემი პატარა ელიზა მიჭირავს ხელშიო.

ამ სურათს საშინელი ალიაქოთი და ჟრიამული მოჰყვა. კასი, ელიზა, ქალბატონი დე-ტუ, ჯორჯი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. ბავშვებს ჟრიამული შეუდგათ. ტირილი და სიცილი ერთმანეთში აირია. როცა ოდნავ დამ-

შვიდდნენ, მისიონერმა ყველაფერი დალაგებით უამბო ჯორჯსა და ელიზას. დიდხანს ილაპარაკეს. ყველა თავის თავგადასავალს მოყვა. მარტო კასი აკვირვებდა თავის შვილიშვილს: მოწყენილი იჯდა მაგიდასთან და გემოთი არაფერი გაუსინჯავს; დროგამოშვებით ჩაიხუტებდა ხოლმე ბავშვს გულში და დაჟინებით კოცნიდა.

კასის ვეღარ იცნობდა ადამიანი: ის მთლად გამოიცვალა, სახე დაუმშვიდდა. წარსული სულ გადაავიწყდა და აწმყოთი ხარობდა. ახლა ის დედა იყო მთელი ოჯახისა. ყველაზე მალე პატარა შვილიშვილს შეეჩვია. ბავშვი შორეულ წარსულს, თავისი ელიზას სიყმაწვილეს აგონებდა; ღვიძლ შვილს კი ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა და თანდათან უახლოვდებოდა დედას.

ქალბატონმა დე-ტუმ ძმას უთხრა, რომ მას კარგი შეძლება აქვს და სურს, ძმასა და ძმისწულებს მოახმაროს.

ჯორჯს სწავლა სწყუროდა და პირველ რიგში ამ საგანზე დაიწყო ოცნება. ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ჯორჯი მთელი ოჯახით წასულიყო საფრანგეთში სასწავლებლად.

მათ თან წაიყვანეს ემელინაც, რომელიც კასიმ მონობას გადაარჩინა.

გზაში ემელინა მოეწონა გემის კაპიტანს და ცოლად შეირთო.

ჯორჯმა ოთხი წელიწადი დაჰყო პარიზის უნივერსიტეტში და კარგი ცოდნა შეიძინა.

სწავლის დამთავრების შემდეგ ამერიკაში ცხოვრება აღარ ისურვა: გული ზანგების ქვეყნისკენ მიუწევდა. გადაწყვიტა, დასახლებულიყო აფრიკაში და ეშრომა თავისი დაბეჩავებული ხალხისათვის. მთელი ოჯახი თან გაჰყვა.

ცოტა რამ მინდა გიამბოთ ქალბატონ ოფელიასა და ტოპსიზე. ისინი წავიდნენ ვერმონტში. ტოპსის ჩაყვანით ოჯახი მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩა, რადგან გოგონას ხელისშემშლელად და ოჯახური მყუდროების დამრღვევად თვლიდნენ. მაგრამ ოფელია დაუღალავად ასრულებდა თავის მისიას და ტოპსის აღზრდაში მოულოდნელ შედეგებს მიაღწია.

გოგონამ მალე თავი შეაყვარა არა მარტო შინაურებს, არამედ მეზობლებსაც კი.

ტოპსი გაიზარდა და დარბაისელი, კეთილი და ჭკვიანი ქალი დადგა. კარგმა აღზრდამ ხელი შეუწყო მისი ბუნებრივი ნიჭის გაფურჩქვნას. მშვენიერი მასწავლებელი გამოვიდა.

## ოცდამეთვრამეტე თავი

## თავისუფლების მიმნიჭებელი

ჯორჯ შელბიმ გზიდან მოკლე წერილი მისწერა დედას და შეატყობინა, როდის დაბრუნდებოდა შინ. რამდენჯერაც თომას ხსენება დააპირა წერილში, იმდენჯერ თვალები ცრემლით აევსო და ამიტომ წერილში თომა არ უხსენებია.

დიდი სიხარული და სამზადისი იყო შელბის სახლში იმ დღეს, როცა ჯორჯს მოელოდნენ.

სასტუმრო ოთახში ქალბატონი შელბი მისჯდომოდა აგიზგიზებულ ბუხარს. სასადილო მაგიდაზე ორი ადამიანისათვის იყო გაწყობილი სუფრა. მოხუცი ხლოა დასტრიალებდა მაგიდას.

ხლოას ჩითის კაბა ეცვა, წინსაფარი ეფარა და თავზე გაქათქათებული ხილაბანდი ეხვია. შავი პირისახე სიამოვნებით უბრწყინავდა. დასტრიალებდა მაგიდას და თან ქალბატონსაც ემუსაიფებოდა.

_ მგონი, ყველაფერი იმის გემოვნებაზე მოვამზადე, _ თქვა ხლოამ და თვალი გადაავლო გაშლილ სუფრას. სავარძელი ბუხრისაკენ მისწია და დაუმატა: _ ახალგაზრდა ბატონს სითბო უყვარს. რატომ ჯორჯის ნაყიდი ახალი ჩაიდანი არ დაუდგამთ ცეცხლზე? ახლავე გამოვცვლი. ქალბატონო, რას იწერება ჯორჯი? _ მიუბრუნდა ახლა ქალბატონს, _ არაფერს გწერთ ჩემს თომაზე?

_ არა, ხლოა! ჯორჯი მხოლოდ ორიოდე სიტყვით მატყობინებს თავისი მოსვლის დღეს. მოვა და თვითონ გვიამბობს ყველაფერს.

_ იმან ყოველთვის ასე იცის. მართალიც არის: ადვილი ხომ არ არის ყველაფრის შეტყობინება წერილით!

ამ სიტყვებზე ქალბატონს გაეცინა.

_ იქნება ჩემმა ბებერმა თავისი შვილები ვეღარც კი იცნოს, _ განაგრძო ხლოამ ლაპარაკი, _ მეტადრე პატარა გოგოს სულ ვეღარ იცნობს: როგორ აიყარა ტანი და რა ცქრიალა გოგო დადგა ჩვენი პოლი. ახლა სამზარეულოში დავტოვე, რომ ქადები არ დაიწვას. თომას რომ უყვარს, იმ ქადებს ვაცხობ. სწორედ ასეთივე ქადა გამოვუცხე, როცა აქედან წაიყვანეს. უჰ, რა დღე გამოვიარე მაშინ!

ქალბატონმა შელბიმ მძიმედ ამოიოხრა. გული რაღაც ცუდს ეუბნებოდა მას შემდეგ, რაც შვილის წერილი მიიღო და შიგ თომას შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნახსენები.

_ ქალბატონო, ხომ არ დაჰკარგეთ მეკონდიტრის ანგარიშები? _ ჰკითხა ხლოამ ქალბატონ შელბის.

_ ყველა ბარათი შენახული მაქვს, ხლოა!

_ მე მინდა, ის ბარათები თომას ვაჩვენო. მეკონდიტრე მეხვეწებოდა, კიდევ დავრჩენილიყავ იმასთან. მადლობას მოგახსენებთ-მეთქი, ვუთხარი. ვუამბე, რატომ მოვეჩქარებოდი შინ. კარგი კაცი კი გახლდათ.

ქალბატონმა შელბიმ გამოუტანა ყველა ბარათი და ფულიც, რაც ხლოას მოეგროვებინა ხუთი წლის განმავლობაში.

_ განა ხუმრობა საქმეა, _ ლაპარაკობდა თავისთვის ხლოა. _ რამდენი ხანია არ მინახავს ჩემი ბერიკაცი. პოლი მაშინ ძუძუთა მყავდა. მუხლში ძლივს იმართებოდა. ოჰ, საწყალო ჩემო მოხუცო, ვინ იცის, რამდენი ტანჯვა გამოიარე!

სასახლის ახლო ეტლის ხმაური გაისმა.

_ ბატონი მობრძანდა! _ წამოიძახა ხლოამ და ფანჯარას მიაშურა. ქალბატონი შელბი შვილს შეეგება და გადაკოცნა.

ხლოა ადგილზე გაშეშდა და ელოდა, როდის დაელაპარაკებოდა ოთახში შემოსული ჯორჯი. მართლაც, მალე მიუახლოვდა და ნაღვლიანად უთხრა:

_ საბრალო მამიდა ხლოა! მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ თომა მომეყვანა შენთვის, მაგრამ განგებამ სხვაგვარად განსაჯა: უფალმა წაგვართვა ჩვენი ძვირფასი თომა...

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონ შელბის მწუხარე კვნესა აღმოხდა გულიდან, ხლოას კი კრინტიც არ დაუძრავს.

სასტუმრო ოთახი მონა-მოსამსახურეებით აივსო. ბოლოს, როგორც იყო, ხლოა გამოერკვა, მაგიდას მიუახლოვდა, ზარათები და ფული ერთად შეაგროვა და ათრთოლებული ხელით გაუწოდა ქალბატონს შემდეგი სიტყვებით:

_ ეს ფული ჩემთვის საჭირო აღარ გახლავთ. მე მაშინვე ვგრძნობდი, რომ იმ საწყალს ეს დღე მოელოდა. ვიცოდი, რომ მუშაობაში ამოართმევდნენ სულს, _ გაბრუნდა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

ქალბატონი შელბი უკან გამოეკიდა, შემოაბრუნა ოთახში, ჩასვა სავარძელში და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

_ ჩემო საბრალო ხლოა, _ თქვა ქალბატონმა შელბიმ და ამ სიტყვებით გამოხატა თავისი გულწრფელი თანაგრძნობა ხლოასადმი.

ხლოამ თავი მის მკერდს მიაყრდნო და მწარედ ატირდა.

_ ოჰ, ქალბატონო, _ ამბობდა ის ტირილით, _ მაპატიეთ, გული მიკვდება დარდისაგან და მეც არ ვიცი, რას ჩავდივარ.

_ ვიცი, კარგად მესმის შენი სულიერი ტანჯვა, ჩემო ძვირფასო ხლოა, _ უპასუხა ქალბატონმა შელბიმ და თვითონაც ატირდა. _ მე შენთვის ნუგეშისცემა არ შემიძლია, მაგრამ, იმედია, უფალი არ დაგვტოვებს უნუგეშოდ: ის დაგიბრუნებს სიმშვიდეს და განკურნავს შენს სულს წყლულებისაგან.

კარგა ხანს მხოლოდ ტირილი ისმოდა ოთახში, ბოლოს ჯორჯი მივიდა ხლოასთან, დაამშვიდა, გვერდით მიუჯდა, მაჯა დაუჭირა და მოუყვა თომას თავგადასავალი, გადასცა თომას მასთან და შვილებთან დაბარებული უკანასკნელი სალამი.

ერთი თვის შემდეგ ჯორჯ შელბიმ მოიხმო თავისი მონები და განთავისუფლების ქაღალდები დაურიგა. მონების სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, სიხარულით ბევრი ტიროდა. ბევრ მონას ეძნელებოდა ბატონის სახლიდან წასვლა, ისე იყვნენ შეჩვეულნი თავის მდგომარეობას. ემუდარებოდნენ ბატონს, ქაღალდები უკანვე დაებრუნებინა და ისინი ძველ მდგომარეობაში დაეტოვებინა.

_ არ გვინდა თავისუფლება, _ გაიძახოდნენ ისინი, _ ჩვენ უიმისოდაც კარგად ვცხოვრობთ და არ მოვშორდებით ბატონის სახლსო.

_ მეგობრებო, _ უთხრა ჯორჯმა, როცა საერთო მღელვარება შეწყდა და შესაძლებელი შეიქნა ლაპარაკი: _ თქვენ შეგიძლიათ აქ დარჩეთ, ვიდრე თქვენთვის საჭირო იქნება. ჩემთვის მუშახელია საჭირო. თქვენ ჩემთან იქნებით თავისუფალ მუშებად და ყოველთვის მიიღებთ თქვენი შრომის საფასურს. ამნაირად მე დამშვიდებული ვიქნები, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენ არავინ

შეგაწუხებთ. მეც თქვენთან ერთად ვიმუშავებ და თანაც გასწავლით, როგორ ისარგებლოთ თავისუფლებითა და თქვენი უფლებებით. იმედია, ახლა ყველა თქვენგანი მიხვდა ჩემი გულის წადილს.

ერთმა ღრმად მოხუცებულმა მონამ აღაპყრო მთრთოლვარე ხელები და წარმოთქვა:

_ ძმებო, მადლობა შევწიროთ ჩვენს ბედს!

_ მეგობრებო, ერთი სიტყვა მაქვს კიდევ სათქმელი! _ მიმართა მათ ჯორჯმა, _ ხომ გახსოვთ ჩვენი კეთილი ბიძია თომა?

მან უამბო მონებს თომას თავგადასავალი და მისი მოწამეობრივი სიკვდილი, გადასცა მათ მისი უკანასკნელი სალამი და ამბავი შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

_ მეგობრებო, თომას საფლავზე აღთქმა დავდე _ ჩემს სახლში არ ვიყოლიო არც ერთი მონა, თუ ჩემს ხელთ იქნება მათი ბედ-იღბალი. არა მსურს, რომ მე ვიყო მიზეზი ვისიმე ოჯახური ან სხვა უბედურებისა, არა მსურს, რომ ვისმეს ისე ამოხდეს სული, შორს თავისი ოჯახიდან, როგორც საბრალო თომას. მეგობრებო, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ ბიძია თომა, იმისი კეთილი გული და ფიქრი, მისი ფაქიზი გრძნობები; ყოველთვის უნდა ბაძავდეთ მას. ეცადეთ, იმისი ცოლ-შვილი არ დააღონოთ და არ შეამჩნევინოთ ობლობა. თქვენ ახლა თავისუფალი ადამიანები ხართ!

### ჰ. ბიჩერ-სტოუ და მისი რომანი

ას ორმოცდაათი წლის წინ ამერიკელმა მწერალმა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუმ დაწერა რომანი «ბიძია თომას ქოხი».

სასულიერო პირის ოჯახში აღზრდილი მწერალი ბავშვობიდანვე ჩასწვდა მონათმფლობელობის მძიმე ხვედრის არსს, რადგანაც მათი სახლი არაერთხელ გამხდარა სამხრეთიდან გამოქცეული მონების თავშესაფარი. აქ კი, თავისუფალ ჩრდილოეთში გაზრდილი ჰარიეტი პირისპირ შეეჯახა მისთვის სრულიად უცნობ ახალ სოციალურ საკითხებს.

ამერიკაში 850 წელს გამოცემული კანონის თანახმად, გაქცეული მონები იძულებით უნდა დაბრუნებოდნენ მონათმფლობელებს. ამან სამართლიანი პროტესტი გამოიწვია ამერიკის იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებაში. სწორედ ამ მოვლენამ მისცა ბიძგი ბიჩერ-სტოუს, შეექმნა შედევრი «ბიძია თომას ქოხი».

მართლაც, მწერალმა თავდაპირველად გამოაქვეყნა მოკლე ვარიანტი ზანგი თომას ტრაგიკული ცხოვრების შესახებ. მკითხველთა დაჟინებული თხოვნით მწერალმა განავრცო მოთხრობა და მისცა დასრულებული რომანის სახე.

რომანს არნახული წარმატება ხვდა წილად. სტამბები დღე და ღამე ბეჭდავდნენ «ბიძია თომას ქოხს». მალე მისმა საერთო ტირაჟმა გადააჭარბა მილიონს. ეს იმ დროისათვის გაუგონარი ამბავი იყო. მალე მწერალი ქალი ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში.

ამ წიგნის არსი მდგომარეობს ცხოვრების უტყუარი სინამდვილის ასახვაში. მონობა ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. XVII საუკუნეში პირველად გამოჩნდნენ ზანგები, რომლებიც მუშაობდნენ მონებად თამბაქოსა და ბამბის პლანტაციებში.

მონათმფლობელი პლანტატორები მონებს ისე ექცეოდნენ, როგორც შინაურ ცხოველებს. მონების არაადამიანურმა, ენით გამოუთქმელმა წამებამ აღაშფოთა ამერიკის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუც. მან თავის «ბიძია თომას ქოხში» გვიჩვენა მონობის მთელი საშინელება. ნათლად დაგვანახა, რომ ამ სისტემას მხოლოდ უბედურება და ტანჯვა მოჰქონდა მილიონობით ადამიანისათვის.

ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს სწამდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე შეიძლებოდა მონათმფლობელებისა და მონების მორიგება. მთავარი მოქმედი გმირი თომა ხომ ღვთის მოშიში, სათნო და მორჩილი ადამიანია.

სულისშემძვრელია ზანგი თომასა და ბატონის ქალის, ევას, მეგობრობა. გავიხსენოთ ერთ-ერთი ეპიზოდი:

«როცა ევა შენიშნავდა მამას დაღლას, ეტყოდა ხოლმე:

_ მამილო, თომას გადამეცი, იმან მატაროს; იმას ყოველთვის სურს, რითიმე მასიამოვნოს.

_ მეც მსურს, ჩემო ძვირფასო!

_ ვიცი, მამილო, მაგრამ შენ განუშორებლივ ჩემთან ხარ, ღამესაც ჩემს საწოლთან ატარებ, თომას კი მხოლოდ დღისით შეუძლია ჩემთან ყოფნა».

წიგნში მომთმენი, მორჩილი ადამიანების გვერდით გვხვდება მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ პირობებში ინარჩუნებენ თავიანთ ადამიანურ ღირსებებს. ავიღოთ თუნდაც ელიზა, რომელიც განსაცდელში იგდებს საკუთარ თავს პირმშოს გადასარჩენად. ასეთივე გმირია მისი ქმარი, ჯორჯ ჰარისი. თავისი ბატონისადმი უსაზღვრო სიძულვილით შეპყრობილი, დაუცხრომლად მიილტვის თავისუფლებისაკენ. ასეთია ყველასაგან მივიწყებული საშინელი ლოთი პრუ, რომელსაც მონებად გაყიდული და დახოცილი შვილების მოგონებისა და სრული უიმედობის მეტი აღარაფერი დარჩენია ამქვეყნად. ასეთივეა ნახევრად შეშლილი, ნაღველითა და დარდით ჩაფერფლილი კასი.

ბიჩერ-სტოუ ამტკიცებდა, რომ ადამიანის სინდისი და პატიოსნება არ უნდა ურიგდებოდეს რასობრივ ჩაგვრასა და ზიზღს. «ძალა არ შემწევს მოგითხროთ, აღვწერო ან, თუნდაც, წარმოვიდგინო ყველა ის საშინელი დრამა, რომლებიც ყოველდღიურად თამაშდება აქვე, ჩვენს გვერდით, ამერიკული კანონების დახმარებით», _ წერდა მწერალი ქალი.

«ბიძია თომას ქოხის» შემოკლებული ქართული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 93 წელს ჟურნალ «ნაკადულის» დამატებაში, შემდეგ კი _ რამდენჯერმე გამოიცა.

**ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი